კვირის პალიტრა

№ 30 (491) ◆ 26 ივლისი – 1 აგვისტო. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

„როგორ შეიძლება ადამიანს მიაფურთხო?“

გვ.7

აქციები როგორ არ მინახავს, მაგრამ ამჯერად წარმოუდგენელი და ქართველისთვის შეუფერებელი რამ ვიხილე – როგორ შეიძლება ადამიანს მიაფურთხო? სად გაიზარდა ეს ხალხი ან თავად რა შვილები უნდა გაზარდონ?

„მშობლები ფულს იხდიან იმაში, რომ მათი შვილი უწიგნური დარჩეს“(!)

პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტს ძალიან დაჩაგრული ჰყავს. ჟვანია დღეს ძალიან ღელავს. გასაგები მიზეზების გამო ნერვიულობს და ბევრ სიგარეტს ეწევა. გვ.7,13

კატასტროფის პირას მისული ქართული ფრესკები სასწრაფოდ შველას ითხოვენ

გვ.6,12

საქართველოს მუზეუმები ჯერაც ქვის ხანაში არიან

ზოგიერთი ფრესკა მალე განადგურდება. ტაძრის მთელი მოხატულობა გავარდისფრებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფრესკის ფერებში სოკომ დაიბუდა. მეტიც, ზოგიერთ ფრესკაზე ხავსია მოდებული. ეს სინესტის ბრალია. კიდევ ერთი-ორი წელიწადიც და მერე ყველა ღონისძიება დაგვიანებული იქნება. ატენის სიონშიც საგანგებო მდგომარეობაა. აქ ფრესკების გადარჩენა კი არა, დღის წესრიგში ტაძრის არქიტექტურული ნაწილის შენარჩუნების საკითხი დგას... საგანგაშო მდგომარეობაა საქართველოს მუზეუმებშიც...

ქალაქის მთავარი ჰაერგამწმენდი თვითონ არის უკიდურესად დაბინძურებული

გვ.6

მოსახლეობამ საკანალიზაციო კოლექტორი დაამტვრია და ტომრებით ამოტენა, მთელი ეს მასა რომ დაგროვებულიყო და ზემოთ ამოსულიყო, რათა შემდეგ იქ გაშენებული ბაღ-ვენახები მოერწყათ(?!).

თბილისის ზღვაზე არსებულ პრობლემას შეიძლება ნებისმიერი სახის ნაწლავური ინფექციის აფეთქება მოჰყვეს.

ვიცავთ თუ არა სახელმწიფო საიდუმლოებებს

გვ.5,8

ჩინოვნიკების „პიარი“, თუ მათი საქმიანობის რეალური შედეგები

ჟურნალისტს უნდა შეეძლოს იმის გააზრება, რა თქვას და რაზე შეიკავოს თავი, როგორი დიდიც უნდა იყოს ექსკლუზივის გაშვების ცდუნება... ისეთ სპეცოპერაციას რა ვუთხარი, პირდაპირი ეთერით რომ გადაიცემა. აქ ორგანიზატორის არც ეთიკაზე შეიძლება ლაპარაკი და არც კულტურაზე. სამართალდამცველები ეთერს პიარისთვის იყენებენ – ნახეთ, რა მაგრები ვართო. ალბათ ამით საზოგადოების ნდობის მოპოვება სურთ. ასეთ შემთხვევებში ჟურნალისტს ვერაფერში გაამტყუნებ.

სამხედრო თემაზე:

გვ.8,9

სტალინის „გამოგზავნილი“ უზარმაზარი ბომბი ჯერ კიდევ ქუთაისთან ინახება

5-ტონიანი ბომბის არც წასაღები თვითმფრინავი გვყავს და ვერც ქართულ მიწას გავიმეტებთ მის ასაფეთქებლად.

რატომ იხდის ვალს სახელმწიფო კომერციული ფირმების ნაცვლად?!

გვ.27

თუ დასაბრუნებელი თანხა არ გააჩნიათ, კრედიტი გამოიტანონ ან გაყიდონ თავისი კომპანიები და სახელმწიფოს ვალი დაუბრუნონ.

რომან გოცირიძე

ეჭვის საბაბი მიჩნდება, როდესაც ვხედავ, თუ როგორი სიამოვნებით მირბიან ახალგაზრდები მომგებიანი ბიზნესიდან სახელმწიფო სამსახურში.

ნიკო ორველაშვილი

საქართველოს მიმართ ყველაზე კეთილგანწყობილი ქვეყნები: აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი გვ.35

სასამართლო

გვერდი 17–20

ვერსიის მაგივრად:

გვ.10,13

ამ დღეს პირველად დაიძრა საქართველო

თბილისში პირველად კომენდანტის საათის გამოცხადების მცდელობა 1988 წლის 28 ნოემბერს იყო

რა ხდებოდა სინამდვილეში – დღემდე უცნობი დეტალები ჯუმბერ პატიაშვილის ცხოვრებიდან

„პეჟოსგან“ თანამშრომლობის შემოთავაზება ბოროტი ხუმრობა მეგონა

ფრანგულმა საავტომობილო კომპანია „პეჟომ“ სერიულ წარმოებაში ჩაუშვა ქართველი ზვიად ციკოლიას დიზაინით დამზადებული ახალი „პეჟო“.

– საბოლოო სახის პროექტი, ფაქტობრივად, ბოლო ერთ კვირაში გავაკეთე... ჩემს ცოლს ვუთხარი, ახლა „ბუგატის“ კონკურსშიც მივიღებ მონაწილეობას, სამეულში აუცილებლად გავალ და ფულიც გვექნება-მეთქი. მალევე დამირეკეს – პირველი ადგილი აიღეო. ახალ წელს ვალით შევხვდი, მაგრამ ჩემი ვალი „ბუგატის“ ჰქონდა... გვ.11

თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

სოკოს საკრეფად ტანკებით დადის

რუსი სამშვიდობოების არაორდინარული სარდალი, გენერალი სვიატოსლავ ნაბზდოროვი, რომელიც ქართველებს არ წყალობს, თურმე რუსი ჟურნალისტებისა და ოსი ცისფერჩაფხუტიანების თანხლებით „სოკოს საკრეფად" ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე საბრძოლო მძიმე ტექნიკით დადის.

რუსი გენერალი ამ ცინიკური მოტივით 24 ივლისს იმ შემოვლით გზას ზვერავდა, რომელიც დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ერთადერთი დამაკავშირებელია. სვიატოსლავ ნაბზდოროვი იმავდროულად ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე მობილიზებულ შეიარაღებულ ძალებსაც „გადახედავდა". შს მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მხოლოდ სამშვიდობო ძალების ქართული დანაყოფი და პოლიციის დამატებითი ძალებია თავმოყრილი. სამშვიდობო ძალების სარდლის კონფლიქტის ზონაში „სოკოს საკრეფად" მძიმე ტექნიკით ნავარდს ვითარების გამწვავება მოჰყვა. შემოვლითი გზიდან რუსი გენერალი საქართველოს შს მინისტრმა გაისტუმრა.

„ჩვენ არ ვაპირებთ არც ერთი მტკაველი მიწის დათმობას. საქართველოს ნამდვილად შესწევს იმის უნარი, რომ დაიცვას საკუთარი ტერიტორია და ხალხი. დღემდე ქართული მხარე არ წამოეგო დე ფაქტო რესპუბლიკის ხელისუფლების პროვოკაციებს, თუმცა თუ მსგავსი შემთხვევები განმეორდება, მოწინააღმდეგეს საკადრის პასუხს გავცემთ", — განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

ნაბზდოროვი „ჩვენთან იქნება"?..

„ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურის სვიატოსლავ ნაბზდოროვის შეცვლა მხოლოდ რუსეთის გადასაწყვეტია", — განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა. მინისტრმა საქართველოს გენერალური შტაბის მეთაურის, გივი იუკურიძის განცხადებას ნაბზდოროვის გათავისუფლების შესახებ ფანტაზიის ნაყოფი უწოდა. „გენერალი, ისევე როგორც ნებისმიერი რუსი სამხედრო პირი, ჩვენი სახელმწიფოს ბრძანებებსა და კანონებს ემორჩილება. მას მაშინ შევცვლით, როცა ამის საჭიროება იქნება," — აცხადებს სერგეი ივანოვი.

რამდენიმე დღის წინ კი ასევე რუსების მიერ ოფიციალურად გაკეთებული განცხადების მიხედვით, ნაბზდოროვს ივლისის ბოლოს უნდა დაეტოვებინა პოსტი და მას გენერალ-მაიორი ყულაჰმედოვი შეცვლიდა.

რუსული იარაღი „უკანასკნელ გზაზე" გააცილეს

24 ივლისს ლარსთან, საქართველო-რუსეთის საზღვართან, მოგვარდა ერთი ქართულ-რუსული პრობლემა, რომელიც 2 კვირის წინ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დაიწყო. შეგახსენებთ, რომ ქართველმა ძალოვნებმა აღნიშნულ ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფი რუსული სამხედრო ტექნიკა დააკავეს. ხანგრძლივი დავა-კამათის შემდეგ რუსებმა პოზიციები დათმეს და „დაკარგული" იარაღის ლარსის საზღვართან დაბრუნებაზე დათანხმდნენ ქართულ მხარეს.

24 ივლისს რუსებმა რაკეტები რუსეთში გადაიტანეს. „ჰაერი-დედამიწის" ტიპის 160 რაკეტა, რომლებიც ქართველმა ძალოვნებმა ცხინვალის რეგიონში დააკავეს, „უკანასკნელ გზაზე" გაცილებამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიცრებმა რუსებთან ერთად დათვალეს. რაკეტებთან ერთად სამხედრო მანქანებში აღმოჩენილ იქნა რადიოსადგური, ელექტროკაბელები და ოთხი ათასი დეტონატორი. რუსული „განძი" საზღვრამდე საქართველოს სამხედრო პოლიციამ მიაცილა.

ხაჯინბას ეშინია

სოხუმის ხელისუფლება საქართველოს მხრიდან თავდასხმის მოსაგერიებლად ემზადება. ამ მიზნით ორშაბათიდან თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საშტაბო-სამეთაურო სწავლება დაიწყება.

„აფხაზეთთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფალთა აგრესიული განცხადებების გამო აფხაზეთის ხელისუფლება იძულებულია სახელმწიფოს ყველა სტრუქტურის მუშაობაზე გაამკაცროს კონტროლი და საქართველოს მხრიდან აფხაზეთზე აგრესიის განხორციელების შემთხვევაში, თავდასხმის დროს თავის დაცვის უსწრაფეს რეაგირებაზე იზრუნოს", — განაცხადა სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლების პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯინბამ მთავრობის სხდომაზე.

მისივე თქმით, იმ ვითარებაში, როცა საქართველოს ხელისუფლების პირველი პირები დაუფარავად ლაპარაკობენ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნების შესახებ, აფხაზურ მხარეს ისღა დარჩენია, იზრუნოს თავისი შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის გაუმჯობესებაზე, რეზერვისტთა სამობილიზაციო სისტემის მუშაობის სრულყოფაზე და შეიმუშაოს ექსტრემალურ ვითარებაში თავდაცვისა და სამოქალაქო ორგანოების კოორდინირებული ურთიერთქმედების ერთიანი სისტემა.

გაზის ტარიფი შემცირდება?

საქართველოს ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისკენ მოუწოდებს. პარტიის ლიდერის, შალვა ნათელაშვილის განცხადებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, გაზის ტარიფი უნდა შემცირდეს, პრესაში ოფიციალურად უკვე გამოქვეყნდა და შესაბამისად, მისი აღსრულება სავალდებულოა.

ნათელაშვილის თქმით, სასამართლომ არსებული ტარიფი უკანონოდ ცნო და ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასა და მთავრობას გადასახადის შემცირების პროცესის დაწყება დაავალა.

ლეიბორისტები იმედოვნებენ, რომ შესაბამისი უწყებები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას შეასრულებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი საპროსტესტო აქციებით იმუქრებიან.

ენგურჰესი გვინდაო

ამერიკელი მენეჯერების მმართველობაში მყოფი „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გარდა, „რაო ეეს როსიას" საქართველოს ყველა ენერგოობიექტის შესყიდვა სურს.

„რაო ეესის" გამგეობის წევრმა და „თელასის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ანდრეი რაპოპორტმა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრისას ზამთრის სეზონისთვის მზადების სტრატეგია დასახა. მან იმ ობიექტებზეც ილაპარაკა, რომელთა პრივატიზაციითაც შესაძლოა „რაო ეესი" დაინტერესდეს.

„რაო ეესი" პროვატიზაციაში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს. „განსაკუთრებით ენგურჰესი გვაინტერესებს (ენგურჰესი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში არ არის შეტანილი — რედ.)", — განაცხადა რაპოპორტმა. მანვე აღნიშნა, რომ „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ყიდვას ჯერჯერობით არ აპირებენ.

რაპოპორტის თქმით, ათი თვეა, რაც „რაო ეესმა" „თელასი" შეისყიდა და უკვე 15 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. თბილისის ქსელების რეაბილიტაციისთვის კიდევ 5 მილიონი დოლარის ინვესტირება იგეგმება, ხოლო ხრამჰესის რეაბილიტაციას 4 მილიონი დოლარი დასჭირდება.

გოგიტიძეზე საქმე აღიძრა

ასლან აბაშიძის შემდეგ სისხლის სამართლის საქმე მის ცოლისძმაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების ყოფილ მინისტრზე, სოსო გოგიტიძეზე აღიძრა. მას ბრალად ედება ადამიანების თავისუფლების უკანონო აღკვეთა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და გამოძალვა. გოგიტიძეს ასლან აბაშიძის დაცვის უფროსის, დავით ხალვაშისა და შს მინისტრის მოადგილის, დავით ბაკურიძის ხელმძღვანელობით დანაშაულებრივი ბანდის ჩამოყალიბებაც ბრალდება.

აჭარის პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა გენერალურ პროკურატურას სოსო გოგიტიძის, დავით ხალვაშისა და დავით ბაკურიძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გამოცხადების თაობაზე. არც ერთი მათგანი ამჟამად საქართველოში არ იმყოფება. გოგიტიძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მისი გამოჩენის შემთხვევაში განხორციელდება. ვინაიდან გოგიტიძეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ხელშეუხებლობის გარანტია აქვს, საეჭვოა, მან საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტოს.

ვარშალომიძე იმუქრება

ბათუმის ცენტრალური ბაზრის გამო ატეხილ აჟიოტაჟთან დაკავშირებით აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ განაცხადა, რომ ცენტრალური ბაზარი 1-ელი სექტემბრიდან „ბონის" სავაჭრო ცენტრში გადავა. ვარშალომიძეს მოვაჭრეთა საპროტესტო აქცია პროვოკატორთა მიერ ინსპირირებულად მიაჩნია და არ გამორიცხავს, რომ გაგრძელების შემთხვევაში, აქციები ძალისმიერი მეთოდებით დაშალონ.

23 ივლისს ბათუმის ცენტრალური ბაზრის 3000-მდე მოვაჭრემ აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობის წინ აქცია გამართა. ისინი ახალ შენობაში გადასვლას აპროტესტებდნენ და ლევან ვარშალომიძესთან შეხვედრას მოითხოვდნენ. ვარშალომიძის ნაცვლად მათ კობა ხაბაზი შეხვდა. მოვაჭრეებს სანუგეშო მანაც ვერაფერი უთხრა და ბათუმის ქუჩებში ისევ გაგრძელდა მომიტინგეთა აქციები... ვარშალომიძის თქმით, მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა, რომლითაც გამოავლენენ აქციის ორგანიზატორებს და, შესაბამისად, პასუხს აგებინებენ.

„რესპუბლიკელები" აპროტესტებენ

აჭარის მთავრობაში საგანგებოდ კობა ხაბაზისთვის ვიცე-პრემიერის პოსტის შემოღებას „რესპუბლიკელები" ეწინააღმდეგებიან და ამ ინიციატივას უკანონოს უწოდებენ. თუ აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, ლევან ვარშალომიძემ უმაღლეს საბჭოს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობასთან ერთად თავისი მოადგილეების კანდიდატურებიც წარუდგინა განსახილველად, „რესპუბლიკელები" საკითხის განხილვაში მონაწილეობას არ მიიღებენ. „რესპუბლიკელების" განცხადებით, აჭარის საკითხთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ცვლილება დაახლოებით ერთი თვის წინ შევიდა, რაც აჭარის მთავრობაში ვიცე-პრემიერის თანამდებობას არ ითვალისწინებს.

მშენებლობაზე უსაფრთხოების ზომებს არ იცავენ

გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მინისტრის თამარ ლებანიძის მოთხოვნით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა ბორჯომის ხეობის მონაკვეთზე ორი კვირით შეჩერებულია. მინისტრი მშენებლობის შეჩერების მიზეზად კომპანია BP-ს მიერ აღნიშნულ რეგიონში გარემოსდაცვითი ნებართვის მეცხრე პირობის შეუსრულებლობას ასახელებს, რომელიც უსაფრთხოების გამკაცრებულ დაცვას ითვალისწინებს. „ბორჯომის ხეობას საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რეგიონი ხასიათდება რთული რელიეფით და უსაფრთხოების ზომების განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს, რათა რისკი მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. კომპანია BP დაემორჩილა სამინისტროს მოთხოვნებს და ორი კვირის შემდეგ ნავთობსადენის მშენებლობას მეცხრე პირობის სრული დაცვით განაგრძობს", — აცხადებს მინისტრი.

კრიმინალური ქრონიკა

24 ივლისს გარდაბანში, აღმაშენებლის ქუჩაზე, სოფელ ქესალოსკენ მიმავალ გზაზე ქვემო ქართლის უშიშროების რეგიონული სამსახურის უფროსი ვასილ სანოძე ავტომანქანა „ნივით" შეეჯახა საპირისპიროდ მოძრავ „კამაზს". ავარიის შემდეგ სანოძემ და მისმა ოთხმა თანამშრომელმა, რომელთა ვინაობას ადგენენ, „კამაზის" მძღოლს, რაჰიმ ოსმან-ოღლი ალიევს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ინციდენტს შეესწრო გარდაბნის შს განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი რევაზ ვაჩლიანი და შეეცადა სიტუაცია განემუხტა. ამან უშიშროების თანამშრომელთა უკმაყოფილება გამოიწვია. მოგვიანებით, გარდაბნის შს განყოფილებაში ვაჩლიანს მიაკითხეს ვასილ სანოძემ და მისმა თანამშრომლებმა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. რაჰიმ ოსმან-ოღლი ალიევი მოთავსებულია საავადმყოფოში. მომხდართან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას პროკურატურა წარმართავს.

***

რუსთავში, მე-18 მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე თავდასხმის შედეგად გარდაიცვალა ტაქსის მძღოლი. სამი ბოროტმოქმედი თბილისში „ფორდ-სკორპიოს" მარკის ტაქსში ჩაჯდა და მძღოლს, აფხაზეთიდან დევნილ რობერტ გოგავას რუსთავში წაყვანა სთხოვა. მათ მგზავრობის საფასური წინასწარ გადაიხადეს, თუმცა ადგილზე მისვლის შემდეგ ფული უკან მოითხოვეს. შელაპარაკების შემდეგ ბოროტმოქმედებმა მძღოლს სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს, რის შემდეგაც ის ადგილზე გარდაიცვალა. სამი თავდამსხმელიდან ორი: 18 წლის რუსთაველი გენადი ბოჭორიშვილი და 18 წლის ალექსანდრე დიღმელიშვილი დაკავებული არიან. მესამე ბოროტმოქმედის ძებნა გრძელდება.

***

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ და უშიშროების სამინისტრომ აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე დააკავეს.

გენერალური პროკურორის მოადგილის, კახა კობერიძის განცხადებით, ქარქაშაძეს ბრალი ედება საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სახელმწიფო ქონების არაერთგზის უკანონო პრივატიზების გამო. „ქარქაშაძის რექტორად ყოფნის პერიოდში მოხდა ღვინის მინიქარხანა „მარანის" პრივატიზება, ასევე სასწავლო-საცდელ ბაზა „მუხრანზე" რიცხული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 105,50 ჰექტარი მიწის ნაკვეთის, სასწავლო-ექსპერიმენტულ ბაზა „იმედზე" დამაგრებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 25,50 ჰექტარი მიწის ნაკვეთის, „მუხრანის" ბალანსზე რიცხული მუხრანბატონის სასახლისა და სხვა ნაგებობების, ხელოვნური ტყეპარკისა და სტადიონის გრძელვადიანი იჯარით გაცემა", — აცხადებს კობერიძე.

მკბენარებთან ბრძოლა

პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთის მხარეში დავით მუმლაძემ თავდაცვის სამინისტროს 21-ე ბრიგადის საჯარისო ნაწილის ჰიგიენური პრობლემების მოგვარება დაიწყო. ამიერიდან ჯარისკაცები ყოველ მეორე დღეს წავლენ აბანოში, რითაც მუმლაძის განცხადებით, ისინი თვეში ერთხელ სარგებლობდნენ. გუბერნატორის თქმით, ჯარისკაცები რთულ პირობებში ცხოვრობდნენ — მათ თეთრეულს ოთხ თვეში ერთხელ უცვლიდნენ. იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციამ სხვა მხარდამჭერებთან ერთად ჯარისკაცებს ჰიგიენური საშუალებების დიდი მარაგი შეუძინა, რაც სავარაუდოდ ხელს შეუწყობს ყაზარმებში მომრავლებული მკბენარების მოსპობას, რომლებთან „ბრძოლაშიც" ქართველმა ჯარისკაცებმა „დიდი გამოცდილება" შეიძინეს.

მშვიდობის პარაკლისი კონფლიქტის ზონაში

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოილოცა ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიები. ილია II-მ ნიქოზის ტაძარში მშვიდობის პარაკლისი აღავლინა. პატრიარქმა ქართველ და ოსი ეროვნების მრევლს საჩუქრად გადასცა ქართულ და ოსურ ენებზე დაბეჭდილი სახარება. ოს მოქალაქეებს აქამდე არ მისცემიათ საშუალება, მშობლიურ ენაზე წაეკითხათ სახარება. ისინი სიხარულსა და მადლიერებას ვერ ფარავდნენ უწმინდესისა და უნეტარესის საჩუქრის გამო.

ქართული დიასპორის გეგმები

მოსკოვში არსებული ქართული დიასპორის ხელშემწყობი ფონდი „კრედო" აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა არასამთავრობო ორგანიზაცია ცენტრ „რწმენასა" და სხვა ორგანიზაციებთან ერთად ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების დარეგულირების პროცესში აქტიურად ჩაბმას გეგმავს. „საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა არასამთავრობო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების საკითხის მოგვარებაში. თუ ჩვენი პრეზიდენტისა და მთავრობის მსგავსად კონფლიქტების ზონებში ეკონომიკურ აგრესიას განვახორციელებთ, შევეცდებით აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობის აღდგენას და მართლაც აქტიურად ავამუშავებთ სახალხო დიპლომატიის ბერკეტებს, კონფლიქტების მოგვარების პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდება", — აცხადებს „კრედოს" პრეზიდენტი ბესარიონ ხვინთელიანი და მიიჩნევს, რომ აფხაზებთანაც და ოსებთანაც საერთო ენის გამონახვა სწორედ მათ შეუძლიათ, ვისაც ისინი წლების წინ დაუპირისპირდნენ და საკუთარი საცხოვრისიდან გამოაძევეს.

ავსტრალიას ემუქრებიან

ერთ-ერთ ისლამისტურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მიმართვაში ბინ ლადენის მოკავშირეები ერაყიდან ავსტრალიის ჯარების გაყვანას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასშტაბური ტერაქტებით იმუქრებიან. ტერორისტულმა ორგანიზაციამ, რომელიც თავს თავჰიდის ისლამისტურ ჯგუფს უწოდებს, რამდენიმე დღის წინ მუქარა პოლონეთსა და ბულგარეთსაც გაუგზავნა. ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუქარის პასუხად განაცხადა, რომ ავსტრალია ტერორისტებს არ დაემორჩილება და ერაყიდან ჯარებს არ გაიყვანს, ალ ქაიდა კი მუქარას კიდევ უფრო ამკაცრებს და აცხადებს, რომ ავსტრალიის მიწა მალე საშინლად შეზანზარდება.

მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 25 ლარს გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა 20 ლარი, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — 15 ლარს. გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „საქართველოს უჭირს — ესე იგი უნდა დაარტყა!" — 98 ხმა
2. **ლელა ჯიყაშვილი** — „დავით ემხვარმა ბარძიმი ყაბალახში შეხვეული მიუტანა ქართულ მუზეუმს..." — 50
3. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 44

მკითხველის სახელით პრემიები ასე გადანაწილდება: პირველი პრემია — 25 ლარი გადაეცემა **ვაჟა გავაშელს,** მეორე — 20 ლარი — **ლელა ჯიყაშვილს,** მესამე — 15 ლარი — **ირაკლი ალადაშვილს**.

„მკითხველის პრემიის" მფლობელები 304-მა რესპონდენტმა გამოავლინა

CMYK

კონფლიქტის ზონებში პირველი, რასაც საქართველომ უნდა მიაღწიოს, კონფლიქტის მხარესთან პირისპირ დარჩენაა

ჯერჯერობით, კლონირება იმ დონეზე არ განვითარებულა, რომ საქართველოს თითო რეგიონს თითო სააკაშვილი მივამაგროთ

ქართული სახელმწიფოებრიობა საგარეო თუ საშინაო პოლიტიკურ ასპარეზზე დასამკვიდრებლად ბრძოლას განაგრძობს. ეკონომიკური რეფორმები ქვეყანაში ჯერჯერობით, მხოლოდ საერთო-სახალხო გაყიდვების გამოცხადებით შემოიფარგლა — ისიც, ეკონომიკის სამინისტროს წინ აქტიური მანიფესტაციის, უფრო სწორად კი, ლანძღვა-ფურთხების ფონზე მიმდინარეობს. როგორც ჩანს, ბენდუქიძის თამამმა განცხადებებმა მარად პროტესტანტ ქალბატონებს ბრძოლის ჟინი გაუმძაფრა. რა ხდება მთავარ ფრონტზე? ჯერჯერობით, უცნობია, რა ძალებმა შთაუნერგეს ცხინვალის რუსი სამშვიდობოების გენერალ ნაბზდოროვს, კონფლიქტის ზონის მომიჯნავე ქართულ სოფლებში სოკოს „საკრეფად“ გადასულიყო. ყოველ შემთხვევაში, ეს მცდელობა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩვეული შეუპოვრობით აღკვეთა. როგორც ჩანს, თანდათან ინერციას კარგავს თვითმპყრობელურ ლიანდაგზე მდგომი რუსული სამხედრო თუ პოლიტიკური ელიტაც — არცთუ ხანმოკლე და „სიტყვატკბილი“ მოლაპარაკებების შემდეგ, რუსები დათანხმდნენ, ჩამორთმეული რაკეტები ლარსის საგუშაგოზე მიეღოთ და არა იქ, საიდანაც „ქართველმა სამართალდამცველებმა მოიპარეს“ — როგორც ამას სავსებით ურცხვად ამტკიცებდა და მოითხოვდა ლონდონში ოფიციალური ვიზიტით მყოფი სერგეი ივანოვი.

ადგილობრივი არჩევნების დასრულების შემდეგ აჭარაში ვნებები თითქოს დაცხრა და საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეში უკვე დემოკრატიული აღმშენებლობა უნდა წარმართულიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ჭირი მალეს პრინციპით, მან თავი არ დამალა — ელემენტარულ სოციალურ საკითხზე ქუჩაში გამოსულ ხალხთან შეხვედრა პრეზიდენტის დანიშნულმა წარმომადგენელმა არ (თუ ვერ) ისურვა, ხოლო კობა ხაბაზი კი, რომელმაც ეს ისურვა, სულ „ბაბუ-ბაბუს“ სკანდირებით გააძევეს მანიფესტაციიდან. პრეზიდენტმა მომხდარი უკომენტაროდ დატოვა, თუმცა მისი მდგომარეობა ამ შემთხვევაში სავსებით გასაგებია: უახლოესი წარსულის გათვალისწინებით, ერთპიროვნულ მმართველობას შეჩვეულ რეგიონში სახალხო ავტორიტეტის მქონე ლიდერისთვის ძალაუფლების ნდობა ძნელი საქმე იყო და მანაც, არჩევანი უსიტყვო ერთგულებაზე გააკეთა; მეორე მხრივ, აჭარაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ხალხი ახლა სწავლობს დემოკრატიის ანაბანას და თვითონაც დასარეგულირებელი კანონმდებლობა ყველაფერს ნამდვილად ვერ დაარეგულირებს; ასე რომ, ხალხს ავტორიტეტიანი (და არა ავტორიტეტული) ლიდერის მოთხოვნილება კიდევ დიდხანს ექნება. ჯერჯერობით, კლონირება იმ დონეზე არ განვითარებულა, რომ საქართველოს თითო რეგიონს თითო სააკაშვილი მივამაგროთ, რას იზამ, მას კიდევ ხშირად მოუწევს იქ სიარული. ვინ იცის — აჭარის არჩევნებში დღევანდელი პრეზიდენტის ყოფილი მოკავშირეები რომ არ დაჩაგრულიყვნენ, ეგებ, აღარც „ბაბუ“ დაეძახა ვინმეს და აღარც ხელქვეითების გასამხნევებელ-გასამაგრებელი ვოიაჟები ყოფილიყო საჭირო, თორემ აბაშიძის რეჟიმი აჭარლებს დღესაც ისევე სძულთ, როგორც რამდენიმე თვის წინ სძულდათ...

— ზოგადი და ემოციური განცხადებები სამხრეთ ოსეთის დაბრუნების შესახებ, ერთხელ და ორჯერ შეიძლება საამო გასაგონი იყოს, ამის შემდეგ კი კონკრეტული შედეგის მოსმენა გვჭირდება. სხვაგვარად, ცოტა არ იყოს, უფრო და უფრო ძნელი გასაგები ხდება, რატომ მიაქვთ უფასო სასუქი ოს გლეხებთან, როცა რაჭველს და კახელს მათზე არანაკლებ უჭირს? ხალხმა არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად, დეკლარირებული კონცეფციის სახით უნდა იცოდეს, რა გაჭირვება აიტანოს, რის ფასად აიტანოს და როდემდე აიტანოს.

ამასობაში კი, გენერალური პროკურატურა დროს უქმად არ კარგავს — ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ადეიშვილმა კორუფციასთან ბრძოლაში ოქრუაშვილის მიერ აუთვისებელ „ყამირს“ მაინც მიაგნო და მეცნიერებს „გადასწვდა“ — უკანონოდ გასხვისებული სახელმწიფო ქონების გამო პასუხს ჯერჯერობით, აკადემიკოს ქარქაშაძეს სთხოვენ — ვინ იქნება შემდეგი, მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი რევოლუციაგამოვლილი საქართველოს მარადიულ რევოლუციურ ტენდენციებსა და პერსპექტივებზე პოლიტოლოგ **პაატა ზაქარეიშვილს** ვესაუბრებით:

— გასული კვირის მიწურულს არასამთავრობო სექტორთან შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა ვრცლად ილაპარაკა ადამიანის უფლებებზე, თუმცა ეს საუბარი ერთი ადამიანის, და ისიც მინისტრის ცხვირს არ გასცდენია. გასაგებია, სახელმწიფო უწყება და საჯარო მოხელე ჯეროვნად უნდა იყოს დაფასებულ-დაცული, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დღემდე საქართველოში არათუ პრეზიდენტს, სახელმწიფოს წარმომადგენელ რიგით სამართალდამცველებსაც კი უბრალო მოქალაქის შელახულ ღირსებაზე ჯერ კრინტი არ დაუძრავთ, თუ არ ჩავთვლით მერიის წინ დარბეულ აქციას. საინტერესოა, რომ მანიფესტაციასთან დაკავშირებით, დაპატიმრებული 16 წლის ახალგაზრდა რაიონულმა პროკურატურამ გაათავისუფლა, თუმცა პროკურორი ამის შემდეგ (თუ ამის შედეგად) თანამდებობიდან წავიდა, ქალაქის პროკურატურამ კი ახალგაზრდა კვლავ დააპატიმრა. რამდენად იმოქმედებს ასეთი ტენდენციები კანონის შეუვალობაზე?

— არ ვიცი, რომელი კანონის შეუვალობაზეა აქ ლაპარაკი. ერთადერთი კანონი, რომელიც საჯარო ადგილებზე შეკრებას ეხება და რომლის შექმნაში მეც ვმონაწილეობდი, მოქალაქეებს სრულ თავისუფლებას ანიჭებს — შეიკრიბონ იქ, სადაც სურთ, როდესაც სურთ და რამდენი ხნითაც სურთ. ასეთ დროს ისინი ხელისუფლების არც ერთ შტოსთან არ არიან ანგარიშვალდებულნი. ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ მანიფესტაციას შეიძლება მოჰყვეს საგზაო მოძრაობის შეფერხება, ამის თაობაზე ცოტა ხნით ადრე უნდა გააფრთხილონ შესაბამისი ორგანოები. მხოლოდ და მხოლოდ გააფრთხილონ, რათა პოლიციამ ტრანსპორტის ნაკადის რეგულირება შეძლოს. ამ დროსაც კი, არავითარი ნებართვის მიღება საჭირო არ არის. თუმცა, შეკრების თავისუფლება არანაირად არ გულისხმობს საქციელის თავისუფლებას — სააკაშვილისგან განსხვავებით, ციტატის მოყვანისას ავტორსაც დავასახელებ: ლაროშფუკო ამბობდა, რომ ნებისმიერი ადამიანის თავისუფლება, იქნიოს ხელები, მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორე ადამიანის ცხვირიო... მაგრამ ლაროშფუკოს ბენდუქიძის ცხვირზე არაფერი უთქვამს იმიტომ, რომ ის მხოლოდ ერთი ადამიანის ცხვირს არ გულისხმობდა. ეკონომიკის მინისტრს ჩვენს ახალ მთავრობაში სწორედ მისი გულწრფელი და თამამი პოზიციებისთვის ყველაზე დიდ პატივს ვცემ, მიმაჩნია, რომ იგი ამ რეფორმების გამო აქციებს, უფრო სწორად კი, გამოხდომებს არანაირად არ იმსახურებდა. მეტსაც გეტყვით, ამ აქციის დროს ეკონომიკის სამინისტროში მომიწია მისვლამ. დაბრუნებისას მანიფესტანტებმა მიცნეს — სრულიად უმისამართოდ და დაუმსახურებლად, ამ ქალბატონების ლანძღვაც ვიგემე და მუჯლუგუნებიც. მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ადამიანის უფლებათა მხოლოდ ერთ კაცზე განზოგადება დაუშვებელია. ამას ორმაგ სტანდარტებამდე მივყავართ... როდესაც პრემიერი და თავად ბენდუქიძე აცხადებენ, რომ ამ ხალხს ვიღაცა, აბსტრაქტული, მესამე ძალა მართავს და ფულს უხდის, მაშინ ბოლომდე უნდა თქვან სათქმელი. პრემიერისგან კიდევ გასაგებია, მაგრამ ბენდუქიძეს ასეთი რამ ნამდვილად არ უნდა მოსდიოდეს. მიმაჩნია, რომ ამ ხალხთან დალაპარაკება მაინც შეიძლება. თუნდაც სრულიადაც ვერ ერკვეოდნენ იმ საკითხში, რის გამოც ეკონომიკის სამინისტროსთან იდგნენ, მათ დემონსტრაციას და პროტესტს, როგორც ჩანს, გარკვეული, ფსიქოლოგიურ-საზოგადოებრივი საფუძველი მაინც აქვს. ასეთი ჯგუფების საზოგადოებიდან გარიყვითა და მათი დაქირავებულ მოღალატეებად გამოცხადებით კი სრულფასოვანი საზოგადოება არ აშენდება — პირიქით, ჩვენ თვითონ ვიძლევით საბაბს, რომ ხალხი სხვადასხვა, მარგინალურმა ძალებმა — თავისი ქვენა მიზნებისთვის შემოიკრიბოს და გამოიყენოს. რაც შეეხება ახალგაზრდის დაკავება-გათავისუფლებას, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქართველო რევოლუციის რამდენიმე თვის თავზე კვლავაც რევოლუციური სულისკვეთებით ცხოვრობს. რაიონის პროკურორმა ამ შემთხვევაში დაკავებულის გათავისუფლება კანონიდან გამომდინარე გადაწყვიტა, ქალაქის პროკურატურამ კი, რევოლუციური ინტერესებიდან გამომდინარე, ისევ დააპატიმრა. აქაც ისევ ორმაგი სტანდარტია. თუ გვსურს, კანონი კანონობდეს და როგორც ახალი ხელისუფლება აცხადებს, მას ეს უნდა სურდეს, მაშინ კანონი ყველასთვის კანონი უნდა იყოს და რევკომული იდეები განზე უნდა გადავდოთ. თორემ ასე ერთ დღევანდელს ხვალინდელი მეორეც მიემატება და ჩამოყალიბდება იმგვარი მენტალიტეტი, რომელიც დააჯერებს საზოგადოებას, რომ ესა თუ ის მოვლენა არა კანონის, არამედ ხელისუფლების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს იმიტომ, რომ ასე სჭირდება „პარტიას და ქვეყნის მომავალს“.

არასამთავრობოებთან ბოლო შეხვედრაზე პრეზიდენტს ადამიანის უფლებათა დარღვევის სხვა ფაქტები არ უხსენებია — ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ. არადა, ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენს პენიტენციარულ სისტემაში დაკავებულთა წამება კვლავაც გრძელდება — ჩემთვის მოლაშვილის პიროვნება სრულიად მიუღებელია, მაგრამ როდესაც სამართალდამცველი მის შესახებ ურცხვად აცხადებს, თავი თვითონ იწამაო, ამას სასწრაფო და სათანადო რეაქცია სჭირდება. სასწრაფო რეაქცია სჭირდება რევოლუციური დამსახურებების გამო დაწინაურებულთა თავნებობასაც...

რაც შეეხება მანიფესტაციის საბაბს თუ მიზეზს — ერთმნიშვნელოვან განცხადებას — საქართველოში სინდისის გარდა ყველაფერი უნდა გაიყიდოსო, მოსახლეობის სჯა-ბაასი მოჰყვა. მიუხედავად ამისა, ბოლო დროს დამკვიდრებული ტენდენცია გრძელდება — მოსახლეობას არავინ არაფერს ეკითხება...

დღეს უკვე სადავო და საკამათო აღარ არის, რომ მსოფლიო რეალურად, საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებზე დგას. სწორედ ამ ელემენტარულ საფუძვლებს ემყარება ეკონომიკის მინისტრის მიერ გამოცხადებული კონცეფციაც, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების გაყიდვას გულისხმობს. საქართველოს მოსახლეობამ ნდობა გამოუცხადა მიხეილ სააკაშვილს და ის ქვეყნის პრეზიდენტად აირჩია. მაშინ, კეთილი უნდა ვინებოთ და მის მიერ არჩეულ მინისტრსაც ვენდოთ. მავანნი დღეს იმასაც ამბობენ, რომ „საქართველო იყიდება“. არ მესმის, როგორ შეიძლება, საქართველო გაიყიდოს. რაც შეეხება სახელმწიფო ობიექტებს, სჯობს ერთ, კონკრეტულ პიროვნებას ეკუთვნოდეს და ის იყოს პასუხისმგებელი, ვიდრე სახელმწიფოსი იყოს, ვითომ ყველასი და სინამდვილეში არავის ეკუთვნოდეს... სხვა საქმეა სახელმწიფო ინტერესები, რომელიც ხელისუფლებამ და უპირველესად, პრეზიდენტმა არა მხოლოდ პრივატიზაციის, არამედ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას უნდა გაითვალისწინოს; თუ ასე არ მოხდა, აქაც ისევ ნდობის საკითხი დგება და პრივატიზაცია არაფერ შუაშია...

არ მესმის, როგორ შეიძლება, საქართველო გაიყიდოს. რაც შეეხება სახელმწიფო ობიექტებს, სჯობს ერთ, კონკრეტულ პიროვნებას ეკუთვნოდეს და ის იყოს პასუხისმგებელი, ვიდრე სახელმწიფოსი იყოს, ვითომ ყველასი და სინამდვილეში არავის ეკუთვნოდეს... სხვა საქმეა სახელმწიფო ინტერესები, რომელიც ხელისუფლებამ და უპირველესად, პრეზიდენტმა არა მხოლოდ პრივატიზაციის, არამედ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას უნდა გაითვალისწინოს; თუ ასე არ მოხდა, აქაც ისევ ნდობის საკითხი დგება და პრივატიზაცია არაფერ შუაშია...

— ალბათ ისევ ნდობას უკავშირდება ბათუმში ჩატარებული აქციაც — ბაზრობები თბილისშიც შეიზღუდა და მანიფესტაციები დედაქალაქშიც გაიმართა, მაგრამ შევარდნაძის სახელის სკანდირება არ მომხდარა. ბათუმში „ბაბუს“ ძახილი ხომ არ ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტისადმი უდიდესი პატივისცემისა და სიყვარულის მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა მის მიერ დანიშნულ ადგილობრივ მმართველებს არ ენდობა?

— აჭარის პოლიტიკურ ქვედინებებს დაწვრილებით არ ვიცნობ. ერთი კი შემიძლია დანამდვილებით ვთქვა — ყველას აქვს თავისი აზრის გამოთქმის უფლება, ოღონდ ეს უფლებაც გარკვეულ კულტურას ითვალისწინებს — ყველაფერი შეიძლება ადამიანმა მანიფესტაციის საშუალებით მოითხოვოს — თუმცა ამ მოთხოვნის პარალელურად შეურაცხყოფას, ლანძღვა-გინებას და ძალადობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მეორე მხრივ, ადგილობრივი ხელისუფლებაც ვალდებულია, უფრო ახლო კონტაქტი იქონიოს საკუთარ მოსახლეობასთან და მისი პრობლემები მისივე მონაწილეობით გადაწყვიტოს...

— სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენები უკვე გარკვეულ კალაპოტში ექცევა — არცთუ შორეულ წარსულში კრიტიკული პოზიციის მიუხედავად, რუსები დათანხმდნენ, ჩამორთმეული რაკეტები ლარსის საზღვარზე მიეღოთ. შინაგან საქმეთა მინისტრმა შესაფერისი პასუხი გასცა ნაბზდოროვის პროვოკაციულ გასეირნებას „სოკოზე“... და მაინც — კონფლიქტის რეგიონში ყველაფერი ძველებურად რჩება — კოკოითი ადგილზეა, როგორც აღმოჩნდა, ადგილზევე არიან დაქირავებული მებრძოლებიც. პროტესტის მიუხედავად, ქართული მხარე მოლაპარაკებებს კვლავაც რუსეთის დომინანტობით აწარმოებს...

— კონფლიქტის ზონებში მოლაპარაკებისას, პირველი, რასაც საქართველომ უნდა მიაღწიოს, კონფლიქტის მხარესთან პირისპირ დარჩენაა. ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ საქმე ისევ გაუკეთებელი რჩება — ის, რაც დღეს ცხინვალში ხდება, წლების წინ აღმოცენებული ტენდენციის გაგრძელებაა და ვერ ვხდები, რა გაკეთდა ბოლო სამი თუ ოთხი თვის განმავლობაში, რას მივაღწიეთ? რუსეთი სატყუარის სახით გვიგდებს ნაბზდოროვებს და კოკოითებს. ჩვენც, მათი პროვოკაციული განცხადებების შემდეგ, როგორც კრივის სავარჯიშო საფრთხობელას, ისე ვეკვეთებით ხოლმე. დღეს თუ ხვალ, ნაბზდოროვს გაიწვევენ — ამის შესახებ განცხადებები უკვე კეთდება და ქართულ მხარეს გამარჯვების ყიჟინა აღმოხდება — რა მაგრები ვართ, რას მივაღწიეთო. მცირე ხნის თამაშის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, „გაიწვევენ“ კოკოითსაც... მაგრამ ამით რა შეიცვლება? რუსულ პოლიტიკას არც კოკოითები დაელევა და არც ნაბზდოროვები. გამოდის, რომ ამდენი აჟიოტაჟი ქარის წისქვილებთან ბრძოლაა? რეალურად ვთქვათ, რა გაკეთდა ცხინვალის რეგიონში: ორად ორი რამ: — ერგნეთის ბაზრობა დაიხურა და რეალურად შეივსო ქართული სამშვიდობოების კონტინგენტი. სრულიადაც არ ვაკნინებ ამ მოვლენების მნიშვნელობას, მაგრამ ეს ხომ კონფლიქტის ესკალაციის დასაწყისშივე მოხდა? მაშ, რაღა საჭირო იყო ამდენი გაწევ-გამოწევა და ალიაქოთი? რა მივიღეთ შედეგად — მოსახლეობის ხელახალი დაპირისპირება? თვითკმაყოფილების მიღმა, ჩვენ ისევ რუსეთის სცენარით ხომ არ გვათამაშებენ? ერთი მხრივ, აცხადებენ, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკებებში დომინანტ მხარეს არ წარმოადგენს. მეორე მხრივ, მიდიან მოსკოვში და ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ ქართულ-ოსურ მოლაპარაკებებში რუსეთი შუამავალს წარმოადგენს. სად არის სიმართლე — პრეზიდენტის ზეპირ განცხადებებში თუ ოფიციალურ ხელშეკრულებებში? ჩემი აზრით, სამხრეთ ოსეთშიც და აფხაზეთშიც, ისევე, როგორც ზოგადად, სახელმწიფოს განვითარების თვალსაზრისით, ჩვენს ხელისუფლებას ერთი სერიოზული ნაკლი აქვს — ღიად არ აცხადებს უახლოესი მომავლის შედეგს — კონცეფციას, თუ რას მივაღწევთ, უფრო სწორად კი, რის მიღწევა-არმიღწევაზე და შესრულება-შეუსრულებლობაზე მოვთხოვოთ ხელისუფლებას პასუხი. დღევანდელი ვითარება ხელისუფლებას დიდად აძლევს ხელს — ნებისმიერ, უმნიშვნელო წარმატებაზე, „პროგრამა მინიმუმის“ შესრულების თვალსაზრისით, უზარმაზარი ზეიმი შეუძლია გამართოს, რადგან „პროგრამა მაქსიმუმზე“ არაფერია ცნობილი. დღესდღეობით ასეთი რამ მხოლოდ ერთმა მინისტრმა — ბენდუქიძემ გააკეთა. მან თქვა, თუ როგორი შედეგი უნდა მიიღოს საქართველომ რამდენიმე წელიწადში მის მიერ გატარებული რეფორმისგან. ანუ ამით საქმისადმი საკუთარი პასუხისმგებლობა დააფიქსირა. დღეს არავინ იცის, რადგან არავის უთქვამს, კონკრეტულად რისი მიღწევა გვსურს სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში — ზოგადი და ემოციური განცხადებები სამხრეთ ოსეთის დაბრუნების შესახებ, ერთხელ და ორჯერ შეიძლება საამო გასაგონი იყოს, ამის შემდეგ კი კონკრეტული შედეგის მოსმენა გვჭირდება. სხვაგვარად, ცოტა არ იყოს, უფრო და უფრო ძნელი გასაგები ხდება, რატომ მიაქვთ უფასო სასუქი ოს გლეხებთან, როცა რაჭველს და კახელს მათზე არანაკლებ უჭირს? ხალხმა არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად, დეკლარირებული კონცეფციის სახით უნდა იცოდეს, რა გაჭირვება აიტანოს, რის ფასად აიტანოს და როდემდე აიტანოს. სხვაგვარად, ემოციებზე აგებული სახელმწიფოებრიობა დიდხანს ვერ გასტანს...

დაჩი გრძელიშვილი

სიყვარულს უცხო ენაზე არ უხსნიან...

უცხოელები რა, ქართველებზე უკეთესები არიან?!

თამილა შვილებთან

როგორც კაცი ცხოვრებაში, ისე ერიც ვერ გაძლებს მარტო. ერიც, როგორც კაცი, შეიძლება გაითქვიფოს და გადაჯიშდეს... მაგრამ ჩვენ, ქართველები, არ გადავჯიშებულვართ. ისტორიის მონსტრებს — მონღოლებსა და არაბებს გავუძელით, უარესი რაღა უნდა იყოს! მთავარია, მტერს წაქეზება დავასწროთ და ჩვენს მიწაზე დამკვიდრებული ხალხი ჩვენს სიყვარულში წავაქეზოთ. მეტი რა მაგალითი გვინდა — დავით აღმაშენებელმა 40 000 ყივჩაღი საქართველოს სამსახურში ჩააყენა, ხოლო ბორჩალოელი თათრები კრწანისის ომში ერეკლე მეფისთვის დაიხოცნენ... ამას წინათ ერთმა თბილისელმა ისეთი სიყვარულით მიამბო თბილისში მცხოვრებ მათ შორეულ შთამომავალზე, წავედი და გავიცანი. ეს აზერბაიჯანელი თავის უბანში ისე უყვართ, თვალში რომ ჩაუვარდეს, ხელს არ ამოისვამენ. ხალხი გულწრფელია — რასაც იღებს, უკანაც იმას აბრუნებს...

— *თამილა, იცი, რომ მეზობლები ძალიან გაქებენ?*

— რატომ, რა გავაკეთე?

— *ამბობენ, თბილი გოგოა და რაც მთავარია, ქართულად წყალივით ლაპარაკობსო...*

— წყალივითო? აბა, როგორ, რა უნდა ვქნა?! შუაგულ საქართველოში ვცხოვრობ, ამ მიწაზე გავიზარდე და ქართული ბორძიკით რომ ვილაპარაკო, სირცხვილი არ იქნება? რას იფიქრებს ხალხი? ჩემი მშობლიური ენა არ ვიცი ისე კარგად, როგორც ქართული. ალბათ ეს კარგი არ არის, მაგრამ აზერბაიჯანულად რომ მელაპარაკა ქართველებთან ან რუსულად, უკეთესი იქნებოდა?

— *რუსულ ენაზე ხშირად გველაპარაკებიან აზერბაიჯანელები...*

— მათი მშობლების ბრალია. ჩემი თაობა სულ რუსულ სკოლაში დაჰყავდათ. ბავშვობაში თუ არ ისწავლე, მერე ძნელია ენის სწავლა. მე ჭკვიანი მშობლები მყავდა — დმანისელი აზერბაიჯანელები. დედამ ქართულ სკოლაში მიმიყვანა. ამბობდა: — არ მინდა ჩემი შვილები უცხოები იყვნენ საქართველოშიო... თუ აქ ცხოვრობ, ქართველებს უნდა აფასებდეო. ათი წელიწადი ქართულ ცეკვებს ვსწავლობდი. ჩემი ცეკვის მასწავლებელი რომ მახსენდება, გული მითბება...

— *მეუღლემაც იცის ქართული?*

— ის აზერბაიჯანში დაიბადა, თბილისში მე მიპოვა და დარჩა. ყველას თვალებში უყურებდა — აბა, რა სიტყვას იტყვიანო... სულ სწავლობდა და სწავლობდა... მშვენივრად ლაპარაკობს ქართულად, ოღონდ ცოტა სისინა ბგერების წარმოთქმა უჭირს. თუმცა შვილებს სულ ეუბნება, — აზერბაიჯანულიც ისწავლეთ, მშობლიური ენის ცოდნა აუცილებელიაო. მართალიც არის, აღმოსავლური ენები ლამაზი და ტკბილია. ქართველები სწავლობენ და აზერბაიჯანელებმა რატომ არ უნდა იცოდნენ?

— *ისწავლეს?*

— სწავლობენ. სამწუხაროდ, მე ვერ ვეხმარები ამ საქმეში. სამაგიეროდ, ქართულს ვასწავლი: ვაჟას, ილიას, აკაკის... ამ მიწაზე ცხოვრობენ და უნდა იცოდნენ, ამ ხალხს რა სული უდგას, რა კულტურა აქვს.

— *შენ რომელი გიყვარს?*

— არც კი ვიცი, რომელი გამოვარჩიო. ხანდახან ვაჟასკენ ვიხრები. სხვანაირია, ამაყი. გალაკტიონსაც ხშირად ვკითხულობ, მაგრამ ლადო ასათიანის „სალაღობო“ რომ მიყვარს, ისე არავინ მიყვარს... კარგია არა? — „ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა!“

— *სიმღერებზე რას იტყვი?*

— ვგიჟდები ქართულ ხალხურ სიმღერებზე. აზერბაიჯანული მუსიკაც მიყვარს, თუ სადმე ჩავივლი და გავიგონებ, ფეხები მიჩერდება ხოლმე, მაგრამ ქართული სიმღერები სიცოცხლის იმედს მაძლევს... რაც შეეხება ცეკვას... ქართულ საცეკვაოს რომ უკრავენ, ჩემი ძვალიც ცეკვავს...

— *ალბათ არაბუნებრივად ვაფასებ შენს ასეთ სიყვარულს, მაგრამ მე მაინც მინდა მადლობა გითხრა...*

— რას ამბობთ, ჩემი ქართველის გვერდით როგორ უნდა ვცხოვრობდე, რომ მის ტკივილს და სიხარულს არ განვიცდიდე... მე ხომ ამ ჰაერით ვსუნთქავ, ამ ცას ვუყურებ... ამ მიწაზე ვდგავარ! ჩემი მეზობლები ქართველები არიან... რამე მიჭირს თუ მიხარია, ჩემ გვერდით არიან, როგორ უნდა გადავუხადო, უცხო ენაზე უნდა ველაპარაკო?! სიყვარულს უცხო ენაზე არ უხსნიან, ამას ვერ ვიზამ... ბოლო წლებში ურთიერთობები რომ გართულდა, აგრესიული გამოხედვაც კი არ მიგძნია არავისგან... სხვაზე უკეთესი კი არ ვარ, მაგრამ მე ვიცი ქართველების ფასი და მიყვარს ისინი. ძალიან მიკვირს იმ ზოგიერთი ოსის, რომლებიც ცხინვალში ცხოვრობენ და გაიძახიან, რუსეთის მოქალაქეები ვართ, იმათ უნდა შევუერთდეთო!.. რას ჰქვია შეუერთდნენ! იმათი მიწაა? თუ ჩვენზე — ქართველებზე უკეთესი არიან?! ვფიქრობ, ამაზე იმ ოსებმა უნდა ამოიღონ ხმა, ვინც იქ ცხოვრობს... უნდა გაბედონ! ყოველ შემთხვევაში, მე რომ იქ ვცხოვრობდე, ნამდვილად გავბედავდი!

— *აზერბაიჯანში ცხოვრებაზე თუ გიფიქრიათ?*

— რას ამბობთ! აქ არის ჩემი სამშობლო. სხვა რა არის სამშობლო? აქ დავიბადე და გავიზარდე. ერთადერთი, პირჯვარს არ ვიწერ, თორემ ქრისტიანულ ლოცვებსაც ვკითხულობ. რატომ არ უნდა წავიკითხო? იქ წერია, ერთმანეთი გიყვარდეთო... ვეღარ გავძლებ აზერბაიჯანში, გამიჭირდება. ზაფხულობით დედამთილის ოჯახში რომ მივდივარ, ისიც მიჭირს — აზერბაიჯანული წესია, რძალმა თავსაფარი უნდა მოიხვიოს და დახურული კაბა ჩაიცვას, ეს არ შემიძლია... თანაც, სადმე რომ ვარ, რომ იცოდეთ, ქართულის გაგონება როგორ მსიამოვნებს! ის კი არა, აქ რომ ლაპარაკობს უცხოელი ქართულად, გახარებული ვუყურებ... ამას წინათ ერთი ინგლისელი შემხვდა გზაზე, ქართულად მკითხა რაღაც. გული გამინათდა — ქართული უსწავლია-მეთქი... მადლობაც ვუთხარი... მითხრა, აქ ისე ვერ გავჩერდებოდი, ეს ენა რომ არ მესწავლა, წესია ასეთი, ვისთანაც ცოტა ხნით მაინც აპირებ ცხოვრებას, იმის ენა უნდა ისწავლოო... მართალი იყო ის კაცი... საზღვარგარეთ რომ მიდიან, ვინც არ უნდა იყოს, აზერბაიჯანელი იქნება თუ რუსი, ხომ ინებებს კეთილს და საგანგებოდ სწავლობს იმათ ენას... ის საზღვარგარეთ მცხოვრები ხალხი ვითომ ქართველზე უკეთესია? რითი? უბრალოდ, ქართველები არავის ავალდებულებენ, ჩვენი ენა ისწავლეთო... მგონი, უნდა დაავალდებულონ... თუ არადა, შენ უცხოს და ამ მიწაზე დასახლებულს უნდა გქონდეს შეგნება, რომ დააფასო ის ხალხი, ვისთანაც ცხოვრობ და მის ენაზე ილაპარაკო.

ეთერ ერაძე

ცნობილთა ნაკვესები

ილიკო სუხიშვილი

ილიკო სუხიშვილს ჰიპერტონია აწუხებდა. ამიტომ ნინო რამიშვილი (მეუღლე) მას 6 საათის შემდეგ ჭამას უშლიდა. ილიკოს კი უყვარდა ჭამა. ნინო კონცერტებზე „ჯეირანის“ ნომრით გამოდიოდა ხოლმე. მისი სცენაზე გასვლის წინ, ილიკოს კუჭმა შეახსენა თავი და დარბაზიდან ჩუმად გაიპარა. კარგად რომ ივახშმა, კვლავ შემოვიდა კონცერტზე და მისი „გაუჩინარება“ რომ შეუმჩნეველი დარჩენილიყო, უკვე სავარძელში მჯდომ მეუღლეს აღტაცებული მიეახლა: ახ, ნინო, რა იყავი, პირდაპირ ჰაერში დაფრინავდი, ასე ჯერ არ გიცეკვიაო. გაგიჟდა ნინო — რას მელაპარაკება ეს კაციო. მაინცდამაინც იმ დღეს წაიქცა იგი და უნებური ფათერაკი ვერ მოენელებინა, ამიტომაც გაბრაზებით შეუტია: „Что ты говоришь, я же упала на сцене!“. ილიკო არ დაიბნა და უმალ მიუგო: „Зато как встала!“

„კახელი“

თელავის ყოფილ გამგებელს, მედეა მეზვრიშვილს მორიგი ინტერვიუს ასაღებად ეახლა ჟურნალისტი. სხვა (უმთავრესად ტრადიციულ) შეკითხვებთან ერთად ჟურნალისტმა ერთი „არაორდინარული“ კითხვაც შეაპარა:

— ქალბატონო მედეა, თქვენზე ამბობენ, არჩევნების მოგებას, შარშანდელის მსგავსად, ძალადობით აპირებსო...

— მა, რითვინა ვზივარ აქ, ფლავ კი არა ვჭამ!... — აუღელვებლად უპასუხა გამგებელმა.

ტარიელ ჭანტურია

„ნიანგის“ ერთი არაქართველი სტუმარი ნამეტანი ბევრ ჩაის სვამდა, თანაც მდუღარეს: შეწუხდა ნოდარი:

— ე ბიჭო, მაგას რომ შარდის ბუშტი გაუსკდეს, ნამდვილად ფეხებს დაიმდუღრავს საცოდავი!

შეკრიბა ზაზა სეფაშვილმა

ასოციაცია „თავისუფალი პრესის“ განცხადება

14 ივლისს გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ რედაქციაში შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ფინანსური პოლიცია შევიდა და გაზეთის ფინანსური დოკუმენტაცია „ამოიღო“. ფინანსური პოლიცია აცხადებს, რომ მან ეს გააკეთა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე. დღეისათვის „ჯორჯიან თაიმსს“ უკვე აქვს შეტანილი განცხადება პროკურატურაში და სარჩელი სასამართლოში, რომელთა საშუალებითაც ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ ფინანსური პოლიციის ქმედება უკანონო იყო, რომ ფინანსურ პოლიციას „ჯორჯიან თაიმსის“ შემოწმება არაოფიციალურად სთხოვა თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა, რომელსაც ეს გაზეთი, ბოლო ხანებში, განსაკუთრებული სიმძაფრითა და ინტენსიურობით აკრიტიკებდა.

ასოციაცია „თავისუფალი პრესის“ წევრები არიან გაზეთები და ჟურნალები, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან გემოვნებითა და პოლიტიკური შეხედულებებით, განსხვავებულად ესმით ჟურნალისტური ეთიკის ზოგიერთი პრინციპი და რაც მთავარია, არიან ერთმანეთის კონკურენტები. ამასთან, თუ პოლიტიკური გემოვნება, ცალკეული იდეოლოგიური საკითხები და სხვა ამდაგვარი არ წარმოადგენს და არც შეიძლება წარმოადგენდეს ასოციაციის წევრების შეთანხმების საგანს, ეთიკა სწორედ ის საკითხი გახლავთ, რომლის თაობაზე საუბარი და შეთანხმების მიღწევის მცდელობა ასოციაციის შიგნით მუდმივად და სრულიად ბუნებრივად მიმდინარეობს.

ასეთი განსხვავებების მიუხედავად, ასოციაცია სრულიად ერთიანი და კატეგორიულია რამდენიმე ძირეულ საკითხში, რამაც განაპირობა კიდეც მისი ჩამოყალიბება. ეს საკითხებია: პრესის ორგანოებისა და ცალკეული ჟურნალისტების კანონიერი უფლებების დაცვა, ინფორმაციის შეკრებისა და გავრცელებისათვის ხელისშემშლელი საკანონმდებლო, საზოგადოებრივი და სხვა სახის ბარიერების მაქსიმალურად მოხსნა, ეთიკური ნორმების დახვეწა, ჟურნალისტების კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი ინსტიტუტის ჩამოყალიბება, პრესის სამართლებრივ-ეკონომიკური საარსებო გარემოს გაუმჯობესება და ა.შ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ვაცხადებთ, რომ ასოციაცია „თავისუფალი პრესის“ წევრები თავის დამოკიდებულებას გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ ირგვლივ წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციის თაობაზე გამოხატავენ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ კონკრეტულ პუბლიკაციებში, ხოლო ერთობლივად კატეგორიულად მოითხოვენ: ხელისუფლებამ და მისმა ცალკეულმა სტრუქტურებმა გაითვალისწინონ, რომ პრესის უფლება შეკრიბოს და გაავრცელოს სწორი და მიუკერძოებელი ინფორმაცია, განპირობებულია ხალხის უზენაესი უფლებით ჰქონდეს ეს ინფორმაცია, რადგან არაინფორმირებული ან მცდარად ინფორმირებული საზოგადოება მცდარ გადაწყვეტილებებს ღებულობს და საფრთხეს უქმნის თავის თავს. ამის გამო ხელისუფლება მოვალეა ანგარიში გაუწიოს საზოგადოების ამ უზენაესი უფლებით განპირობებულ პრესის მისიას და გაგებით მოეკიდოს მართალი ინფორმაციის გავრცელებას, რაგინდ არასასიამოვნოც უნდა იყოს იგი მისთვის. უფრო მეტიც, ხალხის ამ უზენაესი უფლებიდან გამომდინარე, პრესამ განსაკუთრებული მნიშვნელობისა და განსაკუთრებით ოპერატიული ინფორმაცია შეიძლება ბოლომდე გადაუმოწმებლადაც გაავრცელოს. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ცალსახად ცხადია, რომ მისი გაუვრცელებლობა ბევრად მეტ ზიანს მოუტანს საზოგადოებას, ვიდრე მისი გავრცელება.

ხელისუფლება ასევე მოვალეა შერჩევითა და პოლიტიკური მოტივებით არ გამოიყენოს კანონები და ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოს პრესასთან ურთიერთობისას. ჩვენი მხრივ ასოციაციის წევრები გარანტიას ვაძლევთ საზოგადოებას, რომ ამ საქმის ყველა გარემოებას შევატყობინებთ მკითხველს და არ დავუშვებთ ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვასა და პრესის შევიწროების არც ერთ უკანონო პრეცედენტს.

ისევ პასპორტები?

რა ეღირება ახალი პასპორტი

15 აგვისტოდან პასპორტების აღების პროცედურა მარტივდება. როგორც ამბობენ, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის აღება ხუთ დღეში გახდება შესაძლებელი. მოქალაქეებს ერთთვიან რიგში დგომა აღარ მოუწევთ. აღარც ასდოლარიანი კუპიურის საბუთებში ამოდება იქნება აუცილებელი. მოკლედ, შსს-ში მიიჩნევენ, რომ ამ სფეროში არსებული მანკიერი მხარე ერთხელ და სამუდამოდ ისტორიას უნდა ჩაჰბარდეს. თუმცა, ცვლილებები ჯერ კიდევ წინაა: დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ქვეყანაში ახალი პასპორტების მასობრივი გაცემა დაიწყება. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ახალი პასპორტების შემოღების აუცილებლობა მთელი რიგი ფაქტორებით არის განპირობებული. თუ რატომ იგეგმება ქვეყანაში ახალი პირადობის დამადასტურებელი საბუთების შემოღება, ამაში გასარკვევად საპასპორტო და სავიზო სამსახურის ეროვნულ ბიუროს მივაკითხეთ.

კლიმენტი ჯაჭვლიანი, *ბიუროს განყოფილების უფროსი:* — პასპორტის შეცვლის საკითხი დღის წესრიგში იმ გარემოებამ დააყენა, რომ ჩვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები საერთაშორისო სტანდარტებს უნდა მივუახლოვოთ. ყველა ქვეყნის დოკუმენტი შეესაბამება ამ ქვეყნის კონსტიტუციას. ჩვენი დოკუმენტები კი კონსტიტუციასთან სრულ შესაბამისობაში არ არის მოყვანილი.

ცოტა რამ დღეს არსებული პასპორტის ისტორიიდან: პირველი ქართული პასპორტი 1994 წლის ოქტომბერში დაიბადა. მანამდე, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქვეყანაში დროებითი პირადობის მოწმობები არსებობდა. ეს მოწმობები საქართველოში მზადდებოდა, მაგრამ დაბალი ხარისხის იყო და გაყალბების საწინააღმდეგო არავითარი მექანიზმი არ გააჩნდა. ამიტომ დადგა დღის წესრიგში ახალი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოღება. ეს საქმე ფრანგულმა კომპანიამ — „ფრანსუა შარლი ობერტურ ფილდისერმა“ იკისრა. ორმხრივი კონტრაქტის საფუძველზე ამ კომპანიას ქვეყნისთვის ხუთი წლის მანძილზე ხუთი მილიონი პირადობის მოწმობისა და ერთი მილიონი პასპორტის ბლანკი უნდა მიეწოდებინა. როგორც კონფიდენციალური წყაროებიდან შევიტყვეთ, „ობერტური“ კარგად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, ქართული მხარე კი ფულის გადახდას ყოველთვის აგვიანებდა. ამან ქვეყანაში ბლანკების ნაკლებობა გამოიწვია. ეს გახდა სწორედ პასპორტების გაცემის საქმეში კორუფციის მიზეზი. პასპორტის გაცემისას ბლანკების არარსებობას იმიზეზებდნენ, მაგრამ იგი რატომღაც ორ საათში ჩნდებოდა, თუკი საზღვარგარეთ სასწრაფოდ გამგზავრების მსურველი მოქალაქე 100 დოლარს გადაიხდიდა. ამბობენ, რომ ამ პასპორტს სხვა ბევრი ხარვეზიც აქვს.

მსოფლიო გლობალიზაციის მასშტაბების ზრდის პარალელურად ყველა ქვეყნისთვის სავალდებულო ხდება ერთიანი, საერთაშორისო სტანდარტების მქონე დოკუმენტაციის დამზადება. საზღვაო, სარკინიგზო პუნქტებში, განსაკუთრებით კი აეროპორტებში თითოეული მგზავრის პასპორტის შემოწმება დიდ დროს მოითხოვს. ეს კი ცალკე მგზავრებს უქმნის დისკომფორტს, ცალკე — მომსახურე პერსონალს. ამის თავიდან ასაცილებლად საკონტროლო პუნქტებში დამონტაჟებულია აპარატურა, რომელსაც საპასპორტო მონაცემების წაკითხვა შეუძლია. მისი საშუალებით ეს პროცედურა გაცილებით სწრაფად ხდება და ბევრ პრობლემას ხსნის.

— **ანუ, მესაზღვრეს აღარ სჭირდება პასპორტის შემოწმება?**

— პასპორტში არის როგორც ვიზუალური დათვალიერებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია — გვარი, სახელი და ფოტოსურათი, ასევე — მანქანური კითხვისთვის განკუთვნილი ზონა, სადაც კოდირებული ინფორმაციაა შეყვანილი. თუ რაიმე საეჭვო გარემოება არ წარმოიშვა, მის კონტროლს აპარატიც მშვენივრად ართმევს თავს, რის გამოც მგზავრთა გატარების პროცედურა საგრძნობლად მარტივდება.

— **ეს, ცხადია, სერიოზული მოტივია პასპორტის გამოსაცვლელად. სხვა მიზეზებიც არსებობს?**

— როგორც უკვე მოგახსენეთ, დღეს მოქმედი პასპორტები კონსტიტუციასთან შეუსაბამობაშია. მის დასახელებაში ზის „საქართველოს რესპუბლიკა“, ბორჯღალი და სხვა. მოკლედ, სიმბოლიკა არ შეესაბამება რეალობას. ამას გარდა, მოხდა ეროვნული რეკვიზიტის ამოღება. კანონით დღეს პასპორტში ეროვნების რეკვიზიტი არ უნდა არსებობდეს. ახალ პასპორტში კი ესეც გათვალისწინებული იქნება.

— **ცოტა ხნით თემიდან გადავუხვიოთ. როგორ არის ეროვნების ამოღების საკითხი დარეგულირებული სხვა ქვეყნის პასპორტებში?**

— ეროვნება არ იძლევა პირის იდენტიფიკაციის საშუალებას, ამიტომ იურიდიული თვალსაზრისით ამას არავითარი დატვირთვა არ გააჩნია. მთავარია ჩანდეს, რომ ამ პასპორტის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე და ქართველია იგი, სომეხი თუ ოსი, მერწმუნეთ, ეს არავის აინტერესებს.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს: მათთან ეროვნება და მოქალაქეობა გაიგივებულია. იმათ სხვანაირად ესმით ეროვნების საკითხი, ჩვენ — სხვანაირად. თურქეთშიც ასეა, საფრანგეთშიც და გერმანიაშიც. ეს ყველაფერი ახალ პასპორტში სრულყოფილად იქნება ასახული, რაც დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მოხდება.

მანამდე მოქმედი კანონმდებლობით, პასპორტის გაცემისთვის განკუთვნილია ერთი თვის ვადა. განსაკუთრებულ შემთხვევებში პასპორტი სამ დღეში უნდა გაიცეს: როცა მძიმე ავადმყოფია სამკურნალოდ წასაყვანი ან საქორწინო მოგზაურობაში მიდის, ან საზღვარგარეთ მოწმის სახით არის გამოძახებული. დღეისათვის პასპორტის მიღებისთვის 35 ლარია დაწესებული. ასევე მიღებულია კანონი, რომლის თანახმად, თუ რაიმე შემაფერხებელი გარემოება არ იქნა, პასპორტის გაცემა სავალდებულო იქნება ხუთი დღის განმავლობაში.

— **ძველი ანუ დღევანდელი პასპორტი 35 ლარი ღირს, რა ეღირება ახალი პასპორტი?**

— ეს უკვე ჩვენი პრეროგატივა აღარაა. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, ბლანკების დამზადება რა დაუჯდება იმ ფირმას, რომელიც ამ საქმეს მოჰკიდებს ხელს...

P.S. მოკლედ, ქართულ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს წინ მთელი რიგი ცვლილებები ელის. იმ პირებს, რომლებსაც უკვე გადახდილი აქვთ 35 ლარი, გაისად ჯიბეზე ხელის გაკვრა ისევ მოუწევთ. ეს შეიძლება ბევრისთვის მიუღებელიც იყოს. თუკი მთავრობის ყოველ შეცვლას ახალი პასპორტების შემოღება მოჰყვა, ეს ალბათ ისედაც გაჭირვებული სოციალური ფენებისთვის ზედმეტი ბეგარის სახეს მიიღებს. იმედია, ახალი პასპორტი საერთაშორისო სტანდარტებთან და ქვეყნის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი და, ამავე დროს, მოქალაქეებსაც თავისუფლად შეეძლებათ მისი აღება.

დავით დევიძე

ვიცავთ თუ არა სახელმწიფო საიდუმლოებებს

ჩინოვნიკების „პიარი“, თუ მათი საქმიანობის რეალური შედეგები



მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სპეცსამსახურების რიგითი თანამშრომლებიც და მაღალჩინოსნებიც ისე ემსახურებიან სამშობლოს, რომ მათი პროფესიული საქმიანობა სიცოცხლის ბოლომდე კონსპირირებულია. საქართველოში კი სპეცსამსახურების და სხვა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები ყოველდღე ჟურნალ-გაზეთებსა და ტელევიზიაში არიან გამოჭიმული (რატომ წამოვწიეთ ეს პრობლემა, ქვემოთ მიხვდებით). მეტიც, ლაპარაკში ისე ერთობიან, ზოგჯერ ენაზე კბილის დაჭერა ავიწყდებათ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებსაც ახმაურებენ. რა შეიძლება დაერქვას ამას, დემოკრატიულობა და საჯაროობა თუ არაპროფესიონალიზმის გამოვლინება? ალბათ, ერთიცა და მეორეც. ისინი ხომ ხანდახან გასაიდუმლოებულ ინფორმაციასაც არ მალავენ. გასაკვირია, რითი ჯობნიან ჩვენი სპეცსამსახურების ხელმძღვანელი პირები ებრაელ, ფრანგ, ინგლისელ, ამერიკელ ან თუნდაც რუს კოლეგებს? ჟურნალისტებს მათგან არათუ ინტერვიუს აღების, მათი ნახვის შესაძლებლობაც ძნელად ეძლევათ. მიზეზი მარტივია და ლოგიკური: მათ, ვინც ქვეყნისა და ერის უსაფრთხოებას იცავს, ვერ უნდა ცნობდნენ. როგორც ჩანს, ამ მარტივ მიზეზს თუ მოტივს, არც ქართველი ჩინოვნიკები აგდებენ აინუნში და არც ჟურნალისტები. იშვიათი როდია, როცა პირდაპირი ეთერით გადაიცემა ან პრესაში ქვეყნდება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც წესით მკაცრად უნდა იყოს გასაიდუმლოებული.

სანამ სტატიაზე მუშაობას დავიწყებდი, დიდხანს ვფიქრობდი. ვშიშობდი, ვაითუ ვინმემ მიკერძოებულ კრიტიკასა და ჭკუის სწავლებაში დამდოს ბრალი-მეთქი. მაგრამ ეს ხომ ის შემთხვევაა, როცა თქმა სჯობს უთქმელობას. ამიტომაც გავბედავ და ვიტყვი, რომ ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, მიუღებელია, როცა ცხინვალის რეგიონში სიტუაციის დაძაბვისთანავე რამდენიმე ტელეკომპანიის პირდაპირი ეთერით საზოგადოებას ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა კანცელარიიდან ამცნო, რომ თურმე ირანში ვიზიტად ჩასულ პრეზიდენტს ვერ უკავშირდებიან(!). მეეჭვება, რომ ასეთი ინფორმაცია რომელიმე ქვეყნის ტელევიზიას გაეშვა ეთერში. რატომ? ამ კითხვაზე მოგვიანებით ექსპერტი გიპასუხებთ. იმ ფაქტს კი, რომელსაც ივლისის პირველ რიცხვებში ტყვიავის საგუშაგოზე ჰქონდა ადგილი, კომენტარი არც სჭირდება. გორიდან ცხინვალის მიმართულებით მიმავალ ქართულ სამხედრო კოლონას ერთ-ერთი ტელეკომპანია მანამდე უჩვენებდა, სანამ „პირდაფჩენილი“ კამერები სახელმწიფო მინისტრმა, გოგა ხაინდრავამ არ შეამჩნია და ყვირილი არ ატეხა — რას იღებთ, ხალხო, რა ხდება, ცირკიაო? ან ის როგორ მოგწონთ, როდესაც სპეცსამსახურის მაღალჩინოსანი ტელევიზიით აცხადებს, — ჩემს ზურგს უკან ხედავთ აქა და აქ განლაგებულ თანამედროვე შენობას, საიდანაც საგანგებო მდგომარეობის დროს ქვეყნის მართვა უნდა განხორციელდესო(?!). მეტიც, რამდენიმე დღის წინ, მიხეილ სააკაშვილის კონფლიქტის ზონაში სტუმრობისას, ერთ-ერთი ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემის წამყვანმა ღიმილით გვამცნო — ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამაღამ მიხეილ სააკაშვილი სიურპრიზს მოაწყობს და ქართველთა საგუშაგოებზე ზუსტად 2 საათზე გამოჩნდებაო. რას იტყვით, ამგვარი ინფორმაციის ეთერში მოსმენა ხომ ერთი სიამოვნებაა ჩვენი „მოყვარე“ სახელმწიფოთა სპეცსამსახურებისთვის? ზედმეტი გარჯა არ სჭირდებათ, ისე ვაწვდით მნიშვნელოვან ინფორმაციებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იმ პირებმა, ვინც ამგვარ ინფორმაციებს მასმედიას აწვდის (ალბათ საკუთარი თავის წარმოსაჩენად. — ე. ლ.) და ჟურნალისტებმა დავკარგეთ სახელმწიფოებრივად აზროვნების უნარი. ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს პარლამენტის წევრს, უშიშროების მინისტრის ყოფილ მოადგილეს, **დავით ბაზღაძეს**:

> **— ისეთ სპეცოპერაციას რა ვუთხარი, პირდაპირი ეთერით რომ გადაიცემა. აქ ორგანიზატორის არც ეთიკაზე შეიძლება ლაპარაკი და არც კულტურაზე. სამართალდამცველები ეთერს პიარისთვის იყენებენ — ნახეთ, რა მაგრები ვართო. ალბათ ამით საზოგადოების ნდობის მოპოვება სურთ. არის თუ არა ეს მათი პროფესიონალიზმის მაჩვენებელი, ამის განსჯაც ხალხს მივანდოთ. ასეთ შემთხვევებში ჟურნალისტს ვერაფერში გაამტყუნებ.**

— ძნელია, ხელაღებით გააკრიტიკო ჟურნალისტი, რომელიც ექსკლუზიური ინფორმაციის მოპოვებას ცდილობს, მაგრამ არსებობს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შენახვის შესახებ, რომელიც მიუთითებს, რისი გახმაურება შეიძლება და რისი — არა. კომუნისტების დროს არსებობდა ასეთი სამსახური „მთავლიტი“ — მას ევალებოდა, გაერკვია, რისი გაშვება შეიძლებოდა მასმედიით და რისი — არა. თუმცა, ისიც კანონით ხელმძღვანელობდა. დღეს, საჯაროობისა და ლიბერალიზმის პერიოდში რედაქციებში თავისთავად უნდა არსებობდეს თვითცენზურა, რაც გულისხმობს სახელმწიფოებრივ მოსაზრებათა გამო ზოგიერთი ინფორმაციის გახმაურებისგან თავის შეკავებას. ჟურნალისტობა მხოლოდ იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ინფორმაცია მოიპოვო და ამით შენი ჭია გაახარო? ჟურნალისტური საქმიანობა ამა თუ იმ პირს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ქვეყნის წინაშე. ჟურნალისტს უნდა შეეძლოს იმის გააზრება, რა თქვას და რაზე შეიკავოს თავი, როგორი დიდიც უნდა იყოს ექსკლუზივის გაშვების ცდუნება. სახელმწიფო მოხელემ რომც გითხრათ ისეთი რამ, რისი თქმაც არ შეიძლება, თქვენ თავად უნდა განსაჯოთ, შეიძლება თუ არა ჩანაწერის გამოქვეყნება ან ეთერში გაშვება, ხომ არ დაასხამს ეს ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეების წისქვილზე წყალს და ხომ არ დაზარალდება სახელმწიფოს ინტერესები. აქ ნდობის, შეგნების და პასუხისმგებლობის უფრო მაღალი დონეა საჭირო.

— **ჟურნალისტის შემთხვევაში გასაგებია, მაგრამ რას გვეტყვით სახელმწიფო მოხელეებისა და სპეცსამსახურების მუშაკებზე, რომელთათვის უცხოა ასჯერ გაზომვისა და ერთხელ გაჭრის პრინციპი.**

— ამიტომაც ხშირად სახეზეა სახელმწიფო ჩინოვნიკების პიარი და არა მათი საქმიანობის რეალური შედეგები. ამის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც არაპროფესიონალიზმი, ისე გამოცდილების უქონლობა. 20 წლის წინ თითქმის არაფერი იცოდა ინგლისის საზოგადოებამ თავიანთი სპეცსამსახურების შესახებ. დღეს იციან, მაგრამ არსებობს კულტურა და ტრადიციები, რომელთა მიხედვით, სპეცსამსახურების პირველი პირების საქმიანობა აფიშირებული არ არის. ჟურნალისტები მათ შესახებ მაშინ წერენ, თუ ისეთ მამხილებელ მასალას მოიპოვებენ, რაც საზოგადოებისთვის მიუღებელია. პასუხისმგებელ პირს ბევრი რამ მოეთხოვება. ყველაზე მეტად ის უნდა იცავდეს ეთიკურ ნორმებს. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სპეცსამსახურების საქმიანობისთვის სხვადასხვა ნორმაა დადგენილი. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის რიგითი თანამშრომლის ვინაობის გამჟღავნება თავისუფლების აღკვეთით ისჯება. მათი ვინაობა აუცილებლად გასაიდუმლოებული უნდა იყოს. ვერც ერთ ნორმალურ ქვეყანაში ვერ ნახავთ სპეცსამსახურების თანამშრომლებს ტელეეკრანზე წარამარა. რაც შეეხება ჟურნალისტებს, მათთვისაც არსებობს კონკრეტული ნორმები.

(გაგრძელება იხ. გვ. 8)

კატასტროფის პირას მისული ქართული ფრესკები სასწრაფოდ შველას ითხოვენ

გელათის ღვთისმშობლის უნიკალური მოზაიკა

საქართველოს მუზეუმები ჯერაც ქვის ხანაში არიან

ზოგიერთი ფრესკა მალე განადგურდება. ტაძრის მთელი მოხატულობა გავარდისფრებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფრესკის ფერებში სოკომ დაიბუდა. მეტიც, ზოგიერთ ფრესკაზე ხავსია მოდებული. ეს სინესტის ბრალია. კიდევ ერთიორი წელიწადიც და მერე ყველა ღონისძიება დაგვიანებული იქნება. ატენის სიონშიც საგანგებო მდგომარეობაა. აქ ფრესკების გადარჩენა კი არა, დღის წესრიგში ტაძრის არქიტექტურული ნაწილის შენარჩუნების საკითხი დგას...

„...რომელ მსაჯულს ვკითხო სამართალია? ვის მივმართო, რუსთაველი მკვდარია,“ — ამ სტატიას ალბათ ეპიგრაფად იეთიმ გურჯის ეს სიტყვები მოუხდებოდა. მართლაც ვინ იქნება იმ ბარბაროსის მსაჯული, რომელმაც დაახლოებით სამი კვირის წინ თითოეულ ქართველს პირადად და მთელ მსოფლიოსაც შეურაცხყოფა მიაყენა. იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში, შოთა რუსთაველის ფრესკა ხელის აუკანკალებლად დააზიანა. სწორედ ის ფრესკა, სადაც პოეტის სახება იყო შემორჩენილი. „დაზიანება“ კიდევ რბილი სიტყვაა და სრულყოფილად ვერ ასახავს ფრესკის მდგომარეობას. ვიღაც გარეწარმა სავსებით შეგნებულად ისე ჩამოთალა ფრესკა, რომ ფუძე კირის შრეც კი გამოჩნდა. ახლა მეცნიერები და მხატვარ-რესტავრატორები მსჯელობენ იმაზე, შეიძლება თუ არა ფრესკის აღდგენა. თუმცა ისრაელელმა მეცნიერებმა დაგვამშვიდეს, რომ შოთა რუსთაველის სახის აღდგენა შესაძლებელია, მაგრამ ქართველი მხატვარ-რესტავრატორები, მას შემდეგ, რაც დაათვალიერეს დაზიანებული ფრესკის ფოტოსურათები, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფრესკის პირვანდელი სახით აღდგენა შეუძლებელია. ამის მოსმენა ყველა ჩვენგანისთვის ძნელია, მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. რა, განა არ ვიცით, რომ ცხრამთას იქით გადაკარგულ ისრაელში კი არა, აგერ, ჩვენთან მუზეუმებში თუ ტაძარ-მონასტრებში ასეულობით უნიკალური ხატი და ფრესკა ნადგურდება? ყველა მათგანი ხომ სულიერი სიწმინდეა და ამასთანავე ხელოვნების უნიკალური ნიმუში. ნეტავ შეგახედათ ჩვენი მუზეუმების საცავებში და იქ „დაცული“ ხატები განახვათ — დარწმუნებული ვარ, გული დაგეთუთქებათ. კარგი იქნება, თან რესტავრატორი ან თუნდაც მხატვარი იახლოთ და ნახავთ, როგორ გუნებაზე გამოხვალთ ტაძრიდან, როდესაც პროფესიონალი რესტავრატორისგან შეიტყობთ ფრესკების დაზიანების ხარისხს. ყოველივე ამის თქმის უფლებას ჩემს რესპონდენტებთან საუბარი და რამდენიმე მუზეუმისა და ეკლესია-მონასტრის მონახულება მაძლევს.

თავდაპირველად ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მხატვარ-რესტავრატორს **ნინო კიტოვანს** და სხვასთან ერთად შოთა რუსთაველის ფრესკის აღდგენის შესაძლებლობაზეც გავესაუბრეთ. მისი განცხადებით: — მეთოდოლოგიურად ფრესკის აღდგენა დაუშვებელია — სახის ადგილას გრუნტიც კი ამოჩიჩქნილია. მხატვრობის ნაწილაკიც კი აღარ არის შერჩენილი და რესტავრატორს ხელმოსაკიდი არაფერი დარჩა. რა თქმა უნდა, გვაქვს ფოტომასალა და შესაძლებელია დაიხატოს რუსთაველის სახის ზუსტი ასლი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დაიხატება ახალი ფრესკა, რომელსაც საერთო არაფერი ექნება ფრესკის ავტორ მხატვართან. მისი ავტორი მხატვარ-რესტავრატორი იქნება. ჩემი აზრით, ჯობს ამ სახით დარჩეს რუსთაველის ფრესკა და იქვე ასლი გამოიფინოს, რომ დამთვალიერებელმა გაიგოს, როგორი იყო ფრესკა დაზიანებამდე.

— **როგორც ვიცი, უკეთეს მდგომარეობაში არც მუზეუმებში დაცული ხატები და სხვა ექსპონატებია.**

— საქართველოს მუზეუმებში მართლაც უმძიმესი მდგომარეობაა. მუზეუმში შესაბამისი პირობები უნდა იყოს. უპირველესად ჯანმრთელი შენობა, რომელშიც იქნება ექსპონატების შესანახი ოპტიმალური კლიმატი. სამწუხაროდ, საქართველოს არც ერთი მუზეუმი ჯანმრთელ და შესაფერის შენობაში არ არის განთავსებული. მეტიც, თანამშრომლების უდიდესი ნაწილი, რომელსაც ექსპონატების მოვლა-შენახვა ევალება, შემთხვევითი ხალხია; ანუ ისინი განათლებით სამუზეუმო საქმის პროფესიონალები არ არიან. პრაქტიკულად, საქართველოში სამუზეუმო საქმის პროფესიონალების მომზადება არ ხდება. აქედან გამომდინარე, მუზეუმებში ძირითადად, ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, არქეოლოგები და რესტავრატორები ვართ დასაქმებულები. რესტავრატორმა ყველაზე კარგად იცის ექსპონატების შემადგენელი მასალა და მათი დამაზიანებელი ფაქტორები, მაგრამ სამუზეუმო სპეციალობის წამყვანი ფიგურა მაინც მუზეუმის მცველი, ანუ კონსერვატორი უნდა იყოს. მუზეუმებში სიძველეთმცოდნეობის სპეციალისტები და მუზეუმის დაცვის მცოდნეები უნდა მუშაობდნენ, მაგრამ რა ვქნათ, ასეთი ფაკულტეტი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არ არის. არადა, ამ სპეციალისტების მომზადება აუცილებელია.

რომელი ჭკუათმყოფელი ექიმი ურჩევს ფილტვების ორმხრივი ანთებით დაავადებულ პაციენტს ორპირ ქარში დაჯდომას? არც ერთი. ჩვენი „ფილტვებისანთებიანი“ ექსპონატები სწორედ ორპირ ქარშია მოთავსებული, რადგან მუზეუმებში არ არის დაცული სათანადო ტენიანობა, ტემპერატურის რეჟიმი. არ ხდება ვენტილაცია, მოძველებულია, არასწორი და დამაზიანებელია ექსპონატების განათება და ყველაფერს ამას თანამშრომელთა არაპროფესიონალიზმი ემატება. არ არსებობს საქართველოში მუზეუმი, სადაც არ იყოს სოკო, ხოჭოები, როგორც მერქნის, ისე ქაღალდის მჭამელი. ამას დაუმატეთ მღრღნელების უზარმაზარი არმია და საბოლოოდ ყველაფერ ამას ექსპონატები დაღუპვის პირას მიჰყავს. შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ საქართველოს მუზუმები ჯერაც ქვის ხანაში არიან თანამშრომლების მომზადებისა და აღჭურვილობის დონით, ევროპულ სტანდარტებთან შედარებით.

— **თქვენ, როგორც რესტავრატორმა, ბოლო წლებში რამდენ ექსპონატს ჩაუდგით სული?**

— ბოლო წლებში ვცდილობ, ნივთებს რესტავრაცია არ გავუკეთო, ან მხოლოდ გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები ჩავატარო; ანუ გავამაგრო ის ნივთი, რომლის რესტავრაციის გადადება აღარ შეიძლება. რესტავრაცია უზარმაზარ შრომას მოითხოვს. ამას დაუმატეთ ისიც, რომ რესტავრატორებს ძლიერმოქმედ ქიმიურ ნივთიერებასთან გვაქვს საქმე და რესტავრაციის შემდეგ რამდენიმე თვე ჯანმრთელობის აღსადგენად გვჭირდება. ასეთი შრომის შემდეგ, როდესაც იცი, რომ რესტავრირებული ხელოვნების უნიკალური ნიმუში ისევ იმ დაობებულ და სოკოთი დაავადებულ კედელზე დაიკიდება, ძნელია თავი აიძულო და იმუშაო. მე ხომ ვიცი, რესტავრირებულ ნიმუშს უფრო მალე მოელება ბოლო. ობის სოკო ახალრესტავრირებულ ნივთს უფრო ეტანება, რადგან იქ ახალი ორგანული ნივთიერებები ეგულება, რომელიც რესტავრატორმა წებოს და საღებავის სახით გამოიყენა. უამრავი ექსპონატი გაფუჭებულა ამის გამო. სოკოს გაჩენის უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ მუზეუმში არ არის მოწესრიგებული კომუნიკაციები, სახურავიდან ხშირად ჩამოდის წყალი, დარღვეულია სადრენაჟო სისტემა და მუზეუმის კედელი წყალს ზემოდანაც იწოვს და ქვემოდანაც. საბოლოოდ ტენიანობა მატულობს და სოკო ვითარდება. აი, ნახეთ ეს ფოტოები, რომლებიც ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში გადავიღე (ნინო კიტოვანი სურათების დასტას მაწვდის. — ზ. ჩ.). ამ ფოტოებზე ქუთაისის მუზეუმის გარე კედლებია დაფიქსირებული. ხედავთ, წვიმისაგან რა დღეშია. უკეთეს დღეში არც შიდაკედლებია და მოჭარბებულმა სინესტემ ბევრი უნიკალური ექსპონატები დააზიანა.

(გაგრძელება იხ. გვ. 12)

ქალაქის მთავარი ჰაერგამწმენდი თვითონ არის უკიდურესად დაბინძურებული

თბილისს სასმელი წყალი ასწლოვანი მილებით მიეწოდება

თბილისის ზღვაზე არსებულ პრობლემას შეიძლება ნებისმიერი სახის ნაწლავური ინფექციის აფეთქება მოჰყვეს. ქოლერა ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ შეიძლება გავრცელდეს დიზენტერია...

კოკისპირულმა წვიმამ თბილისს დიდი გამოცდა მოუწყო. ქალაქის მერიის მონაცემებით, სტიქიისგან მიყენებულმა ზარალმა ოთხ მილიონ ლარს გადააჭარბა. ეს მაინც უმნიშვნელო თანხაა იმასთან შედარებით, რაც სამომავლოდ ქალაქის კეთილმოწყობისთვის უნდა გაიცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდევ ერთ ასეთ წვიმას შეიძლება უფრო მძიმე შედეგები მოჰყვეს. ამ შემთხვევაში საქმე მხოლოდ დანგრეულ სახლებს და გაფუჭებულ ქუჩებს, ანუ მატერიალურ ზარალს არ ეხება. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ქალაქი სერიოზული ეკოლოგიური დანაგვიანების საფრთხის წინაშე დგას, რის გამოსწორებასაც ორი და სამი მილიონი ნამდვილად არ ეყოფა. უპირველესად საკანალიზაციო სისტემის შეცვლაა აუცილებელი, რომელიც ქალაქის სანიაღვრე ქსელზეა მიერთებული. ამის აუცილებლობა წვიმამ დაამტკიცა, როცა მოვარდნილ ნიაღვარს ქსელმა ველარ გაუძლო და საკანალიზაციო მასასთან ერთად ზედაპირზე ამოვიდა.

მხოლოდ წყლის თვითგაწმენდის იმედად ვრჩებით

„კვირის პალიტრა“ წინა ნომერში ჰაერის დაბინძურების პრობლემებზე წერდა. როგორც აღვნიშნეთ, ჰაერში ბევრი ისეთი ნივთიერებაა გაბნეული, რომელიც ჩვენს ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. საფრთხეს თურმე წყლიდანაც უნდა ველოდოთ.

გია მაჭავარიანი, თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის წყლის დაცვის განყოფილების უფროსი: — ქალაქი მართლაც სერიოზული პრობლემის წინაშე დგას. ფაქტობრივად, დედაქალაქის ყველა მდინარე დაბინძურებულია. ავიღოთ დედამდინარე — მტკვარი. იგი ქალაქის მთავარი ჰაერგამწმენდია მაშინ, როცა თვითონ არის უკიდურესად დაბინძურებული. ქალაქში საკანალიზაციო კოლექტორები მოუწესრიგებელია. მთელი სისტემა გადართულია სანიაღვრე ქსელში და მტკვარში მიედინება.

— **წესით და რიგით, საკანალიზაციო ქსელი სად უნდა მიდიოდეს?**

— ცენტრალურ გამყვან კოლექტორში, რომელიც გადის გარდაბნის საკანალიზაციო ქსელის გამწმენდ ნაგებობებში. მათ რომ გაივლის, უნდა დაიქლოროს და მტკვარში მხოლოდ ამის შემდეგ უნდა აღმოჩნდეს. მოგეხსენებათ, ასე არ ხდება. წყალს აქვს თვითაღდგენის უნარი, მაგრამ უყურადღებობით, ბოლოს და ბოლოს, მოკვდება მტკვარი. აღარაფერს ვამბობ ვერეზე, რომელიც ისეა დაბინძურებული, მასთან მიახლოებაც აღარ შეიძლება.

— **ვერეს რაღა აბინძურებს?**

— აქაც იგივე პრობლემაა. ზემო წყნეთში კერძო სახლების კანალიზაცია პირდაპირ ხევშია ჩაშვებული. ასეთივე მდგომარეობაა „მზიურთან“, აქაც პირდაპირ ვერეზეა მიშვებული კანალიზაცია. სერიოზული პრობლემებია თბილისის ზღვაზეც.

რამდენად სუფთაა თბილისის ზღვა?

დედაქალაქი სასმელ წყალს ერთდროულად რამდენიმე წყაროდან იღებს. აქ არის ნატახტრის, ბულაჩაურის, ჟოპორტი-მისაქციელის, მუხრანისა და საგურამოს წყლები. მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობა თბილისის ზღვისა და ჟინვალის წყალსაცავზე მოდის — დაახლოებით, 70 მილიონი კუბური მეტრი წელიწადში. თუმცა, როგორც ამბობენ, თბილისის ზღვა ხელოვნურად ნაგვიანდება.

რა განსაცდელს შეიძლება ველოდოთ თბილისის ზღვიდან, ამ თემაზე ისევ გია მაჭავარიანი გვესაუბრება: — თბილისის ზღვა მოსახლეობის დასვენების საშუალებაა, მაგრამ გარდა ამისა, როცა წყლის ხარჯვის პრობლემა არსებობს, განსაკუთრებით ზაფხულობით, „თბილწყალკანალი“ გამწმენდი სადგურებისთვის იღებს წყალს თბილისის ზღვიდან. დღეს იქ მოსახლეობას მიტაცებული აქვს ტერიტორიები სანაპირო ზოლითურთ, რაც ყოვლად დაუშვებელია და სერიოზულ პრობლემებს ბადებს.

— **რა პრობლემებს გულისხმობთ?**

— მოსახლეობამ (მათ უმრავლესობას ლტოლვილები შეადგენენ) საკანალიზაციო კოლექტორი დაამტვრია და ტომრებით ამოტენა, მთელი ეს მასა რომ დაგროვებულიყო და ზემოთ ამოსულიყო, რათა შემდეგ იქ გაშენებული ბაღვენახები მოერწყათ(?!). ეს მასა ზღვაშიც ჩადის. მართალია, ჯერჯერობით არაფერი მომხდარა, მაგრამ იმ ადგილას (სასტუმრო „ქართლი“, „თბილისი“) წყალში შესვლა შეუძლებელია. მით უმეტეს, ზაფხულობით, როცა თბილისის ზღვა ბავშვებით არის სავსე. ზოგჯერ კი ამ წყალს სასმელადაც ვიყენებთ. თუ ასე გაგრძელდა, თავის ფუნქციას თბილისის ზღვაც დაკარგავს.

პირველი ეპიდემია წელს უკვე დაფიქსირდა

ერთი სიტყვით, თბილისის წყლებიდან მართლაც სერიოზული საფრთხე გვემუქრება. სპეციალისტები საუბრობენ მოწამვლის საშიშროებაზე.

კონკრეტულად, რა საშიშროებას შეიცავს დაბინძურებული წყალი? ამ კითხვით დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორს, **პაატა იმნაძეს** მივმართეთ: — ზაფხულობით ტემპერატურული ფაქტორი განსაკუთრებულ როლს თამაშობს, ამ დროს მატულობს კუჭ-ნაწლავური დაავადებებიც. ძირითად საშიშროებას ეპიდემიური აფეთქებები წარმოადგენს. ჩვეულებრივ, წყლის სისტემას თავისი ნორმები აქვს.

— **როგორი ნორმები აქვს სასმელ წყალს?**

— ერთ ლიტრ წყალში სამი ნაწლავის ჩხირი დასაშვები ნორმაა. თუ ჩხირები მეტია, ეს ნიშნავს, რომ წყლის სასმელად გამოყენება არ შეიძლება.

— **რა შეიძლება გამოიწვიოს ასეთი წყლის მიღებამ?**

— ნაწლავის ჩხირების რაოდენობის მატება არაფერს არ იწვევს, რადგან ასეთი ჩხირები ჩვენს ორგანიზმში მილიარდობითაა. მაგრამ, როცა იგი ნორმაზე მეტია სასმელ წყალში, მას უკვე ინდიკატორის ფუნქცია ენიჭება; ანუ დგება საკითხი: ხომ არ ბინძურდება წყალი ფეკალური მასით?

— **ფეკალური მასა სასმელ წყალში როგორ უნდა აღმოჩნდეს?**

— ხშირად წყალსადენისა და საკანალიზაციო მილები ერთმანეთის გვერდითაა ჩალაგებული. ამ დროს ყველაზე დიდ საშიშროებას თანმხვედრი დაზიანება წარმოადგენს — როცა ერთსა და იმავე ადგილზე ორივე მილიდან ჟონავს. როცა მილში მაღალი წნევაა, წყალი დაზიანებული ადგილიდან გარეთ გამოდის. მაგრამ თუ წყალი გრაფიკით მოძრაობს, იწყება უკუეფექტი. მილი შეიწოვს იმ წყალს, რაც მანამდე გამოვიდა გარეთ. თუ კანალიზაციის მილიცაა დაზიანებული, იქიდან გამოჟონილ მასასაც ზედ მიაყოლებს. თბილისის ზღვაზე არსებულ პრობლემას კი შეიძლება ნებისმიერი სახის ნაწლავური ინფექციის აფეთქება მოჰყვეს. იმ უბანზე წყალი დასაშვებ ნორმაზე მეტად არის დაბინძურებული. ქოლერა ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ შეიძლება გავრცელდეს დიზენტერია.

— **იქ ხალხი თევზაობს და თევზით ოჯახებს კვებავენ.**

— მოხარშული თევზი ნაკლებსაშიშია, მაგრამ ხშირად თევზს ამარილებენ, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. ხელოვნურ დაბინძურებას რომ თავი დავანებოთ, ბოტულიზმის საშიშროებაც არის, რადგან შლამსა და თევზის კუჭ-ნაწლავში ეს მიკრობი ბუნებრივად არსებობს. ასე რომ, ყოველივე ამ მიზეზის გათვალისწინებით, ვითარება სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

— **ბოლო ეპიდემიური აფეთქება როდის იყო?**

— შარშანაც იყო და წელსაც. წელს ქუთაისში, ასათიანის ქუჩაზე 25 კაცი დაავადდა. მიზეზი სასმელი წყალი იყო — როგორც მოგახსენეთ, აქაც თანმხვედრ დაზიანებასთან გვქონდა საქმე...

ჯერჯერობით, მხოლოდ რჩევები...

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ თბილისი მთელ მსოფლიოში საუკეთესო სასმელი წყლით მარაგდება. ამ მხრივ ბუნებამ ნამდვილად გაგვანებივრა, მაგრამ რად გინდა, ანკარა წყაროდან ჩვენს ონკანამდე მომავალი წყალი გზად შეიძლება იმდენი ბაქტერიით „გამდიდრდეს“, რომ ჩვენს ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიაყენოს. ამაში წყალგაყვანილობის სისტემა და... ჩვენივე დაუდევრობაა დამნაშავე. ერთდროულად ბოსტნის ფეკალური მასით მორწყვაც შეგვიძლია და იმის მტკიცებაც, რომ მსოფლიოში ყველაზე კულტურული ერი ვართ. მოვა დრო, როცა ასეთ მედიდურობას მწარედ ვინანებთ.

რა არის საჭირო მდგომარეობის გამოსასწორებლად?

რა არის გასაკეთებელი სამომავლოდ? ამაში უპირველესად, ის ასწლოვანი მილებია დამნაშავე, რომლებიც სასწრაფო გამოცვლას საჭიროებს. დიდი თანხებია საჭირო, რომ „თბილწყალკანალი“ გამართულად ამუშავდეს. სპეციალისტების აზრით, სრულ რეაბილიტაციას სულ მცირე 300 მილიონი დოლარი სჭირდება. ამ თანხას ორ-სამ წელიწადში არც ინვესტორი მოგვცემს და არც სახელმწიფოს აქვს. ამიტომ ამ ეტაპზე მცირეოდენი თანხა მაინც უნდა გამოინახოს, რათა მდგომარეობა ოდნავ მაინც გამოსწორდეს, — აღნიშნავენ ექსპერტები.

P.S. როგორც გავარკვიეთ, სამომავლოდ არაფერიც არ არის გადაწყვეტილი. უცხოური კომპანია შეაკეთებს მილებს თუ ჩვენი სახელმწიფო, ჯერ კიდევ არავინ იცის. არადა, წინ არასახარბიელო პერსპექტივა გველის. სანამ ვინმე დაზიანებულ მილებს გამოცვლის, სპეციალისტები რჩევებს იძლევიან, რომ ამა თუ იმ წყალში არ უნდა ვიბანაოთ; როცა წყალი შეწყდება და ცოტა ხანში მოვა, წყალმა სულ მცირე, თხუთმეტი წუთი უნდა იდინოს და ამის შემდეგ დავლიოთ. ვერაფერს იტყვი, სასარგებლო რჩევებია, მაგრამ მხოლოდ რჩევები ალბათ ჯანმრთელობისთვის საკმარისი ვერ იქნება.

დავით დევიძე

„როგორ შეიძლება ადამიანს მიაფურთხო?“

„ოჯახის წევრებთან ერთად სადმე კუნძულზე დასვენებას ვინატრებდი...“

შუაღამეს იყო მიტანებული, როდესაც **ნინო ბურჯანაძემ** „კვირის პალიტრასთან“ შესახვედრად მოიცალა. სპიკერი ქალბატონი იმდენად დაღლილი ჩანდა, კითხვების უმრავლესობაზე უარი ნებაყოფლობით ვთქვით და შედარებით მსუბუქი თემები ვარჩიეთ, მაგრამ ასეთ „შემსუბუქებულ გარემოებაშიც“ ვერ ავცდით ცხინვალის პრობლემისა და პრივატიზაციის გამო ატეხილ აჟიოტაჟს.

— რევოლუციის შემდეგ, ბუნებრივია, ცხინვალში ძველებურად არ დარჩებოდა ყველაფერი. ქვეყანაში რადიკალური რეფორმები დაიწყო და, ცხადია, ეს შეეხო ამ რეგიონსაც. ამას ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მწვავე რეაქცია მოჰყვა. ცხინვალის ხელისუფლებაში არის ხალხი, რომელსაც ხელს აძლევს ამ კონფლიქტის არსებობა. იციან, მანამ იქნებიან თანამდებობებზე, სანამ სამაჩაბლოში დაძაბულობაა. ასეთივე დაინტერესებული ხალხია რუსეთშიც, რომელიც ხელს სწორედ ამ დაპირისპირებით ითბობს. ჩვენ გვინდა კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოგვარდეს, მაგრამ ამის მიუხედავად, იქაური მოსახლეობის, ქართველი სამშვიდობოებისა და პოლიციელების შეურაცხყოფის მოთმენას არავინ აპირებს. რომ არა რუსეთის განსაზღვრული წრეების წაქეზება, ბუნებრივია, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება ასეთ თავხედობას ვერ გაბედავდა. ამ წრეების შეხედულებებსა და პოზიციას გამოხატავს სწორედ გენერალი ნაზდოროვი, რომლის აბსურდული მოსაზრებების კომენტარიც კი შეურაცხმყოფელია ჩემთვის. რომელი ცივილიზებული ქვეყნის გენერალს არ ეცოდინება, რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე ახორციელებს სამშვიდობო მისიას? მაგრამ ნაზდოროვის, ერთი შეხედვით, ბრიყვული განცხადებები პროვოცირების საკმაოდ სერიოზული მცდელობაა. რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის შეგნებულად დაძაბვის მანქანა 10 წლის წინ ამუშავდა და დღეს, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტებს შორის პოზიტიური ურთიერთობა ჩამოყალიბდა, დუმაში და საშუალო დონეებზე ეს მანქანა ისევ მუშაობს.

როდესაც ცხინვალში 50 ქართველი პოლიციელი დაატყვევეს, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში ვმონაწილეობდი. ჩვენმა დელეგაციამ მოახერხა და ცხინვალში შექმნილი მდგომარეობა ერთ-ერთ განსახილველ საკითხად შეიტანა. 54 ქვეყნიდან რუსეთის დელეგაცია იყო ერთადერთი, რომელსაც არ ეყო პოლიტიკური ეშმაკობა და თუნდაც გამჭრიახობა ეუთოს რეზოლუციისთვის მხარი დაეჭირა (თუმც უნდა ვაღიარო, რომ აზრი რუსულ დელეგაციაშიც გაიყო). ეუთომ კატეგორიულად მოსთხოვა ოსურ მხარეს მძევლების გათავისუფლება. ასევე მკაცრად გააფრთხილა სამშვიდობოები, რომ რეგიონში თავიანთი ფუნქცია შეესრულებინათ. შეგვეძლო ბევრად უფრო მკაცრი რეზოლუცია გამოგვეტანა ეუთოს ასამბლეის სხდომაზე, მაგრამ ანგარიში გავუწიეთ პრეზიდენტებს შორის ურთიერთობას. ვეცადეთ, ჩვენი განცხადებებით ზედმეტად არ გაგვემწვავებინა მდგომარეობა, რადგან საქართველოს ნამდვილად სურს რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა. მაგრამ ასეთი ზომიერი ტექსტიც იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის დუმისთვის, რომ ეუთოს კრიტიკაზეც არ დაიხიეს უკან.

— ჩვენი კეთილგანწყობა რატომღაც უპასუხოდ რჩება. სააკაშვილის მეგობრულ ჟესტებსაც არ მოჰყვა შედეგი. ხშირად გაიგონებთ, რუსეთი ჩვენი სტაჟიანი, მატყუარა მეზობელია და მისი ნდობა არ შეიძლებაო.

— რუსეთი მართლაც იტყუებოდა, მაგრამ მე-17-18 საუკუნეების მსოფლიო განსხვავდება დღევანდელისგან და არც დღევანდელი საქართველო ჰგავს მაშინდელს. მეტსაც გეტყვით, დღევანდელი საქართველო შარშანდელსაც არ ჰგავს. თავის მუდმივად მსხვერპლის როლში წარმოჩენა არ არის ქვეყნისთვის კარგი. თუ ერთთავად გატყუებენ და შენც ტყუვდები, ეს საკუთარ თავს უნდა დააბრალო და იმას მაინც ეცადო, მომავალში მაინც აღარ მოატყუებინო თავი. ოსები ჩემთვის და ნებისმიერი ქართველისთვის ახლობელი ხალხია. ცხინვალში არ მეგულება არც ერთი ოჯახი ქართველი მეგობარი და ნათესავი არ ჰყავდეს. ასევე ვართ ქართველებიც, ყველას გვყავს ოსი ახლობლები. ამიტომ დიდი უგუნურება იყო მესამე ძალის პროვოკაციაზე აყოლა. ისტორია განსჯის, ვინ მეტი დააშავა ამ დაპირისპირებისას, მაგრამ რადგან ქართველები დიდი ერის წარმომადგენლები ვართ, მეტი პასუხისმგებლობაც გვეკისრება. თუმც იმედი მაქვს, ოსი ხალხიც კრიტიკულად შეხედავს თავის ქმედებებს. ქართველებმაც და ოსებმაც არ უნდა გავიმეოროთ შეცდომები.

— მაგრამ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება უარს ამბობს შერიგებაზე, სანამ ქართული მხარე 1989-92 წლებში ოსების გენოციდის ფაქტს არ აღიარებს.

— ოსების გენოციდი არ მომხდარა. თუმც ვაღიარებ, რომ მოხდა მრავალი შემზარავი და შემაძრწუნებელი ფაქტი, რომლის დროსაც ოსებიც დაზარალდნენ და ქართველებიც. ქართველები ჩვენს ნამოქმედარზე მოვიხდით ბოდიშს, ოსები — თავიანთზე. იმდენი ვაჟკაცობა და გამბედაობა კი უნდა გვქონდეს, რომ დანაშაულის აღიარება შევძლოთ. ჩვენ შერიგება გვინდა და ეს ჩანს პრეზიდენტის განცხადებითაც — საგანგებო გამოძიება ჩატარდება ავტობუსის დაცხრილვის ფაქტზე, რომელიც ქართველებს ბრალდებათო. ვერ წარმომიდგენია, რომ ქართველებს შეეძლოთ ქალებისა და ბავშვების დახოცვა, მაგრამ ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა და უდანაშაულოთა სისხლში გაისვარა ხელი, რა ეროვნებისაც უნდა იყოს, უსათუოდ დაისჯება. თუ იქნება დანაშაულის მამხილებელი კონკრეტული ფაქტები, არც ერთ ქართველს (და არაქართველსაც) არ დავაფარებთ ხელს. მტკიცედ მჯერა, სამართლიანობა გაიმარჯვებს და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდება. რაკი ქართველები არ წამოვეგეთ ყველაზე ძნელად ასატან პროვოკაციას, ვფიქრობ, ამის შემდეგაც გონიერებას გამოვიჩენთ. „სიმდის“ შემქმნელი ერისგან ასეთ საქციელს არ ველოდი. ედინბურგში ვიყავი, როდესაც ეს ამბავი შევიტყვე და გულწრფელად გეტყვით, როდესაც ინტერნეტში ეს კადრები ვნახე, შინაგანად ვდუღდი. ცხადია, ჩვენი ჯარისკაცების დამტყვევებლები ფიქრობდნენ, ეგებ ქართული მხარე ამით ვაიძულოთ, სპეცოპერაცია ჩაატაროს ტყვეების გასათავისუფლებლადო. ეს კი შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას ნიშნავდა.

აქციები როგორ არ მინახავს, მაგრამ ამჯერად წარმოუდგენელი და ქართველისთვის შეუფერებელი რამ ვიხილე – როგორ შეიძლება ადამიანს მიაფურთხო? სად გაიზარდა ეს ხალხი ან თავად რა შვილები უნდა გაზარდონ? ძალზე მწვავე აღშფოთების გამოხატვაც კი შეიძლება კულტურული ფორმით. ის კი, რაც ვნახე, მეტისმეტად სამარცხვინო რამ იყო...

— ცხინვალის შემდეგ ერთ-ერთ აქტუალურ თემად დიდი პრივატიზაციის დასაწყისი იქცა, რომელსაც ეკონომიკის სამინისტროსთან აქციები მოჰყვა. საქართველოს პარლამენტი როგორ აპირებს პრივატიზაციის პროცესისთვის თვალყურის მიდევნებას?

— ამ აქციებმა მეტისმეტად ამაზრზენი სახე მიიღო და თვალნათლივ ჩანს, რომ იმ ძალების მიერ იმართება, რომელთაც ხელს არ აძლევს პრივატიზაციის პროცესის საჯაროობა. აქციები როგორ არ მინახავს, მაგრამ ამჯერად წარმოუდგენელი და ქართველისთვის შეუფერებელი რამ ვიხილე — როგორ შეიძლება ადამიანს მიაფურთხო? სად გაიზარდა ეს ხალხი ან თავად რა შვილები უნდა გაზარდონ? ძალზე მწვავე აღშფოთების გამოხატვაც კი შეიძლება კულტურული ფორმით. ის კი, რაც ვნახე, მეტისმეტად სამარცხვინო რამ იყო. პრივატიზაცია რომ უნდა მოხდეს, ამას არავინ უარყოფს და პარლამენტი ამ პროცესით სერიოზულად დაინტერესდება. გასაგებია მოსახლეობის ეჭვიანობის მიზეზი, წინა ხელისუფლების დროს ჩატარებული პრივატიზებით ქვეყანას არ უხეირია და არც პრივატიზებული საწარმოები ამუშავებულა. მაგრამ წინა ხელისუფლების მაგალითით შეშინებულები ავი ძაღლივით არ უნდა მოვიქცეთ — არც ჩვენ და არც სხვასო. უნდა განვსაზღვროთ, რა არის ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი. ნაჩქარევი პრივატიზაცია სწორი არ იქნება, მაგრამ არც მისი უსაშველოდ გაჭიანურება ივარგებს. თუ პრივატიზაციას ქვეყნისა და მოსახლეობისთვის მომგებიანი პირობებით ჩავატარებთ, ეს საშიში ნამდვილად არ არის. საწარმოები მართლა გაიყიდება, მართლა გადაიხდიან ფულს მყიდველები და ყალბი დოკუმენტაცია არ შედგება. როდესაც ბიზნესმენი მილიონებს გადაიხდის საწარმოში, წარმოუდგენელია, ის არ აამუშაოს და მოგებაზე არ იზრუნოს. პირადად მივადევნებ თვალს, რომ პრივატიზაცია სწორად განხორციელდეს.

— სხვათა შორის, უკვე გაისმის უკმაყოფილო არგუმენტი, თბილისელი მაღალჩინოსნების ნათესავებმა აჭარის ობიექტებს დაადგეს თვალიო.

— ამ დალოცვილ ქვეყანაში ყველა ვიღაცის დეიდა, ბებია და მეზობელია. შევეწინააღმდეგები, რომ პრივატიზაცია დეიდაშვილ-მამიდაშვილობის პრინციპით განხორციელდეს, მაგრამ თუ ბიზნესმენს სწორი პოლიტიკა ექნება და მისაღებ პირობებს შემოგვთავაზებს, მხოლოდ იმის გამო არ უნდა დავიწუნოთ, რომ ვიღაცის ახლობელია. მახსოვს, როდესაც გერბის საკითხს განვიხილავდით, ბრალი დამდეს — ერთი თქვენი მოგვარე მხატვრის მხარე გიჭირავთო. იშვიათად ვიბნევი ხოლმე, მაგრამ მაშინ დავიბენი, არ ვიცოდი, რას მედავებოდნენ. მერე გაირკვა, რომ ჩემი მოგვარე მხატვარი სრულიად არ მონაწილეობდა კონკურსში. არ შეიძლება ვიღაცის მოგვარეობისა და მეზობლობის გამო მე გადმომწვდნენ. ამას წინათ, ერთ გაზეთში დაუწერიათ — ნინო ბურჯანაძის მეზობელი გერმანიაში ქურდობით ირჩენს თავსო. ეს რომ მითხრეს, სასწრაფოდ მოვიძიე გაზეთი, ვინ არის, იქნებ ვიცნობ და დახმარება სჭირდება-მეთქი. ერთი გზასაცდენილი ბიჭი აღმოჩნდა, რომელსაც დოლიძის ქუჩის მიდამოებში უცხოვრია — ასეც ხომ არ შეიძლება?

— ქალბატონო ნინო, მოდი, უფრო მსუბუქ თემებზე გადავიდეთ. ცოტა ხნის წინ, ინგლისის დედოფალს შეხვდით. როგორ გაართვით თავი სავსებით უწყინარი, მაგრამ ბევრი ხმაურის გამომწვევი (თუნდაც ლიუდმილა პუტინას მაგალითზე) თავსაბურავის — ქუდის შერჩევას?

— დედოფალი ძალზე საინტერესო ადამიანია. სრულიად არ გიქმნის კომპლექსს, შესაძლოა რამე არც აინტერესებდეს, მაგრამ მაინც ინტერესით გისმენს. საქართველოსა და პრეზიდენტზე მელაპარაკა. მითხრა, ბევრი გააკეთეთ, მაგრამ ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად კიდევ მეტის გაკეთებაა საჭიროო. სამეფო ოჯახის წევრები საქართველოში არასოდეს ყოფილან, ამიტომ ისინი ჩვენს ქვეყანაში მოვიწვიე.

ინგლისის სამეფო კარზე სტუმრობისას ჩაცმულობა მართლაც პრობლემაა. პროტოკოლის სამსახურის წარმომადგენელი გეუბნება, დაახლოებით როგორ უნდა გეცვას კონკრეტულ შემთხვევაში. ჩვენ სამეფო ოჯახის ტრადიციებზე არ ვართ გაზრდილები და ამაში გასაკვირი და სამარცხვინო არაფერია. როდესაც პროტოკოლის სამსახურიდან მაცნობეს, დედოფალთან შეხვედრისას ქუდი და ხელთათმანებია საჭიროო, დრო არ მქონდა, მაგრამ ორ მაღაზიაში მაინც შევიარე. მეტად სასაცილო იყო ქუდის შერჩევის პროცესი. ვნახე ძალიან ლამაზი და ძვირად ღირებული ქუდები, მაგრამ ვეცადე არჩევანი რაც შეიძლება „მშვიდ“ ქუდზე შემეჩერებინა და არა ბუმბულებით გაწყობილზე. სხვათა შორის, ასე გამოწყობილს (ქუდსა და ხელთათმანებში) სასიამოვნო განცდა დამეუფლა — ქალად ვიგრძენი თავი. მწყინს, რომ ეს ტრადიცია საქართველოში თანდათან იკარგება. ვფიქრობ, ზოგჯერ აუცილებლიცაა ქუდი გეხუროს. მაგალითად, 26 მაისს აღლუმზე ისე დამწვა მზემ, ორი კვირა მოვუნდი კანის ნორმალურ მდგომარეობაში მოყვანას.

— საკუთარ თავზე ხომ არ აიღებდით ამ ტრადიციის აღდგენას?

— (იცინის) საკმაო გამბედაობა უნდა საქართველოში ამის გაკეთებას. ნებისმიერი ადამიანი ანგარიშს უწევს საზოგადოებრივ აზრს და მით უმეტეს, პოლიტიკოსი. ვნახოთ, იმდენად მომეწონა თქვენი იდეა, რომ წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, ეს ტრადიცია აღგვედგინა საქართველოში. სხვათა შორის, გაცილებით ხშირად ვიყენებ ხელთათმანს. მაქვს ზამთრისა და საზაფხულო ბევრი ხელთათმანი და მიმაჩნია, რომ ეს ძალზე მოსახერხებელი და კარგი აქსესუარია.

— როდესაც ცხინვალში ასეთი დაძაბული ვითარებაა, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მეუღლე ალბათ მთლად მშვიდად ვერ იქნება, ბატონ ბადრიზე ნერვიულობთ ხოლმე?

— ბუნებრივია, განვიცდი, მაგრამ ჩვენ შევეგუეთ ერთმანეთის კრიზისულ ვითარებაში ყოფნას. როდესაც ბადრი საზღვარზე ან სადმე დაძაბულ რეგიონშია, ხშირად ვურეკავ და თუ ტელეფონი გათიშული აქვს ან არ მპასუხობს, ვღელავ ხოლმე. მაგრამ მშიშრები არც ერთი არ ვართ. ვიცით, რომ ეს სავალდებულოა და სიტუაციის განსაკუთრებულ დრამატიზებას არ ვახდენთ ხოლმე.

— პარლამენტში უკვე არდადეგები დაიწყო. სად დაისვენებთ ან იქნებ ის გაგვიმხილოთ, სად და როგორ გარემოში ინატრებდით დასვენებას?

— მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი არ მუშაობს, თორმეტ საათზე ადრე შინ ვერ მივდივარ. ახლაც ხომ ხედავთ, თორმეტის სამი წუთია. არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა დასასვენებლად წასვლას. ძალიან მინდა თუნდაც 2-3 დღით ლეჩხუმში, ჩემს სოფელში, ასევე ჩემი მეუღლის მშობლებთან, ჭიათურაში ჩასვლა. არ დაგიმალავთ და ზღვაც მენატრება. ვფიქრობ, სარფში წავიდე თუ ბობოყვათში.

რაც შეეხება ნატვრას, ვინატრებდი მხოლოდ ოჯახის წევრებთან — ქმარსა და ბავშვებთან და ჩემს მშობლებთან ერთად ყოფნას და სადმე კუნძულზე, ოღონდ აბორიგენულ კი არა, ნორმალურ, ცივილიზებულ პირობებში დასვენებას... კუნძულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ალბათ ლეჩხუმში წასვლას მაინც მოვახერხებ.

იზო რუკაძე

„მშობლები ფულს იხდიან იმაში, რომ მათი შვილი უწიგნური დარჩეს“(!)

„პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტს ძალიან დაჩაგრული ჰყავს“

ლევან ბერძენიშვილი პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს ნებაყოფლობით ტოვებს. მისი პოსტის დასაკავებლად კი „მყარი ნაციონალი“ ნოდარ გრიგალაშვილი ემზადება. ასე რომ, რესპუბლიკელების ოპოზიციაში გადასვლამ ბორჯომის მაჟორიტარი ბედს სწია. მართალია, ბერძენიშვილის მომხრეები ცინიკურად კითხულობენ, — შეეფერება კი გრიგალაშვილს ეს პრესტიჟული სავარძელიო, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ამბავი ქალაქის მთავარი პროკურორის ძმას სრულიადაც არ აღელვებს. თუმც რაგინდ უცნაურადაც უნდა ჩანდეს, არ ღელავს თავად **ლევან ბერძენიშვილიც**:

— მას შემდეგ, რაც რესპუბლიკელები ფრაქციიდან გავედით, თანამდებობიდან გადადგომის შესახებ პარლამენტის ბიუროს მივმართე. მივდივარ იმიტომ, რომ ვერ წარმომიდგენია ეს თანამდებობა უმცირესობის წარმომადგენელს ეკავოს, მაგრამ თუკი ვინმე მეტყოდა — კი, ბატონო, ნუ იქნები ფრაქციაში და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს უხელმძღვანელეო, არ ვიტყოდი უარს. მაგრამ არავინ მეუბნება დარჩიო და ბიუროც არ იხილავს ჩემი გადადგომის საკითხს. რა ვქნა, მათი დაჩქარების მექანიზმი არ მაქვს და სიმართლე გითხრათ, არც სადმე მეჩქარება. ალბათ სექტემბრისთვის აირჩევენ ახალ თავმჯდომარეს. მე კი რისი მომხრეც აქამდე ვიყავი, ისევ იმას დავუჭერ მხარს.

ჩვენ ვტოვებთ კომიტეტის თავმჯდომარეობას და თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს კაცი (ნოდარ გრიგალაშვილი. — ი.რ.) კარგია, პრობლემას ვერ ვხედავ. კაცი, ვინც შემცვლის, ჩემზე ნაკლებკომპეტენტურად არ მიიჩნევს თავს. შესაძლოა, არც იყოს საჭირო ზედმეტი რევერანსები ვიღაც რესპუბლიკელების წინაშე, როდესაც ბატონი ნოდარი ნაციონალური მოძრაობის მყარი მხარდამჭერი და პრეზიდენტის კურსის გამტარებელია. თანაც სერიოზული წარმატებები აქვს ბორჯომში — სულ ირჩევენ. ჩემთვის კომიტეტის თავმჯდომარეობა იყო საქმე, რომელიც უნდა გამეკეთებინა. მისთვის კი, როგორც ჩანს, ეს თანამდებობა სახელი და დიდებაც არის. ჯიბრს და ნიშნის მოგებას არ ვაპირებ, მაგრამ თუ ჩემი შემცვლელი განათლების სისტემაში რეფორმების გატარებას შეეწინააღმდეგება, უთუოდ ჩავუდგები ოპოზიციაში. განათლების სისტემაში რომ რეფორმაა საჭირო, ამაში ხალხის აზრიც დაგარწმუნებთ — უმაღლეს სასწავლებლებში კორუფცია ძველებურად დარჩა, მეტიც — ფასები გაორმაგდაო. რა ქვეყანაა ის, სადაც ვიღაცას ფულს უხდი იმაში, რომ შვილმა განათლება არ მიიღოს. წარმოგიდგენიათ, მშობლები ფულს იხდიან, რომ მათი შვილი უწიგნური დარჩეს(!).

— დღევანდელი ვითარების ფონზე ამას ბედავენ ჩვენი პატივცემული რექტორ-ლექტორები?

— ეს ისეთი გამბედაობა და „ვაჟკაცობაა“, რომელსაც პროკურორი ვერ ალაგმავს. ამ ხალხს ღმერთის არ ეშინია და პროკურორი რას შეაშინებს. მათ ფულის ძალა იციან და გამბედაობასაც ფულის სიყვარული აძლევს. მომისმენია ასეთების ლაპარაკი — მოლაშვილთან რაღაც ვერ გაიყვეს და ამიტომ შეექმნა მას პრობლემები, თორემ ჩემთან რა პრობლემა აქვთო... რომელ რევოლუციაზეა ლაპარაკი, როდესაც უნივერსიტეტის რექტორი ისევ როინ მეტრეველია... რევოლუცია განათლებაში ჯერ არ მომხდარა, მაგრამ მჯერა, უთუოდ მოხდება. იმის მომხრე არ ვარ, რომ ყველას „თავები დააჭრან“, მაგრამ ყველა რექტორი უნდა მიბრძანდეს დამსახურებულ დასვენებაზე. ეს ხალხი ფულის კეთებას ვერ მოიშლის. როდესაც მასწავლებელი იმ მოსწავლისგან იბარებს გამოცდას, რომელსაც ამზადებდა, ამ დროს ხომ სხვა ბავშვი იჩაგრება? ხშირად განათლების სისტემაში არსებულ მანკიერებებს დაბალი ხელფასით ხსნიან. კი, ბატონო, ანაზღაურებას, რასაც პედაგოგი იღებს, არ ჰქვია ხელფასი, მაგრამ როდესაც მასწავლებელი ხარ, ბანდიტობის უფლება არ გაქვს. ბანდიტს ჯიბეში იარაღი უნდა ჰქონდეს და ქუჩაში იყოს, სკოლასა და უმაღლესში რა უნდათ ბანდიტებს? ერთი სკოლა არის, წესად ჰქონიათ, ბავშვებისგან ფულს აგროვებენ — ექსკურსიაზე მივდივართო (აბა, გაბედოს ვინმემ და თქვას, არ წამოვალო), მაგრამ ბავშვები მერე აღარ მიჰყავთ ექსკურსიაზე და არც ფულს აბრუნებენ. ძნელი მისახვედრი ხომ არ არის, სადაც მიდის ეს ფული.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

ვიცავთ თუ არა სახელმწიფო საიდუმლოებებს



— ჟურნალისტს უნდა შეეძლოს იმის გააზრება, რა თქვას და რაზე შეიკავოს თავი, როგორი დიდიც უნდა იყოს ექსკლუზივის გაშვების ცდუნება. სახელმწიფო მოხელემ რომც გითხრათ ისეთი რამ, რისი თქმაც არ შეიძლება, თქვენ თავად უნდა განსაჯოთ, შეიძლება თუ არა ჩანაწერის გამოქვეყნება ან ეთერში გაშვება, ხომ არ დაასხამს ეს ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეების წისქვილზე წყალს და ხომ არ დაზარალდება სახელმწიფოს ინტერესები.

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

მაგალითად, ისრაელში თუ რაიმე საკითხს ადევს გრიფი „საიდუმლო", ჟურნალისტმა კი დამოუკიდებლად მოიპოვა და გამოაქვეყნა, იგი დაისჯება სამი წლით თავისუფლების აღკვეთით. ჩვენთან მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებელი ისჯება. არადა, ხომ შეიძლება ჟურნალისტმა მოტყუებით მოიპოვოს ინფორმაცია? ნორმალურ ქვეყნებში ჟურნალისტების სახელმწიფოებრივი აზროვნება საკმაოდ მაღალია. ფაქტია, რაც უფრო განვითარებულია სახელმწიფო და საზოგადოება, მით მაღალია სახელმწიფო მოხელეებისა და ჟურნალისტების შეგნებაც... და კანონის პატივისცემაც, ეთიკური სტანდარტებიც დაცულია. ისეთი კურიოზები, როგორსაც ქართულ სინამდვილეში აქვს ადგილი, არ ეპარებათ არც ეთერში და არც პრესაში. ესპანეთში ვიზიტის დროს ვლადიმირ პუტინს ხოდორკოვსკის საქმის შესახებ რომ ჰკითხეს ჟურნალისტებმა, მან უპასუხა, რუსეთში პროკურორს ვერ ვუკავშირდებითო. ამით მან თავიდან მოიცილა ჟურნალისტები, თუმცა მათ სასაცილოდ არ ეყოთ ასეთი პასუხი. იგივე ჰქონდა ალბათ განზრახული ქართველ ჩინოსანსაც, როცა ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის გამწვავების დროს ჟურნალისტებს განუცხადა, პრეზიდენტს ირანში ვერ ვუკავშირდებით და მისი გეგმების შესახებ არაფერი ვიცითო. ეს იყო ფანდი და ამიტომაც მისი პირდაპირი ეთერით გადაცემა არაფრის მომცემი არ იყო. რას ჰქვია, პრეზიდენტს ვერ უკავშირდები? მაშინ რა სახელმწიფო ხარ? მართლაც რომ ვერ უკავშირდებოდე, ამის სახალხოდ თქმა მაინც არ შეიძლება, მით უმეტეს, როცა ქვეყანაში ექსტრემალური სიტუაციაა. ძალიან დიდი სიფრთხილე და პასუხისმგებლობაა საჭირო ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელებისას. ეს უნდა მოხდეს მაკონტროლებელი ორგანოების ჩარევის გარეშე, თორემ თუ ხელისუფლებას ყოველ სიტყვაზე კონტროლის საშუალებას მისცემ, მას სხვა რამეზე „მოჭერის" სურვილიც გაუჩნდება და ისევ არადემოკრატიულ სახელმწიფოს მივიღებთ.

— ძალოვანი სტრუქტურების მიერ პირდაპირი ეთერით გადმოცემული სპეცოპერაციების შესახებ რას იტყვით? რომელი უფრო სცოდავს ამ დროს, ოპერაციის ორგანიზატორი თუ მისი ეთერში გამშვები?

— ისეთ სპეცოპერაციას რა ვუთხარი, პირდაპირი ეთერით რომ გადაიცემა. აქ ორგანიზატორის არც ეთიკაზე შეიძლება ლაპარაკი და არც კულტურაზე. სამართალდამცველები ეთერს პიარისთვის იყენებენ — ნახეთ, რა მაგრები ვართო. ალბათ ამით საზოგადოების ნდობის მოპოვება სურთ. არის თუ არა ეს მათი პროფესიონალიზმის მაჩვენებელი, ამის განსჯაც ხალხს მივანდოთ. ასეთ შემთხვევებში ჟურნალისტს ვერაფერში გაამტყუნებ. მას ეძლევა ეთერში ექსკლუზივის ან სანახაობრივი სიუჟეტის გაშვების საშუალება და უშვებს. ჟურნალისტი ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინფორმაციას არ გასცემს და, შესაბამისად, სახელმწიფო მოხელეზე მეტი პასუხისმგებლობაც არ ეკისრება.

ეკა ლომიძე

სტალინის „გამოგზავნილი" უზარმაზარი ბომბი ჯერ კიდევ ქუთაისთან ინახება

5-ტონიანი ბომბის არც წასაღები თვითმფრინავი გვყავს და ვერც ქართულ მიწას გავიმეტებთ მის ასაფეთქებლად

პენტაგონი არ ისვენებს და ყოველთვე ახალ-ახალ რაკეტებს და ბომბებს ცდის. ამერიკელი სამხედროები დღე-დღეზე თითქმის 14-ტონიანი ბომბის გამოცდას აპირებენ, რომელიც კოსმოსიდან იმართება და მიწისქვეშა ბუნკერის ასაფეთქებლად არის ნავარაუდევი.

ჩვენ ამერიკელებს ვერ შევეჯიბრებით, მაგრამ თურმე არც „წყალწაღებულები" ვყოფილვართ, განსაკუთრებით კი ქუთაისელებს „გაუმართლათ" — ქალაქის ახლოს (ადგილმდებარეობას არ დავაზუსტებთ) 5-ტონიანი საავიაციო ბომბი ФАБ-5000 ინახება!

და, რაც მთავარია, იგი თვით იოსებ სტალინის ბრძანებით გამოუგზავნიათ ქუთაისელებისათვის ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ. ყოველ შემთხვევაში, ის 1949-50 წლებშია გაკეთებული.

***ჩვენი დოსიე:** ფუგასური საავიაციო ბომბი ФАБ-5000-ის დიამეტრი 1 მ-ია, სიგრძე — 5,2 მ., იწონის 5,4 ტონას; აქედან 3,2 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერებაა. განსაცვიფრებელი კი ის გახლავთ, რომ ამ უზარმაზარი ბომბის წამღები თვითმფრინავი საბჭოთა სამხედრო საჰაერო ძალებს საქართველოს არც ერთ სამხედრო აეროდრომზე არასოდეს ჰყოლია.*

თუმცა სტალინი ალბათ არ შემცდარა, ასე რომ მოიქცა — „ცივი ომის" ცხელში გადაზრდისთანავე კოპიტნარის აეროდრომზე უთუოდ დაეშვებოდნენ საბჭოთა სტრატეგიული ბომბდამშენები (მაგალითად, Ту-95, რომლის აგება ჯერ კიდევ სტალინის ეპოქაში დაიწყო), დაიტვირთებოდნენ ამ ბომბებით და მოწინააღმდეგეს საქართველოს ტერიტორიიდან უფრო შორს მისწვდებოდნენ, ვიდრე რუსეთის აეროდრომიდან.

სხვათა შორის, ეს ФАБ-5000 პირველი ზემძიმე საბჭოთა საავიაციო ბომბი იყო, რომელიც სტალინის ბრძანებითვე გამოიყენეს გერმანელების წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომში: 1943 წლის 28 აპრილს საბჭოთა Пе-8 ტიპის ოთხძრავიანმა მძიმე ბომბდამშენებმა ეს ბომბები გერმანიის ქალაქ კენიგსბერგს (კალინინგრადი) დააყარეს. თურმე ხუთტონიანი ბომბის აფეთქების ტალღამ გერმანული ტანკები — „ვეფხვები" სათამაშოებივით ჰაერში აიტაცა და რამდენიმე ათეულ მეტრზე მიმოფანტა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რა ქნან ქუთაისელებმა, რომელთა მეზობლად დაჟანგული 6 ცალი 5-ტონიანი, 17 ცალი 3-ტონიანი და ასამდე ტონანახევრიანი საავიაციო ბომბი ინახება?

კახეთში, დიდი შირაქის სამხედრო აეროდრომის მეზობლად მოსახლეებმა უკვე შვებით ამოისუნთქეს, რადგან აქაური ბომბსაცავი მთლიანად გაიწმინდა უვარგისი, მაგრამ ფეთქებადსაშიში ბომბებისგან.

ქუთაისთან ამხელა ბომბების აფეთქებით უტილიზირება გამორიცხულია, რჩება ერთადერთი გზა — სპეციალური აპარატურით გამოდნეს ბომბში მოთავსებული საშიში ასაფეთქებელი ნივთიერება და ისე გააუვნებლონ სტალინის ჯერ კიდევ სახიფათო „საჩუქარი".

აურზაური „ჯავშნოსნების“ გამო

რუსეთის თავდაცვის მინისტრის პრესმდივანი ტყემალზე მჯდარა – იგი კოკოითს „აიარაღებდა“

პრესმდივნობა მეტად საპასუხისმგებლო და საფრთხილო საქმეა, მით უმეტეს, თავდაცვის მინისტრისა. რუსეთის თავდაცვის მინისტრის, სერგეი ივანოვის პრესმდივანმა, პოლკოვნიკმა ვიაჩესლავ სედოვმა ძალზე უხეში შეცდომა დაუშვა, როცა ოფიციალურად განაცხადა: — 21 ივლისს 40 ერთეული ჯავშანტექნიკა რუსეთიდან როკის გვირაბით ცხინვალში სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის შესაიარაღებლად შემოვიდაო.

სინამდვილეში, კონფლიქტის ზონაში მდგარ შერეულ სამშვიდობო ძალებში ოფიციალურად მხოლოდ ქართული, რუსული და ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ბატალიონები არიან.

ყოველივე ეს მიუთითებს, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროშიც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, რა ხდება ცხინვალის რეგიონში, ან უარესი: პოლკოვნიკ სედოვს უნებლიეთ წამოსცდა სიმართლე — ცხინვალში შეყვანილ ჯავშანტექნიკას მართლაც კოკოითის სეპარატისტული ხელისუფლება გამოიყენებს!

21 ივლისს, რუსეთიდან კონფლიქტის ზონაში 18 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორ БТР-70-ისა და 22 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2-ის შემოყვანას მართლაც ოდიოზური გენერალი ნაბზდოროვი იმით ხსნის, რომ ჩრდილოოსური ბატალიონის, „ალანიას“, ჯავშანტექნიკა ათი წელია არ შეცვლილა და სასწრაფოდ განახლებას მოითხოვს. ამასთან, გენერალი ნაბზდოროვი მკაფიოდ აღნიშნავს, რომ ქართულმა სამშვიდობო ბატალიონმა ერთი თვის წინ უკვე განაახლა თავისი ჯავშანტექნიკის პარკი, ხოლო სექტემბრისთვის რუსული სამშვიდობო ძალებიც შეიარაღდება ახალი ჯავშანტექნიკითო.

კონფლიქტის ზონაში მდგარ ჩრდილოოსურ და რუსულ ბატალიონებს ჯავშანტექნიკა რომ მოუძველდათ, ეს სიმართლეს რამდენადმე შეესაბამება — როტაციის სახით ცხინვალიდან როკის გვირაბისკენ მიმავალი ჩრდილო ოსეთის ბატალიონის რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორი გზაში გაფუჭდა.

მაგრამ ძაღლის თავი სულ სხვაგანაა დამარხული — როტაციის მიზეზით კონფლიქტის ზონაში 22 ცალი უფრო ეფექტიანი БМП-2 გამოჩნდა. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ის ქართულ ინტერესებს ნამდვილად არ დაიცავს.

ამასთან, შტატის მიხედვით, რამდენადაც დაუჯერებელი არ უნდა იყოს, ქართულ სამშვიდობო ბატალიონს არა აქვს უფლება, ჰყავდეს მუხლუხოვანი ჯავშანტექნიკა. ეს არის სამხედრო ბალანსის დარღვევის ნათელი მაგალითი — რუს „ცისფერჩაფხუტიანებს“ კონფლიქტის ზონაში ჰყავთ 38 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1, 4 ცალი ჯავშანტრანსპორტიორი БТР-70 და 4 ჯავშანმანქანა БРДМ-2. ჩრდილოოსური ბატალიონი გაძლიერდა 18 ცალი БТР-70-ითა და 22 ცალი БМП-2-ით, ხოლო ქართულ ბატალიონს 15 ერთეულზე მეტი ჯავშანმანქანის (ისიც მხოლოდ ბორბლებიანის), ყოლის უფლება არა აქვს. მხოლოდ ბოლო მომენტში მოახერხა ქართულმა მხარემ რუსი სარდლისაგან 5 მუხლუხიანი БМП-ს ყოლის უფლების წაგლეჯა. არადა იყო დრო, როდესაც ქართულ სამშვიდობო ბატალიონს კონფლიქტის ზონაში ჰყავდა 22 ერთეული მუხლუხიანი БМП-1. ზემო ნიქოზში, ქართული სამშვიდობო ბატალიონის შტაბის ეზოში მათი შეყვანის მოწმე თავად გახლდით 1992 წლის შემოდგომაზე.

БМП-ებმა ქართული სამშვიდობო ბატალიონის შეიარაღებაში მხოლოდ სამიოდე წელი გაძლეს, რუსული და ჩრდილოოსური მხარეების დაჟინებით, ისინი კონფლიქტის ზონიდან გაგვაყვანინეს მოტივით — არ გეკუთვნითო! თუმცა, თავად რუსმა „ცისფერჩაფხუტიანებმა“ მუხლუხოვანი ჯავშანტექნიკა დაიტოვეს. ახლა კი ამგვარი ჯავშანმანქანებით ჩრდილოოსური მხარეც შეიარაღდა.

ერთი შეხედვით, შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, რომელ სამშვიდობო ბატალიონს რა აქვს შეიარაღებაში, მაგრამ კონფლიქტის ზონაში საბრძოლო მოქმედებების განახლებისთანავე ეს მძიმე შეიარაღება უთუოდ სანანებლად გაგვიხდება, რადგან ისინი უცილობლად კოკოითის სეპარატისტული ხელისუფლების შენარჩუნებისათვის იბრძოლებენ.

რას მოგვცემს რუსეთის გენშტაბის უფროსის შეცვლა?

გენერალ კვაშნინს „გამარჯობისა“ და „ბატონოს“ მოყვარული გენერალი ბალუევსკი ცვლის

რუსი გენერლების პირად, ანტიქართულ და ანტიშევარდნაძისეულ სინდრომს ჩვენი ქვეყნისთვის არაერთხელ გაუკეთებია ავი საქმე...

გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა ძლივს მოხსნა თანამდებობიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ანატოლი კვაშნინი. ძლივს-მეთქი, იმიტომ, რომ კვაშნინს ვერაფერი მოუხერხა ელცინმა, ხოლო თავად კვაშნინმა კულისებში ორთაბრძოლები მოუგო რუსეთის ყოფილ თავდაცვის მინისტრს, იგორ სერგეევს, ცოტაც და, „დაამარცხებდა“ დღევანდელ თავდაცვის მინისტრს, სერგეი ივანოვსაც.

კვაშნინის ადგილზე დაინიშნა მისი პირველი მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი იური ბალუევსკი. იგი იმითაა ცნობილი, რომ მოსკოვში, გენშტაბში გადასვლამდე, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფებას ГРВЗ-ს მეთაურობდა და, როგორც ამბობენ, დღესაც მისთვის საყვარელი გამოთქმებია „გამარჯობა“ და „ბატონო“.

კვაშნინისაგან განსხვავებით, ბალუევსკი ნამდვილად არ უნდა იყოს ანტიქართულად განწყობილი, თუმცა რასაც უბრძანებენ, იმას შეასრულებს. მაგრამ იქნებ საკუთარი ინიციატივით აღარ დაამატოს რაიმე ანტიქართული...

არსენალი

ეფექტური იარაღი, რომელიც ქართველებსაც გამოუჩნდათ

შინაგანი ჯარები მზად არიან „კოცონების“ დასანთებად

ეს იარაღის ის სახეობაა, რომლის საჭირო რაოდენობით ქართული არმია ვერც ცხინვალის ომის დროს და, მით უმეტეს, ვერც აფხაზეთში ბრძოლების დროს დაიტრაბახებდა.

არადა ავტომატის ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნები ძალზე ეფექტიანი და მოსახერხებელია ახლო მანძილზე ბრძოლისას. იყო დრო, როდესაც აფხაზეთის ფრონტზე ქართველი მეომრები ერთგვარი შიშნარევი ცნობისმოყვარეობით ლაპარაკობდნენ ამ „საოცარ“ იარაღზე. დღეს, საბედნიეროდ, მდგომარეობა გამოკეთდა და ქართული შინაგანი ჯარების იმ დანაყოფების შეიარაღებაში, რომლებსაც ახლა ცხინვალის რეგიონში ქართული სოფლების დაცვა უწევთ, საკმაოდაა ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი ГП-25.

იმის გამო, რომ ქართული სამხედრო ძალების შეიარაღებაში უმეტესად საბჭოთა (ან სხვა პოსტსაბჭოთა აღმოსავლეთ ევროპის) წარმოების „კალაშნიკოვის“ სისტემის სხვადასხვა ტიპის ავტომატია, აჯობებდა სწორედ ГП-25 ტიპის ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნების შეძენა, რომლის დაყენება შეიძლება ყველა ტიპის „კალაშნიკოვზე“, გარდა მოკლელულიანი АК-74У ტიპისა. ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი ГП-25 1978 წელს დაამზადეს ქ. ტულის ერთ-ერთ საიარაღო-საკონსტრუქტორო ბიუროში და მას მეორენაირად Костёр-იც უწოდეს.

400 მმ კალიბრიან ГП-25-ს „კოცონი“ ტყუილად არ შეარქვეს, რადგან ამ ყუმბარსატყორცნით შეიარაღებული მებრძოლი მცირე არტილერიის ფუნქციასაც ასრულებს — შეუძლია დააზიანოს ღია სანგარში მიმალული, ან მთის მეორე, დახურულ ფერდობზე მყოფი მოწინააღმდეგე.

კარგმა მებრძოლმა წუთში ამ ყუმბარსატყორცნიდან 4-5 გასროლა შეიძლება მოასწროს. ВОГ-25 ყუმბარაზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ მიზანთან აფეთქებისას იგი 1,5-ჯერ უფრო მეტად აზიანებს მას, ვიდრე ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2-ის ავტომატური ქვემეხიდან გაშვებული 30 მმ კალიბრიანი მსხვრევადფუგასური ჭურვი.

ВОГ-25-ის მოდიფიცირებული ვარიანტი ВОГ-25П, რომელსაც Подкидыш-საც უწოდებენ, იმით გამოირჩევა, რომ სამიზნესთან მიწაზე დაცემისას კი არ ფეთქდება, არამედ ჰაერში ნახევარ მეტრზე „ახტება“ და შემდეგ ფეთქდება, რითაც იზრდება ნამსხვრევებით დაზიანების რადიუსი.

ქართული შინაგანი ჯარების შეიარაღებაში ამ ეფექტიანი იარაღის მასობრივი გამოჩენა გვაიმედებს, რომ საჭიროების შემთხვევაში მათი ინტენსიური გამოყენებისას საბრძოლო უპირატესობა მიიღწევა.

ჩვენი დოსიე: ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი ГП-25 1,5 კგ-ს იწონის და მიზანში მაქსიმალურად 400 მ-ზე ისვრის 40 მმ კალიბრიან ВОГ-25 ტიპის მსხვრევად ყუმბარას.

„ჩვენ ვიყენებთ კოსმოსურ დაზვერვას“

გამოძახილი სტატიაზე – „კოსმოსიდან დანახული ცხინვალი“

ახალი ხელისუფლება, ეტყობა, იმითაც განსხვავდება ძველისგან, რომ გარკვეულ რეაგირებას ახდენს კრიტიკაზე.

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში, „კოსმოსიდან დანახული ცხინვალი“, გარკვეულწილად, ვსაყვედურობდით ხელისუფლებას კოსმოსური დაზვერვის შესაძლებლობის გამოუყენებლობისათვის.

გაზეთის გამოსვლის მეორე დღესვე დაგვიკავშირდა ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, რომლის აზრსაც (ამბობენ!) ანგარიშს უწევს პრეზიდენტი. მან გვითხრა, რომ ცოტა ხნის წინ მისმა უწყებამ მართლაც დაიწყო იმ ინფორმაციის ინტენსიური მოხმარება, რომლის მიღებაც კოსმოსიდან, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის დახმარებით შეიძლება და ამ ინფორმაციას საქართველოს ხელისუფლება თანდათან უფრო აქტიურად იყენებს მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ცხადია, მივესალმებით ახალი ხელისუფლების ოპერატიულობას, თუკი იგი, რა თქმა უნდა, ქვეყნის გაძლიერებას წაადგება.

ისე კი, ერთი დასკვნა გამოვიტანეთ: უკრაინაში ჩარჩენილი ქართული შვეულმფრენების თემას ჩვენი გაზეთი თითქმის ოთხი წლის განმავლობაში სისტემატურად აშუქებდა და, ვფიქრობთ, ჩვენი მცირე დამსახურებაცაა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პირველად სწორედ ეს შვეულმფრენები დაუბრუნა საქართველოს.

ხელისუფლების სწრაფი რეაგირება მოჰყვა კოსმოსიდან დაზვერვის შესაძლებლობის შესახებ დაბეჭდილ სტატიასაც, ქართული არტილერიის პრობლემების თაობაზე გამოქვეყნებულ წერილსაც...

ყოველივე ეს კი გვაიმედებს, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება ძველივით აღარ ჩაიკეტება თავის „ჯავშნიან“ ნაჭუჭში...

სამხედრო კალეიდოსკოპი

აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი რუსეთის საერთო ბიუჯეტზე 4-ჯერ მეტია

რამდენიმე დღის წინ აშშ-ის კონგრესმა დაამტკიცა და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ხელმოსაწერად გაუგზავნა აშშ-ის 2005 საფინანსო წლის სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც განსაზღვრულია 417.5 მლრდ დოლარით.

შედარებისთვის: რუსეთის ფედერაციის საერთო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 100 მლრდ დოლარს არ აღემატება!

აშშ-ის კონგრესის 410 კონგრესმენმა მხარი დაუჭირა (12 წინააღმდეგი წავიდა) აშშ-ის 2005 წლის სამხედრო ბიუჯეტის წლევანდელთან შედარებით 22 მლრდ დოლარით გაზრდას.

აღსანიშნავია, რომ 417.5 მლრდ დოლარიდან 25 მლრდ იმ ოპერაციებზე უნდა დაიხარჯოს, რომელსაც პენტაგონი ერაყსა და ავღანეთში გაისად განახორციელებს.

10 მლრდ დოლარი მოხმარდება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის დახვეწას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ჩრდილო ამერიკის კონტინენტის დაცვას მოწინააღმდეგის ბალისტიკური რაკეტების შესაძლო თავდასხმისგან. 409 მლნ დოლარს პენტაგონი, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, რუსული ბირთვული იარაღის შენახვის პირობების გაუმჯობესებას მოახმარს. თეთრ სახლს დღემდე ეშინია, რომ საერთაშორისო ტერორისტები ერთ მშვენიერ დღეს ხელში ჩაიგდებენ რუსულ ბირთვულ ბომბს და გრანდიოზულ ტერორისტულ აქტს მოაწყობენ აშშ-ის ტერიტორიაზე.

ერთიც: ახალი, გაზრდილი ბიუჯეტი პენტაგონს საშუალებას მისცემს, თითოეულ სამხედრო მოსამსახურეს 3,5%-ით გაუზარდოს ანაზღაურება.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

ამ დღეს პირველად დაიძრა საქართველო

თბილისში პირველად კომენდანტის საათის გამოცხადების მცდელობა 1988 წლის 28 ნოემბერს იყო

დღემდე უცნობი დეტალები ჯუმბერ პატიაშვილის ცხოვრებიდან

1988 წლის 28 ნოემბერს, მოსკოვში უმაღლესი საბჭოს სესიის პარალელურად, თბილისში, მთავრობის სახლის წინ დიდი მიტინგი მიმდინარეობდა. მიტინგები აქ თვის პირველ რიცხვებში დაიწყო და თითქოს შევეჩვიეთ კიდეც. მაგრამ ეს არ გახლდათ ჩვეულებრივი მიტინგი — ამ დღეს პირველად დაიძრა საქართველო. მომიტინგეებს ყოველ საათს უერთდებოდნენ რაიონებიდან ჩამოსული ორგანიზებული ჯგუფები და მთავრობის სახლთან, წინა დღეებისგან განსხვავებით, უჩვეულო ხალხმრავლობა იყო. თუმცა იოტისოდენადაც არ დარღვეულა საზოგადოებრივი წესრიგი. როგორც ყოველთვის, ამ აქციასაც მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა.

იმავე საღამოს, თბილისის ლენინის რაიონის (ახლანდელი ნაძალადევი) მილიციის განყოფილებას უცნობი სამხედრო პოლკოვნიკი ეწვია თავის ადიუტანტთან ერთად. მერე გაირკვა, რომ პოლკოვნიკი ქართველი იყო, გვარად მეგრელიშვილი. მილიციის უფროსი ლეო ჯოჯუა შენობიდან ახალი გასული იყო. პოლკოვნიკი მისმა მოადგილემ, გიორგი ტაბატაძემ და სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა, ვაჟა ასათიანმა მიიღეს.

— მე აქ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბს წარმოვადგენ და დავალებული მაქვს გაცნობოთ, რომ ამაღამ თბილისში გამოცხადდება კომენდანტის საათი. გამთენიისას, ოთხ საათზე ქალაქში შემოვა ჯარი და შესაბამისი ტექნიკა. მე მევალება კონტროლი დავუწესო თქვენდამი რწმუნებულ რაიონს ჩემს განკარგულებაში არსებული ორი ათასი სამხედრო მოსამსახურითა და ტექნიკით. ასე რომ, ოთხ საათზე აქ ვიქნებით. თუ მანამდე რაიონში ხალხმრავლობას შენიშნავთ, ანუ სიტუაცია პოლიტიკურად დაიძაბება, მოვალენი ხართ, შინ დამირეკოთ და აქ გავჩნდები. აი, ჩემი ბინის ტელეფონის ნომერი, ველოტრეკთან ვცხოვრობ.

ეს განცხადება იმდენად მოულოდნელი იყო მილიციის მუშაკებისთვის, რომ გიორგიმ და ვაჟამ ერთხანს ხმის ამოღებაც ვერ მოახერხეს. პოლკოვნიკის პირქუში გამოხედვა ადასტურებდა, რომ მისი ნათქვამი საფუძველს არ იყო მოკლებული.

— როგორც ვიცი, კომენდანტის საათი ასე იოლად არ ცხადდება. ჩვენ ამასთან დაკავშირებით გაფრთხილება არ მიგვიღია. ხომ უნდა ვიცოდეთ მაინც, ვინ ატარებს ამ ღონისძიებას? — კითხვით მიმართა გიორგიმ მეგრელიშვილს.

— ვინ აცხადებს და ის, ვისაც ამის უფლება აქვს. თქვენ კი, მე, პოლკოვნიკი მეგრელიშვილი გიცხადებთ ამის შესახებ. რა, ეს საკმარისი არ არის? კეთილი ინებეთ და შესაბამისად იმოქმედეთ. მე წავედი.

— არა, ვინმე ჟულიკი არ უნდა იყოს. მაგრამ რა კომენდანტის საათზეა ლაპარაკი. თუ ძმა ხარ, ვაჟა, ქალაქის მორიგეს დაურეკე და სასწრაფოდ გაარკვიე, რა ხდება ჩვენს თავს.

ქალაქის სამორიგეო სამსახურის უფროსს ტოლია ივანჩენკოსაც ხმა წაერთვა კომენდანტის საათის გაგონებაზე:

— ცოტა ხანს დამელოდეთ, რამეს გავარკვევ და დაგირეკავთ.

მართლაც ცოტა ხანში ტელეფონის ზარი გაისმა.

— რაიონის უშიშროების სამსახურის უფროსი ბერიძე ვარ. რა მდგომარეობაა თქვენთან?

— რაღა რა მდგომარეობაა, კომენდანტის საათი გამოგვიცხადეს.

— რა საათი, რის საათი, ვინ გამოაცხადა?

— არ ვიცით, ჩვენთან სამხედრო პოლკოვნიკი მეგრელიშვილი მოვიდა და...

— ადგილზე იყავით. ახლავე ყველაფერს გავარკვევ...

ხუთი წუთის შემდეგ რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, გენერალმა მაისურაძემ დარეკა.

— რა კომენდანტის საათზეა ლაპარაკი, ვინ იყო თქვენთან?

— თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ რაზეა ლაპარაკი, ამხანაგო გენერალო. ჩვენთან ეს ამბავი სამხედროებმა მოიტანეს.

ისევ ტელეფონის ზარი.

ივანჩენკო იტყობინება, რომ დედაქალაქის მილიციის გარნიზონში ამ ამბის გამო განგაში გამოაცხადეს. ნაბრძანებია, ქუჩაში გაიყვანოთ მობილური ჯგუფები. დააფიქსიროთ სამხედროები, მათი შეიარაღება და გადაუდებლად გვაცნობოთ.

ვაჟა ასათიანი: — ჩვენი ჯგუფები მოედვნენ ავჭალას, გლდანის დასახლებას, თბილისის ზღვას. მე და ჩემი ბიჭები ვაზიანამდე ავედით.. რაციაში მესმის, რომ თელავიდან გამოსულმა მიტინგის მხარდამჭერებმა გადმოლახეს გომბორის ქედი და ახლა თბილისისაკენ მოდიან. აქ კი, ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, უკვე მომართული ჰყავთ ტანკები და ბეტეერები. ძრავებს ახურებენ. ბაზიდან „უაზის" მსუბუქი მანქანა გამოდის და დედაქალაქის ცენტრისაკენ მიემართება. ჩვენც უკან მივყვებით, მაგრამ რომ არ შეგვნიშნოს, ფარებს არ ვანთებთ. მანქანა ლენინის მოედანზე ადის, წრეს ურტყამს და უკან მიემართება. გამთენიისას რაციით შევიტყვე, რომ სიონის ეკლესიასთან ტაქსისტებმა გზა გადაუკეტეს ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ ტანკებსა და ბეტეერებს. ერთი ბეტეერი ტაქსს დასჯახებია და მთლიანად გაუსრესია. კიდევ კარგი, მსხვერპლი არ არის. გათენდა. ხმა გავარდა, სამხედროებს „გზა არევიათ" და ავჭალის ნაცვლად ქალაქის ცენტრში შემოსულანო. ამით დამთავრდა ჩვენთვის კომენდანტის საათი.

მეორე დღეს, საღამოს, ისევ მოგვადგა მეგრელიშვილი, ამჯერად უკვე ადიუტანტის გარეშე.

— როგორი ოპერატიული მუშაკები ყოფილხართ. როგორ გცოდნიათ საიდუმლოს შენახვა, აფერუმ თქვენს ჩეკისტობას.

— რა საიდუმლო უნდა შეგვენახა. ვის გაუგია საიდუმლო კომენდანტის საათი.

— ისე აშენდა მაგათი ოჯახი. მე არც ჯარი გამომყავდეს და არც კომენდანტის საათის გამოცხადებაზე ვიღებდე გადაწყვეტილებებს. წუხელ თქვენ გაგიტანიათ ხმა გარეთ. მერე ვიღაცას პატიაშვილისთვის დაურეკავს მოსკოვში (იმ მომენტში ცკ-ის პირველი მდივანი მოსკოვში იმყოფებოდა). იმას კიდევ იქვე მყოფი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის, როდიონოვისთვის გაუძვრია ტყავი. როდიონოვმა კი მე მომნახა და მთელი ღამე შემწვარი გოჭივით მატრიალა. მე მეუბნება, რა ტანკებით დახრიგინობ თბილისშიო. ოთხ საათზე თბილისში კომენდანტის საათი გამოაცხადეთო, მითხრა და თვითონ მოსკოვში წავიდა. ვერ გავიგე, მე რა შუაში ვიყავი. ალბათ რომ ჩამოვა, სამსახურიდანაც დამითხოვს...

მეგრელიშვილი არავის დაუთხოვია. ცხრა აპრილის შემდეგ რომ კომენდანტის საათი გამოცხადდა, ისევ მოვიდა, ამჯერად ჯარით. დასანახავად ვერ მიტანდა, რადგან გამუდმებით ვუკირკიტებდი. მცხეთაში, ჯვრის მონასტერთან დაიჭირა კომენდანტის საათის „დამრღვევი" ხალხი და ჩვენთან მოიყვანა. ვუთხარი, რა გინდა, კაცო, შენ თბილისში გაქვს კომენდანტის საათი და არა ჯვრის მონასტერზე-მეთქი. მეო, ოცდაათი კილომეტრის რადიუსში ვმოქმედებო. მაშინ წადი და კასპელები და რუსთაველებიც ჩამოიყვანე. იქ უფრო ბევრს დაიჭერ-მეთქი. მე შენ, ტავარიშჩ მაიორ, პაგონებს დაგაძრობო, მემუქრებოდა. სულ ვჩხუბობდით.

თექვსმეტი წელი გავიდა მას შემდეგ. მე კი დღესაც მაწვალებს კითხვა, რას ნიშნავდა 1988 წლის 28 ნოემბრის ასე უცნაური კომენდანტის საათი...

ამ კითხვაზე პასუხის მოძიება „კვირის პალიტრამ" სცადა და ამ მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს, ბატონ **ჯუმბერ პატიაშვილს** დავუკავშირდით:

— ყოველთვის ვცდილობ, სიმართლე ვთქვა, თუნდაც იმიტომ, რომ არ მოხდეს ჩვენი ისტორიის იმგვარი დამახინჯება, როგორც ეს ბოლო ხანებში შეინიშნება. პასუხისმგებლობას ყველა გაურბის და ვიღაცაზე იხოცავენ ხელს.

ნოემბრის აქციებს ჰქონდა თავისი წინა პირობა — მოსკოვმა გამოაქვეყნა კონსტიტუციის ცვლილებათა პროექტი, რომელიც საბჭოთა კავშირიდან ერთა თვითგამორკვევისა და თვითგამოყოფის გაუქმებას ისახავდა მიზნად. ეს კი ნებისმიერი ქართველისთვის, მათ შორის, ჩემთვისაც მიუღებელი იყო და ამასთან დაკავშირებით აქციების დაწყებამდე გავაკეთე განცხადება. მეტიც — 21 ნოემბერს მოვიწვიეთ პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სტალინური კონსტიტუციის ეს მუხლი უცვლელად დარჩენილიყო. მერე ჩავატარეთ სესია და ტელევიზიით მთელმა საქართველომ გაიგო, რომ წინააღმდეგი ვიყავით ამ მუხლის შეცვლისა. სესიის დამთავრებისთანავე, ზუსტად ხუთ წუთში მირეკავს გორბაჩოვი და მეკითხება — რა ქენით, მიიღეთ გადაწყვეტილება? მივიღეთ. წინააღმდეგი ვართ ამ მუხლის ამოღებისა-მეთქი. ეს რაღა გადაწყვეტილებაა? კარგი, კარგი, ჩამოდიო... საოცარი ის იყო, გორბაჩოვმა უკვე იცოდა ამის შესახებ. წარმოგიდგენიათ? სესიის დამთავრებიდან ხუთი წუთის შემდეგ.

კვ. პ. — გამოდის, თქვენი კოლეგები ამას თქვენთან შეუთანხმებლად აკეთებდნენ.

ჯუმბერ პატიაშვილი: — არა მარტო ამას. უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც ამ ადგილზე ედუარდ შევარდნაძის რეკომენდაციით დაინიშნა, ერთსა და იმავე ფაქტზე მე სხვა ინფორმაციას მაწვდიდა და მოსკოვს კი სხვას. 28 ნოემბერს მოსკოვში უმაღლესი საბჭოს სესიაზე ჩასულმა გორბაჩოვი დავარწმუნე, რომ კონსტიტუციიდან ამ მუხლის ამოღება საბჭოთა კავშირის ნგრევას გამოიწვევდა. თუმცა გულახდილად უნდა ვაღიარო, ასეთ ნგრევას ნამდვილად არ მოველოდი, მაგრამ ერთა თვითგამორკვევის უფლება ხელშეუხებლად მიმაჩნდა.

გორბაჩოვმა მთხოვა, იმავე არგუმენტებით წარვმდგარიყავი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ლუკიანოვთან. ლუკიანოვი განათლებული კაცი იყო. ქართული პოეზიისა და განსაკუთრებით ტიციან ტაბიძის თაყვანისმცემელი. ამავე დროს, მთამსვლელი და ამიტომაც კარგად იცნობდა საქართველოს, მაგრამ ჩვენ მიმართ მისი სიმპათიის მიუხედავად, ვერაფერი მოვუხერხე. დარიგება დამიწყო — ჩვენ ერთიანი ქვეყანა ვართ, რომელ გამოყოფაზეა ლაპარაკი. ასე მსჯელობა როგორ შეიძლებაო. ისევ გამომიძახა გორბაჩოვმა: — რა ქენი, ლუკიანოვს მოელაპარაკეო? მე კი მოველაპარაკე, მაგრამ ის არ მომელაპარაკა-მეთქი. მაშინვე დაურეკა რაზუმოვსკის და დაავალა, შენს გამოსვლაში თქვი, რომ ამ მუხლის ამოღება პატიაშვილის ინიციატივით შეჩერდაო.

ამით გორბაჩოვმა, ასე ვთქვათ, პატივი მომაგო. მეტიც, სესიაზე გამოსვლისას პატივისცემით მოიხსენია საქართველო და ქართველები და თანადგომაც აღგვიქვა. მეორე დღეს სიტყვით უნდა გამოვსულიყავი სესიაზე. წინა ღამით კი მირეკავენ და მეუბნებიან, თბილისში კომენდანტის საათი გამოაცხადეს და ქალაქში ტანკები გამოჩნდნენო. ვურეკავ როდიონოვს, რომელიც ამ დროს მოსკოვშია და განმარტებას ვთხოვ. როდიონოვმა იუარა, ეს შეუძლებელიაო და დრო ითხოვა თბილისთან დასაკავშირებლად. მოგვიანებით კი მირეკავს და მიმტკიცებს, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბს დაუკავშირდა და ჩემი ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება. აქედან კი მეუბნებიან, რომ სიონთან არის გაჩერებული ტანკები. როდიონოვი ისევ მირეკავს და მეუბნება, ტანკებს გზა შეშლიათ და ავჭალის ნაცვლად ქალაქის ცენტრში შესულანო. დავიჯერე, რომც არ დამეჯერებინა, რა უნდა მექნა, ჯარი მოსკოვს ემორჩილებოდა.

მეორე დღეს მირეკავს შევარდნაძე და მეკითხება, რა აზრისა ხარ იმაზე, გორბაჩოვმა რომ მიმართვა გაუგზავნოს მომიტინგეებსო. რა უნდა მექნა, ხომ ვერ ვეტყოდი, ბაქოსა და ერევანში წაკითხულ მის მიმართვებს უსტვენენმეთქი. მერე თვითონ გორბაჩოვმა დამირეკა და მკითხა, რას იტყვი ამის შესახებო. ვერც მას ვეტყოდი სიმართლეს და ვუთხარი, კარგი იქნება-მეთქი(?!).

ვიცი, რომ იმ დღეს, 12 საათზე მიტინგი უნდა დაიშალოს (მათი მოთხოვნა კონსტიტუციის აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით შესრულდა), მე კი თორმეტ საათამდე სესიაზე სიტყვას არ მაძლევენ. ზუსტად თორმეტ საათზე მიტინგმა დაშლა იწყო და გორბაჩოვის მიმართვაც წაიკითხეს. ჩემთან კი იქ, კრემლის გეორგიევსკის დარბაზში, ვიღაც ქალბატონი მოდის და მეუბნება, გამოსვლისას მადლობა უნდა გადაუხადოთ გორბაჩოვს საქართველოს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვისო. არადა, ჩემი გამოსვლა ისეა აწყობილი, სამადლობელი არაფრით არ თავსდება, მაგრამ არც უარის თქმა შეიძლება და როგორღაც ჩავურთე.

ასე დასრულდა გორბაჩოვის ქართველი ხალხისადმი მიმართვის ისტორია. მიმართვა კი თბილისში დაიწერა მოსკოვის კარნახით. იმან, ვინც კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის შეცვლის იდეა შეიტანა, კარგად იცოდა, რომ ამას მხარს არავინ დაუჭერდა, მაგრამ არც პატიაშვილის „გაქაჩვა" აძლევდათ ხელს. გორბაჩოვის მიმართვა გამოიგონეს და ისე გამოვიდა, თითქოს თბილისში მიმდინარე მიტინგი ამის შემდეგ დაიშალა.

სესიის შემდეგ გორბაჩოვი მოვიხელთე და ვუთხარი, თბილისში უჩემოდ რაღაცები ხდება, ვიღაც კომენდანტის საათს აცხადებს. ქალაქის ცენტრში კი ტანკები დადიან, რაშია საქმე-მეთქი (ამას ახლა პირველად ვამბობ). გორბაჩოვმა მაშინვე გამოიძახა სამხრეთის მიმართულების ჯარების სარდალი, საბჭოთა კავშირის გმირი ზაიცევი, მაგრამ ადგილზე არ აღმოჩნდა. ორი თვის შემდეგ სულ სხვა საქმეზე ჩასული, გორბაჩოვის მისაღებში ვდგავართ მე და ჩემი კოლეგები. უცებ შემოდის ზაიცევი, ცივად გვესალმება და დაუკითხავად შედის გორბაჩოვის კაბინეტში. ცოტა არ იყოს, არ მესიამოვნა. ბოლოს და ბოლოს, რიგითაც და რანგითაც პირველს მეკუთვნოდა შესვლა. ცოტა ხანში ზაიცევი უკან ბრუნდება, მაგრამ ახლა უფრო ცივი და ამასთან ნაღვლიანი გამოხედვა აქვს.

— იცანი ეგ კაცი? — მეკითხება გორბაჩოვი.

— ვიცანი, მიხეილ სერგის ძევ.

— ამ წუთიდან ის აღარაა სამხრეთის მიმართულების ჯარების სარდალი, გადავაყენე... — თუმცა ჩემთვის უცნობი დარჩა, რა საუბარი იყო მათ შორის.

— ე. ი. თბილისური მანევრების წამომწყები ზაიცევია?

— დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით.

კვ. პ. — საოცარია, იმპერიის პირველი პირი ასე თუ ისე კეთილგანწყობილია ჩვენი რესპუბლიკის მიმართ და უცებ ცხრა აპრილი გვატყდება თავს.

ჯუმბერ პატიაშვილი: — აპრილის აქციის ძირითადი მოთხოვნა იყო აფხაზეთში ქართველთა საწინააღმდეგო დანაშაულებრივი ქმედებების აღმოფხვრა. 6 აპრილს სოხუმში ჩავფრინდი და იქაური ცეკას მდივანი ადლეიბა გადავაყენე. უცნაურია, მაგრამ ამაში აფხაზებმაც კი დამიჭირეს მხარი. მათ შორის შინკუბამაც. მეგონა, მომიტინგეები დაიშლებოდნენ. მით უმეტეს, რომ მოლაპარაკებული ვიყავი, იმ დღეებში ბაკურიანში ზამთრის ოლიმპიადის ჩატარების საკითხი ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო. დამტკიცდა ხარჯთაღრიცხვაც — მილიარდ შვიდასორმოცდაათი მილიონი მანეთი. ყოველივე ამაში სამარანჩის ბასკური წარმოშობაც დაგვეხმარა. ის შედარებით ადვილად დაგვთანხმდა ბაკურიანზე. საკავშირო სპორტის მინისტრი გრომოვიც გამოგზავნა გორბაჩოვმა, მაგრამ...

7 აპრილს აქტივის კრებაზე შესვლის წინ საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრმა იაზოვმა დამირეკა და მითხრა, რომ თხუთმეტ წუთში ჩემთან იქნებოდა მისი პირველი მოადგილე, მანამდე კი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი, ჯერ კიდევ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის წევრი კოჩეტოვი. ცოტა კი შევცბი ასე მოულოდნელი ვიზიტების გამო, მაგრამ რას ვიზამდი. ზუსტად თხუთმეტ წუთში შემოდიან კოჩეტოვი და როდიონოვი. ვეკითხები, რაშია-მეთქი საქმე და მპასუხობენ, რომ კოჩეტოვი ერევანში იყო სამსახურებრივი მივლინებით და გადაწყვიტეს, ჩვენთანაც გამოევლოთ. მითხრეს, ვნახეთ მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მიტინგი, სადაც ორასამდე ახალგაზრდაა შეკრებილი და საგანგაშოც არაფერი ხდებაო. როდიონოვს ისედაც ევალებოდა აქტივზე დასწრება. კოჩეტოვს მარტო ხომ არ დავტოვებდით, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ ჩვენი ცკ-ის წევრი იყო და ნეტავ გენახათ, მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და რა ტაში დასცხეს ორი მაღალჩინოსანი სამხედროს გამოჩენაზე. არადა, დარბაზში ოთხასი კაცი იჯდა. ბევრი ითხოვდა სამხედრო ძალის გამოყენებას — სხვაგვარად არ გაჩერდებიანო.

აქციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გეგმა ნუგზარ ფოფხაძემ წაიკითხა. იქ სხვა პუნქტებთან ერთად იყო ასეთიც — Изолировать руководителей акции. — ამის წაკითხვისთანავე ტაშით დაინგრა დარბაზი. ერთადერთი კაცი, რომელმაც პროტესტი გამოთქვა და რომელთანაც მე დიდ მეგობრობას ვერ დამწამებენ, ჯანსუღ ჩარკვიანი იყო — თქვენ ამ უმსგავსობას ახლა უკრავთ ტაშს. ბოლოს კი პასუხს ამ კაცს მოსთხოვენო და ასეც მოხდა... მაგრამ ახლა სხვა რამეს გეტყვით: ამ ტექსტის წაკითხვა და მიტინგის ორგანიზატორების გაქრობა ერთი იყო.

კვ. პ. — ბატონო ჯუმბერ, მე იმ კრების მხოლოდ ფრაგმენტები მაქვს ნანახი. ერთგან აშკარად გაგულისებული ნუგზარ ფოფხაძე პრინციპულად აცხადებს, რომ — Нельзя пустыми руками бороться с противниками советской власти. მოგვიანებით მან ეს სიტყვები უარყო და ამას მონტაჟი დაარქვა, თქვენ რას იტყვით?

ჯუმბერ პატიაშვილი: — არავითარი მონტაჟი არ ყოფილა...

კვ. პ. — ძალიან მიმძიმს თქვენთვის ამ კითხვის დასმა, მაგრამ რაკი 9 აპრილს მივადექით, იქნებ რაიმე ისეთი გაიხსენოთ, რაც ჯერ არ გითქვამთ.

— ბევრ რამეზე ჯერ კიდევ ვიკავებ თავს. არ მინდა რამე ცალმხრივად ნათქვამი გამომივიდეს. პირადად უნდა შევხვდე შევარდნაძეს და საზოგადოების თვალწინ ვკითხო, იცოდა თუ არა წინასწარ ამ ტრაგედიის შესახებ. მისი განცხადებები — არც პირადად, არც მოსკოვმა ამის შესახებ არაფერი იცოდაო, იქნებ რომელიმე მიამიტმა ბავშვმა დაიჯეროს, მაგრამ ამას როგორ დაიჯერებს ჭკუათმყოფელი. და კიდევ — მაინტერესებს, საქართველო რომ თავის ბიძაშვილებსა და ფავორიტებს დაუნაწილა, რას ეუბნება იგი მომავალ თაობებს? იმ ახალგაზრდებს, ახლა მისი მიზეზით საზღვარგარეთ რომ გაიხიზნენ, რა დახვდებათ აქ დაბრუნების შემდეგ.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

„პეჟოსგან" თანამშრომლობის შემოთავაზება ბოროტი ხუმრობა მეგონა

ფრანგულმა საავტომობილო კომპანია „პეჟომ" სერიულ წარმოებაში ჩაუშვა ქართველი **ზვიად ციკოლიას** დიზაინით დამზადებული ახალი „პეჟო". ამ სენსაციური და სასიამოვნო სიახლის შესახებ ახალი „პეჟოს" ავტორი გვიამბობს:

— **ზვიად, რამდენადაც ვიცი, პირველად ჩაუშვეს თქვენი დიზაინით შექმნილი ავტომობილი სერიულ წარმოებაში.**

— აქამდე ექსკლუზიური მანქანების, „ბუგატის", „ბენტლისა" და „როლს-როისის" პროექტებზე ვმუშაობდი, რომლებსაც კერძო პირებისა და სტუდიების დაკვეთით ვამზადებდი. „პეჟო" ჯერჯერობით ერთადერთი კომპანიაა, რომელმაც ჩემ მიერ შექმნილი მანქანა სერიულ წარმოებაში გაუშვა. ინიციატივა მათგან მოდიოდა, ინტერნეტში ჩემი საიტი უნახავთ და ელექტრონული ფოსტით დამიკავშირდნენ. ეს ძალიან მოულოდნელი იყო, ამასთან დაკავშირებით კურიოზული სიტუაციაც კი შეიქმნა — იმ დღეს ორი წერილი მოვიდა... სხვათა შორის, უცხოელებს ჰგონიათ, რომ მე აქ მსოფლიო დონის დიზაინ-სტუდია მაქვს, ამიტომაც ბევრი მიგზავნის თავის ნამუშევრებს და სამუშაოდ აყვანას მთხოვენ. იმ ორი წერილიდან ერთი არაბი ბიჭისა იყო. სამუშაოზე აყვანას მთხოვდა. ვუპასუხე, ვაკანსია არა მაქვს-მეთქი და გავხსენი მეორე, „პეჟოს" წერილი, რომელიც საკმაოდ ზედაპირულად წავიკითხე. „პეჟოს" სტილცენტრიდან მწერდნენ: თქვენი მოდელები მოგვწონს, გვინდა ვითანამშრომლოთო. მეგონა, ვიღაც ბოროტად მეხუმრებოდა, მაგრამ მერე გადავამოწმე მისამართები და დავრწმუნდი, რომ სერიოზული საქმე იყო. დავუკავშირდი და პარიზში მიმიწვიეს. ჩემმა მეგობარმა, „ტოიოტას" მთავარმა დიზაინერმა ვლადიმირ პიროჟკოვმა მირჩია, გზის ხარჯებსა და ყველა ნიუანსზე წინასწარ მოელაპარაკეო... „პეჟოდან" მიპასუხეს — თქვენთვის „პეჟო 1007"-ის დიზაინის შეკვეთა გვინდა და გასამრჯელოში ყველა ხარჯი გათვალისწინებული იქნებაო. ამის შემდეგ გავაფორმეთ კონტრაქტი, მივიღე დავალება და თბილისში დავბრუნდი. პროექტის მოსამზადებლად ერთი თვე მომცეს.

— **გაგიჭირდათ მოდელის მომზადება?**

— რამდენიმე პროექტი გავაკეთე, ვცდილობდი, მსოფლიო სტანდარტებით მეხელმძღვანელა, მაგრამ ის არ გამომდიოდა, რაც მინდოდა. საბოლოო სახის პროექტი, ფაქტობრივად, ბოლო ერთ კვირაში გავაკეთე. ღამეებს კომპიუტერთან ვათენებდი. მალე „პეჟოს" დიზაინ-სტუდიიდან დამირეკა ვიღაც პაუხისმგებელმა პირმა, რომელმაც მითხრა: მადლობელი ვარ, რომ ჩემთვის სასურველი დიზაინის მანქანა შეჰქმენიო. ამის მერე კიდევ ერთი შეკვეთა მომცეს. მომავალ წელს ახალი „პეჟო 307" რომ გამოვა, მას ჩემი დიზაინით შესრულებული ინტერიერი ექნება.

— **მაინც როგორ აკეთებთ მოდელებს?**

ზვიად ციკოლია

— დღემდე მაგაზე ვფიქრობ და ვერ გამიგია, რა ხდება. ვჯდები სამუშაოდ და ხელი თავისით დადის, მერე ტვინიც ერთვება საქმეში და რაღაც გამოდის (ეცინება).

— **თვითონ რა მანქანით დადიხართ?**

— „მინიკუპერით", ეს ჩემი პირველი მანქანაა. თავიდან სხვა მანქანის ყიდვა მინდოდა, მაგრამ შემთხვევით განცხადებას წავაწყდი და ჩემი ბავშვობის ოცნებაც ავისრულე. „მინი" „პეჟოს" ჰონორარით ვიყიდე და რაღაც მცირედიც დამრჩა. სიმართლე გითხრათ, „პეჟოს" დაკვეთას რომ ვასრულებდი, უფრო მუშაობა მიხაროდა და ფული ნაკლებად მაინტერესებდა. არადა, ამ საქმით მილიონები ნამდვილად არ

პეჟო 1007

კეთდება. დაუჯერებელია, მაგრამ ევროპაში ბევრ დიზაინერს 3.500-5.000 ევრო აქვს ხელფასი. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი შემოთავაზება მაქვს, უარს ვამბობ ევროპაში გადასვლაზე.

— **„პეჟო" მანქანას არ გჩუქნით?**

— პირველი შეხვედრისას მითხრეს, ყველაფერი იქნება, მთავარია შენ არ იჩქარო და თანდათან დიდ პროექტებს მოგცემთო. მეც სად მეჩქარება?!

— **თქვენი დიზაინით შექმნილი ექსკლუზიური ლიმუზინი მართლაც ულამაზესია, ვინ დაგიკვეთათ?**

— ერთმა მდიდარმა ინგლისელმა. ერთი დაშლილი მანქანის სურათი გამომიგზავნა და შემომითვალა, — თუ შეგიძლია, ორიგინალური

მდიდარი ინგლისელის ლიმუზინის ციკოლიასეული დიზაინი

ცხვირი გაუკეთეო. ფოტოზე დავახატე ცხვირი და უკანვე გავუგზავნე. რამდენიმე დღის წინ უკვე დამზადებული მანქანის ფოტო მომივიდა.

— **როგორ ფიქრობთ, მალე შევძლებთ საქართველოში მსგავსი მანქანის შექმნას?**

— ჯერჯერობით მარტო ოცნებებში. ეს ლიმუზინი ინდოეთში დაამზადეს. აი, ეს „ბუგატიც" კერძო შეკვეთაა, მომავალი წლის მარტში ჟენევის ავტოსალონზე წარდგება. 2001 წელს ვლადიმირ პიროჟკოვმა „ბუგატის" კონკურსში მონაწილეობა შემომთავაზა. მართლაც მივიღე მონაწილეობა შესარჩევ ტურში. ახალი წელი ახლოვდებოდა. ცხადია, სადღესასწაულოდ ფული მჭირდებოდა, მაშინ „პეჟოს" დაკვეთაზეც ვმუშაობდი, მაგრამ ფულს იმ დროისთვის რომ ვერ მივიღებდი, ვიცოდი. ჩემს ცოლს ვუთხარი, ახლა „ბუგატის" კონკურსშიც მივიღებ მონაწილეობას, სამეულში აუცილებლად გავალ და ფულიც გვექნება-მეთქი. მალევე დამირეკეს — პირველი ადგილი აიღეო. ახალ წელს ვალით შევხვდი, მაგრამ ჩემი ვალი „ბუგატის" ჰქონდა...

— **„პეჟო" თქვენი დიზაინით სახანძრო მსუბუქი ავტომობილების გამოშვებასაც აპირებს?**

— როცა დაკვეთა მომცეს, ორი პროექტი გავაგზავნე. პირველი ისაა, რომელიც უკვე წარმოებაში ჩაეშვა. მეორეს — „პიკაპს" სახანძრო ავზი დაადგეს და მგონი, ამ მოდელმაც გაამართლა.

— **რაზე უფრო მოგწონთ მუშაობა, ექსტერიერზე თუ ინტერიერზე?**

— ექსტერიერს ვამჯობინებ, თუმცა, ინტერიერზეც სიამოვნებით ვმუშაობ.

— **ქართველები თუ დაინტერესებულან თქვენი საქმიანობით?**

— 1997 წელს ავტოსალონში რომ „ბუგატი" მქონდა, მერიიდან დამირეკეს. მაგრამ ისე შემხვდნენ, თითქოს მე ვთხოვე მიწვევა... ალბათ ხვდებით, რომ იმ ხალხთან საქმე აღარ დამიჭირია. მას მერეც იყო არასერიოზული შემოთავაზებები...

— **მანქანათწარმოებას საქართველოში სკეპტიკურად უყურებთ?**

— საქართველოში არიან დიზაინერები, მოაზროვნე ხალხი. ბევრს აქვს კონკრეტული საკითხის თავისებურად, ორიგინალურად გადაწყვეტის ნიჭი. მაგრამ აქ ენთუზიაზმზე და იდეების დონეზე უნდათ, რომ საქმე დაიწყონ. კონკურენტუნარიანი პროდუქცია რომ დაამზადონ, ამის ელემენტარული ცოდნაც კი არ გააჩნიათ. არც ტექნოლოგიებს და არც სხვა ნიუანსებს ფლობენ. ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ვიყავი. იქ ვნახე ხალხი, ვისაც ისეთი მაღალი ტექნოლოგიის, თუნდაც კბილანის გამოშვება შეუძლია, რომლის მსგავსს მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ვერ ნახავ. დანადგარებიც აქვთ, რომელთაც საქმის მცოდნე სპეციალისტი შესანიშნავად გამოიყენებს. ეგ ქარხანა რომ გაათანამედროვონ და სპეციალისტების მომზადებაში ინვესტიცია ჩადონ, წარმატებული საქმე გამოვა...

— **როგორ ფიქრობთ, ავტომობილი ყველაზე კარგი სატრანსპორტო საშუალებაა?**

— (სიცილით) არა, ველოსიპედი ჯობია. ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, თანაც საწვავი არ სჭირდება.

ეკა ლომიძე

სახსრები მტკივათ? – მიიღეთ „მუვ ფრი"

თქვენი სახსრები მგრძნობიარე გახდა ამინდის ცვალებადობის მიმართ? სახსრების ტკივილი ხელს გიშლით მოძრაობაში, მუშაობასა და დასვენებაში? მოძრაობისას გესმით სახსრების ხრაშუნი? გიჭირთ იმასთან შეგუება, რომ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ თავისუფლად შეგეძლოთ ლიფტის გარეშე მაღალ სართულზე ასვლა. ახლა კი სამუშაო ადგილიდან ზედმეტად ადგომაც გიჭირთ, რომ აღარაფერი ვთქვათ, სახლის დალაგებაზე. ეს ყოველივე სრულ კოშმარს ემსგავსება. თუმცა ყველაფერი არც ისე საშინლადაა. თუ საჭირო ზომებს დროულად მივიღებთ, შესაძლოა წარმატებულადაც შევებრძოლოთ ოსტეოართროზს.

„წლების განმავლობაში მტანჯავდა ოსტეოქონდროზი: მიჭირდა მოძრაობა, მტკიოდა სახსრები, განკურნების ძიებაში არაერთ ექიმს მივაშურე... მივიღე ბევრი სხვადასხვა ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო და სხვა პრეპარატი, რომლებიც ტკივილს დროებით მიყუჩებდა, ხოლო შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. იმედი თითქმის გადამეწურა, მაგრამ ერთ დღეს ტელევიზიით ვნახე „მუვ ფრის" რეკლამა და გადავწყვიტე, ესეც მეცადა. თქვენ წარმოიდგინეთ, იმედმა არ გამიმტყუნა. დაახლოებით 2-3 კვირის შემდეგ ტკივილმა ნელ-ნელა იკლო, ხოლო მიღწეული დადებითი შედეგები პრეპარატის განმეორებითი მიღების ფონზე უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა.

მიმდინარე წლის აპრილის თვიდან ჩავიტარე „მუვ ფრი"-თი მკურნალობის ერთი კურსი. ამჟამად პრეპარატს აღარ ვღებულობ, თავს ვგრძნობ დამაკმაყოფილებლად და დამატებით აღარ მჭირდება ტკივილგამაყუჩებლების მიღება".

ჭიაბრიშვილი მერი, 54 წლის.

„რამდენიმე წელია მაწუხებს ოსტეოართროზი, სპონდილოართროზი, მქონდა ძლიერი ტკივილები ხერხემლის, წელის არეში. ბოლო თვეების განმავლობაში ტკივილებმა იწყო რთულებით. გამიჭირდა მოძრაობა, უბრალო სატელევიზიო რეკლამის ნახვის შემდეგ მიექიმებს. მათ დამინიშნეს „მუვ ფრი" და „სუნალობის კურსის ჩატარების შემდეგ თავი ვიგავრცელება ფეხის მიმაგადაადგილებაც კი. ვაკითხე „ჯეოვიტის" პერ B-კომპლექსი". მკურგრძენი დამაკმაყოფილებლად, ტკივილი თანდათან შემცირდა, მოძრაობა უფრო თამამი გახდა. მადლობა მათ, „ჯეოვიტის" სპეციალისტებს, მათი დახმარებით ახლა თავისუფლად შემიძლია სიარული".

გრიგოლია ნანი, 65 წლის

ოსტეოართროზი?

„მუვ ფრი" – თქვენი სახსრების ჯანმრთელობის საფუძველია

- აქვს ხანგრძლივი ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო ეფექტი. არ გააჩნია გვერდითი ეფექტები.
- აღადგენს დაზიანებულ ხრტილოვან ქსოვილს და ხელს შეუწყობს სინოვიალური სითხის გამომუშავებას.
- შეგინარჩუნებთ მოძრაობის სიფართესა და სახსრების ფუნქციონალურ მდგომარეობას.

„მუვ ფრი", როგორც ქონდროპროტექტორი, ოსტეოართროზის მკურნალობაში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა. ართრიტის ფონდი რეკომენდაციას უწევს ბიოპრეპარატს „მუვ ფრის" ოსტეოართროზის ყველა ფორმის მკურნალობისთვის.

სიახლე – „მუვ ფრი" ახლა უკვე სამმაგი ეფექტით.

„მუვ ფრის" ხარისხის სისტემა სერტიფიცირებულია MP-ის საერთაშორისო სტანდარტით.

პრეპარატმა **„მუვ ფრიმ"** აქტიური ცხოვრება დაუბრუნა არა მარტო ამ წერილების ავტორებს, არამედ სახსრების დაავადებებით შეწუხებულ და ტრავმაგადატანილ მრავალ ადამიანს (მათ შორის სპორტულიც).

„მუვ ფრის" კომპონენტების დადებითი მოქმედება შემოწმებული და დადასტურებულია; ევროპისა და ამერიკის წამყვან კლინიკებში თავად ართრიტის ფონდის მიერ ჩატარებულმა კლინიკურმა ტესტირებებმა გვიჩვენა, რომ **„მუვ ფრის"** აქტიური ინგრედიენტები:

ქონდროიტინის სულფატი – სულფატირებულ გლიკოზამინგლიკანს გამოხატული ანთების საწინააღმდეგო უნარი აქვს; ანთების უჯრედოვანი კომპონენტებისა და ხრტილის დამანგრეველი ფერმენტების ინჰიბიციის ხარჯზე; გარდა ამისა, წყლის მოლეკულების შეერთების უნარით ხელს უწყობს ხრტილის ქსოვილის ელასტიკურობისა და მთლიანობის შენარჩუნებას. ამ ფონზე ქონდროიტისულფატი უაზრუნველყოფს ტკივილის სინდრომის გამოხატულ შემცირებასა და სახსრის ფუნქციონალური მდგომარეობის შენარჩუნებას.

– გლუკოზამინების კომპლექსი – გლუკოზამინ ჰიდროქლორიდი, N-acetat-D-გლუკოზამინი და გლუკოზამინ სულფატი აქტიურად არეგულირებს ხრტილოვანი უჯრედების სინთეზს, სრულად ფარავს ორგანიზმში გლუკოზამინის დეფიციტს და ხელს უწყობს ძვლის ქსოვილში კალციუმის ნორმალურ „ჩალაგებას".

ამ კომპონენტების გაერთიანებამ განსაზღვრული თანაფარდობით **„მუვ ფრის"** ერთ ფორმულაში, მართლაც, განსაცვიფრებელი წარმატებების მიღწევის საშუალება მოგვცა. ამერიკის ართრიტის ფონდმა მისი ეფექტურობა, პაციენტების მდგომარეობის მიხედვით, უკვე სათანადოდაც შეაფასა!

„მუვ ფრი" მაღალი უსაფრთხოებით გამოირჩევა და შესანიშნავად უთავსდება მკურნალობის სხვა მეთოდებსაც. მის შემადგენლობაში შედის მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ნატურალური კომპონენტები, რომლებიც GMP-ის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობს.

„ჯეოვიტი" – თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!

ჯეოვიტი
GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ"-ის ოფიციალური დისტრიბუტორი
საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი"
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს, ჩვენი მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით, ვულოცავთ ანგელოზის დღეს!

2 ივლისი – ილიაობაა

არსებობს ილია ჭავჭავაძის ერთი სურათი. იგი თბილისის რომელიღაც ქუჩაში დგას და ხელის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით ვიღაცას უხმობს... „მე ასე მგონია, თითქოს ის ჩვენს თაობას უხმობს“, — წერდა გერონტი ქიქოძე.

ჩვენს თაობასაც ასე ჰგონია...

ამ წერილისათვის, რომლის ნაწყვეტსაც გთავაზობთ, თარილი რომ არ დაესვათ, დღეს დაწერილი ეგონებოდა მკითხველს... თუმცა, თავად განსაჯეთ.

„მონასტერი ქართველებისა ქართველთ დაუბრუნდეს!..“

„საქართველო, როცა კი მოიცლიდა ხოლმე გარეშე მტერთა ზედმოსევისა და მოგერიებისაგან, მაშინვე შეუდგებოდა ხოლმე ქრისტეს ალსარების გამტკიცების და გაძლიერების საქმესა. როცა-კი ქვეყნის მდგომარეობა ნებას აძლევდა, ქართველნი, ცნობილნი სულიერის მოღვაწეობითა და აღტყინებულნი ღვთის მოსაობით და სარწმუნოების გრძნობითა, გამოდიოდნენ გამავრცელებლად და მოსარჩლედ მართლმადიდებლის სარწმუნოებისა აღმოსავლეთში: მცირე აზია, სირია და თვითონ ბალკანიის ნახევარკუნძული თვისდა ახლო მახლო კუნძულებითა დღესაც ჰმოწმობენ ქართველთა მოღვაწეობას სარწმუნოებისათვის.

საქართველოს მეფენი, ჰგრძნობდნენ რა სიდიადეს წმიდათა მამათა მოღვაწეობისას საქართველოს გარეთ, არა ჰზოგავდნენ არა სახსარს, რომ ქონებით ულონობა და ნაკლებულობა არა ჰქონოდათ მონასტრებსა და ეკლესიებს ქართველებისას. ამიტომაც ყველაზედ უხვად შემწირველნი მეფენი იყვნენ. დიდძალი მამულები შეჰწირეს, დიდძალი ყმები, რომ ამ გზით წყარო ცხოვრებისა შეუწყვეტელი ყოფილიყო ქართველთა მოღვაწეთათვის საქართველოს გარეთ სადიდებლად და გასაძლიერებლად ქრისტეს სარწმუნოებისა.

იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის სიგელ-გუჯარი, გამოცემული 1706 წელს ივლისის თვესა, ამტკიცებს, რომ მაშინ იერუსალიმს ქართველთა ჰქონიათ ექვსი მონასტერი: წმ. ჯვარისა, წმ. ნიკოლოზისა, წმიდათა თეოდორეთა, წმ. ბასილისა, წმ. ანასი და წმ. გიორგისა. იმ ხანებში, როცა ზემოხსენებული გუჯარი გამოჰსცა პატრიარქმა დოსითეოსმა, საქართველო დაუძლურებული იყო შინაურ და გარეულ მტერთაგან და ხელი შველისა და მფარველობისა ვეღარ მიეწვდინა ამ მონასტრებისთვის. რადგანაც ამ საუბედურო გარემოების გამო იქაურ ქართველთა იმედი მოესპოთ შველისა და მფარველობისა საქართველოდამ და შური და მტრობა ოსმალთა მეტად აწუხებდათ, ერთი სახსარიღა დარჩათ, რომ მონასტრები არ გაუქმებულიყო და როგორმე შეერჩინათ, ვიდრე უკეთესი დღე დაუდგებოდათ, აიღეს და იგი მონასტრები ჩააბარეს თანამორწმუნეთა თვისთა ბერძნებსა საპატრონებლად, მათვე გარდასცეს ყოველი მამული და მამულების შემოსავალი, რაც-კი რამ ქართველთაგან შეწირული იყო გუჯრებითა, ხოლო იმ პირობით კი, რომ როცა უკეთესი დრო დაუბრუნდებოდათ ქართველთა, ყოველივე ეს უკანვე ჩაებარებინათ შეწყვეტილის მოღვაწეობის განსაგრძობად.

ზემოხსენებულ პატრიარქის დოსითეოსის გუჯარში აღწერილია მიზეზი, რის გამოც ქართველთა გამგეობა მიულია ბერძენთა სამღვდელოებასა და სხვათა შორის აი, რა სწერია:

„ხოლო ოდეს ღმერთი ინებებს და ივერიიდამ მოვა წინა-მძღვარი (იღუმენი), მაშინ იმან უნდა ჩაიბაროს და თვის გამგეობის ქვეშ მიიღოს ყველა მონასტრები უწინდელები“.

წინათ დანახულია გუჯარში ის გარემოებაც, რომ შესაძლოა ჩამოვარდეს ლაპარაკი იმ შემოსავალ-გასავლის ანგარიშის გასწორებაზედაც, რომელიც ექმნებოდათ მონასტრებს, ვიდრე იგინი ბერძნების სამღვდელოების ხელში იქმნებოდნენ განსაგებელად და საპატრონებლად. ამ საგანზედ აი, რა არის თქმული გუჯარში:

„არცა ჩვენ თვითონ, არცა ჩვენნი შემდგომნი წმიდანი პატრიარქნი წმ. იერუსალიმისანი, არც წმინდა მამანი და მთავარნი ყოვლად უწმინდაესის საფლავისა ვერ მოვითხოვთ ივერიელთაგან ფულს, ვერც ბევრს და ვერც ცოტას, არც იმის სამაგიეროს, რაც ჩვენ მიგვიცია ვალებსა და სარგებელში, არც მის სამაგიეროს, რაც ჩვენ შეგვიწირავს მონასტრების განახლებისთვის, რაც ჩვენ დაგვხარჯვია ფირმანებსა, ჰატი-შერიფებსა და სხვა სახარჯოსა რაზედმე: ხოლო იყვნენღა იგი მონასტრები თავისუფალნი ყოველგვარის დავისა, ვალისა და შეწუხებისგან და იქმნენ-ღა ქრისტეს მოყვარე ივერიელნი მათთა ჭეშმარიტ და სრულ პატრონადა“.

დღეს, როცა საქართველო ძლიერის ხელმწიფის მფარველობის ქვეშ არის, ქართველთა მოღვაწეთა, რომელნიც დღეს საქართველოს გარეთ არიან და კარის ღვთისმშობლის მონასტერი ააშენეს ათონის მთაზედ, დიდი იმედი და სასოება მიეცათ ქართველთა მონასტრების უკანვე დაბრუნებისა.

იგი განზრახვა, რომლის გამოც ხსენებული ექვსი მონასტერი ქართველებისა იერუსალიმში ჩაჰბარდა ბერძენთა სამღვდელოებას, რათა დრომდე უპატრონონ და მისი ქონება შეინახონ ხელუხლებლად მერმისისათვის, — იგი განზრახვაო, ამბობენ ათონის ბერმონოზანნი ქართველნი, დღეს, სწორედ დღეს ითხოვს, მონასტრები ქართველებისა ისევ ქართველთ დაუბრუნდეს თავის მამულებითაო, თორემ საფიქრებელია, რომ მონასტრებიც დაგვეკარგება და მათი კუთვნილი მამულებიცაო.

ეს შიში უსაბუთო არ არის...“

1886წ.

მოამზადა მანანა ჯანელიძემ

რას გვეცდვი, მამაო?

— მამაჩემი კომუნისტი იყო და ბუნებრივია, კომუნისტურ იდეოლოგიას იზიარებდა, რომელიც უფალს უარყოფდა. მინდა ეს ცოდვა მას შეენდოს და მისი სულისათვის ვილოცო, მაგრამ არ ვიცი მონათლული იყო თუ არა.

— თუ თქვენ ხანდაზმულ ნათესავებში ვერ დაადგინეთ, მამათქვენი მონათლული იყო თუ არა, რჩევისათვის მიმართეთ საქართველოს საპატრიარქოს ქორეპისკოპოსს. ის რჩევას მოგცემთ, როგორ მოიქცეთ. ზოგადად კი, ჩვენ შეგვიძლია გითხრათ, რომ მოუნათლავი ადამიანის სახელზე საეკლესიო მსახურება ვერ შესრულდება. მხოლოდ პირად, საკუთარი გულიდან წარმოთქმულ ლოცვაში შეგიძლიათ მოიხსენიოთ. ამით შეიმსუბუქებთ წუხილს გარდაცვლილი მამის სულის გამო.

— ვერაფრით ავაწყვე ოჯახური ცხოვრება. ისეთი პირობები შემექმნა, რომ მეუღლესთან გაჩერება არ შემიძლია, თუმცა ჯვარდაწერილები ვართ. როგორ მოვიქცე?

— ასეთ შემთხვევაში ეკლესია მხოლოდ აფრთხილებს ადამიანებს და ახსენებს იმ ვალდებულებას, რაც ჯვრისწერისას აიღეს... ეს ორი ადამიანის ერთსულ და ერთხორც ყოფნა და ღვთის და ერთმანეთის სიყვარული იყო... მაგრამ ადამიანი უძლურია, ზოგჯერ მისი ბუნება ვერ უძლებს მოვალეობების ტვირთს და ორი ადამიანის ერთად ცხოვრება შეუძლებელი ხდება. ხშირად იძულებით ერთად ცხოვრებას ბოროტებაც მოჰყვება და ასეთ შემთხვევაში, თუმცა არ ემხრობა, ღვთისგან ნაკურთხი გვირგვინის ახსნას, ეკლესია მაინც ირჩევს, დათანხმდეს ჯვრის ახსნას, რათა უფრო დიდი ბოროტება აიცილოს თავიდან. ჯვრის ახსნის დროს მეუღლეებმა უნდა მიმართონ იმ ეპარქიის მღვდელმთავარს, სადაც ცხოვრობენ.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.

მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.

კატასტროფის პირას მისული ქართული ფრესკები სასწრაფოდ შველას ითხოვენ

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

აი, დაზიანებული ხატების ამსახველი ფოტოსურათებიც (ნინო კიტოვანი ამჯერად ქუთაისის მუზეუმში ხატების მდგომარეობის ამსახველ ფოტოსურათებს მაჩვენებს. აშკარად ჩანს ფოტოებზე, რა მძიმე დღეშია ხატები. — ზ.ჩ.).

— საქართველოს ეკლესია-მონასტრებში არსებული მხატვრობა რა მდგომარეობაშია?

— ტაძრების და ეკლესია-მონასტრების კედლებზე არსებული ფრესკებიც მძიმე მდგომარეობაშია. განსხვავება ის არის, რომ ზოგიერთში სავსებით ჩამოშლილია კედლის მოხატულობა, ზოგში კი შეიძლება ცოტა ხანს კიდევ გაძლოს. აქაც მხატვრობის განადგურების მიზეზი კედლების დანესტიანებაა, რაც ხშირად წინა წლების რემონტების დროს დაშვებული შეცდომების შედეგია. აი, დააკვირდით ამ ფოტოს, ეს მარტვილის ღვთისმშობლის ეკლესიაშია გადაღებული. ხედავთ, ფრესკა სოკოს როგორ აქვს შეჭმული? ცაიშის ეკლესიის მხატვრობაც საცაა განადგურდება. ყოველდღე მოსალოდნელია ეკლესიის უნიკალური მხატვრობის ერთიანად ჩამოშლა. ტიმოთესუბნის უნიკალურ ფრესკებზე თითქმის მოდებულია სოკო და მარილი. მაქსიმუმ ათ წელიწადში ცარიელი კედლები დარჩება ეკლესიაში.

საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ინსპექციის უფროსმა **ბაადურ კუპრეიშვილმაც** შოთა რუსთაველის ფრესკის განადგურების ფაქტით დაიწყო ჩვენთან საუბარი: „შოთა რუსთაველის ფრესკის განადგურება იყო გამიზნული ბოროტება და შეგნებულად ჩადენილი დანაშაული. მან იცოდა, რასაც აკეთებდა. ფრესკის აღდგენა შეუძლებელია — არა მარტო ფერები, ნახატის შემდგომი შრეებიც განადგურებულია. ფოტომასალით აღდგენილი ფრესკა ის სიწმინდე აღარ იქნება. უცხოელები ამაოდ გვამშვიდებენ, როცა გვეუბნებიან, ფრესკის აღდგენა შეიძლებაო...

კატასტროფულ მდგომარეობაშია საქართველოს ისტორიულ ძეგლებში არსებული მხატვრობაც. აუცილებლად უნდა ჩატარდეს მონიტორინგი და დაიწყოს ფრესკების შენარჩუნებისათვის ბრძოლა. საქართველოში ბევრი ახალი ეკლესია აშენდა ქველმოქმედი ბიზნესმენების შემწეობით, მაგრამ ძველის შენარჩუნებაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ? საგადასახადო კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილება და ეკლესია-მონასტრების შეკეთებისთვის გაწეული ხარჯები დაბეგვრისგან გათავისუფლდეს. რომელიმე ქველმოქმედმა ძველი ეკლესიის შესაკეთებლად და სარესტავრაციოდ ოცი ლარი რომ გაიღოს, დაბეგვრის შემდეგ მხოლოდ ცხრა ლარი მოხმარდება რესტავრაციას. ახალი ეკლესიის აშენება კი სავსებით გათავისუფლებულია გადასახადებისაგან. აბსურდული კანონია.“

სტატიაზე მუშაობისას არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართული ფრესკის“ ხელმძღვანელმა, **გიორგი ბერძენიშვილმა** მაცნობა: „რამდენიმე დღის წინ გელათში მყავდა ტურისტული ჯგუფი. იქ შევიტყვე, რომ გელათის ღვთისმშობლის მოზაიკიდან ისევ დაწყებულა კენჭების ცვენა. უდროობის გამო ინფორმაცია ვერ დავაზუსტე. იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ“.

რამდენიმე ეკლესია-მონასტრის მოვლას მართლაც ვაპირებდი. გელათში რამდენიმე წელია არ ვყოფილვარ. ცდუნება დიდი იყო, რომ კიდევ ერთხელ შემევლო თვალი ამ მარგალიტისთვის და ქართველ მეფეთა საძვალე მენახა. უპირველესად კი დავით აღმაშენებლის საფლავი... ერთი სიტყვით, იმ დილით, როდესაც თბილისში კოკისპირული წვიმა იყო, მე ქუთაისისკენ გავემგზავრე. რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ მწვანეში ჩაფლული გელათიც გამოჩნდა. მიკროავტობუსმა ტაძრამდე მიმიყვანა. სანამ კარიბჭეში შევიდოდი, სოფელ გელათის მცხოვრებლებს გავესაუბრე: „დაახლოებით თხუთმეტი-თექვსმეტი წლის წინ დაიწყო მოზაიკის კენჭებმა ცვენა. ხან იტალიელი რესტავრატორების ჩამოყვანა მოიწადინეს, მერე იუგოსლავიელებს მიმართეს. ჩამოდიოდნენ, ნახავდნენ ტაძარს და კარგადაც იქეიფებდნენ. მერე ჩვენები და უცხოელები რესტავრაციის ფასზე ვერ მორიგდებოდნენ. ჩვენები წილს სთხოვდნენ და მიდიოდა ის ხალხი. ამასობაში ცვიოდა მოზაიკის კენჭები. კიდევ კარგი, ქუთაისელმა რესტავრატორმა, აწ გარდაცვლილმა კარლო ბაკურაძემ იკისრა უნიკალური მოზაიკის რესტავრაცია. თბილისში პროექტი წაიღო, რომელიც ბევრი წვალების შემდეგ დაამტკიცეს და რესტავრაცია გაუკეთა მოზაიკას (გელათის ღვთისმშობლის მოზაიკა მთელ მსოფლიოში ცნობილია. მისი უნიკალურობა იქიდანაც ჩანს, რომ თუ ძალიან არ მიუახლოვდი, ვერ მიხვდები, რომ ნახატს კი არა, მოზაიკას უყურებ. ეს შედევრი მეთორმეტე საუკუნეშია შექმნილი. — ზ.ჩ.). ბაკურაძის მეთოდით უცხოელებიც აღტაცებულ იყვნენ. ჩვენს ჩინოვნიკებს უთხრეს — ამხელა დონის რესტავრატორი აქ გყოლიათ და საზღვარგარეთ ვის ან რატომ ეძებდითო... მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. შეიძლება, ერთი-ორი კენჭი სინესტის გამო ჩამოვარდა, მაგრამ რაც მთავარია, ძველებურად აღარ ცვივა მოზაიკის კენჭები“.

ტაძრის ეზოში შევედი. ტაძრის მთავარ შესასვლელთან ძელსკამზე ტაძრის წინამძღვარი მამა **გიორგი კუჭუხიძე** ჩამომჯდარიყო და წირვის შემდეგ ისვენებდა. მივესალმე და დალოცვა ვთხოვე.

— მშვიდობა მოგცეს, შვილო, ღმერთმა.

— „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი გახლავართ, მამაო. ტაძრის მდგომარეობა მაინტერესებს და იმიტომ გეწვიეთ.

— კარგი იქნებოდა, მეუფე კალისტრატესთან მისულიყავით ქუთაისში. ყველა მასალა მას აქვს და ყველაფერს გეტყოდათ... გელათს ყურადღებას და მოვლა-პატრონობას არ ვაკლებთ. ვცდილობთ, ტაძრის მოხატულობას არაფერი დაუშავდეს, მაგრამ წვიმას რას უზამ? გადახურული კი არის, მაგრამ როგორც საჭიროა, ისე არ არის გაკეთებული. დროსაც თავისი მიაქვს. შედით ტაძარში, დაათვალიერეთ, ექსკურსიამძღოლიც იქ არის. საქმეს რომ მორჩები, ტრაპეზზე დამეწვიე.

ტაძარში შევედი. სანთლები ავანთე და ვილოცე. ამასობაში, ტაძარში ექსკურსიამძღოლი ამირან ლევიძე ბავშვებს შემოუძღვა. პატარა ქართველები გაფართოებული თვალებით, მოწიწებით ათვალიერებდნენ ახალი აღთქმიდან ტაძრის კედლებზე გადმოტანილ სიუჟეტებს და გაფაციცებით უსმენდნენ ექსკურსიამძღოლს. მეც გავინაბე: „ბავშვებო, აი, ზემოთ მარიამ ღვთისმშობელია. ნახატი არ გეგონოთ, ეს მოზაიკაა და მხატვარს ფილიგრანული ტექნიკა ჰქონია, რადგან ოვალურ კედელზე მოზაიკა ისე ააწყო, რომ კაცს ნახატი ეგონება. მხოლოდ ღვთისმშობლის შარავანდედში დაახლოებით 2.700 კენჭია. მოზაიკის ფართობს თუ ვიანგარიშებთ. გამოდის, რომ სულ 2 მილიონ 500 ათასი სმალტის კენჭია მასში. კენჭები ბიზანტიურია. დამპყრობლები შემოსევისას უპირველესად ეკლესია-მონასტრებს ძარცვავდნენ. მათი ინტერესის მიზანს საეკლესიო ოქრო-ვერცხლის ჭურჭელთან ერთად ტყვიაც წარმოადგენდა. დიახ, ტყვია. იმ დროს ეკლესიებს ქვის ფილებით ხურავდნენ და ფილებს შორის დარჩენილ ღრიჭოებს ტყვიით ავსებდნენ. ტყვია მაშინ იშვიათობა იყო და მტერიც ეკლესიების სახურავებს ტყვიის გულისთვის ანადგურებდა. შემოსევების დროს სახურავის მრავალჯერ განადგურებამ დააზიანა ღვთისმშობლის მოზაიკაც და როცა ის მე-16 საუკუნეში აღადგინეს, მოზაიკა მხოლოდ წელს ზემოთ არის დარჩენილი, ქვემოთ კი ნახატით არის შევსებული“.

> არ არსებობს საქართველოში მუზეუმი, სადაც არ იყოს სოკო, ხოჭოები, როგორც მერქნის, ისე ქაღალდის მჭამელი. ამას დაუმატეთ მღრღნელების უზარმაზარი არმია და საბოლოოდ ყველაფერ ამას ექსპონატები დაღუპვის პირას მიჰყავს.

საქართველოს ხელოვნებისა და კულტურული ფონდის დირექტორი **მაკა დვალიშვილი**: „გეთანხმებით, ბევრი ტაძრის ფრესკები კატასტროფულ მდგომარეობაშია. გელათში ამ მხრივ უფრო უკეთესადაა საქმე, მაგრამ არც ისე, ერთი შეხედვით რომ ჩანს. მარტვილის ღვთისმშობლის ეკლესიაში უფრო რთული მდგომარეობაა. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ზოგიერთი ფრესკა მალე განადგურდება. ტაძრის მთელი მოხატულობა გავარდისფრებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფრესკის ფერებში სოკომ დაიბუდა. მეტიც, ზოგიერთ ფრესკაზე ხავსია მოდებული. ეს სინესტის ბრალია. კიდევ ერთი-ორი წელიწადიც და მერე ყველა ღონისძიება დაგვიანებული იქნება. ატენის სიონშიც საგანგებო მდგომარეობაა. აქ ფრესკების გადარჩენა კი არა, დღის წესრიგში ტაძრის არქიტექტურული ნაწილის შენარჩუნების საკითხი დგას. არადა, ატენის სიონში უნიკალური ფრესკებია“. მაკა დვალიშვილმა გელათისა და მარტვილის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიების რამდენიმე დაზიანებული ფრესკის ამსახველი ფოტოსურათი გადმომცა და მთხოვა, „გამოაქვეყნეთ თქვენს გაზეთში. გაიგოს ხალხმა რა დღეში ვართ და იმასაც მიხვდეს, რომ ფრესკების გადასარჩენად თითებზე დასათვლელი დღეებიღა დაგვრჩა“.

მაკა დვალიშვილმა იტალიელი რესტავრატორის, იპოლიტ მასარის დასკვნა გადმომცა, რომელიც მარტვილის ღვთისმშობლის და ტიმოთესუბნის ეკლესიებს ეხება. გთავაზობთ დასკვნიდან ამონარიდს: „მარტვილის ღვთისმშობლის ეკლესიის კედლის მხატვრობის მდგომარეობა კატასტროფულად არის გაუარესებული. შეინიშნება ბათქაშისა და ფერწერული ფერის მძიმე დაზიანებათა სრული სპექტრი. ტაძრის ინტერიერში თვალსაჩინოა მაღალი ტენიანობა და მიკრობიოლოგიური ფაქტორების სიჭარბე. ასეთივე ფაქტორები იწვევს ტიმოთესუბნის ეკლესიის ფრესკების დაზიანებას. ფრესკებში სოკოვანი და მარილოვანი აგენტების დიდი რაოდენობა აღმოჩნდა. ფრესკების საკონსერვაციო სამუშაოების დაწყებამდე საჭიროა ტაძრის ინტერიერში სათანადო მიკროკლიმატის შექმნა“.

დასკვნები და პროექტები როგორც მუზეუმების, ასევე ეკლესია-მონასტრების მდგომარეობის შესახებ, უამრავი გვაქვს, მაგრამ ვერც დასკვნებით და ვერც პროექტებით ქართულ ეკლესია-მონასტრებში და მუზეუმებში დაცულ კულტურულ მემკვიდრეობას ვერ გადავარჩენთ.

P. S. რა გვჭირს? ვინ გვასწავლა მარტოოდენ დღევანდელი დღით ცხოვრება? რას ვუტოვებთ ჩვენს მომავალს?! მაშინ, როცა ყველა კაპიკს უნდა ვუფრთხილდებოდეთ, მუზეუმების, ეკლესია-მონასტრების აღდგენასა და შეკეთებაზე უნდა ვზრუნავდეთ, როდესაც ქართული ხატები და ფრესკები განადგურების პირასაა, კულტურის სამინისტროს ეგიდით და მისი წილობრივი დაფინანსებით წინა კვირას მალთაყვის დასასვენებელ კომპლექსში ოცდაჩვიდმეტი ქართველი მწერალი ჩაიყვანეს და დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს ერნსტ ჰემინგუეის დაბადებიდან 105 წლისთავი. არც ჰემინგუეის საწინააღმდეგო მაქვს არაფერი და მით უმეტეს, არც ქართველი მწერლების თავმოყრისა და გართობის, მაგრამ გვაქვს კი დღეს ამის სახსარი და საშუალება (ამ თანხით, დარწმუნებული ვარ, ერთი ტაძრის სახურავი მაინც შეკეთდებოდა. — ზ.ჩ.), როდესაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა სავალალო მდგომარეობაშია და ხელიდან გვეცლება.

ზვიად ჩაკვეტაძე

ამ დღეს პირველად დაიძრა საქართველო

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

ვისი ბრალია ის, რაც დღეს ხდება? დაპატიმრებებს ვგულისხმობ. ჩვენ რაღაც კაპიკებისა და გრამების მოპარვისთვის ხალხს პასუხისგებაში ვაძლევდით, მერე მილიონებს იპარავდნენ და კაცი ხმას არ სცემდა.

კვ. პ. — ბატონმა თენგიზ ეპიტაშვილმა მიამბო, როგორ მოიყვანა თქვენთან ცენტრალური კომიტეტის აპარატის შიფროგრამების განყოფილების გამგე, პოლკოვნიკი ბეგლარ გელაშვილი. ბატონმა ბეგლარმა ნებართვა გთხოვათ — ის პრესკონფერენციის მოწყობას აპირებდა იმის შესახებ, თუ ვინ და როგორ მანიპულირებდა მოსკოვში გასაგზავნი შიფროგრამებით. შედგა თუ არა პრესკონფერენცია?

ჯუმბერ პატიაშვილი: — ეს იყო 2000 წელს. მე საარჩევნო კამპანიაში ვიყავი ჩართული. არადა, ძალიან მინდოდა ამ პრესკონფერენციაზე დასწრება. ამის გამო გადავდეთ. მერე ბატონი თენგიზი გარდაიცვალა, დამეკარგა ბატონი ბეგლარიც და... ვიცი, საქართველოს პრეზიდენტს უშიშროების საარქივო მასალების გამოქვეყნების სურვილი აქვს. მაშინ გამოჩნდება ვინ ვინ არის (ბევრი მცდელობის მიუხედავად ვერც ჩვენ მივაკვლიეთ ბატონ ბეგლარს. უეჭველია, მას ბევრი რამ ექნება სათქმელი (ვიმედოვნებ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ იგი აუცილებლად გამოგვეხმაურება. — ვ. გ.).

ეროვნულ მოძრაობას იმდენად თანავუგრძნობდი, რამდენადაც ცეკას პირველ მდივანს შეეძლო. თუ გახსოვთ, ბოლო წლებში მერაბ კოსტავას გარდა ყველა მისი თანამებრძოლი გარეთ იყო, მერაბი კი ციხეში იჯდა. დედამისმა, ქალბატონმა ოლღამ წერილი მომწერა, მე კი ინაურს ვთხოვე და მერაბი ციხიდან გამოვიყვანეთ. მადლობის სათქმელად მოვიდა და სამსახური შევთავაზე. კულტურის მინისტრს, ვალერი ასათიანს ვთხოვე მისთვის შესაფერისი ადგილი მოეძებნა. მე და მერაბი ოდესღაც ერთად დავდიოდით მუსიკაზე და იქნებ ამ განხრით შეურჩიოთ-მეთქი რამე... მერაბმა უარი გვითხრა, გადავწყვიტე, სახელმწიფო სტრუქტურაში არ ვიმუშაოო...

მერე მერაბმა იმ მუსიკალურ სკოლაში დაიწყო მუშაობა, სადაც ჩემი უმცროსი შვილი სწავლობდა. ერთ დღეს ბავშვი სადარბაზოში შეჰფეთებია, გულში ჩაუკრავს და კოლეგებისთვის უთქვამს, მე და მამამისი სხვადასხვა პლატფორმაზე ვდგავართ, მაგრამ ჩვენს ახლობლობას ეს ხელს არ უშლისო.

ჩემი პაატა და ზვიადის გიორგი, ახლა პოლიციაში რომ მუშაობს, ერთ კლასში სწავლობდნენ. გიორგი მეორეში იყო, მამამისმა პროტესტის ნიშნად სკოლიდან რომ გამოიყვანა. ეს მაშინ განსაკუთრებული შემთხვევა იყო. ავდექი და კოლხურ კოშკში ვეწვიე ზვიადს — ბატონი კონსტანტინეს საფლავის ნახვა მინდა-მეთქი. მერე ვკითხე, ბავშვი რატომ გამოიყვანე-მეთქი, მითხრა, კგბ წამლავსო. შეხვედრა მთხოვა და მეორე დღესვე მივიღე. პირველად მეტეხის ეკლესიის ამოქმედება მთხოვა. თუ გახსოვთ, იქ სანდრო მრევლიშვილის თეატრი იყო განთავსებული, მაგრამ სწორედ იმ ხანებში თეატრს პირველი მაისის ქუჩაზე მივეცით შენობა. მერე დავითგარეჯიდან პოლიგონის გადატანა, რაც ასევე გადაწყვეტილი იყო. მერე მამამისის, ბატონი კონსტანტინეს ჰონორარი ითხოვა და ისიც გავუკეთე.

გული მწყდება, პლეხანოვის პროსპექტს აღმაშენებლის დავარქვით, ექვსასი ცხენოსანი მონაწილეობდა თეატრალურ სანახაობაში, მაგრამ იქაურები მაინც პლეხანოველებს უწოდებენ თავს. მანამდე რომ თვითონ გვტაცებდნენ, ცხრაასი ჰექტარი მოვტაცეთ აზერბაიჯანს. იცის დღეს ვინმემ, როდის აღდგა ხორნაბუჯი ან სამთაწყარო, სადაც ოთხასი ოჯახი ჩასახლდა აჭარიდან? აზერბაიჯანელებმა მტრად გამომაცხადეს, თვრამეტი სოფელი სვანებით რომ დავასახლეთ ქვემო ქართლში. იქ, სადაც ქართულ სიტყვას ვერ გაიგონებდი.

ანდა მიტაცებული ბირდუბანი რად ღირს, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ეს მარგალიტი, რომელიც რესპუბლიკებს შორის მიწების გადანაწილების შედეგად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ჭირი მოვჭამე ჩემს აზერბაიჯანელ კოლეგას და მიწების მონაცვლეობის წესით ისევ საქართველოს რუკაზე დავაბრუნე. გნებავთ, თვითონ დავითგარეჯი ავიღოთ — რამდენი ომი დაგვჭირდა, სამხედროები რომ გაგვეყვანა იქიდან. ისე გავიფუჭეთ ამ ხალხთან ურთიერთობა, რომ როცა ერთ შემოდგომაზე წალკიდან კარტოფილის გამოტანა გაგვიჭირდა, მითხრეს, როდიონოვს დაურეკე, იქნებ ოცი ცალი სამხიდიანი სატვირთო გვათხოვოსო და ვერ დავურეკე, ნიკოლსკიმ დაურეკა და უარი მიიღო, პატიაშვილმა იაზოვს, საკავშირო მინისტრს დაურეკოსო. ვერც მას დავურეკავდი. დავითგარეჯმა მასთანაც დამაპირისპირა.

ყოველივე ამის შემდეგ კი, პირდაპირ თუ ირიბად, ეჭვობენ, რომ თურმე მე მემორჩილებოდა ჯარი.

ვაჟა გავაშელი

„მეუღლეები ფულს იხდიან იმაში, რომ მათი შვილი უნიჭიერი დარჩეს"(!)

„პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტს ძალიან დაჩაგრული ჰყავს"

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

— გასულ კვირას იმის მოწმენი გავხდით, რომ საზოგადოების ერთ ნაწილს სიახლის შეგუება უჭირს და ეჭვობს კიდეც, რამდენად საჭიროა რევოლუციური გარდაქმნებიო. ამის საილუსტრაციოდ ეკონომიკის მინისტრის მიმართ დამოკიდებულებაც კმარა.

— ისე გამოჩნდა, ვითომ ნაციონალურ და ზოგადსაკაცობრიო იდეას შორის წარმოიშვა დაპირისპირება. გასულ კვირას დავინახეთ, რომ ვითომ ნაციონალური იდეების მომხრეები იფურთხებოდნენ, ზოგადსაკაცობრიო იდეის მიმდევარი კი მათგან კულტურულად იცავდა თავს. როდესაც საქართველოდან რუსთაველი გააქციეს (მერე კი მის ფრესკას არ მოუარეს) და გალაკტიონს თავი მოაკვლევინეს, ბენდუქიძის მიმართ ასეთი დამოკიდებულება გამიკვირდება? იმედია, ეკონომიკის მინისტრს ნებისყოფა არ უმტყუნებს და არ გაიქცევა საქართველოდან. განათლების სისტემაში ეკონომიკაზე ნაკლები რეფორმები არ არის ჩასატარებელი და ამის გამო პარლამენტშიც დიდი გაწევ-გამოწევა შეიქნება. კომიტეტის თავმჯდომარეობიდან წასვლა ჩემთვის შესაძლოა კარგიც იყოს იმიტომ, რომ ნაფურთხებს ავცდები. არასერიოზული ლაპარაკია, — ყველაფერს რუსები იყიდიანო. რა შეღავათია, თუ ამერიკელებმა იყიდეს. დღეს თუ იყიდიან, ადგებიან და ხვალ რუსებს „თელასივით" მიჰყიდიან. ან კიდევ, თუ რუსებს რამის ყიდვა უნდათ, ვერ იპოვიან საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აყიდვინებენ სასურველ ობიექტს? გეთანხმებით, რუსეთს ხშირად ცუდი მთავრობა ჰყავს, მაგრამ კაპიტალს, რანაირი წარმოშობისაც უნდა იყოს ის, არ აქვს ქვეყნის დაპყრობის უნარი. ჩვენი შიში სუსტი ქვეყნის შიშია. არ შეიძლება ასეთი ფატალური წარმოდგენა რუსეთზე. მაგალითად, ვიცი, რომ არასოდეს გაიყიდება თვითმფრინავის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი თბილისის აეროპორტში, ის არც ერთ ქვეყანაში არ იყიდება, მაგრამ გაიყიდება აეროპორტის შენობა. იმიტომ, რომ თბილისი აღარ იმსახურებს ასეთ სოფლის აეროპორტს. თუ რაიმეს გაყიდვა არ შეიძლება, ეს ქვეყნის უშიშროებამ უნდა თქვას. ასევე არ გაიყიდება ქართული კულტურის ძეგლები.

— ბოლო დროს რესპუბლიკელებსა და პრეზიდენტ სააკაშვილს შორის ურთიერთობა დაიძაბა, ვინ არის დამნაშავე?

— ამას წინათ, გაბრაზებულ გულზე პრეზიდენტმა დაგვიწუნა და ისიც თქვა, — რესპუბლიკელებს კისერი და კინჩხი უტეხიათო. სამაგიეროდ, რამდენიმე დღის შემდეგ ბათუმში ყოფნისას თქვა, — რესპუბლიკელებს ჭკვიანი ხალხი ჰყავთო. უნაკლო ადამიანი არ არსებობს და, ბუნებრივია, ნაკლი საქართველოს პრეზიდენტსაც აქვს, მაგრამ აქვს უამრავი ღირსებაც. ძალიან მომეწონა ქართველი ხალხი ამ ვარდების რევოლუციაში, ეს ღირსეული ხალხის მოქმედება იყო. ამ საქმეში სააკაშვილის ენერგია ძალიან გამოადგა ქვეყანას. მან ბრწყინვალედ იმუშავა აჭარაშიც... მაგრამ ამ ბოლო დროს დავინახეთ მისი ნაკლიც — კადრებთან მუშაობა უჭირს. კადრების შერჩევა რომ გასჭირვებოდა, არც მიკვირს, იმიტომ, რომ არ არის კადრები ჩვენს ქვეყანაში. ცოტაა განათლებული და პროფესიონალი ხალხი. ამიტომ სააკაშვილს აქვს სურვილი პრეზიდენტობა შუაზე გაყოს და საკუთარ თავზე აიღოს ის, რაც ეხერხება. მისი ლოზუნგიც — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სწორია და შესწევს კიდეც მისი პრაქტიკულად განხორციელების უნარი. მაგრამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარდა ქვეყანას ბევრი სხვა რამეც სჭირდება და აქ უკვე ველარ ვხედავ ჰარმონიას ნათქვამსა და გაკეთებულს შორის. ის სხვა რამეს ჰპირდებოდა პენსიონერებს. სხვათა შორის, როდესაც დაპირებას იძლეოდა, არ იცოდა, რა სახსრები ჰქონდა რეალურად საქართველოს. ხშირად ჩვენი წარმოდგენები გაზვიადებულია ხოლმე. მეც და სხვებმაც გავაზვიადეთ ასლან აბაშიძის ქონება. მილიარდერი გვეგონა, სინამდვილეში, მილიონერი აღმოჩნდა იმიტომ, რომ საქართველო არ არის მილიარდების მოსაპარი ქვეყანა. როდესაც სააკაშვილი ხელისუფლებაში მოდიოდა, ეგონა, საქართველოში არის იმდენი ფული, რომ ჯარიც შევინახო და პენსიონერებსაც მივხედოო, მაგრამ სინამდვილეში ამდენი ფული არ აღმოჩნდა. პოლიტიკოსისათვის ნაკლია, თუ რეიტინგია მისთვის პრიორიტეტული. მაგრამ იცით, როგორი პრეზიდენტი იქნება სააკაშვილი, ყველაზე მეტად ჩვენზეა დამოკიდებული და არა მასზე. თუ მთელი საქართველო დადგება და „მიშა, მიშას!" ბღავილს მოჰყვება, სააკაშვილი ცუდი იქნება. თუ საზოგადოება საქართველოს პრეზიდენტს ნებას დართავს, რომ პრესა და ტელევიზიები შეიკრიჭოს, სიმართლე მიიჩქმალოს, პარტიებზე „გაიგულაოს" და არჩევნები ცოტა „ისე" ჩატარდეს, ეს ცუდი იქნება ქვეყნისთვისაც და პრეზიდენტისთვისაც.

— იქნებ დამიკონკრეტოთ, რას გულისხმობდით, როდესაც თქვით, პრეზიდენტს კადრებთან მუშაობა უჭირსო.

— კადრების შერჩევის პრინციპი — ახალგაზრდა სჯობს მოხუცსო, არ მგონია, სწორი იყოს. ვინც ის თქვა — 37 წლის პოლიციელი კარგია, 37 წლის და 1 თვის არაო, იმას ჩემი აზრით, ფიქრი დაეზარა. კადრების შერჩევას რაღაც არასერიოზულად უდგებიან, ასე მგონია, არ ფიქრობენ, როდესაც ზოგიერთს თანამდებობაზე ნიშნავენ. არ ვიცი, ეს სააკაშვილის პროფესიონალური ნაკლია თუ არა, მაგრამ ზოგიერთ ფინანსურ საკითხებში უკვე გამოჩნდნენ ცოლები, ცოლისდები და ამგვარი ფიგურები. ბათუმის პარკი, ბუნგალო და ერთი-ორი მაღაზია თბილისში ვიღაცის ცოლებს და ბებიებს მონდომებიათ და ეს ვიღაცები სულ ზეპირად იცის ხალხმა.... ისე, სააკაშვილზე საყვედური როგორ უნდა ვთქვა, როდესაც ჩვენ მოვუძებნეთ და მივართვით კადრი კობა ხაბაზის სახით. კიდევ კარგი, დროზე გაერკვა პრეზიდენტი და კობა ხაბაზი არ არის დღეს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მაგრამ საქმე ის არის, რომ კობა ხაბაზი ჩვენს ხელში ასეთი არ იყო. ის სააკაშვილთან ახლობლობამ გახადა თავხედი. დასაფიქრებელია, რატომ იძენს ნორმალური ხალხი სააკაშვილის გვერდით ასეთ თვისებებს? იმიტომ, რომ მათ ყველა უფლება მანამდე მიიღეს, სანამ ხალხი აირჩევდა. ხაბაზს მიეცა უკონტროლოდ ქმედების უფლება, უცებ დაცვა გაუჩნდა, კარგ მანქანაში ჩაჯდა, გაიბღინძა, მერე გამარჯობაც არ თქვა, გაგვეჭიმა კიდეც ეს უდიპლომო კაცი — მისნაირი პაიკების ლაზიერად გაყვანა არ გამოდის და ამიტომაც ჩამოამხედრეს.

პირველი შემთხვევაა, რომ იმ პრეზიდენტმა გაიმარჯვა, ვისაც ხმა მივეცი და, რა თქმა უნდა, ჩვენს არჩევანს დავიცავთ და პატივსაც ვცემთ, მაგრამ მასაც (და საკუთარ თავსაც) დავეხმარებით იმაში, რომ ზედმეტი არ მოუვიდეს. პრეზიდენტი გამსახურდია ამ ზედმეტობამ შეაშფოთა, პრეზიდენტ შევარდნაძეს მუხლის მოყრებისა და ძახილის გამო, შენ ხარ ერთადერთიო, თავში აუვარდა და არ მინდა ასე დაემართოს სააკაშვილსაც. წარმატებულ სააკაშვილს უთუოდ სჭირდება კონტროლი. ამიტომ კარგი იქნება, თუ ძლიერი პრემიერ-მინისტრი გვეყოლება. ჩემი აზრით, დღევანდელი პრემიერ-მინისტრი სააკაშვილს ძალიან დაჩაგრული ჰყავს. დღეს ისეთი სიტუაციაა, რაც ცუდია, ჟვანიას ბრალია, კარგში კი მისი ხელი არ ურევია. კარგი პრემიერი სააკაშვილს თავს არ დააჩაგვრინებდა. მაგალითად, კახა ბენდუქიძე მხოლოდ მინისტრია, მაგრამ მას პრეზიდენტი ვერ დაჩაგრავს.

— ჟვანიას უჭკუობას ვერავინ დააბრალებს და რითი ხსნით ამ ფაქტს?

— ჟვანიას ინტელექტი აქვს, მაგრამ მასზე მეტი ინტელექტი აქვს კახა ბენდუქიძეს. ბენდუქიძის ცხოვრებაში იყო ისეთი რამეები, რომელიც თავისი გაქანებით, სიდიდით, ინტენსივობითა და დაძაბულობით გაცილებით დიდია, ვიდრე საქართველოში ეკონომიკის მინისტრობა. ჟვანიას ბიოგრაფიაში კი მწვერვალი პარლამენტის თავმჯდომარეობა იყო და ახლა პრემიერ-მინისტრია; ანუ ჟვანია მარტო აქ არის, ბენდუქიძეს კი სხვაგან აქვს თავი გამოჩენილი. ბენდუქიძეს არ აქვს დასამტკიცებელი, კარგი მინისტრი ვარო, იმიტომ, რომ თბილისისხელა ერთი ქარხნის დირექტორი უკვე იყო; ანუ საკუთარი ავტორიტეტი შველის. არ ეწყინოს ჟვანიას და ჩემი აზრით, დღეს ბენდუქიძე მასზე უფრო მნიშვნელოვანი ფიგურაა და უფრო მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, მაგრამ პრემიერ-მინისტრსაც დიდი მადლობა ეკუთვნის იმის გამო, რომ დაუშვა მის გუნდში ასეთი კაცი ყოფილიყო.

პრემიერ-მინისტრი დღეს ძალიან ღელავს. გასაგები მიზეზების გამო ნერვიულობს და ბევრ სიგარეტს ეწევა. თანამედროვე პოლიტიკოსი (ამას რესპუბლიკელების გასაგებადაც ვამბობ) სიგარეტს არ უნდა ეწეოდეს. საქართველოს არც ერთი პრეზიდენტი არ ეწეოდა. ძალიან ცუდად ჩანს, როდესაც პოლიტიკოსი სიგარეტს ეწევა. თუ პოლიტიკოსს სიგარეტის გადაგდება არ შეუძლია, ქვეყნის საქმეებს როგორღა გაუძლვება-მეთქი, — აი, ასეთი აზრები მიჩნდება ბოლო დროს.

დასასრულ კი ვიტყვი, უშეცდომო კაცი არ არსებობს. ყველას შეიძლება რაღაც შეეშალოს, მაგრამ ჩვენ უნდა დავეხმაროთ იმაში, რომ შეცდომა არ დაუშვან. არავის გავწირავთ იმის გამო, თუ ჩვენნაირად არ ფიქრობს. ორჯერ ორი ოთხიაო, კობა ხაბაზმაც რომ თქვას, იმასაც დავეთანხმებით.

იზო რკაძე

საქართველოს სასოფლო სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი

ვაგრძელებთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის განხილვას, რომელიც მომზადებულია საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის მიერ. ამჯერად ჩვენი სტუმარია საქართველოს მევენახეობის, მებაღეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მცენარეთა ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნ. კანდიდატი, ბატონი **ლევან უჯმაჯურიძე**, რომელიც ცაგერის რაიონის სოფელ ოყურეშში ვაზის აბორიგენული ჯიშის „უსახელაურის" აღდგენა-გავრცელების პროექტის ხელმძღვანელია.

— ბატონო ლევან, მოგვიყევით თქვენი საქმიანობის შესახებ, როგორ დაიწყეთ მუშაობა?

— თანამედროვე მევენახეობა-მეღვინეობის წინაშე მდგარი ამოცანებიდან გამომდინარე, რაც ითვალისწინებს ადგილმდებარეობისა და ჯიშური დასახელების სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ღვინოების წარმოებას, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდებას, რეკომენდებულია აგროეკოლოგიური და აგრობიოლოგიური რესურსების რაციონალური გამოყენებით მაღალეფექტიანი აბორიგენული და ენდემური ვაზის ჯიშების აღდგენა-გავრცელება, ნარგაობაში მათი ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი გაზრდა.

ქართული აბორიგენული ვაზის ჯიშების გენოფონდიდან „უსახელაურს" განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი ძვირფასი პროდუქციის მომცემი ადგილობრივი წარმოშობის წითელყურძნიანი ენდემური ვაზის ჯიშია, გავრცელებულია ლეჩხუმში, ცაგერის რაიონში. „უსახელაურის" ყურძნისაგან მზადდება ინტენსიური შეფერვის, ჯიშური არომატის, საკმაოდ მაღალი ღირსების მქონე ბუნებრივად ნახევრად ტკბილი და სუფრის წითელი ღვინოები.

ჩვენი პროექტის მიზანი იყო სწორედ ქართული, გადაშენების პირას მისული აბორიგენული უნიკალური ვაზის ჯიშის „უსახელაურის" გადარჩენა-აღდგენა-გავრცელება, სარგავი მასალის წარმოება, სელექციურად სუფთა ელიტური სანამყენეთა სადედეებისა და სამრეწველო ვენახების გაშენება. რა თქმა უნდა, თავიდან დაიწერა პროექტი, გავიმარჯვეთ მსოფლიო ბანკის გამოცხადებულ კონკურსში და დავიწყეთ მუშაობა. პროექტი მე-2 წელია მიმდინარეობს და ჩვენ უკვე შესამჩნევ წარმატებებს მივაღწიეთ.

ჩვენი მიზანი იყო „უსახელაურის" წარმოშობისა და გავრცელების ძირითად ზონაში არსებული ნარგაობის აპრობაცია. მცენარეთა ფიტოსანიტარული კონტროლი, სელექციურად სუფთა სანამყენე მასალების შერჩევა, მონიშვნა, დამზადება, სანერგე და სავენახე ნაკვეთების შერჩევა, ნიადაგის აგროსაწარმოო თვისებების გამოკვლევა, ვაზის მყნობა, ჯანსაღი სარგავი მასალის წარმოება და მათი გავრცელება ფერმერულ მეურნეობებში, მიღებული სარგავი მასალით „უსახელაურის" ჯიშის ვაზით ახალი ტიპის სანამყენეთა ელიტური სადედეების და სამრეწველო ვენახების გაშენება, ნარგაობის ბიოლოგიური და სამეურნეო პროდუქტიულობის ოპტიმიზაცია, ნიადაგის დამუშავების, მოვლის, ნამყენი ნერგის წარმოების, ვაზის გაშენებისა და აღზრდა-ფორმირების ინტენსიური მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების რეგიონში გავრცელება-დემონსტრირება და ფერმერულ მეურნეობებში დანერგვა, ფერმერთა და დაინტერესებულ პირთა სწავლება-კონსულტირება. ჩემთან ერთად პროექტის ხელმძღვანელი იყო ბატონი რამაზ ჭაია, მაგრამ სამწუხაროდ იგი გარდაიცვალა და ჩვენ მოგვიწია საქმის გაგრძელება.

— პროექტის ფარგლებში რა ახალი ტექნოლოგიები დაინერგა, რა წარმატებებს მიაღწიეთ თქვენს საქმეში?

— ჩვენ მიზნად დავისახეთ რაც შეიძლება სწრაფად აღგვედგინა ეს ჯიში და ამდენად პროექტში წარმოდგენილია ვაზის დაჩქარებული წესით აღდგენა-გამრავლების ტექნოლოგიები: 1) ვაზის მწვანე ნამყენი ნერგის გამოყვანისა და მუდმივ ადგილზე დარგვის ტექნოლოგია; 2) სანერგეში ნიადაგის მომზადებისა და ვაზის ნამყენის დარგვის ინტენსიური ტექნოლოგია პოლიეთილენის აფსკის გამოყენებით; 3) ვაზის ნამყენის უსათბუროდ გამოყვანა; 4) ვაზის მსხმოიარობის დამაჩქარებელი ღონისძიებები.

აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესების პრაქტიკული რეალიზაციით მივაღწიეთ საკმაოდ კარგ შედეგებს: მოეწყო სანერგე, მარტივი ტიპის ორანჟერეაში ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით გამოვიყვანეთ ვაზის ვეგეტირებული მწვანე ნამყენი ნერგი, რომელიც იმავე წელს დაირგა მუდმივ ადგილზე. მიღებული სელექციურად სუფთა საკვირტე მასალით მოხდა ვაზის ნერგის მწარმოებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

— ბატონო ლევან, როგორ მიმდინარეობს სწავლების პროცესი, რამდენად კმაყოფილი ხართ აღნიშნული პროექტით?

— ჩვენ ჩავატარეთ 6 სემინარი და გამოვუშვით 3 ბროშურა. ჩვენს სემინარებს ესწრებოდა ყველა დაინტერესებული ფერმერი. მიღებული პრაქტიკული გამოცდილება მათ საშუალებას მისცემს პროექტის დამთავრების შემდეგ დამოუკიდებლად აწარმოონ ვაზის ნამყენი ნერგი და გააშენონ ახალი ვენახები.

რაც შეეხება მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებულ პროექტს, ვთვლი, რომ იგი დაგვეხმარა არა მარტო ჩვენ — ფერმერებს, არამედ მთლიანად სოფლის მეურნეობას. ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა რეალურად გაგვეხორციელებინა ჩვენი ჩანაფიქრი.

თემურ კაციაშვილი

R

რატ მეტი დროშა იფრიალებს...

საქართველოს პრეზიდენტს სურს წარსული დიდება დაუბრუნოს თავის დაქუცმაცებულ სამშობლოს და იგი დასავლეთთან დაკავშირებულ რეგიონული მნიშვნელობის სახელმწიფოდ აქციოს.

მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტობა ქართველი მეფის მიერ აშენებულ უდიდეს 800-წლოვან ტაძარში ლოცვითა და ფიცით დაიწყო. შემოიღო ახალი სახელმწიფო დროშა. მაგრამ ახლა ყველას დაანახვა თავისი კოსმოპოლიტობა — კავკასიის ერთ შორეულ მხარეში კონფლიქტის შესაკავებლად ტელეფონით ხან მოსკოვში რეკავდა და ხან — ვაშინგტონში, დღეში რამდენჯერმე ეთათბირებოდა ცნობილ პიროვნებებს — აშშ-ის სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელსა და აშშ-ის ეროვნული უშიშროების საკითხებში მრჩეველს, კონდოლიზა რაისს, რათა კრემლთან ურთიერთობაში მათი მხარდაჭერა მოეპოვებინა. საბოლოო შედეგი კი გახლდათ ის, რომ ახალი კონფლიქტის აზვირთება სამხრეთ ოსეთში დროებით თავიდან იქნა აცილებული, ხოლო საქართველოს ღირსება შეულახავი დარჩა.

საქართველოს პრეზიდენტის მოქმედებებს, მაგრამ აღელვებთ ის, რომ შესაძლოა მის მთავრობას არ ჰქონდეს მკაფიო სტრატეგია სამხრეთ ოსეთში ან აფხაზეთში სერიოზული აფეთქების რისკის სამართავად. ბატონმა სააკაშვილმა ტრიუმფს მიაღწია მაისში, როცა მან აჭარაზე კონტროლი განამტკიცა. ახლა კი ამერიკა და მისი მოკავშირეები ურჩევენ პრეზიდენტს, რომ თავი შეიკავოს ამგვარი გატაცებისგან. ისინი ცნობენ საქართველოს საზღვრებს, მაგრამ იმედი აქვთ, რომ ქვეყნის მთავრობა თავს აარიდებს რუსეთის მიმართ უხეში ნაბიჯების გადადგმას. როცა ამ ცოტა ხნის წინ ამერიკამ 3000 ქართველი ჯარისკაცი გაწვრთნა, მაშინ მკაფიოდ იქნა ხაზგასმული, რომ ისინი აფხაზეთში არ გაიგზავნებოდნენ, რადგან აფხაზეთი შეიძლება იოლად გახდეს აფეთქების წერტილი.

ასე რომ, სამხრეთ ოსეთთან შედარებით, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც კონტრაბადულ ინტერესებზე მიბმული ერთი ციდა მიწა, აფხაზეთი — რომელიც ასე სათუთად უყვართ რუს ჯარისკაცებსა და პოლიტიკოსებს — უფრო რთული და სადავიდარაბო პრობლემაა. აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი, რომლის ფიჭვნარის სურნელით გაჟღენთილი ჰაერი ტურისტებს ანდამატივით უნდა იზიდავდეს, ამჟამად იავარქმნილი უშენი ადგილია, რომლის პორტი ყველა ჯურის შავი ბიზნესისთვის ხელმისაწვდომია. „ის ათობით ათასი ქართველი, ვინც ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა, აქ ვერასოდეს ვეღარ დაბრუნდება“, — უკმაყოფილოდ იღრინება ნუგზარ აშუბა, ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს სპიკერი.

სავარაუდოა, რომ სამხრეთ ოსეთის მიმოფანტულ სოფლებში ბრძოლები ინტენსიურ ხასიათს მიიღებს: 20 ივლისს ბ-ნმა სააკაშვილმა გაზარდა ამის შესაძლებლობა, როცა არ აღიარა ორაზროვანი 12-წლიანი შეთანხმება, რომლის თანახმადაც ქართველები, რუსები და ადგილობრივი ოსები მშვიდობიანობას ინარჩუნებდნენ იმგვარად, რომ საქართველოს აკრძალული ჰქონდა თავისი კანონიერი ტერიტორიის ერთი ნაწილის დაცვა.

დღესდღეობით საქართველოს ყველაზე დიდი სურვილია, გააკონტროლოს იმ გვირაბის შესასვლელი, რომელიც რუსეთის რეგიონს — ჩრდილო ოსეთს — კონფლიქტის ზონასთან აკავშირებს. ხოლო, როდესაც კონტროლს დაექვემდებარება კონტრაბანდა, რომელიც რუსი ჯარისკაცებისა და რამდენიმე ათასი ოსისთვის სოლიდური შემოსავლის წყაროა, შესაძლებელი გახდება ამ ურჩი პროვინციის დამორჩილება; თუმცა კი, ფართო ავტონომიის ბოძებით.

დასავლეთის მთავრობები ზოგადად იწონებენ

საბოლოოდ, აფხაზეთზე თუნდაც თეორიული სუვერენიტეტის აღდგენასთან დაკავშირებული საქართველოს იმედი შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ როგორ თარგზე გამოჭრის საქართველო თავის ურთიერთობებს რუსეთთან. ამასთან დაკავშირებით კი ბატონ სააკაშვილს ორი შეთავაზება აქვს: ღია კარი რუსული ინვესტიციებისთვის (რომელიც იმდენად სასურველია, რამდენადაც არასასურველი — რუსი ჯარისკაცები) და საზღვრების უსაფრთხოება, ანუ გზააბნეულ ჩეჩენთათვის თავისუფალი გავლის აკრძალვა.

თუ ბატონ სააკაშვილს ძალუძს ისევე იოლად ეძმაკაცოს რუსებს, როგორც მოხიბლოს ამერიკელები და მოირგოს შუა საუკუნეების პრინცის როლი, მაშინ იგი ყველა ეპოქის პრეზიდენტი იქნება.

ეკონომისტი, დიდი ბრიტანეთი

სიფრთხილე მართებს — ირგვლივ ველი დანაღმულია...

მას ქართველმა ხალხმა დიდი მისია დააკისრა — გაპარტახების პირას მისული ქვეყანა გამოიყვანოს კორუფციის მორევიდან. იმავდროულად, ისე იხსნას სამშობლო „რუსი დათვის“ კლანჭებიდან, რომ ეს უკანასკნელი მტრად არ მოიკიდოს.

მიხეილ სააკაშვილს სხარტი გონება და სამყაროს არასტანდარტული ხედვა აქვს, მისი უშუალობა და გამორჩეული ხერხები, ცოტა არ იყოს, განაცვიფრებს აზერბაიჯანელ და სომეხ მეზობლებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ცენტრალური აზიის უხუცეს თავკაცებზე, რომლებსაც შიშის ზარს სცემთ მისი გადამდები დემოკრატიული იერი, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს რომ მოედო.

მიუხედავად უამრავი კავშირისა, რომლითაც საქართველო იმპერიულ რუსეთზეა მიბმული, სააკაშვილი გადაჭრით დაადგა ევროატლანტიკური თანამეგობრობის გზას და ფიქრობს, რომ შესაძლებელია გეოპოლიტიკის კანონების გვერდის ავლა.

იმავდროულად, სააკაშვილი განუწყვეტლივ მოგზაურობს, ცდილობს, თავის ქვეყანას სახელი გაუთქვას დასავლეთში, რათა იქიდან ინვესტიციები მოიზიდოს და კრედიტები მოიპოვოს. ჯერჯერობით, ეს ამართლებს. მას ამერიკელებიც ძალიან ანებივრებენ. ევროკავშირმაც, ამას წინათ, ყოველგვარი განსაკუთრებული პირობების გარეშე, 1 მლრდ დოლარის დახმარება გამოუყო. ფრანგი სალომე ზურაბიშვილის — დიპლომატიის სათავეში, ხოლო რუსეთიდან ჩამოყვანილი ყოფილი ოლიგარქის, კახა ბენდუქიძის ეკონომიკის თავკაცად დანიშვნამ, აშკარად კიდევ უფრო გააფართოვა შესაძლებლობათა არეალი.

თუმცა, სკეპტიკოსებს რა დალევს... ჰოდა, ისინიც გაჰყვირიან, — ზედმეტი მოსდისო. ერთნი ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს ფრანგული სპეცსამსახურების ჯაშუშობას აბრალებენ, მეორენი კი სააკაშვილს აკრიტიკებენ, საშინაო პოლიტიკას ნაკლებ ყურადღებას უთმობს, ეს უკანასკნელი მთლიანად პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გადააბარა, რომელიც, თავის მხრივ, გამალებულ ანტიკორუფციულ კამპანიას ეწევაო. ბევრსაც რუსეთის მიმართ არცთუ ისე ფრთხილი დამოკიდებულება აშფოთებს.

— მაგრამ სააკაშვილი ამ კრიტიკას უარყოფს და მიიჩნევს, რომ „საქართველოს თითქმის ამოუხსნელი გეოსტრატეგიული განტოლება დიდ რისკზე წასვლას მოითხოვს“, — აღნიშნავს კავკასიის სპეციალისტი თომას დე ვაალი. ახალი პრეზიდენტი არა თუ არ აპირებს ტემპის შენელებას, არამედ აჭარული მეთოდით ოსეთსა და აფხაზეთს მიადგა. სააკაშვილს კარგად ესმის, რომ ვიდრე მოსკოვიდან მართული სეპარატიზმის ბუდეები არ მოიშლება, საქართველო შვებით ვერ ამოისუნთქებს. მან ასევე კარგად უწყის, რომ წყალობა და კეთილგანწყობა, ქვეყნის შიგნით იქნება ეს თუ მის გარეთ, არ იქნება მარადიული.

ასე რომ, უნდა იჩქაროს. ფეხი არ უნდა დაუცდეს. ამიტომაც ზიგზაგებით მიიწევს წინ. ცდილობს, რუსებისათვის ვიზებზე შეზღუდვების მოხსნით კრემლი დააშოშმინოს, თანაც ლონდონთან, ვაშინგტონთან თუ პარიზთან ურთიერთობები გაამყაროს. ბაგირზე მიმავალი სულ მოძრაობს, წამით არ ჩერდება, ამასთან, დიდი სიფრთხილე მართებს, რადგან ირგვლივ ველი დანაღმულია.

ფიგარო

ვაშინგტონი თურქ მესხებს თავშესაფარს აძლევს

რუსეთში რასიზმის მომძლავრება დასავლეთს სერიოზულად აშფოთებს. ვაშინგტონი აცხადებს, რომ მზად არის მიიღოს კრასნოდარის მხარეში მცხოვრები ყველა თურქი-მესხი, რომელიც სამართლებრივ ვაკუუმში აღმოჩნდა. ყუბანში მცხოვრებ თურქებს არ შეეძლოთ უძრავი ქონების შეძენა, სამსახურის შოვნა, ბაზარზე ვაჭრობა. სხვადასხვა მიზეზის გამო მათი დაბრუნება საქართველოში შეუძლებელია. ამიტომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა თურქების პრობლემა თავის შარშანდელ მოხსენებაში წამოაყენა, შემდეგ კი მიიღო გადაწყვეტილება თურქი მესხების აშშ-ში ლტოლვილის სტატუსით მიღების შესახებ. „ჩვენ ფილადელფიაში მივემგზავრებით, მზად დაგვხვდება სახლი, სამსახური — ყველაფერი, რაც საჭიროა ნორმალურად საცხოვრებლად,“ — განაცხადა კრასნოდარის მხარის თურქი მესხების ლიდერმა, ტიანშან სვანიძემ. ახალ იმიგრანტებს ასწავლიან ინგლისურ ენას, პენსიონრებსა და ინვალიდებს მისცემენ პენსიებს.

პირველი 11-კაციანი ჯგუფი უკვე გაემგზავრა, 50 კაცი შემდეგ კვირას წავა. ამერიკაში სულ 5 ათასი თურქი გაემგზავრება, მაგრამ ეს მხოლოდ უზბეკეთიდან კრასნოდარში ჩამოსახლებულ თურქებს ეხებათ.

რამდენიც უნდა იყონ, ყველას მივიღებთ, — ამბობს საერთაშორისო სამიგრაციო ორგანიზაციის წარმომადგენელი მარკ ბრაუნი.

ეხო ბაქო

„სამხრეთ ოსეთი შეიძლება მეორე ჩეჩნეთად იქცეს“

1996-2001 წლებში სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს, ახლა კი ჰუმანიტარული და სოციალური ინსტიტუტის წამყვან მეცნიერს, **ლუდვიგ ჩიბიროვს** თავისი მოსაზრებები გააჩნია ქართულ-ოსური კონფლიქტის თაობაზე.

— საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად, თქვენ ყველაფერს აკეთებდით შეიარაღებული შეტაკებები რომ არ მომხდარიყო. ახლა რა უნდა გააკეთონ თბილისისა და ცხინვალის ახალმა ლიდერებმა სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად?

— მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით უნდა იმოქმედონ. იარაღის გამოყენება არც თბილისს აძლევს ხელს და არც სამხრეთ ოსეთს. ახალი შეტაკებები კიდევ უფრო დააშორებს ერთმანეთს ოსებსა და ქართველებს. ვფიქრობ, სწორად არ იქცევიან მიხეილ სააკაშვილი და ედუარდ კოკოითი, პირისპირ რომ არ ხვდებიან ერთმანეთს. კოკოითმა განაცხადა, — მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყებს მოლაპარაკებას, თუ საქართველო 1989-1992 წლებში ოსების გენოციდს აღიარებსო. ჩემი აზრით, ასეთი მოთხოვნის წამოყენება სწორი არ არის. კონტაქტები საჭიროა, როგორ შეიძლება იმ ხიდის ჩანგრევა, რომელზეც ოდესმე მაინც უნდა გაიარო?

— რა როლი აკისრია ამ სიტუაციაში რუსეთს?

— ახლა რუსეთს გამოკვეთილი პოზიცია აქვს სამხრეთ ოსეთის მიმართ. ბორის ელცინის დროს ასე არ იყო. პუტინი დიდ ყურადღებას აქცევს ამ პრობლემას. ჩემს დროს რუსეთს იმის ნახევარი ყურადღება რომ მიექცია სამხრეთ ოსეთისთვის, უფრო მეტს მივაღწევდით.

— სამხრეთ ოსეთში უკვე გამოჩნდნენ მოხალისეები აფხაზეთიდან, დნეპრისპირეთიდან და ჩრდილო კავკასიიდან...

— ჰოდა, სწორედ ამის მეშინია — სამხრეთ ოსეთი მეორე ჩეჩნეთად არ იქცეს. ამიტომაც მოვუწოდებ სააკაშვილს და კოკოითს, შეხვდნენ ერთმანეთს და მოილაპარაკონ. ომი არავის უნდა. ამ ომში გამარჯვებული არავინ იქნება. რა მოიგო რუსეთმა ჩეჩნეთში? ამასვე მივიღებთ აქაც.

ვრემია ნოვოსტეი

„სომხებმა შექმნეს საქართველო, თბილისი...“

ინტერვიუ მოსკოველ პოლიტოლოგ ა. მიგრანიანთან

მიხაილ განაპოლსკი: — მეტროპოლია ყოველთვის ცდილობდა, ხელიდან არ გაეშვა დაპყრობილი ტერიტორიები. საინტერესოა, დღეს როგორ წყდება ეს საკითხი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის. ცხინვალში ქვეყნის დამოუკიდებლობას ხმა უმრავლესობამ მისცა, მაგრამ ხომ ვიცით, რომ ამ ხმებს არავინ ცნობს. გავიხსენოთ ჩეჩნეთი...

ანდრანიკ მიგრანიანი: — ჩეჩნეთში, ოსეთსა და აფხაზეთში პრინციპულად განსხვავებული მდგომარეობაა. 1996 წელს ჩვენმა დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ ჩეჩნეთიდან რფ-ის ჯარის გამოყვანა მოითხოვა. ჩეჩნებს მიანდეს საკუთარი პრობლემების გადაწყვეტა. რა გამოვიდა აქედან? ძარცვა-გლეჯა, მონობა, ტერორიზმი. იქაურობა შეიარაღებულ ფორმირებათა ბრძოლის არენად იქცა. ჩეჩნეთისგან განსხვავებით, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი გაცილებით ორგანიზებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები აღმოჩნდნენ, ვინდრე თავად საქართველო. ამას ვამბობ მე, ადამიანი, რომელმაც იცის საქართველოს მართვადობის დონე...

მიხაილ განაპოლსკი: — ამას იმიტომ ამბობთ, რომ სომეხი ხართ.

ანდრანიკ მიგრანიანი: — არა მარტო. იმ სომხების წარმომადგენელი ვარ, რომლებმაც შექმნეს საქართველო, თბილისი...

მიხაილ განაპოლსკი: — რუსეთი...

ანდრანიკ მიგრანიანი: — საქართველოში ქრისტიანობა ჩვენ შევიტანეთ, დედაქალაქი ავუშენეთ, დასაბამი მივეცით სამეფო საგვარეულოს. სამწუხაროდ, როგორც კი სომხებმა იქაურობის მართვაზე ხელი აიღეს, საკუთარ ტერიტორიაზე ქართველებმა კონტროლი დაკარგეს.

ამიტომაც ვამბობ, სიტუაცია სხვადასხვაა-მეთქი. ოსეთში რომ ბანდიტიზმი, ხალხის გატაცება და სხვა ამგვარი რამ ყოფილიყო, საერთაშორისო საზოგადოებრიობა მოითხოვდა იქ წესრიგის დამყარებას და სხვა ძალების შეყვანას. მაგრამ, მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთი საქართველოს ჩამოშორდა, არავითარი ინციდენტი იქ არ მომხდარა. იგივე ხდება აფხაზეთშიც. ჩეჩნეთი კი სულ სხვა საქმეა — რუსეთი კი არ ებღაუჭება ჩეჩნეთს, ჩეჩნეთს არ უნდა რუსეთისგან წასვლა...

რადიო „ეხო მოსკვი“

გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა

ავიაკომპანია „თბილავიამშენი“

15 ივლისიდან ხუთშაბათობით

ახალი მიმართულება

თბილისი – აშგაბადი – თბილისი

რეგულარული რეისები

თბილისი - დონეცკი - თბილისი
თბილისი - ეკატერინბურგი - თბილისი
თბილისი - სოჭი - თბილისი
თბილისი - ტაშკენტი - თბილისი
თბილისი - ხარკოვი - თბილისი
თბილისი - აშგაბადი - თბილისი

ასევე ჩარტერული რეისები ილ–62, ტუ–134, იაკ–40, ან–26 ტიპის თვითმფრინავებითა და მი–8 ტიპის ვერტმფრენით.

მის: ბოგდან ხმელნიცკის 181
ტელეფონი: (995 32) 70-77-15; 70-23-00
ფაქსი: (995 32) 94-78-35 (აეროპორტი)



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

პაცანები გვინიოხოზინ

ნინო თიგიშვილმა ძეგლი დაინახა და დას ჰკითხა:

— ვინ არის?

— ეს ილია ჭავჭავაძეა, — მიუგო გოგონამ.

რამდენიმე დღის შემდეგ ნინოს და ლექსს სწავლობდა. პატარა დაინტერესდა:

— ვისი ლექსია?

დამ აუხსნა, — ილია ჭავჭავაძის.

— ქვის კაცმა დაწერა ეს ლექსი? — გაოცდა ნინო.

***

ბებიამ კარადის თავიდან ჩემოდანი ჩამოიღო. 3 წლის **ლუკამ** მაშინვე შენიშნა, — ხედავ, ბებო, მტვერი დასევია.

***

2 წლის **ნინი ქომოშვილი** პირველად მიიყვანეს ბაღში და ატირდა. ტირილით მარტო რომ ვერაფერს გახდა, ბავშვებს მიუტრიალდა, — ბავშვებო, თქვენც იტირეთ, დედიკოსთან არ გინდათ?

***

პატარა **დათა თადუმაძე** თავის ამხანაგს ეუბნება:

— მე წითელაც მოვიხადე, წითურაც და ახლა კუნტრუშა (ქუნთრუშა) მაქვს.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ **თბილისში მდებარე ერთ-ერთი ტაძრის სახელს.**

I



ბებერი მგელი

ზღაპარი

იყო ერთი მგელი. ძალიან დაბერდა და ერთხელ თავის თავს უთხრა: „ვინ დათვლის რამდენი საქონელი დამიგლეჯია, რამდენი ზიანი მიმიყენებია ხალხისთვის. ახლა სალოცავში უნდა წავიდე და ცოდვებისგან განვიწმინდო".

გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა, ვინ იცის და ერთ კორდს მიაღწია. კორდზე ერთი ცხენი ბალახობდა. მგელი მიუახლოვდა და უთხრა:

— ცხენო, უნდა შეგჭამო!

— შეგარცხვინა ღმერთმა, ბებერო მგელო, ნეტავ რა ნამუსით მეუბნები მაგას? ხორცი მე არ მაბია და ფეხიც ნატკენი მაქვს. აბა, ახლოს მოდი და გამისინჯე, — უთხრა ცხენმა.

მგელმა რომ ცხენის ფეხს სინჯვა დაუწყო, ცხენმა მისცხო წიხლი და შუბლი ჩაულეწა. ძლივძლივობით მიბანცალდა შუბლგატეხილი მგელი ერთ გამოქვაბულში და იქ კარგა ხანს იკვნესა.

როცა გამოკეთდა, ისევ გაუდგა გზას სალოცავისკენ. კარგა ხნის სიარულის შემდეგ ერთ ტყის პირს მიადგა. იქვე ორი ერკემალი ძოვდა. დაინახა მგელმა და გაიფიქრა: „მოდი, ამ ერკემლებს შევჭამ. რა მნიშვნელობა აქვს, ჯერ ხომ ეკლესიამდე არ მივსულვარ". მივიდა ერკემლებთან და დაუძახა:

— ერკემლებო, უნდა შეგჭამოთ!

— შეგარცხვინა ღმერთმა, ბებერო მგელო, ეგრე შეჭმა როგორ იქნება?

— მაშ როგორ?

— როგორ და ჩაგვიდექი შუაში, ჩვენ აქეთ-იქით წავალთ და როცა შენკენ გამოვიქცევით, რომელიც უკან დარჩება, ჯერ ის შეჭამე, მერე კი მეორე. დაეთანხმა მგელი. ჩაუდგა შუაში.

ერკემლები აქეთ-იქით გაიქცნენ, მერე გამოექანენ უკან და მგელს ფერდები შეულეწეს.

გაგორდა მგელი, აბა, რა მოუვიდოდა! ნეკნებჩამტვრეულს ზეზე ადგომაც აღარ შეეძლო.

ვინ იცის, რამდენ ხანს ეგდო, მაგრამ როცა გამოკეთდა, ისევ მოინდომა სალოცავში წასვლა.

იარა, იარა და ერთ სოფელს მიადგა.

სოფლის ბოლოს მინდორზე ერთი დეკეული ბალახს ძოვდა. მგელმა დაინახა და ამასაც შეჭმა მოუნდომა.

— ეგრე შეჭმა არ იქნება, — უთხრა დეკეულმა.

— მაშ როგორ? — ჰკითხა მგელმა.

— როგორ და მე ვიმღერებ, შენ ბანი მითხარი, მერე კი შემჭამე.

დეკეულმა ბღავილი მორთო, მგელიც აყმუვლდა. ამ ხმაურზე მთელი სოფელი გამოცვივდა და სალოცავში მიმავალი მგელი ერთი მაგრად მიასიკვდილეს.

II **იპოვე ორი ერთნაირი ყვავილი**

იპოვე შეცდომები ნახატზე?



III *აბა, გამოიცანი*

1) ვისი ძე იყო დემეტრე II თავდადებული?

ა) დავით VII ულუს; ბ) გიორგი V-ის; გ) ვახტანგ III-ის; დ) ბაგრატ V-ის.

2) როდის ვზეიმობთ ფერისცვალებას?

ა) 7 აპრილს; ბ) 14 მაისს; გ) 12 ივლისს; დ) 19 აგვისტოს.

3) ვისზე იტყვიან: „ყვავი ჩხიკვის მამიდა"?

ა) ახლობელ ნათესავზე; ბ) შორეულ ნათესავზე; გ) ძველ მეგობარზე; დ) უცნობ ადამიანზე.

4) ჩამოთვლილი ფრინველებიდან რომელი არ არის მტაცებელი?

ა) სვავი; ბ) ქედანი; გ) ძერა; დ) მიმინო.

5) რომელი არ შედის მსოფლიოს 7 საოცრებაში?

ა) როდოსის კოლოსი; ბ) სემირამიდას ბაღები; გ) ეიფელის კოშკი; დ) ეგვიპტის პირამიდები.

6) როდის ზუზუნებენ მწერები?

ა) როცა შიათ; ბ) როცა სიმღერის გუნებაზე არიან; გ) როცა სტკივათ; დ) როცა ფრთებს აფართხუნებენ.

7) ჩამოთვლილი მონასტრებიდან რომელია საქართველოს ტერიტორიაზე?

ა) ათონის ივერთა მონასტერი; ბ) საბაწმინდის მონასტერი; გ) ზედაზნის მონასტერი; დ) სინას მონასტერი.

8) დაასრულე ილია ჭავჭავაძის ლექსი: „ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე, აბა, დღეს მე ვის რა ..."

ა) ვარგე; ბ) ვაჭამე; გ) ვაჩუქე; დ) ვუთხარი.

ისრების მიხედვით გაატარე ფუტკარი მზესუმზირის ლაბირინთში

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

„კვირის პალიტრის"
„ზღაპრების სახლმა" უკვე
50 ქართული და უცხოური
ზღაპარი გამოსცა.
შეამოწმეთ, არის თუ არა
ყველა ზღაპარი თქვენს
კოლექციაში. ის ზღაპრები,
რომლებიც წაკითხული
გაქვთ, აღნიშნეთ ასე: — ⊕
და სია აჩვენეთ მშობლებს

1. ◯ მელია და მწყერჩიტა
2. ◯ ქალთევზა
3. ◯ ნაცარქექია
4. ◯ მძინარე მზეთუნახავი
5. ◯ კომბლე
6. ◯ ირმისა
7. ◯ ჩიპოლინო
8. ◯ წითელქუდა
9. ◯ ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ◯ ხუთკუნჭულა
11. ◯ მაკნატუნა
12. ◯ თოვლის დედოფალი
13. ◯ ბრემენელი მუსიკოსები
14. ◯ ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. ◯ სამი გოჭი
16. ◯ თორმეტი თვე
17. ◯ სიზმარა
18. ◯ მაუგლი
19. ◯ ჩექმებიანი კატა
20. ◯ მგელი და შვიდი თიკანი
21. ◯ ნამცეცა
22. ◯ ნახევარქათამა
23. ◯ სამი ფორთოხალი
24. ◯ გოგონა და ურჩხული
25. ◯ წიქარა
26. ◯ ალადინი
27. ◯ ღორების მწყემსი
28. ◯ მძლეთამძლე
29. ◯ ქოჩორა რიკე
30. ◯ უფლისწული ბაყაყი
31. ◯ ბულბული
32. ◯ რიკი-ტიკი-ტავი
33. ◯ კონკია
34. ◯ მახინჯი იხვის ჭუკი
35. ◯ კატა, მამალი და მელა
36. ◯ ცეროდენა
37. ◯ გაუცინარი პრინცესა
38. ◯ ველური გედები
39. ◯ გაქვავებული სამეფო
40. ◯ გოგონა და სამი დათვი
41. ◯ წითელი ფეხსაცმელები
42. ◯ მოჯადოებული კატა
43. ◯ მეჩონგურე
44. ◯ თხისყურებიანი მეფე
45. ◯ ბურატინოს თავგადასავალი
46. ◯ ლომი და კურდღელი
47. ◯ მოჯადოებული ტყე
48. ◯ არვიციას ამბავი
49. ◯ ჯიუტი სპილუკა
50. ◯ შრომის ფასი

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები
1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ
„კვირის პალიტრის" საგაზეთო ჯიხურებში,
აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან
და წიგნის მაღაზიებში

ბაგრატ მეოთხე – უმეტეს საქმენი, ვიდრე სახელი...

მეათე საუკუნის მეორე ნახევარი და მთელი მეთერთმეტე საუკუნე საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლას შეალიეს ქართველმა მეფეებმა. ღირსეულად უძღვებოდნენ ამ უდიდეს მისიას ქვეყნის სათავემპყრობელნი: წინა აზიაში უდიდესი ავტორიტეტის მქონე დავით მესამე კურაპალატი და მისი შვილობილი, გამორჩეულად ძლიერი ხელმწიფე ბაგრატ მესამე, ურჩი და ბიზანტიის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი გიორგი პირველი, რომელმაც სულ 25 წელი (ზოგიერთი წყაროს მიხედვით – 29 წელი) იცოცხლა, მაგრამ შეუპოვარი მებრძოლის სახელი დატოვა. მისმა მემკვიდრემ ბაგრატ მეოთხემ კი ბალავერი დაუდო მეთორმეტე საუკუნის უძლიერეს საქართველოს.

ისევ პაექრობა ბიზანტიასთან

მცირეწლოვანი ავიდა სამეფო ტახტზე ბაგრატ მეოთხე. მხოლოდ 9 წლისა (ზოგიერთი წყაროთი 7 წლისა) იყო, როდესაც 1027 წელს, მამამისი, გიორგი პირველი გარდაიცვალა. ურთულესი იყო ქვეყნის მდგომარეობა. მრავალწლიან ომში ვიყავით ჩართულები ბიზანტიის იმპერიასთან, რომელიც ტაო-კლარჯეთს და საერთოდ სამხრეთის მიწა-წყალს გვედავებოდა. ბიზანტიას არც საქართველოს გაერთიანების ტენდენციები ეხატებოდა გულზე. პირდაპირ ვთქვათ, რომ საბოლოოდ, მამა-შვილის, გიორგი პირველისა და ბაგრატ მეოთხის გონივრულმა პოლიტიკამ და შეუპოვარმა ბრძოლამ მეთერთმეტე საუკუნეში შეუნარჩუნა დამოუკიდებლობა ქვეყანას და საბედნიეროდ, ჩვენ არ გავიზიარეთ მეზობელი სომხეთის ბედი, რომელმაც ვერ გაუძლო ბერძენთა იმპერიის აგრესიას და შეწყდა მისი სახელმწიფოებრიობა.

...დასაწყისი კი მეტად ძნელი იყო. 1028 წელს იმპერატორი კონსტანტინე აოხრებს ტაოს, იმ მიწა-წყალს, რომელიც რამდენიმე წლის წინ ბასილი მეორე ბულგართმჟლეტისგან იყო იავარქმნილი. ამით აგრძნობინებს ქართველებს, რომ იმპერატორები იცვლებიან, მაგრამ პოლიტიკა და პრეტენზიები საქართველოს მიმართ არ იცვლება.

ტაოს შემდგომ თრიალეთს მოადგნენ ბიზანტიელნი, მაგრამ ლიპარიტ ბაღვაშმა აჩვენა მტკიცე მახვილის ძალა და უკუაქცია.

პირისპირ ბრძოლის გარდა არც დივერსიას და გაერთიანების გზაზე დამდგარი ქვეყნის შიგნიდან გახლეჩის მცდელობას თაკილობდა ბიზანტია. განზე გამხედვარ დიდებულებს რა გამოლევდა... არ სურდა ბევრს მეფის მტკიცე ხელისუფლება. უკიდეგანო უფლებები ეზღუდებოდათ, ბიზანტიური ძღვენ-ტიტულებიც ხიბლავდათ. ასე უგანეს მეფეს ვაჩე კარიჭის ძემ და ბანას ეპისკოპოსმა იოანემ, ჩანჩახა ფალელმა და არჯევან ჰოლოლას ძემ, შავშეთის ერისთავმა და „უმრავლესნმა აზნაურნმა ტაოსა“, ციხიანებმა და უციხოებმა...

მთლად უიმედოდაც არ იყო საქმე. საბედნიეროდ, არ დაშრეტილა და არც დაიშრიტება სამშობლოსადმი ერთგულების უხილავი ენერგია. სასულიერო პირები დადგნენ საქართველოს სამხრეთი მიწა-წყლის დარაჯად — სპეტაკნი სულით და შეუდრეკელნი ღონით — ეპისკოპოსნი საბა მტბევარი და ეზრა ანჩელი. კიდევ ერთხელ უკუაგდეს მტერი და დუშმანი სამხრეთიდან.

ჯვრისწერა მცირეწლოვანთა

საჭირო იყო სახელისუფლებო-დიპლომატიური ღონისძიებანი, რაც ითავა ბაგრატ მეოთხის დედამ, სახელოვანი სენექერიმის (სომეხთა მეფის) ასულმა და საქართველოს დედოფალმა მარიამმა. ამ დროს კონსტანტინეპოლში ახალი იმპერატორია — რომანოზ მესამე. მას, კონსტანტინეპოლის პრეფექტ-ეპარქოსს, როგორც ხშირად ხდებოდა ბიზანტიაში, შემთხვევით „მიართვეს“ ტახტი. კონსტანტინე მერვემ სიკვდილის წინ დაიბარა იგი და ერთ-ერთი ქალიშვილის (მეფეს სამი შეუხედავი ასული ჰყავდა, სამივე გაუთხოვარი), ზოიას ხელი შესთავაზა. სხვა რა გზა ჰქონდა რომანოზს, კანონიერ ცოლ-შვილს, შერისხვასა და ყველაფრის დაკარგვას უსახური ზოიას ქმრობა, იმპერატორობა და დიდება არჩია.

სწორედ ამ რომანოზთან აწარმოა მოლაპარაკება კათალიკოს მელქისედეკის თანხლებით მარიამმა. ამჯერად მშვიდობა ბიზანტიისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა და ერთობისა და სიყვარულის ფიციც დაიდო ორ ქვეყანას შორის. და რომ ეს ფიცი უფრო განმტკიცებულიყო, იმპერატორმა „მოსცა პატივი კურაპალატობისა და მოსცა ცოლად ბაგრატისათვის დედოფალი ელენე“ — თავისივე ძმისშვილი.

საზღვარზევე შემოეგებნენ მაყრიონს ბაგრატი და ამალა მისი. ერთმანეთი გაიცნეს და გაიხარეს ბავშვებმა — 12-13 წლისანი იქნებოდნენ. ჯვრისწერაც გაიმართა ბანას დიდებულ მონასტერში. უჩვეულო და უმშვენიერესი სანახაობა მოეწყო. ახალწამოჩიტული ნეფე-პატარძალიც ბედნიერები იყვნენ და ერთმანეთს შეხაროდნენ... სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელდა პატარების სიყვარული. დღენაკლული აღმოჩნდა ბერძენი დედოფალი და მოკლე ხანში აღესრულა კიდეც. მცირეხნიანი „მეგობრობაც“ ორ ქვეყანას შორის ქიშპით შეიცვალა. მოგვიანებით სამოყვროდ ქართველთა სამეფო კარი კავკასიონის იქით მეზობელ ოსებს დაუკავშირდა და ბაგრატ მეოთხემ ცოლად შეირთო ელენეზე არანაკლებ მშვენიერი ბორენა, ასული მეფე ურდურესი.

სხვათა შორის, ოვსთა ასულებს დაადგეს თვალი ქართველმა მეფეებმა, მეტადრე ამ ეპოქაში. განთქმულნი იყვნენ სილამაზით ამ ტომის ქალები. სტეპური სიმკაცრე შერწყმული იყო კავკასიურ მომხიბვლელობასთან. თუმცა პოლიტიკაც არ უნდა დავივიწყოთ. ადრეფეოდალური სახელმწიფო ყალიბდებოდა ალანოსებში, ქართველთათვის ხელსაყრელი იყო ძლიერ მოკავშირეს გაეკონტროლებინა დარიალის, იმავე დარიალანის ჩრდილო კარიბჭე. ოსი ქალებისთვის კი მიმზიდველი, უფრო მეტიც, დიდი პატივი იყო კავკასიისა და წინააზიის ერთ-ერთი უძველესი და დიდი კულტურის მქონე ხალხის დედოფლობა.

ბაგრატის მამას, გიორგი პირველს მეორე ვაჟიც ჰყავდა „სხვა ცოლისაგან“ — ოვსთა მეფის ასულ ალდესაგან — დემეტრე. ახლა მისი გამოყენება სცადეს შინაურმა და გარეშე მტრებმა. მან კი ძლიერი მფარველი, ბიზანტია ამოირჩია და როგორც ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე მოგვითხრობს, ერთგულების დასამტკიცებლად ბიზანტიას ანაკოფია (ახალი ათონი), ეს უმტკიცესი ციხე „მიართვა“. მიიღო კიდევაც სანაცვლოდ მაგისტროსის ტიტული.

ოშკის ტაძრის კედელზე შემორჩენილი ფრესკის ფრაგმენტი, რომელზეც ასახულია მეფედ კურთხევა ბაგრატ მეოთხისა

კარგა ხანს გამოიყენეს ბიზანტიელებმა პლაცდარმად ანაკოფია. დიდი ბრძოლა დასჭირდათ ქართველებს, რომ ბერძნებისთვის აქედან ფეხი ამოეკვეთათ.

მეფისა და ლიპარიტის ოცწლიანი ქიშპი

მცირეხნიანი მშვიდობა ჩამოვარდა ბიზანტიასთან. ისარგებლა ამ „შესვენებით“ ბაგრატმა და განძა (განჯა) დალაშქრა. სასტიკად დაამარცხა გადიდგულებული ფადლონ — ამირა განძისა. ამის შემდეგ კი იწყება ბრძოლა თბილისისათვის. თითქმის ოთხი საუკუნე(!) იყო გასული მას შემდეგ, რაც არაბები დამკვიდრდნენ ქართლის უმთავრეს ქალაქში. სახალიფოს შესუსტების შემდეგ, მეცხრე საუკუნიდან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად, საამიროდ ჩამოყალიბდა თბილისი. მოსახლეობა უმეტესად ქართული იყო, მმართველნი — არაბნი და სხვა ჯურის მუსლიმნი. ერთ-ერთი უმთავრესი ქალაქი და სავაჭრო ცენტრი იყო მახლობელ აღმოსავლეთში თბილისი. ნაყოფიერ სანახებსა და ძლიერ ციხეებსაც ფლობდა ქვემო ქართლში. სწორედ ამ მამულებს დაადგა თვალი ლიპარიტ ბაღვაშმა, უძლიერესმა დიდებულმა მაშინდელი საქართველოსი. 1032 წელს დიდებულ იოანე აბაზას ძესთან ერთად გამოიტყუეს თბილისის ამირა ჯაფარ ალის ძე, დაატყვევეს და ბირთვისის ციხეც აიღეს. ეჭვით შეხვდნენ სხვა დიდებულები ამირას შეპყრობას. ლიპარიტის გავლენა და მამულები კიდევ უფრო იზრდებოდა და მეფისთვისაც საშიში ხდებოდა იგი. ამიტომაც დაყაბულდა ბაგრატი დიდებულების რჩევას და გაათავისუფლა ამირა ჯაფარი. წყენა არ შეიმჩნია, მაგრამ გულში კი ჩაიდო ლიპარიტმა.

ხუთი წლის შემდეგ ლიპარიტმა კვლავ შემოარტყა ალყა თბილისს. ორი წელი გაგრძელდა გარემოცვა. ქალაქში საშინელმა შიმშილმა დაისადგურა, მემატიანეთა ცნობით, სხვა რომ არა იშოვებოდა, „ერთი ლიტრა (სამასი გრამი) ვირის ხორცი ხუთასი დრაჰმა ღირდა“. ამირას ტივები და ნავები გამზადებული ჰქონდა, რომ უჩუმრად დაშვებულიყო მტკვარზე, მაგრამ კვლავ ბედმა გაუღიმა. ლიპარიტის გარეშე მოურიგდა მას ბაგრატი, ალყა მოხსნა ქალაქს და სანაცვლოდ, მხოლოდ ბირთვისისა და ფარცხისის ციხეები დაიკავა. ამით საბოლოოდ გადაიმტერა ბაღვაში და მათი უმაგალითო ქიშპი და მტრობა თითქმის ოცი წელი გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე ვერაფერი მოუხერხა მეფემ თავის ფეოდალს — წამქეზებელი და მხარდამჭერი ბიზანტია ჰყავდა ლიპარიტს. მაგრამ თავად ლიპარიტ ბაღვაშიც მნიშვნელოვანი ფიგურა იყო საქართველოს ისტორიაში და დიდი სახელიც ჰქონდა იმდროინდელ მეფე-სულთნებსა და მხედართმთავარ-დიდგვაროვნებს შორის. ერთად, ერთ ეპოქაში მოუწია ორ დიდებულ პიროვნებასა და გამოჩენილ სარდალს მოღვაწეობა — საქართველოს გაერთიანებისთვის დაუცხრომელ მებრძოლ ბაგრატ მეოთხეს და მის ურჩსა და დაუოკებელ ვასალს ლიპარიტ ბაღვაშს. დიდად დასანანი კი სწორედ ის არის, რომ თავისი ნიჭი და უნარი ლიპარიტმა საქართველოს ძლიერებას კი არ შეალია, არამედ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ უშეღავათო ბრძოლას.

მკვლევარები მანანა სანაძე და თამაზ ბერაძე გვაწვდიან უცხოელი მემატიანის საინტერესო ცნობებს, რაც ნათლად ახასიათებს ლიპარიტ ბაღვაშის სახელსა და პიროვნებას. ლიპარიტი, ბიზანტიელებთან ერთად იბრძოდა წინა აზიაში თურქ-სელჩუკებისა და მათი სულთნის, თოღრულ ბეგის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში 1048 წელს ტყვედ ჩავარდა ლიპარიტი. ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე მეცხრე მონომახმა სულთანს ნახევარ ტონაზე მეტი ოქრო (რაც 400 ათასი დინარით გამოიხატებოდა) შესთავაზა თანამებრძოლის გამოსახსნელად. და აი, შუა საუკუნეების რაინდული ურთიერთობის ღირსეული ნიმუში: თოღრულ ბეგმა იუკადრისა ასეთი გამოჩენილი მხედართმთავრის სანაცვლოდ თანხის აღება და გამოსასყიდის გარეშე გაათავისუფლა. კმაყოფილმა კეისარმა კი მართლაც მეფური გულუხვობით გადაუხადა სამაგიერო თოღრულ ბეგს. არნახული ძღვენი გაუგზავნა (რომელზე უარის თქმაც წარმოუდგენელი იყო მაშინ) — 100 ფარჩისა და 500 სხვა სამოსი, 500 ცხენი, 200 ათასი დინარი (ანუ მეოთხედი ტონა ოქრო), 100 ვერცხლის ზოდი, 300 საპალნე ცხენი, 300 ეგვიპტური სახედარი, 1000 თეთრბეწვა, შავთვალა და შავრქიანი თხა, ხოლო შუამავალსა და საქმის მომრიგებელ იბნ მირვანს, დიარბექირ-ხლათ-მანაზკერტის გამგებელს უძღვნა ათი მანი, ანუ 8.125 გრამი მუშკი — უძვირფასესი სურნელოვანი ნივთიერება, რომელიც ჩინეთიდან და ტიბეტიდან შემოჰქონდათ.

ამ ფაქტის აღსანიშნავად კონსტანტინე მონომახმა კონსტანტინეპოლში, არაბი ხალიფა აბდ ალ-მალიქის ძმის, სარდალ მასლამას მიერ მერვე საუკუნეში აგებული მეჩეთი აღადგინა!

ტყვეობიდან ასე სახელოვნად გათავისუფლებულმა ლიპარიტმა ისევ შეუტია ბაგრატ მეოთხეს.

მოულლელად ებრძოდა ოცი წელი ლიპარიტ ბაღვაში ბაგრატ მეოთხეს, რამდენჯერმე დაამარცხა კიდეც, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — მეფობა გულშიც არ გაუვლია. ყოველთვის ჰყავდა მომზადებული თავისი ფავორიტი, რომლის დასმასაც ცდილობდა მეფედ. ჯერ იყო და ბაგრატის ნახევარძმა დემეტრე ჰყავდა გამზადებული სამეფოდ, მერე კიდევ უფლისწული, ბაგრატისვე ვაჟი, მცირეწლოვანი გიორგი...

კვლავ ერთიანობისთვის ბრძოლა

მეფე ბაგრატი ამასობაში ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს დასახული მიზნისკენ, საქართველოს გაერთიანებისთვის. მეთერთმეტე საუკუნის შუა ხანებში დადგა სომხეთის სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. ბოლო მეფე გაგიკ მეორე 1045 წელს კონსტანტინეპოლში გაიწვიეს და იქ დაატყვევეს. როდესაც გაუჭირდებოდათ, სომხებს მაშინ ახსენდებოდათ ძირძველი მეზობელი. ასე იყო ახლაც. მიიჩნიეს, რომ ქომაგად საქართველო დაუდგებოდათ. მით უმეტეს, დედოფალი მარიამი სომეხთა სამეფო ტახტის ჩამომავალი იყო. ბაგრატმა ეს მიწვევა მიიღო, ბიზანტიას რამდენიმე მხრიდან შეუტია და ერთი დრო ანისის სამეფო ტახტიც „მოსინჯა“ და იქ თავისი მეციხოვნეც ჩააყენა. ამავე დროს ანაკოფიაში გადავიდა და თავისი ნახევარძმა დემეტრე კუთხეში მიიმწყვდია. ამ დროს ეახლნენ მეფეს თბილისის ბერები, გამგებლები, ამირა ჯაფარის გარდაცვალება აუწყეს და ქალაქის დასაკავებლად მიიწვიეს. ანაკოფიაში ერთგული სარდალი დატოვა და მსწრაფლ თბილისს მოაშურა. ეტყობა, ესწრაფოდა, თბილისი ლიპარიტს არ დაეკავებინა. ზარ-ზეიმით შეხვდა თბილისი მეფეს: „მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი ცხენოსანნი დილმისა ველსა... მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი და შეიყვანეს საამიროსა დარბაზს“. მაგრამ ისანი არ დაემორჩილა ბაგრატს და დიდი ბრძოლაც გაუმართა. კვლავ „ამოძრავდა“ ბიზანტია, ლიპარიტთან და ქვეყნის სხვა შინა-მტრებთან ერთად ბაგრატ მეოთხეს ეს მნიშვნელოვანი წამოწყებანი ჩაუშალა. ანისიც დაკარგა და ვერც თბილისი და ანაკოფია დაინარჩუნა მეფემ.

„საპატიო ტყვეები“

საბოლოოდ ისევ ბიზანტიას მიაკითხა საქმის მოსაგვარებლად დედასთან, მარიამთან ერთად, ბაგრატ მეოთხემ. კონსტანტინეპოლში წასვლის წინ ტახტზე მცირეწლოვანი მემკვიდრე გიორგი დატოვა. სწორადაც მოიქცა. რადგან მართალია, ბიზანტიაში ერთმანეთთან კი დააზავეს მეფე ბაგრატი და ვასალი მისი ლიპარიტი, მაგრამ მთელი სამი წლის განმავლობაში კეისარმა მიხეილ მეექვსემ განზრახ არ გაუშვა მეფე საქართველოში. ფაქტობრივად, „საპატიო ტყვედ“ ჰყავდა იგი 1057 წლამდე, როცა სამშობლოში დააბრუნა „დიდითა დიდებითა ნიჭითა და განძითა მიუწვდომელითა“.

ახალი დაპირისპირება იყო მოსალოდნელი ქვეყნის შიგნით. ამას კი ველარ გაუძლებდა ფეხზე ახალდამდგარი საქართველო. ამიტომაც იყო, რომ პატრიოტმა დიდგვაროვნებმა მესხი აზნაურის სულა კალმახელის მეთაურობით შეიპყრეს ლიპარიტი და ვაჟი მისი ივანე და ბორკილგაყრილი მიჰგვარეს მეფეს ძვირფასი ტყვეები. ბაგრატმა ივანე ბაღვაშს კლდეკარის საერისთავო ჩამოართვა და მხოლოდ საგვარეულო მამული, არგვეთი დაუტოვა. ლიპარიტი კი ბერად აღიკვეცა ანტონის სახელით და მის მიერვე ანტიოქიის მახლობლად დაარსებული მონასტრიდან დასდო ღვაწლი ქართულ მეცნიერებასა და კულტურას. 1060 წელს მიიცვალა, ანდერძის თანახმად ჩამოასვენეს და დაკრძალეს „კაცხს, სამარხავსა მამათა მათთასა“.

თურქ-სელჩუკთა გამოჩენა

თითქოს დამშვიდდა საქართველო, ქვეყნის საბოლოო გაერთიანებაც არ არის შორეული საქმე. შინაური მტრებიც ალაგმულნი არიან, ბიზანტიასთანაც ასე თუ ისე, მოგვარებულია ურთიერთობა... მაგრამ როდის ყოფილა, რომ საქართველოსთვის დიდხანს გაგრძელებულიყო მშვიდობიანი ცხოვრება... თურქებია მორიგი სასჯელი ჩვენთვის! თანაც ძალიან დიდი ხნით!

მეთერთმეტე საუკუნის სამოციან წლებში პირველად გამოჩნდნენ საქართველოში თურქნი, სელჩუკთა მოდგმისა, რომელნიც თავიანთი სამკვიდროდან, იმიერკასპიისპირეთიდან უკვე წინა აზიაში შემოხიზნულან. შემოხიზნულან არა მშვიდობით, არამედ ხმლითა და სისხლით. წინ წამოუძღვა თოღრულ ბეგი — სელჩუკის შვილიშვილი.

ორი მძიმე ლაშქრობა მოაწყო თურქთა სულთანმა ალფ-არსლანმა. 1064 წელს თავისი ურდოებით თრიალეთ-ჯავახეთი მოარბია, ხოლო 1068 წელს — აღმოსავლეთი საქართველო. ხარაჯას სთხოვდა ალფ-არსლანი ქართველთა მეფეს, სამაგიეროდ, შერიგებასა და ზავს სთავაზობდა, მაგრამ იმ წელს უჩვეულო ყინვებისგან მეტად შეწუხებული პასუხს აღარ დაელოდა, აიყარა და თავისი სამკვიდროსკენ იქცია პირი.

უძლეველ თურქ-სელჩუკთა მრისხანე სულთნის ალფ-არსლანის წინააღმდეგ ბრძოლა ფაქტობრივად ბაგრატ მეოთხის გამარჯვებით დასრულდა. იგი ისე გარდაიცვალა, რომ არც დამარცხება უღიარებია და არც ხარკის გადახდა უკისრია თურქთათვის.

მიიცვალა საქართველოს გაერთიანებისათვის დაუცხრომელი მეფე ბაგრატ მეოთხე 1072 წელს, 24 ნოემბერს. მეფე, რომელიც 9 წლისა ავიდა სამეფო ტახტზე, 45 წელი იმეფა და 54 წლისა აღესრულა. და მემატიანის სიტყვით იყო „სახით უმშვენიერესი ყოველთა კაცთასა. სრული სიბრძნითა, ფილოსოფოსი ენითა, სვიანი ბედითა... მოწყალე ცოდვილთათვის“.

განილია მეფობა ბაგრატ მეოთხესი, რომელმაც იმიტომაც ვერ დატოვა შთამომავლობაში განსაკუთრებული შარავანდედით მოსილი სახელი, რომ ჯერ აუწყობელ ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ხალხისა მძიმე იყო. ასე იყო მაშინ და ახლაც ასეა — რთულია ყველა იმ ქვეყნის მდგომარეობა, ვინც იწყებს და ახორციელებს სახელმწიფოს გაერთიანებას თუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ეს კი ისეთი საქმეა, რომლის სასიკეთო შედეგები, სოციალურად და ეკონომიკურადაც, მაშინვე არ ჩანს...

ისტორიული წყაროების მიხედვით მოამზადა ნოდარ შოშიტაშვილმა

DURA LEX SED LEX

სასამართლო
ქრონიკა

ყოველთვიური ჩანართი

N37 26.07.2004

ახალი ცენტურიონები

მერაბ ბასილაია

უკვე სამ კვირაზე მეტია თბილისის ქუჩებიდან საგზაო პოლიცია გაქრა. როგორც ჩანს, ტრანსპორტის მოძრაობა თბილისში, და არა მარტო თბილისში, უკვე კარგა ხანია დაძაბულობის იმ ზღვარზეა, რომლის დროსაც მძღოლებში თვითრეგულირების პრინციპი ამოქმედდა და ამდენად „გაიშნიკების“ გაუჩინარებას არანაირი პრაქტიკული გართულება არ მოჰყოლია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პირობებში საგზაო-სატრანსპორტო ინციდენტების რაოდენობა არ შემცირებულა, თუმცა ფაქტია, რომ არც მომატებულა და როგორც კახელები იტყვიან ხოლმე, „თურმე რა ტყუილა ვაჭმევდით პურსა“. ხუმრობა იქით იყოს და, ქუჩაში პოლიციელი მაინც საჭიროა. **უპირველესად იმისათვის, რომ იქნებ მოხდეს სასწაული და, ქუჩაში მოძრაობა, როგორც მანქანით, ისე ფეხით მოსიარულეთათვის, სასიამოვნო თუ არა, უსაფრთხო გახდეს.**

„გაი“ გაუქმდა. ვინ დაიკავებს მის ადგილს?

გასულ კვირას ქვეყნის პრეზიდენტმა პოლიციის აკადემიაში საპატრულო პოლიციის პრეზენტაცია მოაწყო.

საშუალო თაობას ალბათ ახსოვს სამოცდაათიან წლებში ეკრანებზე გამოსული ჰოლივუდის ნაწარმი „ახალი ცენტურიონები“. ფილმი, რომელიც საბჭოთა კავშირში საკულტო ნაწარმოებად იქცა და პოლიციური ესთეტიკით მოხიბლა მაყურებელი.

ვერ ვიტყვით, რომ ვიზუალური მხარე ამ ფილმის შესაბამისი იყო, თუმცა პოლიციის აკადემიაში მოწყობილმა საჩვენებელმა სწავლებამ, აშკარად გაგვახსენა ამერიკული ფილმის გმირები და მათი ქმედებები.

მაშ, ვინ არიან და რა ფუნქცია ექნებათ ქართველ ცენტურიონებს?

ცნობისათვის: „ცენტურიონი“ ლათინური სიტყვაა და ასეულს ნიშნავს. ძველ რომში სწორედ ცენტურიონები იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს და ასრულებდნენ იმ სამუშაოს, რომელსაც თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში საპატრულო პოლიცია აკეთებს.

უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ საპატრულო პოლიცია საგზაო პოლიციის ჩამნაცვლებელი სტრუქტურა არ არის. უფრო სწორად, მხოლოდ საგზაო პოლიციის ფუნქციას არ შეასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრუქტურის ოფიციალური სახელწოდება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციაა“, მას ინტეგრირებული ფუნქციები აკისრია. **ახალ სამსახურს ქუჩაში წესრიგის დაცვის კომპლექსური ამოცანა ექნება.**

ავტომფლობელებმა კარგად იციან, თუ რას ნიშნავს, როდესაც კვერთხმომარჯვებულ ავტოინსპექტორს გვერდს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები უმშვენებენ და ასეთი შემადგენლობით აჩერებენ მძღოლებს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ავტოინსპექტორთან ერთად პოლიციის ოპერატიული სამმართველოს მუშაკები იყვნენ და მათი პრეტენზია ავტოსაგზაო წესების დარღვევის თემას აუცილებლად სცილდებოდა.

საპატრულო პოლიციის ამოქმედებისთანავე გაუქმდება პოლიციის ოპერატიული სამსახური (ჩვენი ინფორმაციით, ეს სტრუქტურა კრიმინალურ პოლიციას მიუერთდება), ხოლო მათი ფუნქციების უმეტეს ნაწილს ახალი ცენტურიონები შეითავსებენ.

წესდების თანახმად, საპატრულო პოლიციის სფეროს განეკუთვნება:

დასასრული მე-19 გვერდზე

სასამართლო დარბაზებში

ევრო-სასამართლოს ადვოკატები

ნინო მთვარელიშვილი

მას შემდეგ, რაც საქართველო მიუერთდა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციას და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა გახდა, მის მოქალაქეებს ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოში საკუთარი უფლებების დაცვის საშუალება მიეცათ. წელს ევროპის სასამართლომ გამოიტანა პირველი გადაწყვეტილება საქართველოსთან მიმართებაში — საქმეზე „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“. მეორე რეზონანსული საქმე „შამაევი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ ანუ ე.წ. „ჩეჩნების საქმე“, განხილვის სტადიაშია.

აღნიშნული საქმეები საქართველოს ხელისუფლებას წინა ხელისუფლებისაგან ერგო მემკვიდრეობად, მაგრამ თუ ახალი მთავრობა რადიკალურად არ შეცვლის ადამიანის უფლებებისადმი ჩვენში დამკვიდრებულ მიდგომებს, ხელისუფლებას კიდევ არაერთხელ მოუწევს ევროსასამართლოს წინაშე წარდგომა.

ევროპის სასამართლოსადმი მიმართვა ითვალისწინებს სპეციფიკურ პროცედურას. სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა **არასამთავრობო ორგანიზაცია კავშირი კონსტიტუციის 42-ე მუხლის** ორწლიანი პროგრამა, რომელიც კავშირის წევრებმა უცხოელ პარტნიორებთან ერთად განახორციელეს.

ამ პროგრამის ფარგლებში, ევროსასამართლოს ექსპერტებმა მოამზადეს 21 ქართველი ადვოკატი, რომლებიც ამიერიდან ევროპის სასამართლოს მიმართულებით იმუშავებენ.

გასულ კვირას სასტუმრო „სიმპათიაში“ გაიმართა პროექტის დახურვის ცერემონიალი. მოწვეულები იყვნენ ამერიკის იურისტთა ასოციაციის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ადვოკატებს, რომლებმაც პროგრამით გათვალისწინებული კურსი გაიარეს, ევროპის სასამართლოს ადვოკატის სერტიფიკატები გადაეცათ.

ესტონეთი

საგზაო პოლიცია რადიოსადგურების წინააღმდეგ

საჩივარი: პოლიციის დეპარტამენტის საგზაო ბიურომ საჩივრით მიმართა საბჭოს და სთხოვა, გაერკვია, თუ რამდენად შეესაბამებოდა კარგ ჟურნალისტურ პრაქტიკას ის ფაქტი, რომ ორი რადიოსადგური ეთერით აცხადებდა პოლიციის პატრულის ზუსტ ადგილმდებარეობას. პოლიციის განცხადებით, ასეთი ცნობების გავრცელება პოლიციის გაღიზიანებას იწვევდა, დამრღვევებს კი პატრულის გვერდის ავლის საშუალებას აძლევდა. რადიოსადგურები ავრცელებდნენ ინფორმაციებს, რომელთაც მათ მძღოლები სატელეფონო ზარების მეშვეობით ატყობინებდნენ.

მაუწყებლებმა საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნიეს. მათ განაცხადეს, რომ ასეთი განცხადებები ხელს უწყობდა გზებზე კანონიერებასა და უსაფრთხოებას. კრიმინალებს ინფორმაციის მოპოვება სხვა წყაროებიდან უფრო შეეძლოთ, ვიდრე რადიოდან, – აღნიშნეს მათ.

გადაწყვეტილება: საბჭომ საჩივარი არ გაიზიარა.

მოტივაცია: საბჭომ აღნიშნა, რომ იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ეთიკურია ამ ცნობების გავრცელება, არ შეიძლება ფორმალური მიდგომის საფუძველზე. ასეთმა მიდგომამ შესაძლოა მიგვიყვანოს ისეთ სიტუაციამდე, როცა შინაარსთან შეუსაბამობის გამო შეიძლება განვიხილოთ გარკვეული სახის ინფორმაციების (მაგალითად ამინდის შესახებ) აკრძალვის შესა-

ძლებლობა. პოლიციამ ვერ დაასახელა ვერც ერთი კონკრეტული ინფორმაცია, რომელმაც გავლენა მოახდინა მათ მუშაობაზე.

საბჭო მიესალმა საჯარო დისკუსიას, რომელსაც პოლიციის სარჩელმა დაუდო სათავე და ასევე აღნიშნა ის პროგრესი, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც პოლიციის, ასევე რედაქციის მუშაობაში. საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ამ ინფორმაციის გაშუქებისას, მაუწყებლებისთვის მთავარი კრიტერიუმი საზოგადოებრივი ინტერესი იყო, რომელიც უნდა აიწონოს ცალკეული ინფორმაციის შემთხვევაში.

1997 წელი, 27 აგვისტო

შვეიცარია

Y „ვოხენბლატის“ წინააღმდეგ

საჩივარი: 2002 წლის 15 ოქტომბერს გაზეთმა „ვოხენბლატმა“ გამოაქვეყნა სტატიები შემდეგი სათაურებით, *„მასწავლებელი დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს“* და *„ლაიმენტალის სკოლის დირექციამ მასწავლებელი Y დაუყოვნებლივ გაათავისუფლა სამსახურიდან“*. პუბლიკაციებში საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ გამოუტყდა მასწავლებელი ერთ-ერთ თანამშრომელს, რომ ინტერნეტში ბავშვთა პორნოგრაფიის ფასიანი მომხმარებელი იყო. 2002 წლის სექტემბერში მოეწყო დიდი აქცია, რომელიც ინტერნეტში ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ იყო მიმართული. სისხლის სამართლის საქმე ამ მასწავლებლის მიმართაც აღიძრა, და რადგან არდადეგების პერიოდი იყო, სკოლის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, დაესახელებინა ეჭვმიტანილი მასწავლებლის სახელი და გვარი. ამით ადმინისტრაცია შეეცადა მოსალოდნელი სპეკულაციებისაგან დაეცვა დანარჩენი პედაგოგები, რომლებიც შვებულებაში იმყოფებოდნენ.

Y-ის ადვოკატმა პრესის საბჭოში საჩივარი შეიტანა. დაზარალებული თვლიდა, რომ გაზეთმა დაარღვია ჟურნალისტური ეთიკა და სთხოვდა საბჭოს გაერკვია, დაირღვა თუ არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

„ვოხენბლატმა“ ეს საჩივარი გააპროტესტა. რედაქციის განმარტებით, მათ მხოლოდ ლაიმენტალის სკოლიდან მიღებული და მედიისათვის განკუთვნილი მასალა გამოიყენეს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მასწავლებლის სახელი და გვარი სკოლამ გამიზნულად მიუთითა. ამით სკოლის დირექცია შეეცადა, მოსალოდნელი ეჭვები აერიდებინა დანარჩენი პედაგოგებისთვის. ამასთანავე რედაქციამ აღნიშნა, რომ ადგილობრივი მთავრობის პრესცენტრთანაც ჰქონდა კონტაქტი. მედიისათვის მიწოდებულ წერილობით შეტყობინებაზე დაყრდნობით, პასუხისმგებელ რედაქტორს ყველა საფუძველი ჰქონდა ჩაეთვალა, რომ სკოლის დირექციამ იმსჯელა საკითხის როგორც სამართლებრივ, ისე ადამიანურ და ფსიქოლოგიურ მხარეზე და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, გაემჟღავნებინა ეჭვმიტანილის ვინაობა. ხოლო რახან ინფორმაციის მომწოდებლად სამთავრობო პრესცენტრი გამოდიოდა, რედაქციამ აღარ ჩათვალა საჭიროდ, კიდევ ერთხელ ემსჯელა იმაზე, ღირდა თუ არა სრული სახელისა და გვარის მითითება. რედაქციის აზრით, უსაფუძვლო იყო მომჩივანის არგუმენტი იმის შესახებ, თითქოს მასწავლებელი საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ფიგურად არ შეიძლება ჩაითვალოს: *„უამრავი მშობელი საკუთარ შვილს მასწავლებელს ანდობს და თვლის, რომ მან ბავშვებს არა მარტო განათლება უნდა მისცეს, არამედ საზოგადოების სრულფასოვან წევრად, პატიოსან ადამიანად აღზარდოს. მასწავლებელი კი ამ დროს პედოფილიისაკენ არის მიდრეკილი. პედაგოგობა სპეციფიკური საქმიანობაა და მასწავლებელი სწორედაც რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს“.*

გადაწყვეტილება: საბჭომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მომჩივანის პრეტენზიები.

მედია დამნაშავის ძიებაში

მოტივაცია: „განმარტებების“ მე-7(7) მუხლი იცავს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ადამიანის პირადი ცხოვრება, მისი თანხმობის გარეშე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაშუქდეს მედიის საშუალებით, თუ ეს განპირობებულია საზოგადოებრივი ინტერესით.

მომჩივანის პროფესიულ საქმიანობასა და მისთვის წაყენებულ ბრალდებას შორის კავშირზე იმდენად შეიძლება საუბარი, რამდენადაც სკოლის დირექცია, მშობლები და ბავშვები თვლიან, რომ ბავშვთა პორნოგრაფიის მომხმარებელი მასზე დაკისრებულ პედაგოგიურ ამოცანებს სწორად ვერ აღიქვამს. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის მოკვლევის ობიექტი მომჩივანის პირადი ცხოვრება არ არის. თუმცა, იმ მასალის მიხედვით, რაც პრესის საბჭოში შევიდა, არ ჩანს, რომ ბრალდებულს სასწავლო პროცესში გამოემჟღავნებინოს პედოფილიისაკენ მიდრეკილება. ამდენად მომჩივანის პროფესიულ საქმიანობასა და მისთვის წაყენებულ ბრალდებას შორის პირდაპირ კავშირზე საუბარი არ შეიძლება. მართალია, ბრალდება, რომელიც პედაგოგს ინტერნეტში ბავშვთა პორნოგრაფიის მოხმარებისთვის წაუყენეს, მძიმეა, მაგრამ პედაგოგის პროფესია სხვა პროფესიებისაგან გამორჩეული არ არის და, როცა ვინაობის გამჟღავნებაზეა საუბარი, კანონი ყველა პროფესიის ადამიანს ერთნაირად იცავს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მოკვლევა, რომელიც მომჩივანის წინააღმდეგ არის დაწყებული, პირდაპირ კავშირშია მთელ შვეიცარიაში პოლიციის მიერ მოწყობილ დიდ აქციასთან, რომელიც ინტერნეტში ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ არის მიმართული.

განმარტებების მე-7.6 პარაგრაფის მიხედვით, გამონაკლისის სახით ნებადართულია ვინაობის მითითება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის საფრთხე, რომელიც მედიაში ვინაობის გაუმჟღავნებლობამ შეიძლება გამოიწვიოს, კერძოდ, ეჭვქვეშ დააყენოს სხვა პირები. ზემოხსენებული სკოლის დირექციის მტკიცებით, ვინაობის გაუმჟღავნებლობა მართლაც გამოიწვევდა უსაფუძვლო ეჭვებსა და ბრალდებებს. ასეთ შემთხვევაშიც კი ჟურნალისტმა უნდა გადაამოწმოს, საჭირო არის თუ არა ვინაობის მითითება, თუ არასწორი იდენტიფიკაციის თავიდან ასაცილებლად სხვა საშუალებებიც არსებობს. დირექციის მიერ გაზეთისთვის მიწოდებული მასალებიდან ჩანს, რომ მასწავლებლის გათავისუფლებას სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლეთა სიტყვიერი და მშობელთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე აპირებდა. ამდენად, არასწორი იდენტიფიკაციის საფრთხე იმთავითვე არ არსებობდა. ის ხალხი, ვისაც რაღაც შეხება მაინც ჰქონდა სკოლასთან, ისედაც საქმის კურსში იყო. გაზეთის მხრიდან ვინაობის მითითება კი ინფორმაციის მიმღებთა უფრო ფართო წრეზე იყო გათვლილი, რაც არსებულ ვითარებაში სრულიად უადგილო იყო. გაზეთს თვითონ უნდა გადაეწყვიტა მიზანშეწონილი იყო თუ არა ვინაობის მითითება და სკოლის დირექციის რჩევა ნაკლებად გაეთვალისწინებინა.

2003 წლის 7 თებერვალი

აშშ

ჩრდილო ბერლინგტონის რკინიგზა WCCO-TV-ის წინააღმდეგ

საჩივარი: 1987 წლის 15 ივნისს, შუადღის სატელევიზიო პროგრამაში „ნიუსდეი“ WCCO ტელეარხით გადაიცა სიუჟეტი ადგილობრივ ბიზნესაღმასრულებელზე, რომელიც თავისუფალ დროს სატვირთო მატარებლებზე მგზავრობით ირთობდა თავს. ჩრდილო ბერლინგტონის რკინიგზამ ამ სიუჟეტის გამო საბჭოში საჩივარი შეიტანა და აღნიშნა, რომ ეს იყო უპასუხისმგებლო ჟურნალიზმის ნიმუში, რადგან ტელესიუჟეტი ხოტბას ასხამდა უკანონო, მაქსიმალურად სახიფათო ქმედებებს. საბჭომ ნახა ვიდეოჩანაწერი და სიუჟეტის თანმხლები ტექსტის წერილობითი ვარიანტი.

ტელესიუჟეტში დეივ ნიმერმა და მარსია ფლერმა ინტერვიუ აიღეს ტომ სტიუარდისაგან (შტატგარეშე ჟურნალისტი), რომელიც თან ახლდა თავგადასავლების მოყვარულ ბიზნესმენს ჩრდ. ბერლინგტონის სატვირთო მატარებლით მგზავრობისას, ტვინ სიტიდან ლა კროსეში და უკან. მგზავრობა ტრანსლირებული იყო ტელევიზიით. სტიუარტმა სიუჟეტში აღნიშნა, რომ *„ის, რასაც ეს ადამიანი აკეთებს, უკანონო და სახიფათოა, ხოლო ჩვენთვის ძალზედ მიმზიდველი“*. თავად ბიზნესმენმა ისაუბრა *„შეუზღუდავ თავისუფლებაზე, თავგადასავლებსა და მომხიბლავ სპორტზე, რომელსაც მცირე ხნით სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენება ჰქვია“*. სიუჟეტში გამოჩნდა მამაკაცი, რომელიც რკინიგზის ეზოში იმალებოდა, ხოლო შემდეგ მარცვლეულის ცარიელ ვაგონს შეახტა. სტიუარტმა ისაუბრა *„მაცდუნებელ სიჩქარეზე, ბგერებზე, თავისუფლებაზე“*. უკან დაბრუნებისას კი ტელეფირზე აღიბეჭდა კაცი, რომელიც ბუჩქებში იმალებოდა, შემდეგ კი კვლავ ვაგონს შეახტა. ყოველივე ეს მისისიპიზე მზის ჩასვლის ფონზე ხდებოდა. მგზავრობის ერთ მომენტში ბიზნესმენი შამპანურს მიირთმევდა.

ბერლინგტონის რკინიგზამ მკაცრად გააპროტესტა აღნიშნული სიუჟეტი და განაცხადა, რომ ნებისმიერი გართობის საფასური შეიძლება სერიოზულად გადასწონოს იმ საბედისწერო საშიშროებამ, რაც მატარებლით მგზავრობას უკავშირდება. ამ ხიფათის თავიდან აცილების მიზნით, ბერლინგტონის რკინიგზა ლექციებსაც კი უკითხავდა სტუდენტებს და აფრთხილებდა მათ რკინიგზასა და მის სიახლოვეს თავისუფალი ქმედებების საფრთხის სერიოზულობაზე. რკინიგზის ხელმძღვანელობის აზრით, ტელესიუჟეტით მოხდა მათი ძალისხმევის ნიველირება, როცა ტელეკომპანიამ სრულიად უკანონო, საშიში ქმედებები „მომაჯადოებლად“, „დაუვიწყარ მგზავრობად“ და „ურჟოლის მომგვრელ სპორტად“ წარმოაჩინა.

თავის მხრივ, ტელეარხმა განაცხადა, რომ მათი სიუჟეტი ფოკუსირებული იყო არა სატვირთო ვაგონებით უკანონო მგზავრობაზე, არამედ უფრო საინტერესო ამბავზე – ადამიანზე, რომელიც უჩვეულო თავგადასავლებში იყო გახვეული. ტელეარხის აზრით, ეს იგივე იყო, რაც სიუჟეტები კლდეებზე მცოცავების, მყვინთავების, სიმაღლეებიდან მხტომელების და სხვათა შესახებ. უფრო მეტიც, ტელეარხმა სიუჟეტში საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ამ ქმედების საშიშროებასა და უკანონობაზე. თავად სიუჟეტის გმირი კი ამბობდა: *„მე ვფიქრობ, რომ ეს მართლაც ძალიან სახიფათოა ადამიანთა უმეტესობისათვის... მე ნამდვილად ვიცი, რასაც ვაკეთებ, და ეს მაინც ძალიან სახიფათოა, ეს გადარჩენის სპორტია... მე არავის ვურჩევ ამის კეთებას, არა“*.

შოუს შემდეგ ტელეარხს რამდენიმე მაყურებელი გამოეხმაურა. ორმა ადამიანმა დარეკა და მკაცრად გააკრიტიკა სიუჟეტი, რომელიც, მათი აზრით, ადვოკატობას უწევდა უკანონობას და ხოტბას ასხამდა სახიფათო და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს. მესამე ტელემაყურებელს, რომელიც, როგორც ჩანდა, წარსულში მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა, სიუჟეტი მოეწონა. მარსია ფლერმა განაცხადა, რომ ტელევიზიაში ბერლინგტონის რკინიგზიდანაც დარეკეს და უთხრეს, „თუ რაოდენ სახიფათოა ეს და რომ გასულ წელს მატარებელზე შეხტომის მცდელობისას 55 ადამიანი მხოლოდ ჩრდ. ბერლინგტონის რკინიგზაზე დაიღუპა“.

გადაწყვეტილება: საბჭომ მაღალი შეფასება მისცა რკინიგზის ადმინისტრაციის ზრუნვას ადამიანების უსაფრთხოებაზე, რაც სერიოზულ პრობლემად მიიჩნია. საბჭოს აზრით, სატელევიზიო სიუჟეტი რომ ზოგადად ასეთი ტიპის მგზავრობებზე ყოფილიყო, საფრთხის ჩვენება აუცილებელი იქნებოდა. მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. სიუჟეტი აშკარად გასართობი, საინტერესო, განსაკუთრებული თავგადასავლის ჩვენებას ისახავდა მიზნად. ეს იყო ამბავი ადამიანის ორმაგ ცხოვრებაზე: ერთი მხრივ, სამუშაო დღეებში ჭკუადამჯდარი ბიზნესმენი და მეორე მხრივ, სულით თავისუფალი მოხეტიალე შაბათ-კვირას. ასეთი სახით წარმოდგენილი სიუჟეტი, საბჭოს აზრით, სრულიად მისაღები იყო და ის აუდიტორიის ინტერესს აღძრავდა.

საბჭომ განიხილა მეორე საკითხიც, რომელიც ჟურნალისტის მიერ, მასალის მოპოვების მიზნით, კანონის დარღვევას შეეხებოდა და რომ კონსენსუსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს უფრო ხშირად ხდება, ვიდრე ადამიანებს წარმოუდგენიათ. პრესა ისევე დგება დაპატიმრებისა და ბრალდების რისკის წინაშე, როდესაც არღვევს კანონს, როგორც ნებისმიერი ადამიანი. საბჭოს აზრით, რისკის შესახებ გადაწყვეტილება შიდასარედაქციო საკითხია. რონ ჰენდბერგმა განაცხადა, რომ არხს გაცნობიერებული ჰქონდა რისკი და თუ ჟურნალისტს ან ტელეჯგუფს ამ მასალის მომზადებისას დააკავებდნენ, არხი არ ამოეფარებოდა „პირველი შესწორებით“ გარანტირებულ (გამოხატვის თავისუფლება) უფლებას. WCCO-TV-მ აღიარა ის, რაც ნათლად ჩანდა ვიდეოფირიდან, არხის თანამშრომლებმა ბოროტად ისარგებლეს ჩრდილო ბერლინგტონის კერძო საკუთრებით. რკინიგზას ბრალდება არ წაუყენებია ჟურნალისტებისათვის, ნაცვლად ამისა, მათ ახალი ამბების საბჭოში წარადგინეს საჩივარი, რომელშიც აქცენტს სოციალური თვალსაზრისით. უპასუხისმგებლობაზე აკეთებდნენ. საბჭომ გადაწყვიტა, არ ემსჯელა ჟურნალისტურ კეთილსინდისიერებაზე და საჩივარს მხარი არ დაუჭირა.

29 აპრილი, 1988 წელი



ქურდს რა უნდა და...

გვანცა ლიპარტელიანი



ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო — ნათქვამია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, საქართველოში არათუ ქურდობა, არაერთი საზარელი მკვლელობა მომხდარა და თანაც დღისით, ასობით ადამიანის თვალწინ და ბნელი ღამისა არ იყოს, ამის დამნახავი კაცი არ „გამოჩენილა“. ასე რომ, თამამად შეგვიძლია ძველი ანდაზა ახალ თარგზე მოვჭრათ და ვთქვათ: დამნაშავეს რა უნდა და მოწმის არარსებობაო. შესაძლოა, ასეთი კალამბური უადგილო იყოს იმ პრობლემასთან მიმართებაში, რომელზეც ვაპირებთ საუბარს, მაგრამ საქმე ხშირად მართლაც აბსურდამდე მიდის. როდესაც ახალგაზრდა ადამიანს რესტორანში, ათობით ადამიანის თვალწინ კლავენ, ხოლო საგამოძიებო მასალებში ვკითხულობთ, რომ იქ მყოფთა აბსოლუტური უმეტესობა ამ დროს სხვა მხარეს იყურებოდა და მომხდარის შესახებ არსებითს ვერაფერს იტყვის, დავინახავთ, რომ საქმე სახუმაროდ ნამდვილად არ გვაქვს. ამის შემდგომ აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ არა ერთი კრიმინალი თავს აღწევს სასჯელს. ცხადია, მარტოოდენ თავის უკმაყოფილო ქნევით, საქმეს ვერ ვუშველით.

ზურაბ გუნცაძე, ასოციაცია ALPE

ევროკავშირის პროგრამის ფორმატში, ასოციაცია ALPE-ის მიერ ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 5%-ს უცნობებია პოლიციისათვის მომხდარი კრიმინალური ფაქტის შესახებ. საერთო რაოდენობის 88%-კი არასდროს გამხდარა დანაშაულის მოწმე!

რესპონდენტთა პასუხებიდან გამომდინარე, ძირითადი მიზეზი, რის გამოც მოქალაქეები უარს აცხადებენ საკუთარ მოქალაქეობრივ ვალდებულებებზე და არ აწოდებენ პოლიციას ინფორმაციას დანაშაულებათა შესახებ, არის დამნაშავეთა სამყაროს მიმართ შიში.

უკანასკნელ დრომდე, ამას სამართლდამცავ სტრუქტურებისადმი აბსოლუტური უნდობლობის ფაქტორიც ემატებოდა და იქმნებოდა მოჯადოებული წრე: მოქალაქე უარს აცხადებს დანაშაულის გაცხადებასა და მოწმედ წარდგომაზე, რადგან არ ენდობა სახელმწიფოს. ამით სარგებლობს კრიმინალური სამყარო, და „ქურდული ტრადიციების“ დამკვიდრებით აკაბალებს საზოგადოებას.

ასოციაცია ALPE-ს დირექტორს ზურაბ გუნცაძეს მიაჩნია, რომ ბოლო დროს განვითარებულმა პროცესმა, სამართალდამცავთა კონკრეტულმა ნაბიჯებმა, ამ წრის გარღვევისა და ვითარების რადიკალურად შეცვლის პერსპექტივა შექმნა. „თუმცა ეს არის მხოლოდ შანსი და არა სისტემური ტენდენცია“, – აცხადებს ზურაბ გუნცაძე, რომელსაც საზოგადოებრივი კვლევის ზოგიერთი შედეგის კომენტირებისათვის მივმართეთ.

– მოწმე ცივილიზებული სამართალწარმოების საკვანძო ფიგურაა როგორც გამოძიების, ასევე სასამართლო განხილვის ეტაპზე.

საზოგადოება, რომელშიც მოქალაქე თავს არიდებს დანაშაულის გაცხადებას, გამოძიებისათვის ჩვენების მიცემას და სასამართლოს წინაშე მოწმედ წარდგომას, არის დახურული ტიპის საზოგადოება და ასეთ საზოგადოებას ცივილიზებული წესით ცხოვრების იმედი არ უნდა ჰქონდეს. საბჭოური სამართლის პრაქტიკამ უპირველესი დარტყმა საზოგადოებრივ ცნობიერებას, სწორედ ამ თვალსაზრისით მიაყენა.

ინკვიზიციურმა სამართალწარმოებამ, დანაშაულის გახსნის და შემდგომ ბრალეულობის დამტკიცების უმაღლეს კრიტერიუმად ადამიანის მიერ დანაშაულის აღიარების ფაქტი დაამკვიდრა და ამით პრაქტიკულად უგულებელყო მოწმეთა ჩვენებების მნიშვნელობა.

საბჭოურ ძალოვან სისტემას სჭირდებოდა დამსმენი, ცილისმწამებელი და არა მოწმე. მათ სისტემურ დონეზე მთელ ქვეყანაში დაამკვიდრეს გულაგური ცნობიერება და მიზანმიმართულად შექმნეს „ქურდული სამყარო“. ეს ინსტიტუტი იმ მილიონობით ადამიანის მართვაში ეხმარებოდათ, რომელიც ციხეებსა და გადასახლებებში იმყოფებოდა და იმავე დროს კრიმინალური სამაყაროს კონტროლის მექანიზმიც იყო.

საზოგადოებამ ბუნებრივია დაკარგა ასეთი სისტემისადმი ნდობა. კანონი და კანონიერება არა დაცვის, არამედ დასჯის მექანიზმთან გააიგივა და მასთან თანამშრომლობა საძრახის სტერეოტიპად დაამკვიდრა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სტერეოტიპიდან გამოსვლას პოსტსაბჭოური სახელმწიფოები ტოტალიტარული სისტემის ნგრევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც გაჭირვებით თუ ახერხებენ. საქართველოც არ არის გამონაკლისი. ამას არაერთი მიზეზი აქვს. რა თქმა უნდა, ეკონომიკა და სოციალური გარემო აქ მნიშვნელოვანია (სხვათა შორის, დახურული ტიპის საზოგადოებები თვით ევროპაშიც არსებობდა, მაგალითად, სიცილია), მაგრამ უპირველესი მიზეზი არის ის, რომ თავად პოლიციასა და პროკურატურაში არაფერი შეცვლილა და ეს სისტემები ძველებურად განაგრძობენ მუშაობას. მეორე მიზეზი საკანონმდებლო ბაზაში დევს, კერძოდ, არასათანადოდაა გააზრებული მოწმის სტატუსი და დაუცველია მოწმე.

თუმცა, უმთავრესი პრობლემა მაინც საზოგადოებრივი პოზიციაა: თუ ყოველი მოქალაქე არ გაიაზრებს, რომ კანონი ვერ გახდება მისი უსაფრთხოების გარანტი მანამ, ვიდრე ის თავად არ აღიარებს თავის ვალდებულებებს მის მიმართ, მაშინ ზედმეტია საუბარი ცივილიზებული სახელმწიფოს შექმნაზე.

იმისათვის, რომ კანონი, და არა ვინმეს ნება-სურვილი, იქცეს საზოგადოების მთავარ მომრიგებელ-მომწესრიგებლად, საჭიროა მასთან თანამშრომლობა, ანუ იმ მოვალეობების უპირობო აღიარება, რომელსაც კანონი ყოველ მოქალაქეს აკისრებს. სწორედ ეს არის კანონის უზენაესობის უმთავრესი პირობა, ხოლო კანონის უზენაესობა წარმატებული საზოგადოების ცხოვრების წესია.

ახალი ცენტურიონები

დასასრული.
დასაწყისი მე-17 გვერდზე

- **საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;**
- **სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილება. ცხელ კვალზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ადგილიდან მიმალული მძღოლების, გატაცებული ან მოპარული მანქანების ძებნაში მონაწილეობის მიღება. იძულებითი გაჩერებისათვის მიმართულ ქმედებებში მონაწილეობა.**
- **მართვის უფლების შეჩერება ან შეწყვეტა.**
- **საპატრულო პოლიციას უფლება აქვს, სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი იმის მისაჩნევად, რომ იგი იმყოფება ნასვამ მდგომარეობაში, ნარკოტიკული ან ფსიქოტოქსიკური საშუალებების ზემოქმედების ქვეშ და შეამოწმოს პირი სიმთვრალეზე დადგენილი წესით;**

ანუ აქ შედის ყველაფერი ის, რასაც საგზაო პოლიცია ახორციელებდა. თუმცა პატრულის ფუნქცია გაფართოვდა. კერძოდ, მას უფლება აქვს:

- აღკვეთოს სამართალდარღვევა გარემოს დაცვის სფეროში;
- იზრუნოს არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევის ფაქტების აღკვეთასა და პრევენციაზე;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები;

როგორც ხედავთ, საპატრულო პოლიცია შეითავსებს იმ ფუნქციათა ნაწილს, რომელსაც ოპერატიული სამსახურები ასრულებდნენ და შესაბამისად მასზე გადმოვა პრეტენზიების ნაკადი, რომელიც საზოგადოებას ე.წ. ოპერების მიმართ ჰქონდა. კერძოდ, წესდების თანახმად, პატრულს უფლება ექნება, *„დანაშაულის ფაქტზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებით და წესით ჩაატაროს ჩხრეკა, ამოღება და შემთხვევის ადგილის დათვალიერება“.*

იურიდიულ ნიუანსებში ჩაუხედავმა მოქალაქეებმაც კარგად უწყიან, თუ რას ნიშნავს ამ უფლებათა ბოროტად გამოყენება და რამდენი პრეტენზია გაისმის პოლიციის მიმართ, სწორედ ამ უფლებათა გამო. თუმცა ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ამ საკითხების რეგულირება პოლიციის რეფორმის უფრო ფართო ფორმატში დაგეგმილი და საპროცესო კოდექსის დახვეწაში მოიაზრება. რაც შეეხება საპატრულო პოლიციას, გვინდა გვჯეროდეს, რომ მათი პროფესიული და საზოგადოებრივი მოტივაცია ძირეულად განსხვავებული იქნება იმ „სტანდარტებისაგან“, რომელსაც ჯერ საბჭოურმა მილიციამ და შემდგომ „რკინის კაცის“ პოლიციამ მიგვაჩვია.

მატიანე

მოამზადა სოფო ბუკიამ, მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

ახირებული ცოლ-ქმარის ბედი

ერთი ესპანელი კაცი დე-ლა-პიედრა პარიჟის სასამართლოს თავის ცოლის მოშორებასა თხოვს. „მიშველეთ, ჩემი ცოლი გიჟია, თუ ვინმე უცხო ქალი გვერდით გამივლის, ეჭვნეულობისგან ხან დანას იყრის მუცელში, ხან ფანჯრიდან ხტებაო. მაგას ერთხელაც რამე რომ შეემთხვეს, პასუხს არ ვაგებო“, – უთხრა დე-ლა-პიედრამ მოსამართლეს. სასამართლომ ასეთი ამბავი გაარკვია: ეს ცოლ-ქმარი პარიჟში ხუთ ეტაჟიან სახლში სცხოვრობენ. აპრილის 29-ს ეს ესპანელი კაცი გამოვიდა შინიდამ და სახლის ეზოში ვიღაც ქალს ელაპარაკებოდა. ახალგაზრდა ცოლი, რომელიც ფანჯრიდამ უყურებდა თავის ქმარს, ისეთნაირად გადარია ეჭვნეულობამ, რომ გაალო ფანჯარა და ვერც დედამ, ვერც დამ ვერ დაიჭირეს; ისკუპა და გადავარდა. იმისდა ბედად, ამ ფანჯრის პირისპირ ძირს ბალკონი დახვდა და ექიმებმა თქვეს, არა უჭირს რა მორჩებაო. კიდევ უფრო ადრე ამ ქალს მუცელი დანით დაუსერავს იმ მიზეზით, რომ მაგის ქმარმა მრეცხავ ქალს გასარეცხი თეთრეული ხელიდან ხელში გადააწოდა. დიდი ფიქრი ელის პარიჟის მოსამართლეს ამ ახირებული ცოლ-ქმარის ბედის გარდასაწყვეტად.

„დროება“ №20, 1872 წელი





შეუფერებელი ჩივილი

მოხდება ხოლმე, რომ ოსეთში ქალები არ აძლევენ ნებას თავის ქმრებს, რომ იჩივლონ სადმე, თვითონ კი ხშირად მომჩივრებად ხდებიან; ამ გვარის ქალის ქმარი ვალდებულია, რომ აუკრძალოს თავის ცოლს ამისთანა შეუფერებელი ყოფა-ქცევა; მაგრამ, თუ ქალი იმის სიტყვას არ შეისმენს, მაშინ სოფლის სამსჯავრომ ამ ქალს ჯარიმა უნდა გადაახდევინოს იმ წესით, როგორიც ახალის წესდებისამებრ დადებულია.

ვინც ჩხუბს ასტეხს ან ვინც მაჩხუბრებს მიემხრობა, აგრეთვე ჯეროვანს პატივს არა სცემს სამღვდელოებას, იმას სოფლის სამსჯავრო ჯარიმას გადაახდევინებს სოფლის სასარგებლოთ, იმ წესით, როგორიც ახლის წესდებით დადებულია.

„დროება“ №15, 1866 წელი

25 მანეთიანი ჯარიმა

ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია 12 ნოემბერს აბგარიანცის საქმე, რომელსაც დაჰბრალდა, რომ თავის ქარხანაში ჯანმრთელობისათვის მავნებელს შუშხუნა წყლებს ამზადებსო. სასამართლომ 25 მანეთი ჯარიმა გადაუწყვიტა ბ-ნს აბგარიანცს.

„ივერია“ №248, 1886 წელი



სწრაფი სასამართლო

გაზ. **„Новое Время“**-ში ვკითხულობთ: 1879 წელს ვიღაც კიევსკის საჩივარი შეუტანია ოლქის სასამართლოში ორლოვი-გრიაზის რკინის გზის საზოგადოებაზე. კიევსკი ფულს ედავებოდა საზოგადოებას იმის გამო, რომ ამ გზის სამსახურში დასახიჩრდა. სასამართლომ შეიწყნარა კიევსკის საჩივარი და გარდასწყვიტა, რომ საზოგადოებას 1.000 მანეთი გამოერთოს მომჩივანის სასარგებლოდ. ეს საქმე რკინის გზის საზოგადოებამ პალატაში გადაიტანა და იცით პალატამ როდის განიხილა ეს საქმე?.. მხოლოდ გუშინ, 25 სექტემბერს, სწორედ შვიდის წლის უკან მას შემდეგ, რაც ეს საქმე საოლქო სასამართლოში იყო გარჩეული... აი, ნამდვილი „სწრაფი“ სასამართლო ეს არის!..

„ივერია“ №213, 1886 წელი

ჩანართი დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ.

ჩანართში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ავტორებს და მათი შინაარსი არ უნდა იქნას გაგებული როგორც ევროკავშირის ოფიციალური პოზიცია.

ასოციაცია ALPE

მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33

ტელ.: 996512, 922914 ფაქსი: 920596, E-mail: office@alpe.ge, www.alpe.ge

R

რას იტყვის ხალხი, ანუ როცა ყველაფრის გამო უკან იხევ...

ჩემი რესპონდენტი თეას დაა, თეა კი ის ახალგაზრდა ქალბატონი გახლდათ, რომელიც ჩვენში დამკვიდრებულ ფრაზას — „რას იტყვის ხალხი“ — შეეწირა.

ქალბატონმა ლალიმ გულისტკივილით მიამბო იმ ყველაფერზე, რაც მის დას გადახდა...

— ეს ამბავი 70-იან წლებში მოხდა, მაგრამ იარა დღესაც არ მომშუშებია...

თეა ჩემზე ორი წლით უმცროსი იყო. ძალიან ლამაზი გოგო გახლდათ. ორ თანაკლასელს უყვარდა (სახელები შეცვლილია). ორივე სკოლის ყოჩი იყო და წარამარა ჩხუბი ჰქონდათ თეას გამო.

ჩემი დისთვის ამ ორი ბიჭის სიყვარული საბედისწერო შეიქნა.

თავიდან ორივეს კეთილი თვალით ვუყურებდი, რადგან გელასაც და პაატასაც ძალიან უყვარდათ ჩემი და. მერე და მერე, ბოლო კლასებში, გელა აგრესიული გახდა, რადგან თეას აშკარად პაატა მოსწონდა. ერთხელ ისე იჩხუბეს, რომ ბიჭების მშობლებიც კი ჩაერივნენ საქმეში, მაგრამ არც ერთმა არ ისურვა შერიგება...

ჩემი და კი ძალიან ნერვიულობდა, ასეთი დავიდარაბა რომ იყო ატეხილი მის გამო. ერთხანს ორივეს ლმობიერად ექცეოდა, მერე გელამ ულტიმატუმი წაუყენა: უნდა თქვა, ვინ გიყვარსო. თეას პაატა უყვარდა, მაგრამ შიშით ვერ შეძლო ამის აღიარება, რადგან გული ავს უგრძნობდა, ვაითუ გელა საბოლოოდ გადაეკიდოს პაატასო, ამიტომ გამოაცხადა, — არც ერთი არ მიყვარხართ, თავი დამანებეთო. გელამ გულში ჩაიდო, რომ ვინც „ორთაბრძოლაში“ გაიმარჯვებდა, თეაც იმისი გახდებოდა... საქმე იქამდე მივიდა, რომ სკოლა ორ ნაწილად გაიყო. თეა სასოწარკვეთილი იყო. მშობლებს ეხვეწებოდა, სხვა სკოლაში გადამიყვანეთო, არადა, თვეები იყო დარჩენილი სკოლის დამთავრებამდე. მშობლებმა ყური არ უგდეს, — მასეთი „რომანები“ მოწაფეობას ყოველთვის ახლავსო. თუმცა მერე ინანეს...

— რატომ, რა მოხდა?

— გელამ თეა მოიტაცა. ერთი კვირა მთელი საქართველო შევძარით, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გავიგეთ. მამაჩემი კინაღამ გაგიჟდა. პაატა და მისი მეგობრები ცალკე ეძებდნენ. ბოლოს, ისევ პაატამ მიაკვლია გეგუთში.

— დააბრუნეთ თეა?

— მშობლებმა სთხოვეს შინ დაბრუნება, მეც ვემუდარე, მაგრამ თეამ თქვა უარი. ორივენი საღამოს სკოლაში გადავიდნენ. მაშინ მეათეკლასელების გაპარვა სენსაცია იყო. მგონი, ნახევარმა თბილისმა გაიგო მათი ამბავი; დარჩენილი ორი თვე საღამოს სკოლაში იარეს. გელამ იმ წელსვე ჩააბარა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თეამაც სცადა, მაგრამ უკვე ორსულად იყო, თავს ცუდად გრძნობდა და იმ წელს სასწავლებლის გარეთ დარჩა. შეეძინათ გოგო, თამუნა. მეორე წელს კვლავ სცადა ჩაბარება, ამჯერად პედაგოგიურ ინსტიტუტში და ჩაირიცხა. გელა აიძულებდა, მეორე ბავშვიც გაეჩინა, მაგრამ ჩემი და უარზე იყო: ჯერ ვისწავლი და მერე გავაჩენო.

— პაატა აღარ გამოჩენილა?

— პაატამ ხან მე მთხოვა, ხან — მეგობარს, თეასთან შემახვედრეთო, მაგრამ უარი ვუთხარით. გარდა იმისა, რომ თეას სახელს, მის განცდებს ვუფრთხილდებოდი, პაატაზეც ვფიქრობდი. ვიცოდი, გელა თუ ამას გაიგებდა, იოლად არ აპატიებდა და ატყდებოდა ერთი დავიდარაბა... მერე კარგა ხნით გადაიკარგა პაატა, თუმცა მე მეგონა ასე, სინამდვილეში კი სხვაგვარად იყო საქმე. თეას და პაატას წერილობითი ურთიერთობა ჰქონიათ. პაატა სთხოვდა, მიეტოვებინა გელა, ვიცი, რომ მასთან არ ხარ ბედნიერიო. თეა უარს ეუბნებოდა, თუმცა კი წერდა, — შენ გარდა არასოდეს არავინ შემიყვარდება, მაგრამ რა ვქნა, ბედმა ასე ინებაო. დარწმუნებული ვარ, ისინი ამ ხნის მანძილზე არც შეხვედრიან ერთმანეთს.

— წერილები თქვენ გაქვთ?

— ახლა მე მაქვს ორივეს ბარათები. სიტუაცია რომ დაიძაბა, თეამაც და პაატამაც მე მომცეს — შენთან იყოსო...

— ეს როდის მოხდა?

— ერთხელ მტირალს შეესწრო გელა ჩემს დას, იგი იმ დროს პაატას წერილს კითხულობდა. ვეღარ დამალა წერილი და... კინაღამ გაგიჟდა ჩემი სიძე. ალბათ ყველა ქართველ კაცს იგივე დაემართებოდა, მაგრამ ვთვლი, რომ მან დიდი შეცდომა დაუშვა — არ უნდა მოეტაცა ჩემი და...

— ალბათ თეაც შეცდა, რადგან თავიდანვე უნდა ეთქვა, — პაატა მიყვარსო.

— მართალს ბრძანებთ, მაგრამ ის ხომ ბავშვი იყო... გელას თითი არ დაუკარებია ცოლისთვის, თუმცა იმ დღესვე მიეჭრა პაატას და ისევ სკანდალი ატყდა. ცხადია, საზოგადოების დიდი ნაწილი უკვე გელას ემხრობოდა, რადგან თეა მისი ცოლი იყო, ის კი ოჯახს, ცოლის სახელს და თავის სიყვარულს იცავდა და უფრთხილდებოდა. პაატას მშობლებმა შვილი იქაურობას მოაშორეს და მამიდასთან, ოზურგეთში გაისტუმრეს. იქ ორი წელი მუშაობდა, მერე კი როსტოვში წავიდა სწავლის გასაგრძელებლად. როსტოვშივე დარჩა, იქ ცხოვრობდა 8 წელი. პაატა იქაურ ქურდულ სამყაროს დაუახლოვდა. ამასობაში, გელას და თეას მეორე შვილიც შეეძინათ... თითქოს ამ ხნის მანძილზე უნდა აეწყო ცოლ-ქმარს ურთიერთობა, მაგრამ მათი ოჯახი მხოლოდ სხვის თვალში იყო „იდეალური“.

გელას ეგოისტურად და ძალიან თავისებურად უყვარდა თეა, თანაც, საყვარელიც ჰყავდა და მიაჩნდა, რომ ეს არ იყო საზრახისი.

ჩემს დას კი არა და არ მოულბა მის მიმართ გული, თუმცა ამას არ ამჟღავნებდა. ერთხელ გადააწყდა კიდეც ერთად გელას და მის საყვარელს, მაგრამ ვერაფერი თქვა. მე უფრო გავმწარდი, ვეჩიჩინებოდი — გაშორდი-მეთქი, მაგრამ თეამ მითხრა: — გელას რომ გავშორდე, ხალხი იმას კი არ იტყვის, ოჯახი იმიტომ დაინგრა, რომ ქმარს ჰყავდა საყვარელი, არამედ ცოლსო. მე კარგა ხანია ბედნიერებაზე ხელი ჩავიქნიეო. გული დამწყდა, რალაცნაირად მინდობილი იყო ცხოვრების მდინარეს, სულ არ ცდილობდა, სასურველ ნაპირზე გასულიყო...

პაატა დაბრუნდა თბილისში და, რა თქმა უნდა, თეასაც დაუკავშირდა. ერთმანეთს შეხვდნენ. ვერ გეტყვით, ვინ მიუტანა გელას ამბავი. შინ მისულმა ცოლი სცემა... პაატას ნახვა უნდოდა, მაგრამ ვეღარ იპოვა — იმ ღამითვე წასულა თბილისიდან.

თეას ცემისგან ტვინში ჰემატომა განუვითარდა, რომელიც მალე სიმსივნედ გადაიქცა. თეას უნდოდა გაშორებოდა გელას, მაგრამ ქმარმა — ჯერ მოგივლი, ფეხზე დაგაყენებ, მერე კი რაც გინდა, ის გააკეთეო.

მართლაც ყველაფერი გააკეთა გელამ, რომ მისგან დასახიჩრებული ცოლი გამოეჯანმრთელებინა. მან იცოდა თეას სუსტი წერტილი.. მოვლა-პატრონობისა და ყურადღება-მზრუნველობის მერე თეა ვერსად წავიდოდა... ასეც მოხდა. თეამ გადაიფიქრა გაშორება. არადა თურმე ცემამდე პაატასთან შეთანხმებული ყოფილა — როსტოვში უმცროს შვილთან ერთად წავიდოდა, უფროსს კი მე მიტოვებდა. იმ საშინელი ჩხუბის შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დადგა... ხალხს პირს ვერ ამოუკერავ, ჭორი ნელ-ნელა გავრცელდა და თეაზე ისეთი რამეები ითქვა, მტერსაც კი გული გაუსკდებოდა.

თეა ხუთი თვის მერე ისევ ცუდად შეიქნა. ამჯერად ვეღარავინ უშველა...

— თეას სიკვდილმა როგორ იმოქმედა გელაზე?

— ცოდვას ვერ ვიტყვი, ძალიან განიცადა, მაგრამ მისი დარდი და ცრემლები დას ხომ ვერ გამიცოცხლებდა?

— პაატა თუ ჩამოვიდა მერე?

— ჩამოვიდა, მაგრამ თეას დაკრძალვის დღეებში არ გამოჩენილა... მეგობრებისგან გავიგე, რომ ორმოცამდე ყოველღამე ჩემი დის საფლავზე ადიოდა, მერე გაქრა... ახლახან ჩემს ახლობელს უნახავს, თურმე კვლავ უცოლოა.

ასეთია ბედისწერა. ზოგჯერ ისეთ ადამიანს დაგაკავშირებს, რომ მთელი სიცოცხლე თავბედს გაწყევლინებს, შესაფერისს და სასურველს კი გვიან შეგახვედრებს. სულაც არ ვარ „მსუბუქი და იოლი“ ურთიერთობების მომხრე, მაგრამ იქ, სადაც დიდი სიყვარულია, ალბათ ღირს „ტკივილების“ ატანაც და ბევრი რამის დათმობაც.

მარინა ბაბუნაშვილი

გამოხმაურება

შეცდომის გამეორება ზოგჯერ საბედისწეროა

„ბევრჯერ წამიკითხავს „ზედმეტი მესამის“ და, საერთოდ, ღალატის შესახებ. ჩემს ოჯახშიც დატრიალდა მსგავსი ამბავი.

ძალიან ძნელია ღალატის პატიება.

არ ვეკუთვნი იმ ქალებს, რომლებსაც მხოლოდ ფინანსური უზრუნველყოფა აკმაყოფილებთ, გრძნობა და სულიერება არ აინტერესებთ.

მე და ჩემმა ქმარმა 10 წელი ბედნიერად ვიცხოვრეთ, გვიჭირდა კიდეც, მაგრამ მისგან სიყვარულს ვგრძნობდი და ყველაფერი იოლი დასაძლევი იყო. მერე გამოჩნდა სწორედ ის „მესამე“...

მე და ჩემმა ქმარმა სიყვარულით შევქმენით ოჯახი. მოგვიანებით მიამბო კიდეც თავისი პირველი სიყვარულის შესახებ, მეც გავიხსენე ძველი გატაცება, ან კი ვის არ ჰყვარებია 24 წლამდე? ყველა ხომ არ ქმნის ოჯახს მასთან, ვინც პირველად უყვარდა? ამდენად, ჩვეულებრივ ამბად ჩავთვალე ეს. მერე აღმოჩნდა, რომ ჩემმა ქმარმა თავისი პირველი სიყვარული ხელახლა იპოვა...

ხომ იცით, ცოლები (და ალბათ ქმრებიც) ყოველთვის გვიან იგებენ ღალატს. ისე იყო იმ ქალის სიყვარულით დაბრმავებული, რომ ოჯახიდან წასვლა, ჩემთან გაყრაც გადაწყვიტა. გაოგნებული ვიყავი, ვერაფერს ვამბობდი. მერე ახლობლები, განსაკუთრებით კი მისიანები ჩაერივნენ და გონს მოიყვანეს... „გზააბნეული შვილი“ ოჯახს დაუბრუნდა. ვაპატიე... თუმცა ახლა ვნანობ, რომ ამხელა შეურაცხყოფა „გადავყლაპე“. იქნებ, არ დამეთანხმოთ, მაგრამ ახლა უკვე ღრმად ვარ დარწმუნებული, ღალატი არამც და არამც არ უნდა აპატიო, რადგან „მეორე მხარე“ ანუ ქმარი, ამას ისე იღებს, თითქოს ასეც უნდა იყოს.

პატიების მერე ორმა წელმა თითქოს მშვიდად ჩაიარა. გვიან გავიგე, ისევ დადიოდა იმ ქალთან.

გამაღიზიანა ჩემი ქმრის უსუსურობამ და უგერგილობამ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ხშირად კაცები ღირსებას კარგავენ, როცა გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებიან. ავდექი და ჩემი ქმრის საყვარელს ვეწვიე, მაგრამ საჩხუბრად კი არა, გასაცნობად და სასაუბროდ.

საკმაოდ მშვიდად ჩაიარა ჩვენმა შეხვედრამ.

ის ქალი ქვრივი აღმოჩნდა.

ჩემი ქმარი მისულა ახალდაქვრივებულთან და უთქვამს — უშენოდ ვეღარ ვძლებ (ჩემთვისაც ხშირად უთქვამს ეს), ერთად ვიცხოვროთო. ადრე იმ ქალსაც ჰყვარებია ჩემი ქმარი.

ასე გაიბა რომანი ხელმეორედ.

შინ დაბრუნებისთანავე ქმარს განვუცხადე, — აზრი აღარ აქვს ჩვენს ერთად ყოფნასმეთქი. გაუკვირდა, მაგრამ რომ შეატყო არ ვხუმრობდი, ცივი უარი მითხრა განქორწინებაზე: — არსად წამსვლელი არ ვარ, ჩემს ოჯახში უნდა ვიყოო.

აღარ დავიხიე უკან და გაყრაზე სასამართლოში შევიტანე განცხადება. ამ ორი თვის წინ ოფიციალურად გავშორდით.

ახლა ჩემი ყოფილი მეუღლე ხშირად მაკითხავს შინ, ხან სამსახურში და შერიგებას მთხოვს.

იქნებ გამამტყუნოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შეცდომა არ უნდა განმეორდეს და თუ განმეორდა, იგი საბედისწეროა. რა ვქნა, ვერ აღმოვჩნდი დიდსულოვანი, მიმტევებელი, ღმერთმა მაპატიოს ეს დანაშაული (თუკი დანაშაული ჰქვია ღალატის უპატიებლობას).

ნეტავ მკითხველი ქალები როგორ შეაფასებენ ჩემს ნაბიჯს?

ღრმა პატივისცემით — ლია. ყვარელი.“

ზღვა ძალიან ძვირია

მიუხედავად ავდრისა, ზღვაზე წასასვლელად სამზადისი მაინც დავიწყე, რასაც ჩემი ხელფასის სოლიდური ნაწილი „შეეწირა“. ეს საცურაო კოსტიუმიო, ეს ქოშებიო, ესეც ჭრელი და გამჭვირვალე საზღვაო ჩანთებიო, ეს სათვალეო... მოკლედ, მეტს აღარ ჩამოვთვლი, მაგრამ მაღაზიებიდან კარგად დატვირთული და ჯიბედაცარიელებული დავბრუნდი.

რაღა დაგიმალოთ და, ვიფიქრე, რა მეჩქარებოდა, ავმდგარიყავი და მთაში წავსულიყავი, უფრო იაფი დამიჯდებოდა-მეთქი. თურმე ვცდებოდი. გამოცდილმა ხალხმა დამარწმუნა, — ზაფხულში დასვენება ყველგან ძვირი ჯდებაო. თუმცა არც ის დაუმალავთ, რომ ზღვაზე წასვლა გაცილებით ძვირია.

თაკო (29 წლის): — შარშან ზღვაზე წასასვლელად სამზადისი უფრო ძვირი დამიჯდა, ვიდრე დასვენება. დასვენება მარტო პლაჟზე წამოგორება და მზის სხივებზე ნებივრობა ხომ არ არის. ათასი რამ არის საჭირო. თუნდაც გასარუჯი და გარუჯვის შემდგომ წასასმელი კრემები. იაფიანი გავნებს, კარგს კი ცეცხლი უკიდია. ამას გარდა, ბარში დაჯდომა, ხეივნებში სეირნობა და გართობაც ხომ გინდა? ამიტომ საზაფხულო გარდერობზე ზრუნვაც გიწევს და გრძნობ, რომ თანდათან გითხელდება ჯიბე. წელს გადავწყვიტე მთაში წასვლა. მეგონა, უფრო იაფი დამიჯდებოდა. შევცდი. მთას თავისი „მოთხოვნილებები“ აქვს, რომელიც არანაკლებ ძვირი ღირს და თუ სპორტული ტურიზმიც გაინტერესებს, მაშინ რაღა გითხრათ...

მეგი (26 წლის): — შარშან ცოტა ჯიბექესატად ვიყავი და გადავწყვიტე, ზაფხულის ორი კვირა სოფელში გამეტარებინა. ისეთი კმაყოფილი დავრჩი...

სამწუხაროდ, საკუთარი სოფელი არ მაქვს. ამიტომაც ბავშვობის მეგობრის ბებია-ბაბუას ვესტუმრეთ მესხეთში. მდინარეზე დავდიოდით, ვცურავდით, მზეს ვეფიცხებოდით, ვთევზაობდით. არც ქოში მჭირდებოდა და არც საცურაო კოსტიუმი — უამისოდაც იოლას გავდიოდით. მდინარეში „შორტებით“ ან კაბით გადავეშვებოდით ხოლმე. მერე ტანსაცმელს ვიწურავდით და თაკარა მზეზე წამში ვშრებოდით, ეკოლოგიურად სუფთა წყალში ვცურავდით, შხამქიმიკატების გარეშე მოწეულ ბოსტნეულს მივირთმევდით. მოკლედ, ძალიან მაგარი იყო.

ვაპირებ, წელსაც სოფელს მივაშურო.

მაქსიმალური სიამოვნება და მინიმალური ხარჯები ალბათ არავისთვის იქნება ურიგო.

ლილი (56 წლის): — ზაფხულს შვილიშვილებთან ერთად აგარაკზე ვატარებ წავკისში. ზღვაზე უფულობის გამო ვერ წავედი, თუმცა არ ვნანობთ. კარგია ზღვაც. მაგრამ მგონი, განწყობაა მთავარი. უამისოდ ვერც ზღვაზე დაისვენებ და ვერც სხვაგან.

ისე, შარშან ერთი კვირით მაინც მოვახერხეთ ზღვაზე წასვლა და ვერ დავისვენე, იმდენი ფული ტყუილად დავხარჯეთ. დაქანცულები ჩამოვედით უკან. კაცები მთელი ღამე ღრეობდნენ, დღისით ან მზეზე გორავდნენ, ან ბურთს და ბანქოს თამაშობდნენ. ბავშვები გიჟებივით დარბოდნენ. ზღვაში მათი ყოველი შესვლა-გამოსვლის დროს წნევა მიწევდა. ერთი სიტყვით, კინაღამ გავგიჟდი. წელს ჩემი ოჯახის წევრებმა თუ კვლავ დააპირეს ზღვაზე წასვლა, ცოცხალი თავით არ წავყვები. ზაფხულში მე დასვენება მინდა და არა დაღლა!

ლაშა (25 წლის): — ზღვაზე იქნება თუ მთაში, დასვენება ქალს უჯდება ძვირი, თორემ ჩვენ, კაცებს არც ნაირ-ნაირი კრემები გვჭირდება და არც კაბები. ერთი-ორი შორტით და მაისურითაც იოლას გავდივართ.

ამას წინათ ცოლს წავყევი მაღაზიებში — ზღვისთვის უნდა გამოვეწყოო. მისი ერთი გამოწყობა 300 ლარი დამიჯდა. ეს რა უბე-

დურებაა-მეთქი, შევიცხადე. გაიკვირვა, — კიდევ იაფად ვივაჭრე, თორემ სამი მაგდენიც არ გეყოფოდაო.

ვერ გავიგე ამ ქალებისა, ზღვაზე მიდიან თუ პოდიუმზე?

მერაბი (58 წლის): — ზაფხული და დასვენება არ გამიგონია. დამიქციეს ქალებმა ოჯახი. ცოლი, ორი ქალიშვილი და ერთიც რძალი ერთმანეთის ჯიბრზე ემზადებიან კურორტებზე დასასვენებლად. ერთ ქალს რამდენი სჭირდება და ოთხი ქალი რას მიზამს! შავ დღეში ჩავვარდებოდი, სიდედრი რომ არ მეხმარებოდეს. ვენაცვალე, ჯიგარი ქალია. 75 წლისაა და ისე ჩალიჩობს და ბიზნესმენობს, ვაჟკაცივით მიდგას მხარში. დანაწილებული გვყავს: ცოლსა და რძალს მე ვუვლი, ჩემს ქალიშვილებს კი ჟუჟუნა. როგორც კი ქალები „ამიმხედრდებიან“ და ზიზილ-პიპილებს მთხოვენ, ჟუჟუნა მყისვე მკაცრად ერევა საქმეში და ყველას აჩუმებს. წელს ზღვაზე დასვენების ფულს ჟუჟუ გადაიხდის. ქალების მორთვა-მოკაზმვისას — მე.

ეკა ლომიძე

CMYK

*ბევრმა არ იცის, რომ სახურავებზე მოხეტიალე „კომუნიკატორი“ **სერგი გვარჯალაძე** პირველი ჟურნალისტი იყო, ვინც 2003 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ, შევარდნაძისგან გადადგომისთანავე აიღო ინტერვიუ. ამ კადრებს მსოფლიოს რამდენიმე ცნობილი ტელეკომპანია ატრიალებდა ეთერში. ვისთვის მოამზადა ეს ინტერვიუ, რა შთაბეჭდილება დარჩა ექსპრეზიდენტთან საუბრისას და კიდევ სხვა ამბებზე, სერგი თავად გვესაუბრება:*

„ექსპრეზიდენტს სინანული ვერ შევატყვე“

„განსაკუთრებით ხალხურ სიმღერებს ვღიღინებ“

— ექსპრეზიდენტთან ინტერვიუ გერმანიის ტელევიზიის მეორე არხის დაკვეთით ჩავწერე. მანამდე, პირდაპირი ჩართვები გვქონდა გერმანულ არხებზე. 23 ნოემბრის შემდეგ, როცა ჯერ გარკვეულიც არ იყო, მიდიოდა თუ რჩებოდა შევარდნაძე, გერმანულმა არხმა მოისურვა მასთან ინტერვიუ, რომელიც გერმანელ ჟურნალისტს უნდა ჩაეწერა, მაგრამ ბოლო წუთებში მე შემომთავაზეს. უჩვეულო ამპლუაში აღმოვჩნდი და კარგი გამოცდილებაც მივიღე. შევარდნაძე პროფესიონალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. გაუაზრებლად სიტყვას არ ამბობდა, მომხდარის გამო სინანულიც ვერ შევატყვე. მის საუბარში უფრო სარკაზმი იგრძნობოდა და მომეჩვენა, რომ ბოლომდე გათვითცნობიერებული არც ჰქონდა, რაც მოხდა. თუმცა, მისი ოჯახის წევრებში აშკარად იგრძნობოდა ტრაგიკული განწყობა. ჩაწერიდან სამი საათის შემდეგ ამ ინტერვიუს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ტელევიზია გადასცემდა. რევოლუციის მსვლელობისას კამერა მეჭირა ხელში და ყველაფერს თვითონ ვიღებდი. მნიშვნელოვანი მოვლენების გადასაღებად უცხოელი ჟურნალისტები სად არ დარბიან. აქ, ჩემ თვალწინ ხდებოდა ყველაფერი და ეკრანზე რომ მეცქირა მისთვის, ალბათ ნორმალური არც იქნებოდა.

— რადგან ბოლო ხანს ეკრანზე არ ჩანხარ, ტელებიზნესს ხომ არ შეეშვი, თუმცა ყურმოკვრით ვიცი, რომ ეთერში დაბრუნებას აპირებ.

— კარგა ხანია რადიოგადაცემებზე ვმუშაობ. ეს არის „მიუზიკჰოლი“ და „მიუზორამა“. პირველი ელექტრონულ მუსიკას მოიცავს, მეორე — ალტერნატიულ, ინოვატორულს. ორივე გადაცემას მე ვუძღვები. უცხოელი პოპულარული მომღერლები რომ ჩამოდიან (მაგალითად, ბობ სინგლერი), მათ შესახებ ქართველმა მსმენელმა ამ გადაცემებიდან ყველაფერი იცის. ფეხდაფეხ მივდევთ ყველა ინფორმაციას.

3 თვის წინ ტელეკომპანია „მირისგან“ მიწვევა მივიღე. ტელედისკუსიაში ცნობილ ექსპერტებთან ერთად ვმონაწილეობდი. განვიხილავდით თემას „განიცდის თუ არა პოსტსაბჭოური ქვეყნები დასავლეთის კულტურის გავლენას“. დავასკვნით, რომ გავლენას განვიცდით არა მარტო დასავლეთიდან, არამედ თურქეთიდანაც. თუ კარგად დავაკვირდებით, ჩვენს ესტრადაშიც უცებ აღმოვაჩენთ თურქული პოპის ელემენტებს. თუმცა, ქართველები მაინც ვცდილობთ საკუთარი პროდუქცია შევქმნათ. საამისოდ ჯერ კიდევ გვაქვს მყარი საფუძველი, რომელიც ოჯახებმა და სასკოლო მუსიკალურმა წრეებმა თუ ჯგუფებმა მოგვცა. ალბათ ამიტომაც, ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე ცდილობენ ქართველი მომღერლები ფოლკლორი პოპჟანრში გადმოიტანონ, ზოგჯერ ეს საშინელ ფორმებს იღებს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა საინტერესო პროდუქციაც იქმნება. აი, ნახეთ სუხიშვილების „ასსამ“ რა მოახდინა...

— დღეს მუსიკალური წრეები და ჯგუფები თითქმის აღარ არსებობს. ქართული ტელე და რადიოეთერი კი ანტიქართულის შთაბეჭდილებას ტოვებს. დიდის და პატარის ყურთასმენა ერთიანად უცხოურ მუსიკას ეჩვევა. ეს გაუმართლებელ ტენდენციად არ მიგაჩნია?

— საბედნიეროდ იმის ტრადიცია, რომ შვილს ქართული სიმღერა და ცეკვა ასწავლონ, ჯერ კიდევ არსებობს, რაც ფოლკლორის დავიწყების საფრთხეს ამცირებს. ეთერში ფოლკლორი რომ არ ტრიალებს, ეს მასმედიის პრობლემაა. მე ფოლკლორულ ანსამბლ „ნადურში“ ვმღეროდი და რაც ვიცი, ყველაფერი ამ ანსამბლის დამსახურებაა. საინტერესო რამ ხდება ესტონეთში. იქ ფოლკლორული მუსიკის საგანგებო დღესასწაულები იმართება. უზარმაზარ სტადიონზე შეკრებილი ხალხი ერთად მღერის ეროვნულ სიმღერებს. არ ვამბობ, მაინცდამაინც ასეთი რამ უნდა გავაკეთოთ ჩვენც. მაგრამ ვფიქრობ, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მათ, ვინც დღეს კარდაკარ დადის და უძველეს ქართულ სიმღერებს იწერს, ანსამბლებს ქმნის, მათაც, ვინც ცდილობს უძველესი ჩანაწერები აღადგინოს და უახლოეს ტექნოლოგიებზე გადაიტანოს. ჯერ მარტო ის რად ღირს, ლამის 2 საუკუნის წინ ჩაწერილ ხმებს რომ გადაარჩენ.

— მაგრამ ეს სიმღერები თითქმის არ გადის ეთერში...

— ეს არ არის მარტო საქართველოს პრობლემა. იგივე თავსატეხი აქვთ დასავლეთშიც. გარდა ამისა, საინტერესო და ინოვატორული მუსიკა თითქმის იგნორირებულია. ალბათ ამიტომაც ჰგავს ერთმანეთს ევროპული და ამერიკული პოპმუსიკა. ამ ჟანრში აშკარად იგრძნობა გლობალიზაცია, მაგრამ დროდადრო ხდება მართლა გამონათება და ისევ ფოლკლორზე დაყრდნობით შექმნილი მუსიკის შედეგად ჩნდებიან ვარსკვლავები... 80-იან წლებში ქეით ბუში თავის ნაწარმოებებში პირდაპირ იყენებდა „წინწყაროს“. ჩვენი ფოლკლორი უნდა მივაწოდოთ მსოფლიოს. ხშირად უნდა გამოვჩნდეთ ფესტივალებზე და ვეცადოთ, ეს საგანძური მსოფლიო ბაზარზე გავიტანოთ. ისევე, როგორც 90-იანი წლების დასაწყისში, როცა სკანდინავიურ ქვეყნებში ანსამბლი „ფაზისი“ ჩადიოდა და 10-15 დღის მანძილზე ფოლკლორის გაკვეთილებს უტარებდა ადგილობრივ მუსიკის მოყვარულთ. ამის შემდეგ გაჩნდნენ ქართული ფოლკლორის ფანები და ანსამბლები. ამერიკელები და იაპონელები რომ მღერიან ქართულ ხალხურ სიმღერას, ეს უკვე ყველამ კარგად იცის. ესეც ნიშანია იმისა, რომ ქართული სიმღერა არ დაიკარგება. კარგი იქნება, თუ მშობლები შვილებს საესტრადო მუსიკის კი არა, ფოლკლორულ ჯგუფებში შეიყვანენ. ჩოხა-ახალუხიანი ბავშვები უფრო ლამაზები იქნებიან, ვიდრე მათი ასაკისათვის შეუფერებელ სამოსში გამოწყობილები.... როცა სტუდიაში დავიღლებით, განსაკუთრებით დღესაც ქართულ ხალხურ სიმღერებს ვღიღინებთ. მას საოცარი ძალა და თერაპიული ფუნქცია აქვს, რაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ქართული ხალხური სიმღერა გვაერთიანებს, გვაახლოებს ერთმანეთთან. ჩვენს ხალხურ სიმღერაში ყველა ერთიანი და განუყოფელია. ალბათ ამანაც განაპირობა ჩვენი მსოფლმხედველობისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება. ომშიც მღეროდნენ ქართველები. ეს შემთხვევითი არ იყო.

დღეს საქართველოში უსმენენ ფრანგულ რადიოს. ასე ფრანგულ ენას და კულტურას უწევენ ფრანგები პოპულარიზაციას. ბრიტანეთის საკონსულო ახორციელებს კულტურულ პროექტებს, რათა თავიანთი კულტურა გაგვაცნონ. ჩვენც უნდა მივბაძოთ ამ ხალხს და პოპულარიზაცია გავუწიოთ იმას, რაც გვაქვს, რომ გულში მომღერალ ამირანს არ დავემსგავსოთ!

— სერგი, მოდი, ტელევიზიას დავუბრუნდეთ. აპირებ ეთერში გამოჩენას?

— სანამ საკუთარ გეგმებზე გეტყოდეთ რაიმეს, მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან არ მომწონს ჩვენს ტელეკომპანიებში დამკვიდრებული სტილი. უცხოეთში აპრობირებული პროექტების ანალოგებს აკეთებენ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თვითონ არაფრის შექმნა არ შეგვიძლია. არადა, ძალიან ბევრი საინტერესო იდეა აქვთ ქართველებს. აი, მაგალითად, ერთ სერიოზულ პროექტს ვამზადებთ, რომელიც ყველას მოსწონს, მაგრამ ჯერჯერობით, ეთერში გაშვებას არ ჩქარობენ. რაც შეეხება ჩემს ეთერში გამოჩენას, ეს იანვრამდე არ მოხდება. ძალიან აღარ მინდოდა ეთერში გამოჩენა და მსურდა მხოლოდ ტელეპროდუქციის შექმნაზე მემუშავა. მაგრამ რადგან სერგი გვარჯალაძის იმიჯი ჯერ კიდევ არსებობს, მას ჩვენი სამეგობროს მიერ შექმნილი ტელეპროდუქციისთვის „ლოკომოტივის“ ფუნქციას ისევ დავაკისრებთ.

«არ უნდა შეჩერდე, სალომე!»

სალომე გასვიანს ჯენიფერ ლოპესის მასწავლებელი ასწავლის!

„ამერიკაში ღამის კლუბში შემაპარეს“

მისი მუსიკალური თუ სამსახიობო მონაცემებით იხიბლებიან ამერიკელი და ბრიტანელი ვარსკვლავების მენეჯერები და პროდიუსერები, მაგრამ მისი ვარსკვლავის ამობრწყინებას აფერხებს ის, რომ **სალომე გასვიანი** არც სრულწლოვანია და არც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე. თუმცა, როგორც ირკვევა, ეს შეფერხება დროებითია და სულ რამდენიმე თვეში 14 წლის სალომე, რომელიც ერთი წლის წინ სამსახიობო და მუსიკალური ხელოვნების დასაუფლებლად აშშ-ში გაემგზავრა, ნამდვილად იტყვის თავის სიტყვას. დღეს კი მოკრძალებულ სალომეს აოცებს კიდეც ჟურნალისტების ყურადღება. ჯერ ხომ მნიშვნელოვანი არაფერი გამიკეთებიაო. სალომე ამჯერად სამშობლოშია, სადაც სექტემბრამდე დარჩება. მიუხედავად მისი დიდი სურვილისა, მშობლები სალომეს მეგობრებთან ერთად ზღვაზე და სვანეთში არ უშვებენ ერთი უბრალო მიზეზის გამო — სალომე დიდხანს იყო მათგან შორს და ახლა ერთი წამითაც არ უნდათ გვერდიდან მოიშორონ.

— სალომე, როგორც გავიგე, ცნობილ პედაგოგებთან ეუფლებოდი სამსახიობო და ვოკალურ ხელოვნებას.

— ვოკალს ვეუფლებოდი რობერტა დვრითთან, რომელიც თავის დროზე ასწავლიდა კრისტინა აგილერას. სამსახიობო ოსტატობას კი ჯონ ფოსთან გავდიოდი. ეს არის „დისნეი არხის“ და „ნიკოლ დიონის“ შოუების დამდგმელი რეჟისორი. აქცენტს ვსწავლობდი ელენ პარტნერთან, იგი ჯენიფერ ლოპესსაც ასწავლიდა. იქ მიუღებელია იკითხო, ვინ როგორი მოწაფე იყო, თორემ ალბათ გიამბობდით კრისტინას ან ჯენიფერის შესახებ. ელენ პარტნერთან დღესაც ძალიან ბევრი ცნობილი მსახიობი ეუფლება ამერიკის სხვადასხვა შტატის აქცენტს. სექტემბერში კონტრაქტს გავაფორმებ „ბითლზების“ და ელტონ ჯონის ყოფილ პროდიუსერ დევიდ მარტინთან, რომელსაც კომპოზიტორმა ჯონ დეფარიამ გაუგზავნა ჩემი კლიპები და სიმღერები. მარტინს მოეწონა ისინი და გადაწყვიტა ჩემთან კონტრაქტის გაფორმება, რაც სექტემბრამდეც იქნებოდა შესაძლებელი, სამუშაო ვიზა რომ მქონოდა.

— ამ პრობლემამ ფილმში გადაღებაშიც შეგიშალა ხელი?

— დიახ. ფილმში „ზაფხულის გული“ უნდა შემესრულებინა მთავარი როლი, რომელსაც ახლა ცნობილი ახალგაზრდა მსახიობი ჰილარი დაფი ასრულებს. სამუშაო ვიზის არქონის გამო როლი ვერ ვითამაშე, მაგრამ ფილმს ჩემი საუნდ-ტრეკი დაედო. ფილმის რეჟისორი შონ მაკნამარააა, რომელმაც 9 სიმღერა ჩამაწერინა და 2 კლიპიც გადამიღო. ფილმის პრემიერა ოქტომბერში შედგება. 18 წლის რეჟისორმა შაიელა ბაშმა გადაიღო მოკლემეტრაჟიანი უსიტყვო ფილმი, მასაც ასევე ჩემი საუნდ-ტრეკი დაედო. ვიცი, წინ ბევრი სირთულე და წინააღმდეგობა მელის. სამუშაო ვიზის მიღების შემდეგ აუცილებლად ავისრულებ ოცნებას და ოსკარით დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე წითელ ხალიჩაზე მეც გავივილი და თანაც ამაყად, ამის პირობას გაძლევთ. აშშ-ში ერთმა ცნობილმა რეჟისორმა მკითხა — როგორ ფიქრობ, ვარსკვლავი ხარო? ჯერ ქართული თავმდაბლობით ვუპასუხე, არ ვიცი-მეთქი, უცებ გამახსენდა, შტატებში რომ ვიყავი და ღიმილით ვუთხარი, დიახ, ვარ-მეთქი. მითხრა — სწორედ ასეთ პასუხს ველოდი. თუ საკუთარ ღირსებებს თავად ვერ იგრძნობ, სხვებიც ვერ დაგინახავენ და არ დაგაფასებენო. მართალია, ვარსკვლავი ჯერ არ ვარ, მაგრამ გავხდები. ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს, რა მინდა აქ, ამერიკაში? დიდი მიზნები არ მასვენებს? მაშინ არ უნდა შეჩერდე, სალომე — ვეუბნები საკუთარ თავს და შეჩერებას მართლა არ ვაპირებ.

— გზა, რომელიც შენ აირჩიე, შენი ასაკისთვის ალბათ ძალიან რთულია, ბევრი შრომა დაგჭირდება.

— სამწუხაროდ, მართლა რთულია. ძალიან დიდი შრომა და ამასთან რწმენაცაა საჭირო. სელინ დიონის კონცერტს დავესწარი. გავოგნდი მისი სიმღერით, ცეკვით, პუბლიკასთან ურთიერთობით. სამი წელია მართავს ამ შოუს — „ცეზარის სასახლეს“, კვირაში 5-ჯერ, თანაც, ყოველგვარი ფონოგრამის გარეშე. ასეთი შრომა აშკარად იმსახურებს თაყვანისცემას. ამის გარეშე ამერიკაში შორს ვერ წახვალ...

— ქართულ შოუბიზნესზე რას იტყვი?

— (ეცინება) 14 წლის ღლაპმა რა ვთქვა? შეიძლება რამე ისეთი წამომცდეს, რომ ვინმეს ეწყინოს. ამიტომ ოქროს დუმილს ვარჩევ.

— სამშობლო გენატრება?

— ძალიან. სამშობლოსა და ოჯახურ გარემოსთან სიშორე მიმძიმს, დედა მენატრება, გამოსაზამთრებლად თბილ ქვეყნებში გაფრენილი ჩიტი, ზაფხულში რომ ბრუნდება უკან, მეც ასე ვარ, სულ უკან დაბრუნება მინდა, ალერსი, მოფერება მაკლია. იქ ჩემს პედაგოგებს ვეხუტები ხოლმე და ვეუბნები, დედაჩემის სუნი გაქვთ-მეთქი. ასეთ დროს ჩემებს ვურეკავ, თბილისში და ასე ვიკრებ ძალებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა არ არის შეძლებული და ძლიერი, იგი ჩემთვის მაინც ყველაზე ძვირფასია მთელ მსოფლიოში, ამერიკას უთვალავჯერ მირჩევნია. სხვათა შორის, იქ ღამის კლუბებში მცირეწლოვანების შეშვება არ შეიძლება, მაგრამ მე შემაპარეს. მთელი ღამე ვცეკვავდი. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო. იმის მერე ღამის კლუბისკენ აღარ ვიხედები. მეშინია, არ დამსაჯონ.

გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ

სახელმწიფოს ლიცენზირებული
საქართველო-ისრაელის
სტომატოლოგიის ინსტიტუტი
და მრავალპროფილიანი
სამედიცინო კოლეჯი
სხვა სასწავლებლებიდან გადმოსვლა გადასახადის გარეშე
მინიმალური გადასახადი
სახელმწიფო დიპლომი
დასაქმება
თბილისი, ჩარგლის 34
მეტრო „ღრმაღელე“
☎ 61-54-23 (დღისით)
61-69-77
71-55-11 (ღამით)
www.medical.edu.ge

ორშაბათი — 26 ივლისი

ქვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „სიმბა-ფეხბურთელი" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები" 15.20 სერიალი „რვაფეხა" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.20 დოკ. ფილმი „ექსცენტრიკოსები" 17.05 მულტსერიალი „სიმბა-ფეხბურთელი" 17.25 მუს. არჩევნები 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 18.45 დოკ. სერიალი „ჩემი სახლი" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 ღამის მატარებელი 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი „ფხიზელი ძილი" (15)

18.00 მულტფილმი „ტომი და ჯერი" 18.30 დოკ. ფილმი „ნაციზმი" (16) 19.30 მხ. ფილმი „მბრუნავი მოედანი" (16) (ჯეიმს ბრუკსი) 20.50 „მადამ ტიუსო" 21.20 კონცერტი 22.20 მხ. ფილმი „უხრწნელი მგზავრი" (16) (ჯავა ნიკოლსონი) 23.50 კლიპები

06.00 Телеканал "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20 Любовь Полищук в детективе "ТАЙНА "ЧЕРНЫХ ДРОЗДОВ" 11.10 Следствие ведет Колобков 11.40 Дисней-клуб: "Алладин" 12.10 Лидия Федосеева-Шукшина в фильме "СВЕРСТНИЦЫ" 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 15.20 Алексей Гуськов в многосерийном фильме "ПОДОЗРЕНИЕ". 1-я с. 16.30 Криминальная Россия. "Казанская бригада". 1-я серия 17.00 "Русская рулетка" 18.20 Смехопанорама 19.00 Сериал "КЛОН" 20.00 Жди меня 21.00 Время 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 22.40 Криминальная Россия. "Монстр из Старожилова". 2-я серия 23.10 "Форс-мажор" 23.50 Детективный сериал "24 ЧАСА" 00.40 Фильм Алана Паркера "ПРИДИ И УВИДИШЬ РАЙ" 02.50 Фильм "ПОТЕРИ" 04.20 Сериал "БАДДИ ФАРО" 05.05 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Средиземное море"

სამშაბათი — 27 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „სიმბა-ფეხბურთელი" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.20 სერიალი „რვაფეხა" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 17.00 მულტსერიალი „სიმბა-ფეხბურთელი" 17.30 „ამბობენ" (განმ.) 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 18.45 დოკ. სერიალი „ჩემი სახლი" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 სერიალი „ფსიქოფატორი" (12) 22.25 „მუსიკალური არჩევნები" 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი „ხელი არ ახლო თეთრ ქალს" (15)

05.35 მუსიკა 03.50 ფილმი-ფანტასტიკა „შეუძლებელია"

18.00 მულტფილმი „ტომი და ჯერი" 18.30 დოკ. ფილმი „ნაციზმი" (16) 19.30 მხ. ფილმი „ჯეკ ნაიფი" (16) (რ. დე ნირო) 21.15 ბენი ჰილი 21.30 კონცერტი - ლუდა სიხარულიძე 22.35 მხ. ფილმი „სულელების სახლი" (მერილ სტრიპი) (18)

06.00 Телеканал "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 10.20, 19.00 Сериал "КЛОН" 11.20 Мультсериал "Кошки-мышки" 11.40 Дисней-клуб: "Новые приключения Винни-Пуха" 12.10 Евгений Жариков в фильме "СЕМЬ ЧАСОВ ДО ГИБЕЛИ" 13.30 "Жила-была бабка..." 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 15.20 Алексей Гуськов в фильме "ПОДОЗРЕНИЕ". 2-я с. 16.30 Криминальная Россия. "Казанская бригада". 2-я серия 17.00 "Слабое звено" 18.20 "Кумиры". Алексей Глызин 20.00 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН" 21.00 Время 22.40 Кремль-9. "Царская охота" 23.30 Искатели. "Убийство Столыпина" 00.00 Детективный сериал "24 ЧАСА" 00.50 Остросюжетный фильм "ГОНКОНГ - 97" 02.35 Рутгер Хауэр в триллере "МИСТЕР СТИЧ" 04.00 Сериал "БАДДИ ФАРО"

ოთხშაბათი — 28 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „სიმბა-ფეხბურთელი" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „პოპ-არტი და კომპანია" 15.20 სერიალი „რვაფეხა" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 17.00 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი" 17.30 „მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 18.45 დოკ. სერიალი „ჩემი სახლი" 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 ღამის მატარებელი 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი „შავი წერტილი" (12)

19.00 მულტფილმი „პაპირუსის

კარიბჭესთან შიდნაკა" 23.00 დრამა „საშინელი რომანსი" 01.35 ვესტერნი „ოპი ველურ დასავლეთში" 04.05 კომედია „ადაპტაცია"

18.00 მულტფილმი 18.40 დოკ. ფილმი „ნაციზმი" (16) 19.40 მხ. ფილმი „ანგელოზის ცეკვა" (16) (ჯეიმს ბელუში) 21.35 კონცერტი 22.35 მხ. ფილმი „კარიბის ზღვის მეკობრეები" (18) (ჯონი დეპი)

06.00 Телеканал "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 10.20, 19.00 Сериал "КЛОН" 11.20 Мультсериал "Кошки-мышки" 11.40 Дисней-клуб: "Лило и Стич" 12.10 Изольда Извицкая в фильме "НЕПОВТОРИМАЯ ВЕСНА" 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 15.20 Алексей Гуськов в фильме "ПОДОЗРЕНИЕ". 3-я с. 16.30 Криминальная Россия. "Казанская бригада". 3-я с. 17.00 "Слабое звено" 18.20 Просто смех! 20.00 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН" 21.00 Время 22.40 Тайны века. "Титаник. Русская версия" 23.30 "Разведка. Версия для кино". "Мертвый сезон" 00.00 Детективный сериал "24 ЧАСА" 00.50 Триллер Стивена Кинга "ЗОНА - 51" 02.40 Комедия "КАК ОНА ПОБЫВАЛА МУЖЧИНОЙ" 04.10 Сериал "БАДДИ ФАРО" 05.05 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Калипсо" ищет "Атлантиду"

ხუთშაბათი — 29 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „ბოტერო" 15.20 სერიალი „რვაფეხა" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 17.30 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 18.45 დოკ. სერიალი „ჩემი სახლი" 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 სერიალი „ფსიქოფატორი" (12) 22.25 „მუსიკალური არჩევნები" 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი „ათასი მილიარდი დოლარი" (12)

კომედია „ტაბილ-მბარე სიმჰარული" 03.30, 05.45 მუსიკა 04.00 თრილერი „მეექვსე გრძნობა"

18.00 მულტფილმი „მაუგლი" 18.40 დოკ. ფილმი „ნაციზმი" მე-4ნ. 20.10 მხ. ფილმი „მოჯადოებული ბუღეები" (18) (სანდრა ბალოკი) 21.40 ქართული კლიპები 22.40 მხ. ფილმი „პოტიკა" (18) (ბილი ბერი) 00.15 კლიპები

06.00 Телеканал "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 10.20, 19.00 Сериал "КЛОН" 11.20 Мультсериал "Кошки-мышки" 11.40 Дисней-клуб: "Утиные истории" 12.10 Александр Пороховщиков в детективе "ГОРОД ПРИНЯЛ" 13.40 Теория невероятности. "Живая вода" 14.10 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 15.20 Алексей Гуськов в фильме "ПОДОЗРЕНИЕ". 4-я с. Закл. 16.30 Док. детектив. "Вердикт охранников". 2-я серия 17.00 "Слабое звено" 18.20 "Анекдоты" 20.00 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН" 21.00 Время 22.40 "Человек и закон" 23.30 Ударная сила. "Супертанк Т-90" 00.00 "Место действия - Россия". "Окраина" 00.50 Любовь и измена в боевике "ТЕМНЫЕ ЦЕЛИ" 02.30 Фильм "СТАНОВЛЕНИЕ МАЛЕНЬКОГО ИНДЕЙЦА" 04.30 Сериал "УРОВЕНЬ 9" 05.15 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Последний барьер"

პარასკევი — 30 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „ოპერაცია - მთვარე" 15.20 სერიალი „რვაფეხა" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.20 დოკ. ფილმი 17.00 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი" 17.25 მუს. არჩევნები 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 18.45 დოკ. სერიალი „ჩემი სახლი" 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 „ღამის მატარებელი" 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 კონცერტი 01.20 მხ. ფილმი „ჩრდილოეთის ვარსკვლავი" (15)

სულელი 16.45 მულტფილმი ... ქვაში 18.00 მუსიკა 18.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" 19.00 ბოევიკი „ცისარტყელა" 23.00 დრამა „ბავშვობის პოეტები სამოგზაურობა" 01.30 თრილერი „ნიკიტა" 03.20, 05.25 მუსიკა ვესტერნი „რაზმი"

18.00 მულტფილმი 18.20 დოკ. ფილმი „ნაციზმი" მე-5ნ. 20.10 მხ. ფილმი „იდენტიფიკაცია" (18) (ჯონ კიუსაკი) 21.40 ქართული კლიპები 22.55 მხ. ფილმი „ბავშვის დაპირისპირებული გაკვეთილები" (16) (ჩარლზ დარვინი)

06.00 Телеканал "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 10.20 Сериал "КЛОН" 11.20 Мультсериал "Кошки-мышки" 11.40 Мультсериал "Прицесса Сиси" 12.10 Николай Олялин в фильме "ДЕРЗОСТЬ" 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 15.10 Собачьи гонки в прикл. фильме "КЕВИН С СЕВЕРА" 17.00 "Русская рулетка" 18.20 Джентльмены предпочитают свободу в фильме "ТРИ БЕГЛЕЦА" 19.50 "Поле чудес" 21.00 Время 21.30 "Смешные люди". 23.20 Кевин Костнер в боевике "МЕСТЬ" 01.50 Квентин Тарантино в филь-ме "ДЕВУШКА НОМЕР 6" 03.35 Комедия "ЗАВТРАК С ЭЙНШТЕЙНОМ" 05.10 "Мужчины и женщины острова Папуа"

შაბათი — 31 ივლისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 10.00 დილის პაემანი 11.05 მხიარული კარუსელი 11.30 საქართველო არის ესე 12.15 მხ. ფილმი „გაალეთ პოლიცია!" 14.00 სერიალი „სასახლე მზეზე" 15.15 სერიალი „რვაფეხა" 17.00 დოკ. სერიალი „ცხოველთა ბედი" 18.00 ვესტნიკი 18.40 იმღერე რამე 19.15 ტელეზღაპარი 19.30 ისტორიანი 20.35 სტუმრად მსახიობთა სტუდიაში - მაიკლ მაიერსი 21.20 ფორტუნა 22.30 „სალამოს საუბარი" 23.20 „მუსიკალური არჩევნები" 00.15 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.35 მხ. ფილმი „პრინცესა დი" (15)

19.00 მულტფილმი „პაპირუსის თავგადასავალი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა"(U) 21.00 მუსიკალური ...

01.15 მხ. ფილმი „მაიმუნების პლანეტა" 03.10, 05.40 მუსიკა 03.30 თრილერი „თოვლით დაბრმავება"

18.00 მულტფილმი „სიმბა" 18.20 დოკ. ფილმი „ნაციზმი" მე-6ნ. 20.10 მხ. ფილმი „სამი მამაკაცი და ჩვილი აკვანში" (14) (რ. ჯირო) 21.40 კონცერტი 22.40 მხ. ფილმი „პოლიციელების ქვეყანა" (16) (სტალონე) 00.15 კლიპები

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости 06.10 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Сумерки на Аляске". 07.00 Приключенческий фильм "АМЕРИКАНСКИЙ ХВОСТ" 08.20 Играй, гармонь любимая! 09.00 Слово пастыря 09.10 Здоровье 10.10 Бокс. Майк Тайсон - Дэнни Уильямс 11.10 "Возвращение домой. Гоша Куценко. Львов" 12.10 Лидия Федосеева-Шукшина в комедии "ТРЫН-ТРАВА" 14.00 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" 14.30 Умницы и умники 15.10 "Программа передач на вчера" 16.00 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА" 17.50 Классика Уолта Диснея. Впервые в России 18.20 Георгий Вицин в комедии "ОПЕКУН" 20.00 "Кто хочет стать миллионером?" 21.00 Время 21.20 Летний вечер на Первом канале 22.40 Бокс. Майк Тайсон - Дэнни Уильямс 23.30 Жан-Клод Ван Дамм в боевике "ПОД ОТКОС" 01.30 Премьера. Вэл Килмер в фильме "С ПЕРВОГО ВЗГЛЯДА" 03.45 Гвинет Пэлтроу в фильме "СИЛЬВИЯ"

კვირა — 1 აგვისტო

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.35 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 10.00 „იმღერე რამე" 11.00 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი" 11.30 სპს 12.15 მხ. ფილმი „მოხსენიების დღე" 14.00 სერიალი „სასახლე მზეზე" 15.20 სპექტაკლი „ურინარი" 16.15 დოკ. ფილმი „კატარები" 17.40 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები" 17.55 „მიამბეთ თქვენზე" 18.40 „იმღერე რამე" 19.15 „ქიმერიონი" 20.35 „ჩემი მშვენიერი ლედი" 21.00 კონცერტი 21.30 დოკ. სერიალი „მე-20 საუკუნის დიდებული ქალბატონები" 22.00 ტელ-ლოტო 22.45 მხ. ფილმი „რეკორდი" 00.45 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე". 01.05 მხ. ფილმი „შეურისმაძიებლები. თამაში ორისთვის" (12).

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 სტუმრად მსახიობთა სტუდიაში 20.20 ძველი ...

19.00 დოკ. ფილმი „ნაციზმის ომები" 19.50 მხ. ფილმი „მგლის სამი" (ჰ. ბელუში) (16) 21.00 ჩარლი ჩაპლინი 21.30 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი „ადამიანი გამოცანა" (მაკ მაიერსი) (16) 00.10 კონცერტი

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости 06.10 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Скалы из моря" 06.40 Леонид Быков в фильме "АЛЕШКИНА ЛЮБОВЬ" 08.20 Служу Отчизне! 08.50 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 09.10 "В мире животных" 10.10 "Непутевые заметки" 10.30 Пока все дома 11.10 "Дог-шоу" 12.10 Сериал "ДЕФЕКТИВНЫЙ ДЕТЕКТИВ" 13.00 "Путешествия натуралиста" 13.40 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" 14.00 "Большие родители". Игорь Ильинский 14.30 "Дачники" 15.20 Смехопанорама 15.50 Фантастическая комедия "НАЗАД В БУДУЩЕЕ - 3" 18.10 Людмила Гурченко в фильме "БЕССОВЕСТНЫЕ" 19.10 Ефим Шифрин, Юрий Антонов в праздничном концерте 21.00 Время 21.20 Николас Кейдж в боевике "СКАЛА" 23.55 Бокс. Диего Корралес - Хоэль Касамайор 01.00 Чак Норрис в боевике "ОТРЯД "ДЕЛЬТА": Колумбийский связной" 02.55 Приключенческий фильм "ЗАХВАТ ПЛАНЕТЫ ОБЕЗЬЯН" 04.30 Сериал "УРОВЕНЬ 9" 05.10 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Плавучие джунгли Борнео"

ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"

მედიცინა

შეკითხვა ექიმს

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.

ვარ 50 წლის. მარჯვენა მხრის არეში მაქვს ტკივილი და გაბუჟების შეგრძნება. თითქოს გულზეც მოქმედებს. იქნებ მიმითითოთ, რა არის ამის მიზეზი და ვის მივმართო? ან თუ არსებობს ხალხური რეცეპტი?

დიდი პატივისცემით, ერთგული მკითხველი

აუცილებლად უნდა გამოირიცხოს სტრეპტოკოკული ინფექცია (რევმატიზმი), რომელიც აზიანებს უპირატესად მსხვილ სახსრებს (მხრისა და მუხლის) და იმავდროულად, გულის შიგნითა შრეს — ენდოკარდიუმს. გირჩევთ, დროულად მიმართოთ რევმატოლოგს, რადგან თუ რევმატიზმი აქტიურ ფაზაშია, თანდათანობით გაღრმავდება გულის სარქველების დაზიანების პროცესი და მდგომარეობა სულ უფრო და უფრო გართულდება.

ვარ 20 წლის. კისერზე, უკან, დიდი ხანია, მაწუხებს ჯირკვლები. რისი ბრალია და რითი ვიმკურნალო?

პატივისცემით, თქვენი ერთგული მკითხველი, გიორგი წერეთელი

საინტერესოა, მაინც რამდენია მკითხველისთვის დიდი ხანი: რამდენიმე კვირა, თვე თუ წელიწადი. კისრის ლიმფური ჯირკვლების გადიდება ახასიათებს ზოგიერთ მწვავე ვირუსულ ინფექციას (მაგალითად, წითურას, ადენოვირუსულ ინფექციას). დაავადების გადატანიდან რამდენიმე თვის განმავლობაში ლიმფადენიტი (ჯირკვლების ანთება) რჩება და შემდგომ თანდათანობით უკუვითარდება.

თუ ჯირკვლები უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში გაქვთ გადიდებული, აცილებლად გაიკეთეთ სისხლის საერთო ანალიზი სისხლმბადი სისტემის პათოლოგიის გამოსარიცხად.

ვარ 20 წლის მამაკაცი. ბოლო ხანებში ხშირად მაწუხებს გულძმარვა (ე.წ. „იჟოგა“). გთხოვთ, მასწავლოთ წამალი.

ერთგული მკითხველი

შეუძლებელია გაზეთის ფურცლიდან დაგინიშნოთ წამალი მხოლოდ იმ ინფორმაციის მიხედვით, რომ გაქვთ გულძმარვა. ამ ჩივილს სხვადასხვა დაავადება შეიძლება იწვევდეს, კერძოდ — ჰიპერაციდური (მაღალი მჟავიანობით მიმდინარე) გასტრიტი, კუჭის ეროზია, წყლულოვანი დაავადება, კუჭის მოტორული ფუნქციის დარღვევა (რაიმე მიზეზის გამო) და სხვა. მკურნალობა დაგენიშნებათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაგიზუსტდებათ დიაგნოზი. ამის გაკეთება კი მხოლოდ ექიმთან ვიზიტის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

გაფაციცებით ვადევნებ თვალს თქვენი გაზეთის სამედიცინო გვერდს, იქნებ რამე ამოვიკითხო ჩვენი ოჯახის გაჭირვების შესახებ. ვართ ლტოლვილები გუდაუთის რაიონიდან, ვცხოვრობ თბილისში. მყავს 18 წლის ბიჭი, რომელსაც აღმოაჩნდა ძვლის უმძიმესი დაავადება — ოსტეომიელიტი. მენჯ-ბარძაყის მიდამოდან ჰქონდა ჩირქდენა. საჭირო გახდა ოპერაცია, რომელიც უშედეგო გამოდგა. ბავშვი ლენინგრადში წავიყვანეთ, სადაც გაუკეთდა ხელმეორე ოპერაცია. ძვლის დაზიანებული ნაწილები გაწმინდეს და გაფხიკეს. დროთა განმავლობაში ჭრილობაც შეხორცდა, მაგრამ ტკივილები მაინც აწუხებდა. ლენინგრადელმა ექიმებმა ამ დაავადებას ტუბერკულოზური ოსტეომიელიტი უწოდეს. დავბრუნდით საქართველოში, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ბავშვს ჭრილობა გაეხსნა და ისევ ჩირქდენა დაეწყო. ახლა უკვე ნამდვილად არ ვიცით, რა გავაკეთოთ. მეშინია, ბავშვს ფეხის ამპუტაცია არ დასჭირდეს. იქნებ თქვენი გაზეთის მეშვეობით გამომეხმაუროს ვინმე, ვინც მცენარეული წამლებით მკურნალობს აღნიშნულ დაავადებას. თქვენი გულისხმიერების იმედი გვაქვს. თუ ვინმემ რამე იცით ამ დაავადების შესახებ, გთხოვთ, მოგვაწვდინოთ ხმა ამ გაზეთის მეშვეობით. წინასწარ გიხდით მადლობას.

ნელი ქუბაბრია — გუდაუთიდან ლტოლვილი

მდგომარეობა მართლაც სერიოზულია, მაგრამ გამოსავალი არსებობს და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მას აუცილებლად მიაგნებთ. თქვენი მონათხრობიდან ჩანს, რომ ბავშვს აქვს ძვლის ტუბერკულოზი, ეს ინფექცია კი მეტად ვერაგი დაავადებაა და ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვს. კომპეტენტური მკურნალობისათვის თქვენ უნდა მიმართოთ ტუბერკულოზის ცენტრს, სადაც არსებობს ძვალ-სახსართა სპეციალური განყოფილება.

რამდენი უნდა იყოს ტენიანობის მაჩვენებელი ჩვილის ოთახში?

ა. ბუკია

ჯანმრთელი ბავშვის ოთახში ჰაერის ტენიანობა უნდა იყოს არანაკლებ 60%-ისა, რესპირატორული დაავადების დროს — არანაკლებ 70%-ისა. 80%-ზე მეტი ტენიანობა კი უკვე ცუდია. ნებისმიერ შემთხვევაში, უმჯობესია ჰაერის ჭარბი დატენიანება, ვიდრე მეტისმეტი გამოშრობა.

კარაბადინი

ვეხმაურები გაზეთ „კვირის პალიტრაში“ (№18 3-9 მაისი) ბატონ გ.ფ-ს შეკითხვას იმის შესახებ, რომ სახეზე გაუჩნდა პატარა თეთრი ლაქა, რომელზეც წვერი არ ამოსდის. ამ ავადმყოფობას იწვევს დღეს შექმნილი დაძაბული მდგომარეობა, ნერვიულობა და გადატანილი სტრესი.

აღნიშნულ დაავადებას შესანიშნავად კურნავს ნიორი. ნივრის კბილი დანაყეთ და წვენი წაისვით იმ ადგილას, სადაც ლაქებია გაჩენილი. სანამ სასურველ შედეგს არ მიაღწევთ, იქამდე იმკურნალეთ.

ექიმის კომენტარი: მკითხველი სწორად აღნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში ბუდობრივი ალოპეციის (გამელოტების) ერთ-ერთ მაპროვოცირებელ ფაქტორს სტრესი და ნერვული პათოლოგიები წარმოადგენს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღნიშნულ პათოლოგიას მხოლოდ სტრესული ფაქტორი უდევს საფუძვლად. მისი გამომწვევი სრულიად განსხვავებული მიზეზი (მაგალითად, სოკოვანი დაავადება) შეიძლება იყოს. ამიტომ ბუდობრივი ალოპეციისას ჯერ უნდა დადგინდეს ზუსტი დიაგნოზი და შემდეგ დაინიშნოს ადეკვატური მკურნალობა.

ნიორი საკმაოდ მრავალფეროვანი ფარმაკოლოგიური ეფექტის მქონე მცენარეა. მის შესახებ ჩვენ „კარაბადინში“ არაერთხელ გესაუბრეთ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი გეტყვით, რომ ანთების საწინააღმდეგო, მასტიმულირებელი თვისებების გამო ნივრის წვენი ამაგრებს თმის ძირებს, აჩქარებს მის ზრდას და აფერხებს ცვენას. ნიორი ხალხურ მედიცინაში ზოგადი ალოპეციის სამკურნალოდაც გამოიყენება.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

მკითხველი — მკითხველს

ვარ 70 წლის ქალი, ძალიან მაწუხებს მუცლის შებერვა და გაზები, კუჭი შეკრული მაქვს. ვსვი ექიმის მიერ დანიშნული წამლები, მაგრამ შედეგი ვერ მივიღე. ვიცი, რომ ასეთ პრობლემებს მცენარეული წამლებითაც ცვლიან. ძალიან გთხოვთ, „პალიტრის“ მკითხველებმა, იქნებ ვინმემ იცოდეთ ჩემი ავადმყოფობის საშველი. გამომეხმაურეთ, ნუ დამტოვებთ უყურადღებოდ. თქვენი გულისხმიერების იმედი მაქვს. წინასწარ გიხდით მადლობას,

პატივისცემით, ერთგული მკითხველი ვ.კ.

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.

ჯობს დალიოთ

დალევა სასარგებლოა — ეს საბოლოოდ დაადგინეს ამერიკელმა მკვლევარებმა, რომლებიც ალკოჰოლიზმს შეისწავლიან. მათ მიერ მიღებული მონაცემები მოწმობენ: კვირაში 2 დღე ცოტა ალკოჰოლიანი სასმლის დალევა უფრო სასარგებლოა, ვიდრე საერთოდ არ მიეკაროთ მას. მეცნიერებს აქვთ იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ზომიერი დალევა არ ზრდის გულის შეტევის ან ინსულტის რისკს, მაგრამ იცავს ასაკოვანთა ორგანიზმს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ალკოჰოლი სასარგებლოა მცირე რაოდენობით. მანდილოსნებმა შეგიძლიათ ყოველდღიურად მიირთვათ ერთი ბოთლი ნაკლებგრადუსიანი ლუდი (0,33 ლ) ან ერთი ჭიქა კარგი ღვინო. მამაკაცებსაც იმავეს ვურჩევთ..

ტაიმი

ქინძი კურნავს ყველა დაავადებას

ამ დღეებში კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა კორიანდრის მწვანე ფოთლებში (ამერიკაში ამ მცენარეს სილაანდროს ეძახიან, კავკასიაში — ქინძს) აღმოაჩინეს ნივთიერება დოდესენალი, რომელიც ორჯერ ძლიერია ნებისმიერ ანტიბიოტიკზე. როგორც კვლევის პროცესში გაირკვა, ეს ნივთიერება წამიერად კლავს ადამიანისათვის საშიშ ბაქტერიებს, კერძოდ, სალმონელას, რომელიც ორგანიზმში რომელიმე საკვები პროდუქტიდან ხვდება.

დოქტორ ისაო კაბოს თქმით, მეცნიერები არც კი ელოდებოდნენ ძლიერი ანტიბიოტიკის აღმოჩენას სავსებით ჩვეულებრივ მცენარეში, რომელსაც ხშირად უმატებენ კერძებს მექსიკელები, კავკასიელები და ახლო აღმოსავლეთის მკვიდრნი. აქამდე ითვლებოდა, რომ ქინძი შეიცავს მხოლოდ დიდი რაოდენობით თუთიას, რომელიც ცოტაა სხვა პროდუქტებში, ამიტომ ხშირად ხმარობენ სალათებისთვის.

მალე მეცნიერები დაიწყებენ ქინძის მწვანე ფოთლებიდან სამკურნალო პრეპარატის მიღებას, მაგრამ მომხმარებელს შეუძლია არ დაელოდოს სასწაულმოქმედ აბებს, სჯობს ეს მწვანილი მეტი მიირთვას უმად.

მეგაპოლის-ექსპრესი №28

როგორ ვკვებოთ ფრჩხილები

ფრჩხილები რომ მაგარი იყოს და არ დაშრევდეს, აუცილებელია მიიღოთ A ვიტამინის შემცველი პროდუქტები: ხაჭო, რძე, ღვიძლი, კვერცხი, კარაქი. გარდა ამისა, კვირაში ორჯერ უნდა მიირთვათ ჟელე, ვინაიდან ჟელატინი შეიცავს ფრჩხილების გასამაგრებელ ნივთიერებებს. მეტი აქცენტი გააკეთეთ ზღვის პროდუქტებზე, რაციონში შეიტანეთ ნიგოზი, ზეთით შენელებული სტაფილო, ისპანახი, გოგრა. არ დაივიწყოთ კოსმეტიკური საშუალებებიც: ფეხის აბაზანები, ნელსაცხებლები.

სანი

ჯარაექიმის რჩევები

კონიუნქტივიტის დროს თვალების მოსაბანად და კომპრესისთვის:

1. 1ჩ/კ ასკილის ყვავილს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი, ადუღეთ 15-20 წუთი, გააცივეთ და გაწურეთ, ნახარშით მოიბანეთ თვალები.

2. 2 ს/კ ნიგვზისძირას დაქუცმაცებულ ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ, გააცივეთ და გაწურეთ.

3. 40-50გ კორდისკბილას დაასხით 1ლ მდუღარე წყალი. გააჩერეთ 1 საათი.

4. 10გ ჟოლოს გამხმარ, დაქუცმაცებულ ფოთოლსა და ყვავილს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი და გაწურეთ.

საჭმლის მონელების ტრაქტის მოსაწესრიგებლად: 10გ ძახველის ნაყოფს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, თავდახურული 10 წუთი გააჩერეთ წყლის ორთქლზე, გააცივეთ 45 წუთი და გაწურეთ. მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში.

დისმენორეას (კრიტიკულ დღეებში) დროს:

1. შეურიეთ ერთმანეთს 15-15გ კატაბალახას ფესვები, პიტნა და 20გ გვირილის ყვავილი. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ ცივი წყალი, გააჩერეთ 5 საათი, შემდეგ ადუღეთ 5 წუთი და გაწურეთ. დალიეთ დილა-საღამოს თითო ჩ/ჭ თბილი ნახარში.

2. შეურიეთ ერთმანეთს 15-15გ კატაბალახას ფესვები, წყლის სამყურა, პიტნა, ფარსმანდუკი და გვირილის ყვავილი. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, თავზე მჭიდროდ დაახურეთ და გააცივეთ. მიიღეთ დღის განმავლობაში 5-6-ჯერ.

3. შეურიეთ ერთმანეთს 25-25გ ძახველის და ხეჭრელის ქერქი, ჭანგას ფესვურა. 1 ს/კ ნარევს დასხით 1 ჩ/ჭ ქაფქაფა, მდუღარე წყალი. გააჩერეთ 1 საათი და გაწურეთ. მიიღეთ დღის განმავლობაში 5-6 მიღებაზე.

როგორ მოვუაროთ კანს: არაჟანი და მაწონი შეურიეთ ზეითუნის (ან ნებისმიერ მცენარეულ) ზეთს, ბამბის ტამპონით წაისვით სახეზე და 10-15 წუთის მერე ჩამოიბანეთ ჩაის ან სალბის ნაყენით.

გაუხეშებული მუხლისთავები, იდაყვები და ფეხის ქუსლები დაისველეთ თბილი წყლით და შეიზილეთ ნატურალური თაფლი მანამდე, სანამ თაფლი არ გათეთრდება. 20-30 წუთის შემდეგ დაიბანეთ. ეს პროცედურა გაიმეორეთ რამდენჯერმე.

დამსკდარ ტუჩებზე წაისვით 1ჩ/კ ხაჭოსა და 1ჩ/კ სტაფილოს წვენის ნარევი. 15-20 წუთის შემდეგ გაიწმინდეთ. ასევე შეიძლება 15-20 წუთით წაისვათ თაფლი.

თვალებზე გაიკეთეთ ჩაის ნაყენის საფენები, შემდეგ ხელის თითების მსუბუქი დარტყმით თვალების ირგვლივ შეიზილეთ მკვებავი კრემი.

გრიპის დროს: დილით რძიანი კაკაო და ბუტერბროდი მიირთვით — კარაქიან პურზე დააწყვეთ წვრილად დაჭრილი ნიორი და ყველი.

ყაბზობისას: უზმოზე დალიეთ 1/2 ჩ/ჭ ცივი, უგაზო წყალი და იმავე რაოდენობის ნებისმიერი ბიოკეფირი.

ხველების დროს: 15გ ანისულის თესლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, წამოადუღეთ და მიიღეთ 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე.

ორგანიზმს წმენდს წიდებისაგან: 1 ს/კ შავი ბოლოკის წვენი დალიეთ 3-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსია 2-3 თვე.

კოსმეტიკა მწეველებისთვის

დღეში თუნდაც 5 ცალი სიგარეტის მოწევის შემდეგ ადამიანი განიცდის ჟანგბადის ნაკლებობას, რაც მომაკვდინებლად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე. მრავალრიცხოვანი ცდებისა და გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნიკოტინი ხლეჩს კოლაგენებს, რაც იწვევს კანის მოდუნებას.

როგორ შევამციროთ მოწევის მომაკვდინებელი შედეგები? მივმართოთ ნატურალურ კოსმეტიკას. განსაკუთრებით სასარგებლოა მარწყვის და მოცვის ნიღბები. ანტიოქსიდანტური თვისებები აქვს ატმის და მანგოს რბილობებს. პროცედურამდე კანი გაიწმინდეთ ლოსიონით, შემდეგ სახეზე დაიდეთ ზემოთ ჩამოთვლილი ხილის ფაფა, გაიჩერეთ 15 წუთი და თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

ოჯდოხნი! №29

ღიმილი თქვენი მეგზური გახდება

ერთი კოვზი თაფლი! როგორც კი იგრძნობთ დაღლილობას, მიიღეთ დღეში 1 ჩაის კოვზი თაფლი, რომელიც არა მარტო გემრიელია, არამედ ენერგიის წყაროც არის — ნივთიერებები, რომელსაც თაფლი შეიცავს, სწრაფად გადადის სისხლში და აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას. გარდა ამისა, თაფლი შეიცავს ვიტამინებს, მინერალებსა და ენზიმს, რომელიც აწესრიგებს გულის, ნერვული სისტემისა და კუჭ-ნაწლავის მუშაობას, ასტიმულირებს ორგანიზმის დამცველ ძალას.

ღრმად ჩაისუნთქეთ! ყველამ კარგად ვიცით, რომ სუნთქვა სიცოცხლეა და კარგი გუნება-განწყობილება. სამწუხაროდ, ჩვენ არასწორად, ზედაპირულად ვსუნთქავთ. ღიმილი რომ გვამშვენებდეს, ამისთვის სულ მცირე რამ არის საჭირო — დღეში 3 წუთი სუნთქვითი ვარჯიშები გავაკეთოთ: დადექით სწორად, ქიპთან ერთმანეთზე დაიწყეთ ხელები, ჩაისუნთქეთ და ხელები ასწიეთ ცხვირისკენ. ამ დროს თქვენი სუნთქვა მიემართება მუცლიდან მკერდისკენ, ამოისუნთქეთ და ხელები დაუშვით საწყის მდგომარეობამდე (ქიპამდე). ამოსუნთქვის დროს წარმოიდგინეთ, რომ ყველაფერი უსიამოვნო მიჰყვება მას.

დაძაბული ხართ? ყველა საქმეს და პრობლემას თავს ვერართმევთ, არ იცით, რა გააკეთოთ. ამ დაძაბულობას მოგიხსნით მუსიკა ან ბუნების ხმების აუდიოჩანაწერები, უყურეთ სანთლის მოციმციმე ალს, იყნოსეთ ეთეროვანი ზეთები.

ფეხის ტერფებზე განლაგებულია ყველა ორგანოს რეფლექსური ზონები, თუკი მათ დავიზელთ — შეიძლება გავიუმჯობესოთ ჯანმრთელობა. ამისთვის სრულიად საკმარისია შიშველი ფეხებით იატაკზე აგორაოთ მასაჟორი, რომელიც ყველა ზონაზე ეფექტიანად იმოქმედებს, თქვენ კი სიმხნევეს შეგმატებთ, დაძაბულობა მოგეხსნებათ.

გსურთ ჯანმრთელობა შეინარჩუნოთ? რაც შეიძლება ბევრი იმოძრავეთ, 3 წუთი მაინც იხტუნეთ სახტუნაო თოკზე და რამდენიმე დღეში წონაში დაიკლებთ. ფეხის კუნთების გასამაგრებლად გირჩევთ, უარი თქვათ ლიფტზე და ყოველდღე იაროთ მხოლოდ კიბით.

ლიზა №29

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10 პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე

☎ 8(93) 31 42 35

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

სექსოპათოლოგიის კლინიკა

ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11

გთხოვთ ამიხსნათ, რა არის საკვებისმიერი ალერგია, რა მოვუხერხო მას, თუკი ის ჩემს 2 წლის გოგონას აღენიშნება? როგორ მოვიქცეთ, თუკი ბავშვი გაცივდა...

ლ.მ. თბილისი

საკვების ალერგია

საკვებისმიერი ალერგია — საკვები პროდუქტების აუტანლობაა, რომელიც განპირობებულია იმუნოლოგიური რეაქციებით და არ უკავშირდება ნივთიერებათა ცვლის დარღვევას. არსებობს უამრავი საკვები პროდუქტი, რომელთაც ალერგიული რეაქციის გამოწვევა შეუძლიათ. განსაკუთრებით ძლიერი კვებითი ალერგენებია: ძროხის რძე და რძისგან დამზადებული საკვები, კვერცხი (განსაკუთრებით ცილა), თევზეული, ციტრუსები, შოკოლადი, მარწყვი.

ჩვილი ბავშვისთვის საუკეთესო და შეუცვლელი საკვებია დედის რძე. თუმცა, ზოგჯერ დედის რძეშიც ვლინდება ალერგია. ეს ხდება მაშინ, როდესაც მეძუძური დედა თავად სვამს ძროხის რძეს და იღებს სხვა კვებით ალერგენს.

საკვებისმიერი ალეგია ნებისმიერი ასაკის ბავშვს შეიძლება დაემართოს. განსაკუთრებით საშიშია დაბადებიდან 3 წლამდე. აქედან ყველაზე აქტუალური (ალერგიის თვალსაზრისით) ერთ წლამდე ასაკია, ე.ი. საკვებისმიერი ალერგია ყველაზე ხშირად ჩვილებში იჩენს თავს. ამ ასაკში კვებით ალერგენს უპირატესად ძროხის რძე წარმოადგენს.

როგორ ამოვიცნოთ ალერგია. ალერგიული რეაქცია სხვადასხვა სახით ვლინდება. პოტენციურად პირველ ადგილზეა საჭმლის მომნელებელი სისტემის რეაქციები. ამ დროს ბავშვს აღენიშნება სისხლიანი განავალი, ტკივილი მუცლის არეში, ფაღარათი, მეტეორიზმი (გაზების დაგროვება) და ა.შ. მეორე ადგილზეა კანის რეაქციები, რაც ძირითადად დერმატიტის, კანზე ალერგიული გამონაყარის სახით აღინიშნება. დაბოლოს, ალერგია შეიძლება ასთმის სახითაც გამოვლინდეს. იგი უპირატესად უფროსი ასაკის ბავშვებს აღენიშნებათ, ასთმოგენურია (ასთმის გამომწვევი) თევზეული.

საკვები პროდუქტებისადმი ალერგია შეიძლება სხვადასხვა ფაქტორებით იყოს განპირობებული. ესენია: ლაქტოზის აუტანლობის ფენომენი, რომელსაც ფერმენტ ლაქტაზას დეფიციტი იწვევს. აგრეთვე ძროხის რძის ცილების აუტანლობის ფენომენი და „სუფთა" ალერგიული რეაქციის განვითარება, რომელიც განპირობებულია სისხლში ალერგიის საწინააღმდეგო ანტისხეულების არსებობით. ვიზუალურად ყველა ამ ფორმის დიფერენცირება ერთმანეთისგან რთულია და საჭიროებს უფრო საფუძვლიანი კვლევის ჩატარებას — ალერგიული სინჯების გაკეთება, კანის სინჯი და შედარებით უფრო ინფორმაციული მეთოდი, რომელიც ანტისხეულების გამოვლენას ითვალისწინებს.

როგორ ვებრძოლოთ ალერგიას. უპირველესად, უნდა აღმოაჩინოთ ის კვებითი ალერგენი, რომელიც კონკრეტულ ადამიანში იძლევა ალერგიას და გამორიცხოთ ის კვებითი რაციონიდან.

უალტერნატივოა ბუნებრივი კვება, ხოლო თუ გარკვეულ მიზეზთა გამო ბავშვი დედის რძეს ვერ იღებს, საჭირო ხდება ჩვილის ხელოვნური კვება. კვების დროს გამოიყენება სხვადასხვა დამხმარე ნარევი: არსებობს ნარევთა 4 ტიპი: I ტიპის ნარევი დამზადებულია ჰიდროლიზებულ კაზეინზე. იგი სუფთა ძროხის რძისგან განსხვავებით, დაბალი ალერგიულობისაა. II ტიპის ნარევი ჰიდროლილიზებულ შრატს შეიცავს. იგი ძროხის რძეზე ნაკლები, ხოლო კაზეინის შემცველ ნარევზე გაცილებით მეტი ალერგენობით გამოირჩევა. III ტიპი — „ელემენტარული" ნარევი — შედგება ამინომჟავებისაგან. იგი თავისი მოქმედებით პირველ ორ ტიპთან შედარებით ნაკლებად ალერგიულია. IV ტიპი — „სოიის ფორმულა" — ყველაზე დაბალი ალერგიული მაჩვენებლისაა.

თუ მშობელი ფიქრობს, რომ მისი შვილი საკვებისადმი ალერგიულია, საჭიროა მისი შერჩევის დროს ერთი ნარევიდან მეორეზე ეტაპობრივი გადასვლა ჰიდროლიზებული შრატის შემცველი ნარევიდან — „კაზეინურზე", აქედან — „ელემენტარულზე" დაბოლოს, „სოიის შემცველ" ნარევზე.

ძალზე სახიფათო ალერგიული გამოვლინებაა ანაფილაქსური რეაქცია, რომელიც საკვებისმიერი ალერგიების დროს იშვიათია, თუმცა მშობელი მისთვისაც მზად უნდა იყოს, რათა გაუმკლავდეს უეცრად თავს დამტყდარ არასასურველ მოვლენას. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია დაუყოვნებლივ მიმართოთ ექიმს.

საკვებისმიერი ალერგიების სამკურნალო რადიკალური პრეპარატები არ არსებობს. მკურნალობა ძირითადად მშობლის განათლებაზეა დამოკიდებული.

გვერდი ავუაროთ ალერგიას. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მშობლებში ალერგიული რეაქციის გამოვლენას. თუ რომელიმე მათგანი ალერგიულია, ბავშვისთვის საკვების შერჩევისას საჭიროა სიფრთხილე; უნდა ეცადოთ, ბავშვი რაც შეიძლება ხანგრძლივად კვებოთ დედის რძით. ხოლო თუ ეს შეუძლებელია, საჭიროა სწორად შეარჩიოთ ნარევის ტიპი, პატარის კვების რაციონში ძროხის რძე, კვერცხი, თეთრი პური, ქათმის ხორცი მაქსიმალურად გვიან უნდა შეიტანოთ. უნდა გაითვალისწინოთ, რომ ნატურალური პროდუქტი (მაგალითად, მოხარშული კვერცხის ცილა). გაცილებით ძლიერი ალერგენია, ვიდრე ამ პროდუქტის შემცველი საკვები (მაგალითად, ნამცხვარი).

ალერგიული მშობლების შვილები განსაკუთრებულ ყურადღებას 3 წლამდე საჭიროებენ.

საკვებისმიერი ალერგია 90% შემთხვევაში სპონტანურად იკურნება. ხოლო თუ ალერგია 3 წლამდე არ განიკურნა, სქესობრივი მომწიფების პერიოდში აუცილებლად ქრება.

თუკი ბავშვი გაცივდა. მთავარია, მართებულად მოუაროთ და არ გადატვირთოთ სხვადასხვა მედიკამენტით. მისი ოთახი ხშირად გაანიავეთ, წოლითი რეჟიმი აუცილებელია მაშინ, როდესაც დაავადება მაქსიმალურადაა გამოვლენილი და ბავშვს სიცხე აქვს.

გრიპის დროს ბავშვს მადა ეკარგება, არ დააძალოთ საკვები, მოუმზადეთ მისი საყვარელი კერძი. არ შეიძლება ამ დროს ვიტამინების მიცემა. აუცილებელია დიდი რაოდენობით სითხე. ნუ მისცემთ ბავშვს სიცხის დამწევ საშუალებას, თუკი მას $38{,}5^0$-მდე აქვს ტემპერატურა. შეიკავეთ თავი ანტიბიოტიკებისგან — ისინი ისედაც დასუსტებულ ორგანიზმს უფრო დააძაბუნებენ.

თუ გრიპი უპირატესად მსუბუქად მიმდინარეობს, ექიმის მეთვალყურეობა მაინც საჭიროა. ეს განსაკუთრებით შეეხება ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს, რომლებსაც რომელიმე ქრონიკული პათოლოგია, ნევრალგიური მოშლილობანი აღენიშნებათ.

გაითვალისწინეთ, თუკი ბავშვი ხშირად ცივდება, მოარიდეთ ის ბავშვებს. გავა დრო და მისი ორგანიზმი უფრო მედეგი გახდება, ის შეძლებს ბავშვებთან თამაშს.

ინფექციისადმი მდგრადობა აუცილებლად გაიზრდება, თუკი ხშირად გაანიავებთ ბავშვის ოთახს, ხშირად გაიყვანთ სასეირნოდ, სუფთა ჰაერზე დააძინებთ. მისი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა ზაფხულში აგარაკზე გაყვანა (2 თვით მაინც).

მაია მუხიგული

მიირთვით მოცვი

მოცვი სასარგებლო ნივთიერებების სიუხვითაა განთქმული: ის უხდება გულსისხლძარღვებით, ათეროსკლეროზით, მხედველობის სისუსტით დაავადებულებს. მოცვი მიირთვით უმად, ასევე შეგიძლიათ მიირთვათ გახეხილი სახით, აგრეთვე მისი ნაყენი, მურაბა, კომპოტი. დღეში 1 ჩაის კოვზი მოცვი — საუკეთესო პროფილაქტიკური საშაულებაა.

ცელებნიკი

მკურნალობა პომიდვრით

კარგა ხანია შემჩნეულია, რომ პომიდვრის მოყვარულნი ნაკლებად ავადდებიან სიმსივნეებით. დაკვირვებამ აჩვენა: ვინც კვირაში არანაკლებ 10 პომიდორს მიირთმევს, მათი პროსტატიტით დაავადების შესაძლებლობა 45%-ით ნაკლებია დანარჩენებთან შედარებით. ნაყოფი შეიცავს სასარგებლო ნივთიერებას — ლიკოლენს, პიგმენტს, რომელიც პომიდორს აძლევს წითელ ფერს და გარკვეული რაოდენობით ყველა წითელი ფერის ბოსტნეულშიც შედის.

ოტდოხნი! №28

იცით თუ არა, რომ...

— დღეში 2 ცალი ბანანი სჭირდება ყველა მაღალწნევიანს, — მიაჩნიათ კარდიოლოგებს. ეს ნაყოფი მდიდარია კალიუმით, რომელიც გამოდევნის ორგანიზმიდან ზედმეტ სითხეს.

— აქამდე მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ კვერცხის ყოველდღე ჭამა ზრდის სისხლში ქოლესტერინის დონეს, მაგრამ დიეტოლოგებმა დაადგინეს — თუ ჯანმრთელი ადამიანი კვირაში 6-7 კვერცხს შეჭამს, არ დაემუქრება ინფარქტი და ინსულტი. ქოლესტერინი მცირე დოზით აუცილებელია ორგანიზმისთვის. ის მავნებელია მაშინ, თუ დღე-ღამეში 300 მგ-ს აღემატება.

— ქალი ცხოვრებას გაცილებით პოზიტიურად აფასებს, ვიდრე მამაკაცი. ქალს ოპტიმიზმს მატებს სასქესო ჰორმონები. ამიტომაც არის ის მამაკაცზე ტემპერამენტიანი და სულიერად მდგრადი. გარდა ამისა, მანდილოსანი, მამაკაცისგან განსხვავებით, არ აძლევს თავს უფლებას, ჩავარდეს დეპრესიაში. თუ ცოლი და ქმარი ერთდროულად არის ავად ანგინით, ქმარი საწოლში წევს, ხოლო ცოლი ოჯახსაც უვლის და ქმარსაც. მამაკაცი ენერგიას დახარჯავს და ისვენებს, ხოლო ქალს არც დასასვენებლად სცალია და მით უმეტეს, არც დეპრესიისთვის...

— ბრიტანელმა მკვლევარებმა მიაგნეს მამაკაცის ლიდერობის მიზეზს. მათი აზრით, ნიჭიერ ხელმძღვანელებად, ლიტერატორებად და პრეზიდენტებადაც კი, ყალიბდებიან ე.წ. „დედიკოს ბიჭუნები", რომლებსაც ბედნიერი ბავშვობა დედის კალთას ამოფარებულმა გაიარეს. სხვათა შორის, ამას ისტორიაც ადასტურებს. მაგალითად, ადოლფ ჰიტლერს დედის ფოტოსურათი მუდამ თან დაჰქონდა. ლენინი ამტკიცებდა, რომ რევოლუციონერი დედის გავლენით გახდა, მაჰათმა განდიც ძალიან ემადლიერებოდა დედას, რომელმაც იგი ჭეშმარიტების გზაზე დააყენა.

ოჯი

საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხა

(დასაწყისი იხ. „კვირის პალიტრა“ №29)

№	ობიექტის დასახელება	ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სახელმწიფოს წილი %	მისამართი
243	ს.ს. „ვარციხეჰესის“ კასკადის საწესდებო კაპიტალიდან ამოღებ. მატერიალური საწყობი			ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. №18
244	ს.ს. „ვარციხეჰესის“ კასკადის საწესდებო კაპიტალიდან ამოღებ. საყალიბე საამქრო, არმატურის საამქრო, მატერიალური საწყობი, ავტოფარეხის კანტორა, ავტოფარეხი, ავტომანქანების გასამართი სახელოსნო			გეგუთი
245	სანატორიუმ „წყალტუბოს“ №4 საძინებელი კორპუსი			წყალტუბო, ბარათაშვილის ქ. №23
246	კურორტ „შოვში“ მდებარე ყოფილი სახ. უზრუნვ. სამსახურის დაუმთავრებელი შენობა			ონის რაიონი, კურორტი შოვი
247	შპს „კომუნას“ ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობის სართ. მდებარე 20კვმ ფართი და ყოფილი პოლიკლინიკის შენობა			ქ. კასპი, მერაბ კოსტავას ქ. №46
248	თერჯოლის ავტომოტოსერვისის ბალანსზე რიცხ. სოფ. კვახჭირის და ქ. თერჯოლის ავტოშემკეთებელი საამქრ.			თერჯოლის რაიონი
249	შპს „მომარაგების“ საწესდებო კაპიტ. ამოღებული სასაწყობე მეურნეობის ერთსართულიანი შენობა			ქ. თბილისი, ქერჩის ქ. №4
250	აგროქიმიური ლაბორატორიის შენობა			ქ. გურჯაანი, გურამიშვილის ჩიხი №3
251	ს.ს. „ელმავალმშენებლის“ ბალანსზე რიცხული დამხმარე მეურნეობა			დმანისის რაიონი
252	მეცნიერებათა სახლის სართულზე მდებარე 199.2კვმ და მესამე სართულზე მდებარე 19.1კვმ ფართები			ქ. გურჯაანი, ნინოშვილის გამზ. №14
253	სს „მადნეულის“ საწესდებო კაპიტ. ამოღებული ავტოსატრანსპორტო საწარმოზე რიცხული ქონება			ბოლნისის რაიონი
254	შპს „კუმისის“ საწესდებო კაპიტალში არშესული კლუბი, კანტორის შენობა			გარდაბანი
255	აგრარული ბიოტექნოლოგიის სამეცნ. კვლევითი ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული დამხმარე ნაგებობა, სამშენებლო ბლოკის საშრობები			ქ. თბილისი, ალმაშენებლის ქ. №6
256	შპს „ორბის“ საწესდებო კაპიტალში არშესული კიკეთის დასასვენ. კოტეჯები			გარდაბანი, კიკეთი
257	საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს კიკეთის დასასვენებელი კოტეჯები			გარდაბანი, კიკეთი
258	სს „საქაბრეშუმის“ საწესდებო კაპიტ. არშესული ყოფილი საბავშვო ბაღი			ქ. თბილისი, ცაბაძის №2
259	სს „საქსურსათმანქანის“ საწესდებო კაპიტალში არშესული: 1. ბაზალეთის დასასვენებელი კომპლექსი (ფინური სახლები, საპირფარეშო, საწყობი), 2. საქვაბე, საწარმოო შენობა, ექსპერიმ. სახელოსნო, სასადილო			დუშეთი, ბაზალეთი თბილისი-300, არაგველის ქ.
260	შპს „ალმშენებელის“ საწ. კაპ. ამოღებ. ყოფილი ინტერნატის შენობა			ყაზბეგის რაიონი, დაბა გუდაური
261	გემთსაშენი ქარხანა	შპს	100	ქ. ბათუმი, მწვანეს ქუჩა №1
262	ენერგოკომპანია	შპს	100	ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. №13
263	ბათუმის აეროპორტი	შპს	100	ქ. ბათუმი აეროპორტის დასახლება
264	ბათუმის სამკერვალო გაერთიანება	შპს	100	ქ. ბათუმი ჭავჭავაძის ქ. 101
265	პოლიგრაფისტი	სს	16.7	ქ. ბათუმი, ერას №1
266	აჭართევზი	შპს	100	ქ. ბათუმი, გოგებაშვილის №46
267	ტერმინალი-99	შპს	100	ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. 11
268	ელექტრომექანიკური და ლითონკონსტრუქციების საწარმო	შპს	100	ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №65
269	ქიმფარმაცევტული ქარხანა	სს	76.9	ქ. ბათუმი, ნონეშვილის ქ. 65
270	ტყავის ქარხანა	შპს	100	ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. №18
271	ტრანსელექტრო	სს	74.8	ქ. ბათუმი, ოძელაშვილის ქ. №2
272	მექანიკური ქარხანა	შპს	100	ქ. ბათუმი, გიორგი ბრწყინვალეს ქ.
273	კაუჩუკი	სს	46.4	ქ. ბათუმი, პუშკინის №80
274	ბათუმის საშენმასალათა კომბინატი	შპს	100	ხელვაჩაური, წერეთლის ქ.
275	თამბაქოს კომბინატი	შპს	100	ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ. №2
276	საკონსერვო ქარხანა	შპს	100	ქ. ბათუმი, პარიზის კომუნის ქ. №1
277	ნავთობბაზა	შპს	100	ქ. ბათუმი, ვოლსკის ქ. №1
278	ჭოროხის არამადნეულ მასალათა ქარხანა	შპს	100	ხელვაჩაურის შეს. წერეთლის ქ. №2
279	ღვინის ქარხანა	შპს	60.2	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. 111
280	აჭარავტო	შპს	100	ქ. ბათუმი, თაყაიშვილის ქ. №13
281	ბათუმვაჭრობა	შპს	100	ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №1
282	ოაზისი	შპს	100	დაბა ჩაქვი
283	მესხეთი	სს	41.7	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №46
284	ინტურისტი	შპს	100	ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №11
285	სასტუმრო „მედეა“	შპს	100	ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ. №1
286	თანამგზავრი	შპს	40.5	ქ. ბათუმი, ბათუმის მთა
287	ტურბაზა ჩაქვი	შპს	100	დაბა ჩაქვი
288	კოლხეთი	შპს	100	ქობულეთი, ალმაშენებლის ქ. 285
289	ივერია სერვისი	სსიპ	100	ქობულეთი, ალმაშენებლის ქ. 281
290	სანატორიუმი ქობულეთი	შპს	100	ქ. ქობულეთი
291	„მშენებლობა გარანტიით“	სს	97.7	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ.
292	მშენებელი-09	სს	99	ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №9
293	შელფი	შპს	100	ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. №124
294	სარემონტო-სამშენებლო სამმართველო	შპს	100	ქ. ბათუმი, გუდიაშვილის ქ. №29
295	გამომცემლობა „აჭარა“	სს	34.8	ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №24
296	№8 საგზაო სამმართველო	შპს	100	ქ. ბათუმი, ხახულიას ქ. №35
297	ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტ. ქარხანა	სს	76.5	ბათუმი, ნინოშვილის ქ. 65
298	„აჭარპური“(სგ „აჭარპური“)	სს	52.2	ბათუმი, ბაგრატიონის ქ. 194
299	„ავტოტურისტი“ (ტურ. სახ. დეპ. ა/ბაზა)	სს	55.9	ხელვაჩაური, სოფ. წინსვლა
300	ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანა	სს	90	ბათუმი, ოძელაშვილის ქ. 20
301	ბათუმის ხორცკომბინატი	სს	50.9	ბათუმი, გენერ. ა. აბაშიძის ქ. 40
302	ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა	სს	76.8	ბათუმი, აბუსერიძის ქ. 11
303	ხელვაჩაურის ციტრუსების გადამამუშავებელი ქ-ნა „ნარინჯი“	სს	75.2	ხელვაჩაურის რ-ნი, ურეხი
304	ბათუმის ტყავის ქარხანა	სს	98.2	ბათუმი, აბუსერიძის ქ. 17
305	ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა	სს	97.9	ბათუმი, ლეონიძის ქ. 15
306	„მშენებლობა გარანტიით“ (ბათუმის №5 სამშ. ტრესტ. მოსაპირკ. სამუშ. და მცირე მექანიზაც. სამმ.)	სს	89.1	ბათუმი, ლერმონტოვის ქ. 191 „ა“
307	„მშენებელი 98“	სს	97.5	ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2
308	„ძეგლი“	შპს	100%	თბილისი, ქვემო ალექსეევკა
309	„ალგეთრძე“	შპს	100%	თეთრიწყარო, დაბა მანგლისის მიმდებარე ტერიტორია
310	„კრწანისი 2000“	შპს	100	თბილისი, წიწანაურის ქ. №1
311	„ენდოქირურგიის და ლითოტრიფსის ცენტრი“	შპს	100	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №29
312	„პროქტოლოგიის ცენტრი“	შპს	100	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1
313	„ავტოფარეხი“	შპს	100	თბილისი, ტოვსტონოგოვის ქ. №3
314	„საქწიგნი“	შპს	100	თბილისი, უზნაძის ქ. 18
315	„კვანძის“	შპს	100	თბილისი, ერისთავის ქ. №1
316	ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტ.	სს	100	თბილისი, ჩაჩავას ქ. №6
317	ბინათმშენებელი	შპს	100	თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №39
318	„საინჟინრო გეოდეზია“	სს	100	თბილისი, თვალჭრელიძის შეს.
319	„ბიგები“	სს	100	თბილისი, გოძიაშვილის ქ. №24
320	„საქენერგოპროექტი“	შპს	100	თბილისი, ვეკუას ქ. №80
321	„სათბობენერგოინფორმატიკა“	შპს	100	თბილისი, ბარათაშვილის ქ. №80
322	„თბილნავთობპროდუქტი“	სს	100	თბილისი, დელისის მე-3 შესახვევი №22
323	„ინსტიტუტი მეტალურგპროექტი“	შპს	100	რუსთავი, სააკაძის ქ. №2
324	„ჯვარი-99“	შპს	100	წალენჯიხა, სოფ. ჯვარი ქანთარიას ქ. №4
325	„ორიონი“	სს	100	თბილისი, მუხიანის მე-4 მიკრორ.
326	„გერგეთი“	სს	75.8	გუდაური, გერგეთის 3
327	„კულტმშენი“	შპს	100	თბილისი, გლდანის საწარმოს ზონა
328	„სამედიცინო პოლიმერებისა და ბიომასალების კვლევითი ცენტრი“	შპს	100	თბილისი, კაპანაძის ქ. №3
329	„ბეტონოკონსტრუქცია“	სს	63,28	თბილისი, ქინძმარაულის ქ. №37
330	„საქჰიდროენერგომშენი“	სს	100	თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №50
331	„სამთოელი“	შპს	100	თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №34
332	„გარანტი“	შპს	100	თბილისი, გურამიშვილის გამზ. №15ა
333	„ელექტრომომარაგება“	სს	100	თბილისი კოსტავას ქ. №70
334	სს „ბროილერი“	სს	100	გარდაბანი
335	სს საწარმოო გაერთიანება „მაუდის“ საწესდებო კაპიტალში არშესული დასასვენებელი სახლი			გარდაბანი, დაბა კიკეთი
336	დაბა ბაკურიანის ბაგა-ბაღის დაუმთავრებელი შენობა			დაბა ბაკურიანი
337	სს საწარმოო გაერთიანება „მაუდის“ საწესდებო კაპიტალში არშესული კულტურის სახლი			თბილისი, წერეთლის გამზ. №140
338	ორხევის სატრანსპორტო საწარმო (შენობა-ნაგებობები)			თბილისი, ორხევი
339	კრივის (640 კვმ.) და ძალოსნობის (612 კვმ.) დარბაზები			თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49
340	არასაცხოვრებელი 463 კვმ. ფართი			თბილისი, კაიროს ქ. №15
341	ქ. მცხეთაში ნარეკვავის დასახლებაში მდებარე კერამიკული ქარხნის დაუმთავრებელი ადმინისტ. შენობა			ქ. მცხეთა, ნარეკვავის დასახლება
342	ქ. მცხეთაში ნარეკვავის დასახლებაში მდებარე კერამიკული ქარხნის დაუმთავრებელი საამქროს შენობა			ქ. მცხეთა, ნარეკვავის დასახლება
343	მშენებარე ქარხანა სტანდარტის კისლოვოდსკის ტიპის დროებითი ნაგებობა და დაუმთავრებელი მშენებლობები			მარნეული
344	სსდ „საქნახშირი“-ს სააგარაკო სახლები			კიკეთი, დაბა წყნეთი
345	სსდ „საქნახშირი“-ს სააგარაკო სახლები			დაბა წყნეთი
346	სს „თბილავიამშენი“-ს საწესდებო კაპიტ. არშესული ობიექტები: ქარხნის კლუბი, კულტურის სახლი (ზმკ), ინდივიდუალური ავტოსადგომი, №3ა კორპუსის დაუმთავრებელი მშენებ.			თბილისი
347	შპს „თბილავიამშენი“-ს საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული საწყობის შენობა, კორპ. №20/21 და კორპ. №10			თბილისი, ბ. ხმელნიცკის №181
348	არასაცხოვრებელი ფართი 142 კვმ.			თბილისის სამღებროს ქ. №9/11
349	შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“-ს საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული ფართი: საყრდენ-გამაძლიერებელი სადგური			თბილისი, ნუცუბიძის პლ.
350	საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ბალანსზე რიცხული დაბა ბაკურიანში არსებული სანატორიუმი „კოხტა“			ბორჯომი, დაბა ბაკურიანი
351	საქართველოს მეცნიერ. აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბალანსზე რიცხული ერთსართულიანი 100 კვ.მ. ხის შენობა			თიანეთი, დაბა სიონი
352	მცხეთის ტურბინების ქარხ. „თოლიას“ ბალანსზე რიცხული 210კვმ. არასაცხ. ფართი მცხეთა, მუხიანის ქ. 24			
353	ყოფილი მე-13 სამშენებლო ტრესტის მე-7 სამმართველოს საქმიანი ეზო (სასაწყობო ფარდულები)			თბილისი, მიქელაძის ქ. №4
354	სს „საქტრანსგაზმრეწვი“-ს ბალანსზე რიცხული საწესდებო კაპიტალში არშესული თხევადი აირის ჩამომსხმ. ბაზა			ახალციხე, წმ. დავითისა და კონსტანტინეს ქ. №25
355	სს „ელექტროგადაცემის“ საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული სს „ენერგომშენი“-ს მიერ მე-3 სართულზე დაკავებული 295 კვმ. ფართი			თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2
356	სს „ელექტროგადაცემი“-ს საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული ანტრესორ. სართულის მე-3 ნიშნულზე 17-21 ა.გ. ღერძებს შორის არსებული 294 კვმ.			თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2
357	წყნეთი, ფინური აგარაკი №2, ბინა №2			დაბა წყნეთი, სტალინის ქ. №102
358	ოქროყანაში მდებარე №19-1 აგარაკი			გარდაბანი, დაბა ოქროყანა
359	წყნეთი, „გ“ ზონა, აგარაკი №18			დაბა წყნეთი
360	წყნეთი, ფინური აგარაკი №2, ბინა №4			დაბა წყნეთი
361	წყნეთი, აგარაკის №4 და №7 ბინები			დაბა წყნეთი, სტალინის ქ. №102
362	წყნეთი, ფინური აგარაკი №1, ბინა №1			დაბა წყნეთი, სტალინის ქ. №102
363	წყნეთი, 8-ბინიანი აგარაკის ბინა №8			დაბა წყნეთი, სტალინის ქ. №102
364	წყნეთი, ფინური აგარაკი №2, ბინა №3			დაბა წყნეთი, სტალინის ქ. №102
365	წყნეთი, 8-ბინიანი აგარაკის №6 ბინა			დაბა წყნეთი, სტალინის ქ. №102
366	წყნეთი, 8-ბინიანი აგარაკის ბინა №2			დაბა წყნეთი, სტალინის ქ. №102
367	წყნეთი, 8-ბინიანი აგარაკის №3 ბინა			დაბა წყნეთი, სტალინის ქ. №102
368	დაბა წყნეთში მდებარე „ა“ ზონის №20 აგარაკის №2 ბინა			დაბა წყნეთი
369	დაბა წყნეთში მდებარე „ა“ ზონის №20 აგარაკის №4 ბინა			დაბა წყნეთი
370	„ა“ ზონის №3 კორპუსის ბინა №5			დაბა წყნეთი
371	გარე კოტეჯი №1			დაბა წყნეთი, რუსთაველის მე-4 ჩიხი
372	სააგარაკო კოტეჯი №6-1			გარდაბანი, დაბა კოჯორი

რატომ იხდის ვალს სახელმწიფო კომერციული ფირმების ნაცვლად?!

საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მისი წინამორბედისგან საგარეო ვალების თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად. ჩვენი ქვეყნის მევალეებს შორის არიან როგორც მსხვილი საფინანსო ორგანიზაციები, ასევე 15 სახელმწიფო, დაწყებული რუსეთიდან აშშ-ით დამთავრებული. საქართველოს საგარეო ვალის ოდენობა დღევანდელი მონაცემებით დაახლოებით 2 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო ის 200 მლნ, რისი რესტრუქტურიზებაც ბატონმა ფინანსთა მინისტრმა პარიზის კლუბში მოახერხა, შეიძლება ითქვას, ზღვაში წვეთია. მართალია, ამ წარმატებული ნაბიჯით ხელისუფლებამ ნამდვილი განსაცდელი აარიდა უახლოესი ორი წლის ბიუჯეტს, მაგრამ მძიმე მემკვიდრეობა მომავალ თაობებს გადაულოცა.

ერთ-ერთი პირველი უცხოური ვალი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ 12 წლით აიღო, თურქული კრედიტი გახლდათ. 43 მლნ აშშ დოლარი (ამ დროისათვის ხსენებული თანხა დაგროვილი პროცენტებით 156 მლნ ლარს აჭარბებს) მაშინ 8 სუბიექტს შორის განაწილდა. დღეისათვის ვალის ძირითადი ნაწილი არც ერთ კრედიტორს არა აქვს გადახდილი. უფრო მეტიც, მათი უმრავლესობა ფიზიკურად აღარ არსებობს. ხოლო მათი სამართალმემკვიდრეების ვინაობა ჯერაც არ არის გარკვეული. ფონს გასულ კრედიტორებს შორის კი წარმატებული კომპანია „კოკა-კოლა“ და სააქციო საზოგადოება „რუსთავცემენტია“. როგორც ირკვევა, ფინანსთა სამინისტრო ამ ორგანიზაციებიდან ვალის ამოღებას სასამართლოს ძალით აპირებს. ამჟამად საოლქო სასამართლოში ამ ორი კომპანიის წინააღმდეგ ფინანსთა სამინისტროს სარჩელი დევს.

გოგა ახალაია, „კოკა-კოლას“ ფინანსური მენეჯერი:

— შარშან, 2 მაისს ფინანსთა სამინისტრომ შეიტანა საოლქო სასამართლოში სარჩელი, სადაც ჩვენი კომპანიისგან მოითხოვს 7 მლნ 700 ათასი აშშ დოლარის გადახდას, რომელიც „კოკა-კოლას“ თურქული კრედიტის მიხედვით დაუგროვდა. საქმის განხილვა საოლქო სასამართლოში დღემდე გრძელდება. ჩვენ ვითხოვთ გონივრული ხელშეკრულების გაფორმებას გონივრულ ვადებში, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ წარმოებაც განვავითაროთ, ნორმალური მუშაობის პირობებიც გვქონდეს და კრედიტიც გადავიხადოთ. მინდა აღვნიშნო, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ ინტენსიურად ვიხდიდით თურქულ კრედიტს, მხოლოდ წელს გადახდილი გვაქვს ერთი მლნ ლარი (?! — ე.ტ.).

— რა პირობებით გქონდათ აღებული ეს კრედიტი და როდის უნდა დაგეფარათ?

— დღევანდელი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ამ თანხას შეძლებისდაგვარად ვიხდით. საერთოდ კი ეს ვალი 1996 წელს, ვალდებულებების მთლიანად ამოწურვამდე უნდა დაგვეფარა. პირობებს რაც შეეხება, ეს იყო ლონდონის სავალუტო ბანკთაშორის ბირჟაზე ფიქსირებული 6-თვიანი საპროცენტო განაკვეთი ლიბორ - 1%, ხოლო საჯარიმო სანქცია გახლდათ 4%. კრედიტის საერთო თანხა იყო 4.844 950 დოლარი, რომელიც სამწლიანი ვადით გვქონდა აღებული. ეს გახლდათ ტექნიკური კრედიტი, ანუ თურქეთიდან წამოვიღეთ თურქული წარმოების საქონელი (ბოთლები, ყუთები, მანქანა-დანადგარები).

რომან გოცირიძე, პარლამენტის საფინანსო და საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე:

— თურქული კრედიტი გახლდათ სერიოზული დახმარება თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან. მაშინ, როდესაც საქართველო არც სავალუტო ფონდის და არც მსოფლიო ბანკის წევრი არ იყო, წლიური 5%-იანი კრედიტი საკმაოდ შეღავათიანად ითვლებოდა. იმ პერიოდში მსგავსი კრედიტები მხოლოდ რამდენიმე თურქულენოვანმა სახელმწიფომ მიიღო, ხოლო საქართველოსთვის, შეიძლება ითქვას, ეს კრედიტი ნამდვილი საჩუქარი იყო. შემდეგ დაიწყო ბიზნესგეგმების შედგენა თურქული კრედიტის გამოყენებასთან დაკავშირებით. პირველივე ბიზნესგეგმა, რომელიც პრეზიდენტ შევარდნაძესთან

— თუ დასაბრუნებელი თანხა არ გააჩნიათ, კრედიტი გამოიტანონ ან გაყიდონ თავისი კომპანიები და სახელმწიფოს ვალი დაუბრუნონ

იქნა წარდგენილი, სკანდალურად ჩავარდა, რადგან მასში მრავლად იყო უხარისხო წინადადებები და ლობირების უამრავი დეტალი. ეს სესხი უნდა აეღო ე.წ. „მკვდარ საწარმოებს“ და ვაჭრობის სამინისტროს (რომელმაც შემდეგ ამ თანხის სანაცვლოდ კაფელი და უნიტაზები შემოიტანა). თურქეთი ამ ფულს გვაძლევდა საინვესტიციო მიზნებისთვის, ანუ ამ თანხით ჩვენ რაღაც ღირებულება უნდა შეგვექმნა. თურქეთის ერთ-ერთი პირობა ისიც იყო, რომ საინვესტიციო საქონელი ისევ მის ტერიტორიაზე უნდა შეგვეძინა, მაგრამ ჩვენ რატომღაც ეს კრედიტი ყველაზე უარესი ფორმით გამოვიყენეთ. თურქული კრედიტის ორმოცდაათივე მილიონი არამიზნობრივად გაიხარჯა. შეიძლება ითქვას, რომ ამ კრედიტის 90% უბრალოდ, დაკარგულია. საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად იხდის 5 მლნ დოლარს მხოლოდ პროცენტის სახით ამ კრედიტის დასაფარად, რადგან ძირითადი თანხა პარიზის კლუბმა კიდევ ერთხელ გადაგვივადა. დღეისათვის ბევრი კომერციული სტრუქტურა, რომელმაც მაშინ ეს კრედიტი მიიღო, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. მაგრამ არც იმათ სთხოვენ ფულს, ვინც დღემდე მყარად დგას ქართულ ბაზარზე. თუ დასაბრუნებელი თანხა არ გააჩნიათ, კრედიტი გამოიტანონ ან გაყიდონ თავისი კომპანიები და სახელმწიფოს ვალი დაუბრუნონ.

ნიკო ორველაშვილი, ეკონომიკის ექსპერტი:

— თურქული კრედიტი აშკარად კომერციულთან იყო მიახლოებული. პროცენტი საკმაოდ მაღალი იყო, ხოლო მასში ჩადებული პირობები მოითხოვდა, რომ მთელი ამ კრედიტით ისევ თურქული საქონელი უნდა გაგვესაღებინა. ანუ თურქეთის სახელმწიფომ, ერთი მხრივ ვალად დაგვაწერა კრედიტის მთელი თანხა და მეორე მხრივ, ამ ნაბიჯით თავის ბიზნესმენებს გაუხსნა საქართველოში გასაღების ბაზარი. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ მაშინდელი სახელმწიფო გარანტორად გამოვიდა — თუ კრედიტს არ დაფარავდნენ კერძო სუბიექტები, მაშინ სახელმწიფო იღებდა ვალდებულებას, თავად დაეფარა იგი. ხოლო სახელმწიფო, ეს ვართ ჩვენ — მე, თქვენ და ჩვენი შვილები. მაგრამ ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ უნდა იხადონ ჩვენმა შვილებმა ის კრედიტი და მასზე დარიცხული სარგებელი, რომელიც თავის დროზე კონკრეტულმა კომპანიამ ან პირთა ჯგუფმა მიიღო. სახელმწიფოს ურთიერთობა ამ სუბიექტებთან მაშინაც და ახლაც საკმაოდ სერიოზულ ეჭვს იწვევს.

— ბატონო ნიკო, ზოგადად როგორ ყალიბდებოდა ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა დონორ, კრედიტორ ორგანიზაციებთან და უკანასკნელი 12-13 წლის განმავლობაში რა მიიღო რეალურად ამ ურთიერთობებიდან საქართველომ?

— ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალი დაახლოებით 2 მლრდ დოლარს შეადგენს, მაშინ, როდესაც ამ თანხით არც ერთ ჩვენგანს არანაირი სარგებელი არ მიუღია და ვერც მივიღებთ, ვინაიდან ეს ფული უკვე აღარ არსებობს, გამქრალია. კრედიტორ ორგანიზაციას კი ამ შემთხვევაში თავი ქუდში აქვს, რადგან მან გარკვეული პირობებით გასესხა ფული და შენ რაში გამოიყენე, ნაკლებად აინტერესებს. ამ ურთიერთობების პირობებშიც კი, როდესაც კრედიტორს ნაკლებად აქვს სამართლებრივი საფუძველი, შენს საქმიანობაში ჩაერიოს, ისინი მაინც ახერხებდნენ ამას. მაგალითად, აი, როგორ გვიწევდნენ ისინი ე.წ. ტექნიკურ დახმარებას: გვიგზავნიდნენ თავის ექსპერტებს, რომლებსაც დღიური ანაზღაურება ეძლეოდათ 1.500-2.000 აშშ დოლარი(!), უნაზღაურდებოდათ გამოსასვლელი დღეებიც (ეს ყველაფერი კრედიტის, ანუ ჩვენს ხარჯზე ხდებოდა). რომ დაიანგარიშოთ, აშშ-ის პრეზიდენტის ხელფასიც კი არ არის ამხელა. მას შემდეგ კი, რაც ჩვენს

— ეჭვის საბაბი მიჩნდება, როდესაც ვხედავ, თუ როგორი სიამოვნებით მირბიან ახალგაზრდები მომგებიანი ბიზნესიდან სახელმწიფო სამსახურში

ქვეყანაში ტერაქტი ტერაქტზე მოეწყო, ხელფასის გარდა უზარმაზარ დანამატებსაც უხდიდნენ. შედეგი ამ ურთიერთობებისა კი ის იყო, რომ ისინი გვიტოვებდნენ 5-7-გვერდიან საექსპერტო დასკვნებსა და რჩევებს, რომლის წაკითხვის შემდეგაც თმა ყალყზე დაგიდგებოდა. ხოლო ამ უსარგებლო რჩევებში იყრებოდა მილიონები და ვალად ჩვენ გვეწერებოდა. მიმაჩნია, რომ უცხოური ტექნიკური დახმარებები თანდათან უნდა დავიდეს აუცილებელ მინიმუმამდე. სხვათა შორის, რასაც ვერასდროს ვერ დაუკარგავ რომან გოცირიძეს, არის ის, რომ საკრედიტო ხელშეკრულებებზე საუბრის დროს (მსოფლიო ბანკის პირველი საკრედიტო პროგრამის განხილვისას) ის იბრძოდა, რომ ტექნიკური წილი ამ საკრედიტო დახმარებისა დაეწიათ და უფრო მეტი მოხმარებოდა ადგილზე შესაძლებლობათა მშენებლობას. მინდა გითხრათ, რომ რა სისულელეც არ უნდა წამოსულიყო რეკომენდაციის სახით ვაშინგტონიდან, ჩვენი ჩინოვნიკები ყველაფერზე თავს აკანტურებდნენ. ენერგეტიკაში ნახევარ მილიარდზე მეტი იყო ჩადებული ჯერ კიდევ 4 წლის წინ, ხოლო ჩვენი ენერგეტიკა დღეს კოლაფსის პირასაა. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ყველა დონორმა უარი თქვა ურთიერთობაზე და ამის საფუძველიც ჰქონდათ, რადგან ამ სამინისტროს ჩინოსნებმა ისე პირწმინდად შეჭამეს ყველა დახმარება, რომ დონორებსაც კი არაფერი არგუნეს. მხოლოდ დავით კირვალიძემ მოახერხა შემდეგ, რომ მუხლებზე დგომით და პიროვნული გარანტიებით რამდენიმე პროექტი მოეპოვებინა. მინდა პარალელი გავავლო ჩვენს ქვეყანასა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც თავიდანვე თქვეს უარი უცხოურ დახმარებებზე. ამ ქვეყნებმა კრედიტები აიღეს მინიმალური რაოდენობით. როგორც კი შემთხვევა მიეცათ, მსოფლიო ბანკსა და სავალუტო ფონდს კარისკენ მიუთითეს.

— უცხოურ დახმარებებზე უარს არც ახლანდელი ხელისუფლება ამბობს. მართალია, აცხადებენ, რომ ამ თანხის 80% წმინდა შემოწირულობებია, თუმცა ბევრს სერიოზული ეჭვის საფუძველი უჩნდება.

— როდესაც დასავლეთი გეხმარება, უნდა იცოდე, რომ ის პირველ რიგში საკუთარ თავს ეხმარება. ეხმარება საკუთარ ბიზნესმენს ბაზრის პოვნაში, რეალიზაციის გაზრდაში, საკუთარ ექსპერტებს — გამოცდილების გაფართოებაში, მაღალი შემოსავლების მიღებაში და ა.შ. თუ დასავლეთის ამგვარ თამაშში შენთვის რაიმე სარგებელს გამონახავ, ხომ კარგი, თუ არადა, სულ არ ადარდებთ ეს მათ. არ დაგიმალავთ, მეც სხვების მსგავსად ვხედავ ბევრ საეჭვოს ბოლო დროს მიღებულ დახმარებებში. არც ის არის გამორიცხული, რომ მილენიუმის გამოწვევის ფარგლებში მისაღები დახმარება ქვეყანამ მხოლოდ იმიტომ ვერ მიიღოს, რომ გამჭვირვალე მექანიზმების დანერგვა ჩვენს პოლიტიკურ ელიტას ხელს არ აძლევს. საოცარია, მაგრამ საქართველოში დღემდე არ არსებობს ქვეყნის განვითარების სტრატეგიული გეგმა და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქვეყანა ცხოვრობს ისე, როგორი სიზმარიც გუშინ ერთმა ან ორმა ჩინოსანმა ნახა. სერიოზული ეჭვის საბაბი მიჩნდება მაშინაც, როდესაც ვხედავ, თუ როგორი სიამოვნებით მირბიან ახალგაზრდები მომგებიანი ბიზნესიდან სახელმწიფო სამსახურში. მით უმეტეს, რომ არც ერთი მათგანი ალტრუიზმის ეტალონი ნამდვილად არ არის.

— საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის ფონზე თურქულმა კრედიტმა სხვა ქვეყნების ვალებთან შედარებით მეტი აქტუალობა მოიპოვა. რატომ?

— ჯერ ერთი, რომ ყველაზე ხანდაზმული დაუფარავი კრედიტია და ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ერთ-ერთი ყველაზე პირველი გადასახდელი იქნება. მეორე ის, რომ ქრესტომათიული მაგალითია იმისა, თუ როგორ არ უნდა გაფორმდეს კრედიტი. 12 წლის მანძილზე დაუბრუნებელი კრედიტი, როდესაც იგი არ განეკუთვნება რბილ კრედიტებს, ძალიან დამაფიქრებელია.

— ვალის გადახდა, შესაძლოა, სასამართლოს ძალით „კოკა-კოლასაც“ მოუწიოს...

— სრულიად გაუგებარი იყო მაშინ იმ ობიექტების შერჩევა, რომელსაც სახელმწიფო თურქული კრედიტის მიღებისას გარანტად დაუდგა. ნათელი იყო, რომ „კოკა-კოლა“ აბსოლუტურად არ წყვეტდა ქვეყანაში სასურსათო პრობლემას. ხოლო ამ კომპანიამ იმის გამო, რომ ზურგს უკან სახელმწიფო ედგა, ოთუსბირად შეიძინა თურქეთში მისთვის საჭირო პროდუქცია. ასეთ პრივილეგირებულ მდგომარეობაში კი ძალზე ადვილია მარჯვნივ და მარცხნივ ანიავო აღებული კრედიტი, ხოლო შემდეგ მთელი პასუხისმგებლობა ქვეყნის ბიუჯეტს და მოსახლეობას დააკისრო. ასე რომ, რუსების თქმისა არ იყოს,"Äîëã ïëàòåæîì êðàñåí".

ემა ტუხაშვილი

უნივერსიტეტი «საქართველო»
და მასთან არსებული სამედიცინო კოლეჯი 2004-2005 სასწავლო წლისთვის აცხადებს აბიტურიენტების მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე

უნივერსიტეტში:
1. სამედიცინო
სამკურნალო
სტომატოლოგია
ფარმაცია
2. სამართალმცოდნეობა

კოლეჯში:
1. საერთო პროფილის მედდა
2. საბებიო საქმე
3. ორთოპედული სტომატოლოგია
4. ფარმაცია

თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 1ბ
☎ 29-40-70; 95-67-36; 37-18-29
E-mail: unisak@myoffice.ge
http://unisak.myweb.ge

შპს „პოლიგრაფისტი“ (სტამბა №17) გთავაზობთ:
• ბეჭდვას შოლკოგრაფიით როგორც ქაღალდზე, ასევე სხვა მასალაზე.
• ყველა სახის პოლიგრაფიულ მომსახურებას.
მის: სურამის ქ. №13
(რკინიგზის დეპარტამენტის უკან)
☎ 95-00-97

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 24 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	1,8950
ევრო	2,3155
ინგლ. გირვანქა სტერლინგი	3,4809
რუსული რუბლი	0,0652
თურქული ლირა (1.000.000)	1,2988

„კონსტრონის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „გეოკორი“
აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ფირმა „ფლორანი“
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
სხვადასხვა ფერები და უმაღლესი ხარისხის საკეტები პროფილით
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი“-ს უკან)

ცხოვრებისეული კურიოზები

1. უჩვეულო თანამდებობა

დაბერდა ხულოს სამგზავრო საავტომობილო სადგურის ძველი მუშაკი პანტელეიმონ ჯოხაძე და პენსიაზე გავიდა. პანტელეიმონმა ავტოსადგურში 40 წელზე მეტხანს დაჰყო. მის ნაცვლად ჩემი ყოფილი მოსწავლე ლევან ცეცხლაძე დანიშნეს.

ერთხელ ღორჯომელმა კაცმა დარეკა სამგზავრო ბილეთის შესაკვეთად. სხვაგვარად 70-იან წლებში ავტობუსების გადატვირთვის გამო მგზავრობა ბათუმისკენ გაუჭირდებოდა. რაიონის ცენტრიდან კი სოფელი ღორჯომი 15 კილომეტრითაა დაშორებული.

რეკავს იგი: — საავტომობილო სადგურია? ერთი თუ ძმა ხარ, მაქ რომ პანტეილეიმონად კაცი მუშაობს, იმას დამალაპარაკე!

პანტელეიმონი სამსახურებრივი თანამდებობა ეგონა!

ივერი მელაძე, ბათუმი

2. შეცდომა

აი, ერთი „საფოსტო“ ოხუნჯობაც. ეს ამბავი ჩემს ბავშვობაში მოხდა.

საგამოცდო ციებ-ცხელების შემდეგ სოფელში მოვიდა დეპეშა — „გოდერძი დაიჭრა, ლერი მოკვდა“. გოდერძის ჭირისუფლები წივილ-კივილით მიადგნენ ლერის ოჯახს, სადაც ასეთი სურათი დახვდათ: ლერის და გოდერძის ლიტრიანი ყანწები ეჭირათ და ვახტანგურად სვამდნენ ლერის ჩარიცხვის სადღეგრძელოს. დეპეშა კი ასეთი შინაარსის ყოფილა — „გოდერძი ჩაიჭრა, ლერი მოხვდა“.

„ჭირისუფლებმა“ ისევ ატეხეს წივილ-კივილი, ოღონდ სამხიარულო, რაც მრავალჟამიერით ჩათავდა.

ვახტანგ კასრელიშვილი, გურჯაანის რაიონი, სოფელი ვაჩნაძიანი

3. ორიგინალური პანაშვიდი

ვმუშაობ ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში. თანამშრომელს ასაკოვანი მამა გარდაეცვალა. ორი გვირგვინი ვიყიდეთ. ვიდრე პანაშვიდზე წავიდოდით, დავაწყვეთ ჩემს კაბინეტში. უმეტესობა ახალგაზრდები შევგროვდით და ვლაპარაკობთ ათას რამეზე. უეცრად, თავში ეშმაკურმა აზრმა გამიელვა. სიგრძეზე დავაწყვე სკამები, ერთი გვირგვინი თავთან შემოვდგი, მეორე ფეხებთან, დავწექი და გოგოებს ვთხოვე, აბა, რომ მოვკვდები როგორ დამიტირებთ, წინასწარ მაჩვენეთ-მეთქი. გოგოებს სიცილის ცრემლი ჩამოსდიოდათ და თან მოთქვამდნენ: — შე საცოდავო, ასე უდროოდ რა დაგემართა, რა უბედური ყოფილხარ, საკუთარ სახლში მაინც დაგელია სული, ახლა აქედან უნდა გაგასვენოთო...

ხმაურზე, რუსის ქალი გვყავდა, თანამშრომელი, გალია და იმან შემოიხედა. მართლა მკვდარი ვეგონე და კივილით გავარდა, ვაი, ჩვენი ცირა მომკვტარა, საწკალი, რა ახალგაზრდაო... გალიას ხმაზე მთელი კოლექტივი აჩოჩქოლდა. შემოცვივდნენ ოთახში. ამ დროს გავიფიქრე, საკმარისია-მეთქი და წამოვიწიე ასადგომად. ახლა ხელმეორედ დაედო მიწის ფერი გალიას. იყვირა, — ვაიმე, კვტარი ადგაო და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

ცარო თადიაშვილი, თბილისი

4. შენთვისაც მოვიცლი ამაღამ...

ჩემ მეზობლად ცხოვრობდა თენგო, ხუთი ქალიშვილის პატრონი, რომელსაც პატარა ტანის გამო ყველა „ხოვლეს“ ეძახდა. ჰოდა, ეს ჩვენი ხოვლე საკმაოდ ენაკვიმატი ვინმე გახლდათ.

ერთხელ, ნასვამი, ეზოში ბავშვების თამაშს შეესწრო. მისი ქალიშვილები და უბნის ხუთი ბიჭი ერთად თამაშობდნენ. ხოვლემ მათ დანაპირები აუსრულა და რაღაც ახალი თამაშის სწავლებას შეუდგა: ბიჭები და გოგონები სიმაღლის მიხედვით ერთმანეთის პირისპირ დაამწკრივა რამდენიმე მეტრის დაშორებით.

— პირველი! — დაიძახა მისმა უფროსმა ქალიშვილმა.

— ჩემთან! — წამოიძახა ბიჭებიდან მაღალმა და ხოვლეს პირველი ქალიშვილი მისკენ გამოიქცა, ხელები ჩასჭიდეს ერთმანეთს და ხიდი გააკეთეს.

— მეორე! — ახლა მეორე ხიდი გაკეთდა ხელებით...

— მეხუთე! — თქვა მეხუთე ქალიშვილმა.

— ჩემთან! — წამოიძახა მეხუთე ბიჭმა. ახლა მეხუთე ქალიშვილი გაიქცა მეხუთე ხიდის გასაკეთებლად...

ამასობაში ბიჭების რიგს უბნის ნაბოლარა, სამიოდე წლის ტიტე ამოსდგომოდა ბოლოში. ეულად დარჩენილმა ტიტემ დანანებით მიმოიხედა ირგვლივ და „თავისუფალი“ გოგონა რომ აღარ შეხვდა, გაკვირვებულმა წამოიძახა:

— მე?!

ხოვლემ „თამაში არ ჩაშალა“, იხტიბარი არ გაიტეხა და ნირწამხდარ ტიტეს გასძახა:

— შენთვის, ჩემო ბიძია, ამაღამ დავიწყებ უსათუოდ!..

გერონტი მესხი, თბილისი

5. მოკლედ...

ჩემს მეზობელ არკადის ჩვევა აქვს — ყოველ წინადადებაში აუცილებლად უნდა იხმაროს სიტყვა „მოკლედ“. იგი სოფლის მეველედ დანიშნეს. ერთ დღეს მის მეზობელ კოწიას ყანასთან ძროხა დაუბამს. არკადიმ დაუძახა ძროხის პატრონს და კატეგორიულად განუცხადა:

— აქ, მოკლედ, ძროხის დაბმა არ შეიძლება.

— აბა, გრძლად რომ დავაბა, ხომ შეჭამა სოფლის ყანა! — გადაირია კოწია.

მურმან სუპატაშვილი, ქუთაისი

6. სახეწარყვეთილი ექიმი

ჩემი მეგობარი ფსიქონევროლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი იყო. ერთ დღესაც სამსახურში შევუარე და უცნაური ფაქტის უნებლიე მოწმე გავხდი — სახეშეშლილი ჩემი მეგობარი ერთ კაცს მისდევდა და ხან მუქარით, ხან კი ვედრებით სთხოვდა დაებრუნებინა მისთვის რამდენიმე დღის წინ ქაღალდზე დაწერილი წამლის დასახელება. პაციენტი კი ყვიროდა, — არ მაქვს, ექიმო, თქვენი წამალი ძალიან მომიხდა, ის ფურცელი კი დავხიე და გადავაგდეო.

ექიმი იძულებული გახდა მისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ძალიან განიცდიდა. როცა ვკითხე, რაში იყო საქმე, მიამბო, რომ რამდენიმე დღის წინ მასთან მისულა ეს კაცი, უთქვამს, სქესობრივი სისუტე მაქვსო და უთხოვია გამოეწერა რაიმე წამალი. ჩემს მეგობარს უთქვამს, ამის თაობაზე სექსოპათოლოგს მიმართეო, მაგრამ იგი არ მოეშვა და თავიდან რომ მოეცილებინა, გამოუწერა (ქაღალდზე დაუწერა) რაღაც უვნებელი წამალი. ხოლო თუ რა დასახელების, ვერაფრით ველარ გაიხსენა. დღეს კი ეს კაცი მოსულა ექიმთან ხურჯინგადაკიდებული, სოფლიდან ჩამოუტანა ხილი, ყველი, ღვინო და უამრავი რამ. როცა ჰკითხა თუ როგორ იყო საქმე, იმ კაცმა უპასუხა: — დიდი მადლობა, ექიმო, თქვენი წამალი ისე მომიხდა, ვბურღავ ყველაფერსო! რაღა დაგიმალო და ასეთ წამალზე არც მე ვიტყოდი უარსო!.. — დაასრულა ექიმმა მონათხრობი.

იმერელი

7. ანდერძით მიღებული... „საგანძური“

ეს ამბავი ქართლის ერთ-ერთ სოფელში მოხდა. გვყავდა ორი ბებია (მამის დედა და მისი გაუთხოვარი და), რომლებიც ერთმანეთისგან მოშორებით ცხოვრობდნენ. სამი დედმამიშვილი ვართ — ორი და და უფროსი ძმა. ოჯახში ერთადერთ მემკვიდრეს, ჩემს ძმას ყველა თავს ევლებოდა. თანაც, მამაჩემიც დედისერთა იყო და რაღა თქმა უნდა, ჩემს ძმასაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ. თავის ქონებასაც ორივე ბებია მას უტოვებდა.

მამის დედა მშრომელი ქალი იყო, მაგრამ ძალიან ძუნწი. რასაც შოულობდა, რომ იტყვიან, მუთაქაში მალავდა.

ერთხელაც, წნევამ დაარტყა და სანუკვარი შვილიშვილი მოიკითხა, რომელიც ელვისებური სისწრაფით მოძებნეს და ისიც წამში ბებიას სასთუმალთან დაუჯდა.

მომაკვდავს ბიჭის დანახვაზე თვალში ცრემლი მოერია და საცოდავად ამოილუღლუღა: — შვილო... სარდაფში... ტახტის ქვეშ (ამ დროს, ჩემი ძმა ბებიას დამალულ ფულებზე ოცნებობს)... ქილაში... ვაი...

და დიდი პაუზის შემდეგ ამოთქვა: — სათესლე ლობიო... მაქვს... დამალული... არ გააფუჭო... ძვირფასი ჯიშისაა...

ამის გაგონებაზე მემკვიდრე ისე გალურჯდა, რომ ლამის ის გახდა მოსაბრუნებელი. ბებიამ კი, მას შემდეგ კიდევ დიდხანს იცოცხლა და ლობიოც ბევრი დათესა.

ც. თ., თბილისი

მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

8. მიტო ახველებს:

— ექიმო, არაყს ვსვამ, მაგრამ არა მშველის, რამეი ხომ არ მირჩევდით?

— სათვალე გინდა, პლუს ხუთი.

— „აჩკები“ რად მინდა, ყელი მტკივა, ყელი!

— გინდა, გინდა, მე დალაქი ვარ და კარზე „საპარიკმახერო“ აწერია.

ნოდარ აბუსერიძე, თბილისი



9. მიხა თაიგულით ესტუმრა მეზობლის ოჯახს.

— რა მოხდა, რა გინდა, მიხავ?

— აი, იცით რა, ქალბატონო თებრო, თქვენი გოგო უკვე 15 წელია მიყვარს და...

— მერე რა გინდა, პენსიის დანიშვნას ხომ არ ითხოვ?

თამაზ ხელაძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი

10. აგარაკზე ძაღლი ბოსტანს ბარავს და მეზობლის ფინიასთან ჩივის:

— ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მე სულელმა მათთვის ქოშების მიტანა ვისწავლე.

ანიკო, თბილისი



ყურადღება!

კურიოზების კონკურსი

„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 28 ივლისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 29 ივლისის 13 საათამდე.

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

____

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №30

მილოცვა

ირაკლი ბოჭორიშვილს!

ჩემო ბიძია, გილოცავთ დაბადების დღეს, დაესწარით მრავალს თქვენი საყვარელი მშობლებითა და კეთილის მსურველებით. ბავშვობა გვქონდეს ლაღი და ბედნიერი.

თქვენი პატარა დისშვილი ნიკუშა ჩიქოვანი

მალხაზ კვესელავას!

ჩემო მახო, გილოცავ დაბადების დღეს 28 ივლისს. გისურვებ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას. შენი ღიმილიანი სახე არ მოშლოდეს შენს ლამაზ მეუღლეს მაიას და შვილებს ბექას და გვანცას. კვლავაც ერთგულად გეკეთებინოს ის კეთილი საქმე, რასაც საქმიანობ. იხარე და იდღეგრძელე, გფარავდეს მაღალი ღმერთი.

შენი ახლობელი გელა გაგუა

ქ-ნ ელისო ბუთხუზს!

ჩვენო საყვარელო მეუღლევ, დედიკო და ბებიავ, გილოცავთ საიუბილეო დაბადების დღეს. ჩვენი ოჯახის მშვენებავ და სიყვარულო, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, სიყვარულს, სიხარულს და ბედნიერებას შენს ოჯახთან ერთად.

მეუღლე, შვილები და შვილიშვილები

ნინო ზვიადაძეს მარტვილიდან დაბადების დღეს ულოცავენ ბიცოლა და ბიძაშვილები – *მაია, გვანცა და ბექა კვესელავები.*

უსურვებენ კარგად ყოფნას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

ბინები

იყიდება საგურამოდან 1 კმ-ში ახალაშენებული ევროდიზაინის სახლი (ს/ფართი – 350კვმ), შიდატერასული 4 სართულით, 4 საძინებლით, თითოეული თავისი სააბაზანო-ტუალეტით, ეზო 1200 კვმ, კაპიტალური შემოღობვით, დეკორატიული ბაღით, მუდმივი დენით, ცივი და ცხელი წყლით, ბ/აირით, შიდა აუზით. ტელ: 899 94-11-94

გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

მომსახურება

ავეჯის რესტავრაცია! სამეულები, ტახტები, მატრასები; ქსოვილის შეცვლა, დარბილება; მეორადი მოხმარების სამეულებზე ლაქების ამოყვანა, მშრალი წმენდა. ტელ: 76-01-33. გია

რბილი ავეჯის რესტავრაცია, სამეულების აღდგენა-განახლება, სკამების, მატრასების გადაკვრა-განახლება. ვღებავთ ტყავის სამეულებს. ტელ: 899 27-30-28; 893-37-70-97; 95-97-12. ვალერი

სტუდენტური, ოჯახური, ინდივიდუალური და ჯგუფური დასვენება ქობულეთში, კერძო დასასვენებელ, სხვადასხვა საცხოვრებელი პირობების ბინებში და სამჯერადი კარგი კვებით ჩვენს კაფე-სასადილოში, რაც შედის საგზურის ღირებულებაში: 10 დღე – 80-დან 130 ლარამდე. ვრცელდება შეღავათები ბავშვებსა და ჯგუფებზე. მის. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №113-115 (ეზოში). კაბ. 31. „მკურნალი სუმბაძე". ტელ: 91-18-38 (სამს.); 69-18-38 (ბინა); 877 41-86-16. ცისანა სუმბაძე

მათთვის, ვისაც აინტერესებს რუსული წარმოების გათბობის თანამედროვე სისტემები, ქვაბები МЧ, АГБ 100-1000 კვმ, 10-100 კვტ საწვავი: გაზი, ნახშირბადი, დიზელი. ასრულებს „კალონკის" მოვალეობასაც. მუშაობს ელენერგიის გარეშე. მომსახურება – უმარტივესი, თანამედროვე დიზაინი. ტელ: 61-81-87; 899 62-09-26. მურაზი

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ვისაც გსურთ წონაში დაკლება, უვნებლად და დიეტის გარეშე, თვეში 7-20 კგ-მდე, ასევე გასუქება თვეში 5-7კგ მომატებით და სიმაღლეში ზრდის ვიტამინები ერთთვიანი კურსით, მოიმატებთ 3-5 სმ. კონსულტანტი ინგა. მის. ჭოველიძის №2. IV სართ. ოთ. №415. ტელ: 93-38-46

საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე" გთავაზობთ კინოფილმების (35 მმ, 16 მმ, 8 მმ) შეღავათიან ფასად გადატანას ვიდეოფირზე (VHS, DVD, მინი DV და CD). შეკვეთები მიიღება: აღმაშენებლის გამზ. №164. ტელ: 34-29-75, 34-29-72; 893 30-88-12. სტუდიის დირექტორი რამაზ (ბუბა) ხოტივარი

მკურნალობა

მამაკაცების საყურადღებოდ! გაჯანსაღება განსაცვიფრებელი შედეგით: პროსტატიტი, ინფექციები, სოკოვანი, პენისის ანთება, სპერმის ნაადრევი და უნებლიე გამოყოფა, სქესობრივი სისუსტე, შარდის შეკავება, შეუკავებლობა, ბუასილი. ტელ: 899 49-84-23. ნონა

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 56-37-37; 899 54-64-81

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

ანტიალკოჰოლი და ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, ალერგია, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია – დამზადებულია მოსკოვში, აკადემიკოს ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

ხალხური მედიცინა – მაქსიმალური გარანტიით, უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრის სქოლიოზი – მკურნალობა ეფექტურია პირველი დღეებიდან!!! მის: რკინიგზის პოლიკლინიკა, მ. „ნაძალადევთან", დადიანის №87. კაბ. №11 (11-14სთ). ექ. ალექსიშვილი. ტელ: 61-02-97; 899-57-16-99; 39-39-97

სმენის აღდგენა და გაუმჯობესება, ყურის ანთების, ხმაურის, ქავილის, ტკივილის მკურნალობა ენერგოინფორმაციის მეთოდით, აპარატურისა და ოპერაციული ჩარევის გარეშე, ყველა ასაკის პაციენტისთვის. პაციენტების მიღება – 9-13 სთ. მის: ვაკე, ჭავჭავაძის №37ა, სამების ეკლესიის უკან, თენგიზ აბულაძის ქ. №8. დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 91-31-19; 91-32-42. ლევან სეხნიაშვილი

ალკოჰოლისა და თამბაქოსაგან გათავისუფლება! (მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად) მათგან გამოწვეული გართულებების მკურნალობა: 1. ნერვოზები; 2. ჰეპატიტები; 3. ჰალუცინაციები; 4. ნაბახუსევის („პახმელიის") მოხსნა; 5. ბრონქების გასუფთავება. მოსკოვის კრემლის ყოფილი ლაბორატორიის ექსკლუზიური სერტიფიცირებული, მცენარეული პრეპარატები (აკად. ლიხარიოვის ნობელის პრემიის ლაურეატი). ტელ: 899-22-63-90. ნინო

ალკოჰოლიზმისა და თამბაქოსაგან გამოწვეული გართულებები – ნაბახუსევის („პახმელიის") მოხსნა, ჰალუცინაციები; ნევროზები; შიშები, სასუნთქი გზებისა და ორგანიზმის სრული გასუფთავება. პრეპარატები უსაფრთხოა, დამზადებულია მცენარეების და ნაკურთხი წყლისაგან. გაჯერებულია ვიტამინებით. არის უმაღლესი ხარისხის. ტელ: 53-08-02. თამრიკო

ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგ-ვიზაჟისტი; 2. მასაჟისტი; 3. საპარიკმახერო. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის №115, კაბ. №20(ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.); 96-22-89 (ბინა)

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი გიწვევთ დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: სამართალმცოდნეობა, ეკონომიკური, უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან II, III კურსებზე. ფასი 200 ლარი. ტელ: 32-06-97; 30-51-30; 893 93-38-15. მის: თოფურიას №12. 128-ე საშ. სკოლა (ვაჟა-ფშაველას III-IV კვარტალებს შორის).

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველა მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებით. მოდი, ისწავლე, აიღე მართვის მოწმობა. მის. მუხიანის დასახლება, I მკრ, II კორპ. ტ. 62-02-10; ლადო ასათიანის 2. ტელ. 99-53-24; 899-14-14-84

იყიდება

ახალი კორეული სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. იღებს ქართულ, რუსულ და ევროპულ ტელეარხებს. აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 380; კომპლექტის ფასი – $140; მონტაჟი – 40 ლარი. რუსეთის 25 ტელეარხი – ფასი $200-მდე, მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით, აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ. 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

იყიდება ბამბუკის ძველებურ, ანტიკვარულ სტილში უნიკალური დიზაინით დამზადებული 15-ნაჭრიანი კომპლექტი (დივანი, 2 სავარძელი, მაგიდა, 4 სკამი, ტელეფონისა და ჟურნალების მაგიდები, სხვადასხვა ზომის 5 ტაბურეტი). ფასი $1500. ტელ. 899 95-38-48; 94-12-63

სხვადასხვა

ეკოლოგიისა და განვითარების საერთაშორისო ფონდი „ამიანტი" და შვეიცარიული ფირმა „NEWFO SA" აცხადებს კონკურსს დევიზით: **„ინოვაციური პროექტები — საქართველოს ნაციონალური ეკონომიკური ინტერესები გლობალიზაციის ეპოქაში".**

კონკურსი ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის 50 წლის იუბილეს.

საკონკურსო თემატიკა:

– წიაღისეულის საბადოების მარკეტინგი;

– ბუნებრივი და ტექნოგენური საცავების მარკეტინგი;

– სარეკრიაციო ზონების მარკეტინგი.

მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

სამი საუკეთესო პროექტისთვის დაწესებულია პრიზები – 600, 400 და 200 ლარის ოდენობით.

ფონდი „ამიანტი" იზრუნებს ჟიურის მიერ რეკომენდებული პროექტებისთვის ინვესტიციის მოზიდვის შესაძლებლობებზე. ანოტაციის (არაუმეტეს ორი გვერდისა) წარმოდგენის ვადაა 1.09-17.09.2004; სრული პროექტის წარმოდგენის ვადაა 01.10.2004. კონფერენცია ჩატარდება 2004 წლის 16 და 17 ოქტომბერს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, პროფესორ გიორგი ჯაფარიძის სახელობის №432 აუდიტორიაში. დასაწყისი 11 სთ. საორგანიზაციო კომიტეტი: კოსტავას ქ. №77. 0175 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი; III კორპ. III სართ. ოთ. №410. ტელ: 37-73-19; 36-41-67; ფაქსი: 22-53-08; მობ: 899 401-503; ელფოსტა: amianti@posta.ge

თამთა დგებუაძის ხსოვნას!

მეშვიდე დაბადების დღე დადგა უშენოდ...

პირველ აგვისტოს 30 წლის გახდი...

ცრემლით და დარდით გიგონებთ და ამ ქვეყნიდან გილოცავთ მანდ, სულეთში. როგორ დაგვაკლდი და გვატკინე გული, ჩვენო ლამაზო, მწყაზარო, ჭკვიანო, სულმდიდარო. არა მარტო შენი ოჯახი, მეგობარ-ნაცნობებიც გლოვით გიხსენებენ. საოცრად მოწყალე, თბილი, სხვათა შემბრალე და თანადგომის ნიჭით აღსავსე იყავი... ძალზე ძნელია შენზე თქვა — იყავი. შენ მუდამ ჩვენთან იქნები, შენს საყვარელ მშობლებთან, და-ძმასთან, დისწულ-ძმისწულებთან, მეგობარ-ნათესავებთან.

შენს დაბადების დღეზე უთუოდ მოვალთ შენთან და შენს საყვარელ ყვავილებს მოგართმევთ.

იძინე მშვიდად!

ღმერთმა არ მოგაკლოს წყალობა ადგილსა მწვანილოვანსა, სადაც მართალნი განისვენებენ.

დედა გეძებს, თამთა!

მზის სხივებში ჩაქარგულო თვალცქრიალა გოგოვ,
დაგეძებ და ვერსად გპოვე, სად გეძიო, როგორ?!
ცათა შორეთს დამეკარგე, ვარსკვლავებში მეფობ,
ხმა გამეცი, დამენახვე, განშორება გვეყო.
ვარსკვლავთ ციმციმს შეეცილე, ცა განათდა თითქოს,
შენ დაგეძებ, შენ მოგიხმობ, მთვარეც ადგილს გითმობს.
ყოველ დილით მზის სხივებში თამთას ეძებს დედა,
სად ხარ, შვილო, რომელ ყვავილს მოვეფარო ნეტავ!
იქნებ მინდვრად დაფარფატებ, სათუთ პეპლის დარად,
წვიმის წვეთებს ხომ არ ერთვი ციდან მოსულს ნამად?!
ხმა გამეცი, დამენახვე, გასკდა დედის გული.
ვიცი, აქ ხარ, ახლომახლო, ვიგრძენ შენი სული.

შენი გულმოკლული დედა სევმარი კაპანაძე

დრომ ვერ დააყუჩა ის ტკივილი, რომელიც ორი წლის წინ მოულოდნელად დაგვატეხა თავს განგებამ. ტრაგიკულად დასრულდა ექვსი ლამაზი სიცოცხლე აგარასთან. დების – **ხათუნა და დადუ სურგულაძეების**, 13 წლის **ზაზა ხაინდრავას**, 19 წლის **აჩიკო კვანტალიანის**, 22 წლის **გია ფიოლიასა** და 42 წლის **ქეთევან ფხაკაძის** მიწიერი არსებობა შეწყდა. ცოდვილ მიწაზე მათ ჭირისუფლებს კი დაგვრჩა გაუნელებელი სევდა, ტკივილი, ცრემლები, უსაშველო მონატრების განცდა.

ღმერთო! დაუმკვიდრე მათ სასუფეველი!..

ნანა და თამაზ კვანტალიანები

მამუკა გადახაბაძის გახსენება

ჩვენო საყვარელო მამუკა! უკვე მერვე წელია, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. უკვე მერვე წელია, ჩვენ გვერდით არ ხარ. გაუსაძლისი გახდა შენთან განშორება შენი დედ-მამისთვის, შენი ძმის, ახლობლებისა და მეგობრებისთვის. რაც დრო გადის, უფრო მეტად გენატრები, ჩვენო საყვარელო ბიჭო. სულ უფრო მეტად გვენატრება შენი ლამაზი, თბილი ღიმილი, შენი ნათელი სახე.

25 ივლისს 32 წელი შეგისრულდებოდა. ალბათ ოჯახი გექნებოდა ისეთივე ლამაზი, როგორიც თვითონ იყავი, მაგრამ მტრის მსახვრალმა ხელმა წაგართვა შენი სპეტაკი, ხალასი სიცოცხლე. ძალზე მწარე და ტკივილიანია ამ ქვეყანაზე უშენოდ ყოფნა. მხოლოდ ერთი რწმენით ვცხოვრობთ, რომ შენ ნათელში ხარ, შენი ლამაზი სული ზემოდან დაგვყურებს და გრძნობს, რომ გვიყვარხარ, გვახსოვხარ და გვენატრები უზომოდ.

შენი მშობლები — მზიური და ვალერი გადახაბაძეები, ძმა ბაჩუკი, რძალი ნანა, ძმისშვილები — ანა და ლუკა

ნიკა ვანიშვილის ხსოვნას!

ხუთი ტკივილიანი წელი დასრულდა 22 ივნისს თქვენი მუხანათური მკვლელობის შემდეგ, ჩვენო კეთილო, თბილო და მოსიყვარულე მეგობარო!

წახვედით ამ ქვეყნიდან სრულიად ახალგაზრდა — 34 წლის და თითქმის ცხოვრების მხოლოდ მეოთხედი განვლეთ. ვერაფერი გაანელებს იმ უსაზღვრო ტკივილს, რასაც თქვენი ოჯახი და ახლობლები განვიცდით. თქვენი მეუღლე და შვილები, რომლებიც სიცოცხლეზე მეტად გიყვარდათ, უთქვენოდ იზრდებიან და ვაჟკაცდებიან. ახლა მათი საფიცარი თქვენი სული გახდა.

თქვენ ყოველთვის ჩვენ გვერდით იქნებით, თქვენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია!

ჩვენი ანთებული წმინდა სანთლები უნათებდეს მუდმივ სასუფეველში თქვენს სულს!

თანამშრომლები

მზია ვეფხვაძე-ნებიერიძის გახსენება



მზია, მეოთხედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, 29 ივლისს უშენოდ. ახლა 44 წელი გისრულდება, ჩვენო კეთილო, უწყინარო, შენი შვილების და აღსაზრდელების კარგო აღმზრდელო. რაც დრო გადის, მით უფრო გვენატრები და გვაკლიხარ, ჩვენ კი ისევ გზას გავყურებთ და გვგონია, რომ კიდევ შემოხვალ ჩვენს ეზოში შენი ქმარ-შვილით. იძინე მშვიდად, ჩვენო მზიკო, შენი შვილები უკვე წამოიზარდნენ და ისეთები არიან, როგორიც შენ გინდოდა. მამა თავს ევლება, არ უნდა უშენობა აგრძნობინოს, მაგრამ რა ამოავსებს იმ სიცარიელეს, რასაც უშენობა ჰქვია. მოვალთ შენს საფლავზე, მოგიტანთ ცრემლიან ყვავილებს და ღმერთს შევთხოვთ, მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

მშობლები, ოჯახი

ნანი მჭედლიშვილი-სანიკიძის მონატრება

ძნელია, ამ სტრიქონებში ჩავტიოთ ის უდიდესი მწუხარება, დიდი გულისტკივილი, სევდა და მონატრება, რომელიც შენი ოჯახის წევრებს, შენს ლამაზ ქმარ-შვილს და მეგობრებს დაუტოვე.

1 აგვისტოს სრულდება ცრემლიანი და ტკივილიანი 40 დღე, რაც მოულოდნელად წახვედი ამ წუთისოფლიდან. შენ ხომ შვილებზე ზრუნვაში განვლე მთელი ცხოვრება, შენ ხომ შეუდარებლად კარგი მეუღლე და დედა იყავი. როგორი ულმობელია სიკვდილი! რა იქნებოდა, ამქვეყნად უდროოდ სიკვდილი არ არსებობდეს?! ნანი, შენ ის პიროვნება იყავ, რომელმაც უანგარო სიყვარულით, მეგობრული და თბილი ურთიერთობით დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე მეგობრებს შორის.

გვიჭირს უშენობა. ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავთან და დაგინთოთ სანთელი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

როზა, ლალი, თამრიკო, ქეთინო, ნანა, ნელი, მარინე, დალი

ირინა კეკელიას მოგონება

მიილია ცრემლიანი, ტკივილიანი ერთი წელიწადი. 3 აგვისტოს დაასრულე შენი ხანმოკლე სიცოცხლე, დაგვიტოვე მწარე მოგონება. დედის იმედო, ოჯახის ბურჯო, უბედურ დედაშენს და შენს ძმას შენი ხმა ჩაესმით, შენ ელანდები და ჰქონიათ, რომ სადაცაა, კარს გააღებ და შემოხვალ. რით ვანუგეშოთ შენი საცოდავი დედა და ძმა? ახლა უფრო გვენატრები. წახვედი და გაიყოლე უამრავი ტკივილი და აუხდენელი ოცნება. ჩვენი დანთებული სანთლები გზას გაგინათებს და დაგიმკვიდრებს ცათა სასუფეველს, ჩვენო მოუშუშებელო ჭრილობავ.

ნათელი გედგას მარადის, ჩვენო ჭკვიანო, ყველას გულისტკივილო ირა.

მალხაზ ხელაია ოჯახით

ნონა პაპიაშვილის ხსოვნას!

ჩემო ნონა, როცა დიდი ტკივილია, ძნელი ყოფილა წერაც, რამდენჯერაც დავიწყე წერა, იმდენჯერ თვალწინ დამიდგა მწუხარებისგან გაქვავებული შენი ქმარშვილის სახე.

სულით მაღალი, სიკეთით სავსე, მოსიყვარულე, ყველას იმედი, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა — ასეთი წახვედი ჩვენგან, წახვედი და დაგვიტოვე ყველას დიდი ტკივილი. როგორი ძლიერი იყავი ყველანაირად და არ მეგონა, შენ თუ ავადმყოფობა მოგერეოდა, მაგრამ როგორც ყველას, შენც გაჯობა სიკვდილმა.

რაც დრო გადის, უფრო გაუსაძლისი გახდა უშენობა. უშენოდ მოვიდა პირველად შენი დაბადების დღე, 30 ივლისი. უშენოდ სხვას რას აქვს ხალისი, ამ დღეს რომ ჰქონდეს?!

ჩვენი ერთადერთი ნუგეში საფლავთან მოსვლა და გახსენებაა, მეტი აღარაფერი. თურმე რა ტკბილი ყოფილა ის დღეები, როცა ჩვენთან იყავი და რა მწარეა უშენობა. როგორი იმედი იყავი ჩემთვის და რა ადვილად გადამატანინე ყველა განსაცდელი, მაგრამ ვაი, რომ უშენობით გამოწვეულ ტანჯვას და ტკივილს ვერავინ და ვერაფერი შველის.

შენი კოტე ხომ ჩვენთვისაც საამაყო შვილია. რა მძიმე ტვირთი დაუტოვე შენს ხათუნას, ის ხომ ჯერ კიდევ პატარაა ამხელა ტვირთისა და ტკივილისთვის, მაგრამ ერთი ნეტავი შეგახედა შენს ოჯახში, როგორ ვაჟკაცურად უმკლავდება ყველაფერს ხათუნა. მხოლოდ ერთს ვერაფერი მოუხერხა, შენგან დატოვებული სიცარიელე ვერაფრით შეავსო და ალბათ ვერც შეავსებს. ხათუნა მამის სანუგეშოდ თითქოს მხიარულობს კიდეც ხანდახან, მაგრამ მისი სევდით აღსავსე თვალები ვერაფრით მალავენ უდედოდ დარჩენილის დარდსა და ტკივილს.

სიცოცხლეში ჩემთვის დიდო იმედო, მკვდარიც ჩემი იმედი გახდი, რადგან სიკვდილის აღარ მეშინია, შენ რომ მანდ მეგულები.

ჩემო ნონა, შენ ყველა ჩვენგანის გულში მუდამ დარჩები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

შენი ლილი

ჯემალ შაშვიაშვილის მოგონება



ჩვენო ძვირფასო და საყვარელო მამა, 29 ივლისი ხომ შენი დაბადების დღეა, რომელსაც მეოთხედ ვხვდებით უშენოდ, შენი უსაყვარლესი შვილები, მეგობრები და ნათესავები. ძალიან გვენატრები ყველას. გვიმძიმს უშენობა. გვიჭირს იმის დაჯერება, რომ აღარ ხარ. უძლური აღმოვჩნდით შენ წინაშე ისე უეცრად გამოგვეცალე ხელიდან, რომ გააზრებაც ვერ მოვასწარით. შემდეგმა დღეებმა გვიჩვენა შენი დაკარგვის სიმძიმე.

ცრემლიანი თვალებით შევყურებთ შენს სურათს, მამა. მიუხედავად დროის სვლისა, შენ ჩვენი მოურჩენელი ტკივილი ხარ.

ახლა ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავთან, დავანთოთ სანთელი და ვილოცოთ შენთვის, რათა ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ლამაზი და სპეტაკი სული.

შენი შვილები

ზვიად ჩაჩხიანის მოგონებას!

31 ივლისს ერთი წელი სრულდება, რაც მიგვატოვე, ძმაო ზვიად!

რვა თვეზე მეტი ველარ გაუძლო ჩვენი დედის კეთილმა გულმა და თვალშეუმშრალი შეუერთდა იმ შეუცნობელ სამყაროს, სადაც მარადიული სიცოცხლეა.

შენი ცხოვრების 33 წელი ნამდვილ ქუთაისელობას, ნამდვილ ქართველობას შესწირე, ძმაო. მოყვასის სიცოცხლისათვის თავდადებულო ძმაო, ასეთი გმირული სიკვდილი მართლაც რომ რჩეულთა ხვედრია.

დატოვე დაობლებული ცოლ-შვილი, რომლებიც გაოგნებული მისჩერებიან შენი საფლავის ცივ ქვას. ჩვენს სიცოცხლეგამწარებულ მამას კი გულის მოსაოხად შენი პატარა ვახოს და მერის ალერსი ოცნებად გადაჰქცევია.

ჩემო უსაყვარლესო დედავ და ძმაო! მე მწამს, რომ თქვენ მარად ერთად იქნებით იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი ძმა

აკაკი (კაკო) მარქარაშვილის გახსენება



ერთი წელია, კაკო, რაც უშენოდ ცხოვრობს შენი ოჯახი, რომელსაც სრული ბედნიერებისათვის შენი სიცოცხლე აკლია.

ახლა გავიგეთ, რა დიდი უბედურებაა უშენოდ ჩვენი ცხოვრება, რომ აღარა გვყავს ძვირფასი მეუღლე, მამა, პაპა, მამამთილი, ძმა. ერთი წელია, რაც გაჩერდა შენი გული, რომელიც დიდ სიყვარულს იტევდა.

31 ივლისი შენი გარდაცვალების დღეა, კაკო.

ამ დღეს მოვალთ შენს საფლავთან, დაგინთებთ სანთლებს, რომელიც გაგინათებს მარადიულ ცხოვრების გზას.

მსუბუქი იყოს, კაკო, კასპის მიწა. ჩვენ კი ვიდრე ვიცოცხლებთ, ყოველთვის გვემახსოვრება ჩვენთვის შენი ძვირფასი სახელი — კაკო.

დიდი სიყვარულით, შენი ოჯახი: მეუღლე, შვილები, რძალი, შვილიშვილები, დები, დისშვილები, სიძეები

რევაზ (გულივერ) ვალიკოს ძე თოდუას ხსოვნას!



ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც უკურნებელმა სენმა შენი გულისცემა შეწყვიტა და შენი წმინდა, ლამაზი სული ნიავივით გააფრინა სამუდამო სასუფეველში.

რატომ გაგიმეტა ბედისწერამ ასე სასტიკად? შენ ხომ ასე ძალიან გიყვარდა სიცოცხლე! როგორ შეხაროდი შენს პატარა ოჯახს, გინდოდა, შენი ერთადერთი ქალიშვილის სკოლისა და უმაღლესის დამთავრებას მოსწრებოდი, კარგ ადამიანად აღგეზარდა, მაგრამ არ დაგცალდა. შენი წასვლით დაცარიელდა შენი სახლი, უსაზღვროა შენი გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება, თუმცა ერთი კია: ისეთი ადამიანები, როგორიც შენ იყავი, დიდხანს, ძალიან დიდხანს დარჩებიან ახლობლების მეხსიერებაში, როგორც ერთი მოურჩენელი ტკივილი. ვეფერებით შენს სურათებს და გვჯერა, რომ წმინდა სასუფეველში დაიმკვიდრებ სამუდამო ბინას. ამისათვის ჩვენ ყველანი ვილოცებთ. შენი ამ ქვეყნიდან გასვლა უფლის კიდევ ერთი საოცრებაა ჩვენთვის.

მშვიდად იცხოვრე, ჩვენო კეთილო ადამიანო ზეციურ სასუფეველში. ღმერთი იყოს შენი მფარველი. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, შენი საყვარელი დედ-მამისა და დის გვერდით. შენ ჩვენთვის ყოველთვის ცოცხალი იქნები.

ნათელში იყოს შენი კეთილი, ლამაზი სული.

მეუღლე ნუნუ, შვილი ლანა, ძმები — რობერტ და ვახტანგ თოდუები; შენი ოჯახი

იასონ (იაშა) გეწაძის ხსოვნას!

გავიდა ოთხი წელიწადი. ტკივილით მოგვიახლოვდა 26 ივლისი — შენი ამ წუთისოფლიდან საბედისწეროდ წასვლის დღე. ძნელია უშენოდ. გვახსოვხარ, გვენატრები, ჩვენო ძალიან კეთილო, მზრუნველო მამა.

იმედს ვიტოვებთ, დედა ჟენია და თქვენი არაჩვეულებრივი, კაცის ხელისგან აღსრულებული შვილიშვილი გიორგი მოგხედავენ ზეციურ საქართველოში.

ღმერთმა ნათელი ნუ მოაკლოს თქვენს სპეტაკ სულს.

შვილები: გულნაზი, ინეზა, გურამი

თამარ ფირცხალავას მონატრება

საყვარელო თამრიკო, გილოცავთ დაბადების დღეს, 25 ივლისს. ზაფხულში დაბადებული ზაფხულივით თბილი და სიცოცხლით სავსე იყავი.

ექვსი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. გვენატრები, შენს დაბადების დღეს ცრემლებით ვხვდებით. შენ ყოველთვის ჩვენთან ხარ, ჩვენს ფიქრებსა და სიყვარულში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

ცისანა, გენრიეტა, კახა

ნინა ქორქია-კობახიას ხსოვნას!

ჩემო მონატრებულო დედიკო და ჩემს შვილებზე მზრუნველო და მოამაგევ, ოჯახის ერთგულო, ნათესავების მოსიყვარულევ, ყველას ჭირისუფალო და გაჭირვების ტალკვესო, 90 წლის ასაკში გარდაიცვალე, მაგრამ ჩემთვის უდიდესი დანაკარგი ხარ. ჩვენ ხომ უსიტყვოდ ვუგებდით ერთმანეთს. შენ იყავი ჩემი უსაყვარლესი დედიკო, და, ძმა და მეგობარი. მე ხომ შენი ერთადერთი თვალისჩინი ვიყავი, მაგრამ რამდენი ობოლი გაგიზრდია. ჩვენი ოჯახი ხომ გაჭირვებაში მყოფი ადამიანებისათვის სიხარულისა და ბედნიერების მომტანი იყო. თქვენ მიერ გაწეული სიკეთე მე და ჩემს შვილებს ბევრჯერ დაგვხვედრია. შენი შვილიშვილები უცრემლოდ ვერ გიგონებენ. არ შეურცხვენიხარ. შვილთაშვილებსაც მოესწარი, ჩემო დედიკო. მთელი ცხოვრება შრომაში გაატარე, მაგრამ სიმწარე არ გინახავს. სიკვდილს ჩუმად, მდუმარედ შეხვდი. ალბათ იქ, სამუდამო სასუფეველშიც საკადრის ადგილს დაიმკვიდრებ.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ნათელი სული.

ლორა კობახია, ნინო, მამუკა ბესო ოჯახებით

სოსო ჩხაიძე მისსავე ფილმებში განაგრძობს ცხოვრებას

„თუში მეცხვარისა“ და ძველი „ქართული საგალობლების“ დამდგმელი რეჟისორი სოსო ჩხაიძე ნატიფი გარეგნობის, ნათელი, უფაქიზესი სულის და დახვეწილი გემოვნების, უკეთილშობილესი კაცი იყო. ყველაფერი ეს ცხადად ატყვია მის ნამუშევრებს.

სოსოს დიდი იუმორის გრძნობა ჰქონდა. რეჟისორი ბუბა ხოტივარი იხსენებს მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში სწავლის დროინდელ ამბებს: ჩვენთან ინსტიტუტში სწავლობდა ერთი არიკა. ჩვენი მეგობარი სომხებისგან განსხვავებით, ის სულ შორიდან გვივლიდა და რატომღაც გაოცებული გვაკვირდებოდა ხოლმე ათასწლიანი სევდით სავსე თვალებით. ერთხელ, როცა „არარატმა“ როგორღაც დაამარცხა თბილისის „დინამო“, ველარ მოითმინა, აცუნდრუკებული მოვარდა ჩვენთან, რატომღაც სოსო ჩხაიძეს ეცა (სოსოს არიკა ზუსტად ქამრამდე სწვდებოდა, სამაგიეროდ, ცხვირი ჰქონდა სოსოსხელა) და შეწუხებულმა ჰკითხა:

– Сосоджан, это правда, что грузинская нация, это деградирующий народ?

სოსოს გაეცინა და სარკეზე მიუთითა:

– На, смотри кто из нас деградирует, Араджан.

ამაზე რეზო ესაძე ჩაბჟირდა: — ჩემთან მაინც მოსულიყო, კაცო! რაღა მაინცდამაინც სოსოს მივარდა ის დალოცვილიო.

სომხებმაც ბევრი იცინეს, თუმცა არტურ პელეშიანმა სოსოს მაინც უთხრა:

– Сосо, как ты ловко ушел, эли, от такого наболевшего вопроса!

1970 წლის ბოლოს სხვა ახალგაზრდა რეჟისორებთან ერთად მოვიდა ტელეფილმების სტუდიაში. მწერალმა ვალიკო სულაკაურმა გვიამბო, რომ სოსო ჩხაიძის პირველი ფილმი „ძველი ქართული საგალობლები“ აიკრძალა და ტელეეკრანზე არ გაუშვეს. ამაზე ალიაქოთი ატყდა. ჟურნალ „ნიანგში“ ფელეტონიც კი გამოქვეყნდა: ბარემ სკოლებში „შუშანიკის წამება“ აიკრძალოს, ჯვარი დაესვას ჯვარს, მცხეთასა და სიონსო... ხელისუფლება დაფრთხა და გაუშვა ეს ფილმი. შემდეგ სოსო ჩხაიძემ „მეთხუთმეტე გაზაფხული“, მოგვიანებით კი „თუში მეცხვარე“ (რუსთაველის პრემია, 1979 წ.) გადაიღო. „თუში მეცხვარის“ სცენარის ავტორი ვალერიან სულაკაური იხსენებს: — 1969 წელს დოკუმენტური ფილმების სტუდიაში მივიტანე სცენარი, რომელსაც „უღელტეხილი“ დავარქვი. ძალიან გამეხარდა, როცა გავიგე, სოსო ჩხაიძემ მოჰკიდა ხელი ამ ფილმის გადაღებასო და... ერთ დღეს სოსოს ფილმი ჩამოართვეს...

თუ გინდა, სატელევიზიო ვარიანტი გავაკეთოთ-მეთქი. გაეხარდა. უცებ გადავიღეთ იმავე თემაზე სამნაწილიანი სატელევიზიო ვარიანტი. ატყდა ერთი ამბავი დოკუმენტური ფილმების სტუდიაში, ტელეფილმების სტუდიიდანაც უარით გამოგვისტუმრეს — ეს რა ფილმიაო(?!). მაშინ სოსოს შევთავაზე: მხატვრული ფილმი გადაიღე მწყემსებზე-მეთქი. წავედით შირაქში. გადავიარეთ უღელტეხილი ცხვარ-მეცხვარესთან ერთად, ავედით იალაღებზე. სოსომ გაითავისა მწყემსის ცხოვრება, დაუმეგობრდა თავის მომავალ გმირებს, ყველა მათგანი ფილმში ათამაშა.

სოსო ჩხაიძემ პირველად გადაიარა უღელტეხილი და ვაჟკაცურადაც! არადა, მთაში უმყოფელი კაცი ასეთი გამძლე და უშიშარი თუ იქნებოდა, არ მეგონა.

უღელტეხილზე ფეხმოტეხილი ცხენი ვნახეთ თოვლში. ველარც წინ მიდიოდა, ველარც უკან ბრუნდებოდა. რა უნდა გვექნა... გამოვიყვანეთ თოვლიდან ქვიშიანზე. ეს ცხენი ცხენად აღარ ივარგებდა და სოსოს ვუთხარი: — მოდი, მწყემსებს დაველოდოთ და საცოდავს თოფი დავკრათ-მეთქი. როგორ შეიძლება ცხენის მოკვლაო! — გული ეტკინა. იჯდა ცხენის საცოდაობით გაოგნებული და უყურებდა. გამოიარეს მწყემსებმა, ჩავაყვანინეთ დაბლობში და დავტოვეთ... დიდხანს დარდობდა იმ ცხენზე... რა უნდა ქნასო, — ამბობდა...

სატელევიზიო ფილმზე მუშაობდა ბოლოს, „შვიდკაცა“ ერქვა. გურული სიმღერის ფენომენზე უნდა მოეთხრო. ველარ დაასრულა...

სოსო ჩხაიძე მისივე ფილმებში განაგრძობს სიცოცხლეს და ვიდრე „თუშ მეცხვარეს“, „ძველ ქართულ საგალობლებს“ და მის სხვა ფილმებს ეყოლება მაყურებელი და დამფასებელი, ვერც მისი სული იგრძნობს სიმარტოვეს.

ლელა ჯიყაშვილი

ჩვენ გვწერენ

უნებლიე მეცნიერი

ჩემი მეუღლე თავისი დღე და მოსწრება ელექტროშემდუღებლად მუშაობდა. ალალი შრომით გავზარდეთ შვილები. ერთი ექიმი გახდა, მეორე — აგრონომი, მესამე — მასწავლებელი. რახანია არც მე და არც მას თითი თითზე აღარ დაგვიკარებია, შვილები გვარჩენენ, ან სადღა შეგვიძლია. მე 75 წლის ვარ, ჩემი ქმარი — 78-ის.



წელიწადი იქნება, დიდი უცნაურობა დაიწყო ჩვენს ოჯახში. დილით 6 საათზე გამეღვიძა. დავინახე, ჩემს ქმარს კარადა გამოეღო და იდგა. ალბათ ღამით შესცივდა და თბილ მაისურს ეძებს-მეთქი. რომ არა და არ მოსცილდა კარადას, დავუძახე. ხმა არ გამცა. გამიკვირდა, წამოვდექი, მივედი და რას ვხედავ, კარადის კარის შიდამხარეს რაღაც უცნაურ ასოებს წერს. რას შვრები, კაცო, ავეჯს როგორ აფუჭებ-მეთქი. ხელი მიბიძგა, მომიშორა და წერა განაგრძო. როგორ არ ვეხვეწე, არ გაჩერდა. ათი წუთი კიდევ წერდა, მერე გამოვიდა, დაწვა და ისე ღრმად ჩაეძინა, დილის 11 საათამდე ვერ გავაღვიძე.

სირცხვილით დავიწვი. შვილისთვის როგორ მეჩვენებინა ამოკაწრული ავეჯი? ან რძალი რას გვეტყოდა? მალულად ვუყურე, რას წერდა ეს კაცი, ვერაფერი გავიგე... მას შემდეგ ეს უბედურება ჩვევად ექცა ჩემს ქმარს. თან დილით რომ ვეტყოდი, რას შვრები, თავს რატომ მჭრი-მეთქი, გაოცებული მიყურებდა, შვილიშვილები ეშმაკობენ, მე რას მაბრალებო!

კარგა ხანს ვიწვალე. ვერც ვამხელდი, რა უბედურება მჭირდა, არადა ჭირი თავს რომდემდე დამალავდა?

ერთხელ ჩემმა შვილმა თავისი კაშნე ვერ იპოვა და ჩვენს კარადაში დაუწყო ძებნა. რომ გამოაღო კარი და ნაკაწრები დაინახა, გაშეშდა — ეს ვინ ქნაო. ჯერ თავისი ბიჭი ეგონა ავეჯის დამკაწრავი, მერე თავი გააქნია და კარგა ხანს უყურა ნაჩხაპნს — ამას ბავშვი ვერ დაწერდაო...

ენაჩავარდნილი ვუყურებდი, თან ვტიროდი. ბოლოს, გამოვუტყდი — მამაშენი წერს, მერე აღარც ახსოვს, რას აკეთებს-მეთქი. წარბი შეიკრა ჩემმა შვილმა: — რაო, მამა წერსო? ატომური ფიზიკის რამდენიმე ფორმულა ვიცანი, ზოგი ვერც გავიგე, რა არის, მაგრამ ისე ლოგიკურად არის გამოყვანილი, მამაჩემი მაგას რას დაწერდაო... მართლაც, ჩემს ქმარს შვიდი კლასი ჰქონდა დასრულებული, მერე დაობლდა, ხელობა ისწავლა...

მეორე დღეს მეგობარი მოიყვანა შვილმა. სათვალიანი კაცი იყო. უყურა, უყურა ნაწერს, გადმოწერა ფურცელზე — ესაო, ატომური ფიზიკის ახალი ფორმულააო, მაგრამ კვლევა უნდაო...

გულში ვფიქრობდი, — კვლევა მაგას კი არა, ჩემს ქმარს უნდა-მეთქი.

როგორც აღმოჩნდა, ჩემს ქმარს წაკითხვაც არა სცოდნია იმ ასოებისა, რომლებსაც წერდა.

რა საოცრება მოხდა, საიდან რა მიაწერა კარადის კარს, ვერ გამიგია. კითხვები რომ დაუსვა უცხო ხალხმა, სულ გაგიჟდა, — თქვენ, ეტყობა, მომიძულეთ და გინდათ გული გამიხეთქოთო. მერე ყველამ თავი დაანება...

დამამშვიდებელს ვასმევთ. მაგრამ ზოგჯერ მაინც დგება, გამოაღებს კარადის კარს და ჩხაპნის...

ლამარა კაკულია, თბილისი

მფრინავი თეფშისა და გაუჩინარებული მასპინძლის ამბავი

ეს ამბავი ორი წლის წინ, 8 ოქტომბერს, დილის 3.10 საათზე მოხდა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მე და ჩემი თანაკურსელი ინგა ჩვენს მეგობარ ნინოს ვესტუმრეთ დედაქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში. მუსაიფში შეუმჩნევლად შემოგვაღამდა და მასპინძელმა მასთან დარჩენა შემოგვთავაზა — ძალიან გვიანია და ქუჩაში რაიმე ფათერაკს არ გადაეყაროთო. ნინომ თავისი საძინებელი დაგვითმო, თვითონ კი სასტუმრო ოთახში გაიშალა ლოგინი. შუაღამისას მასპინძლის საზარელმა კივილმა ფეხზე წამოგვყარა და დაფეთებულებმა სასტუმრო ოთახს მივაშურეთ. ნინო ფანჯარასთან იდგა და ყვიროდა — თეფში, მფრინავი თეფშიო.

მე და ინგამ გარეთ გავიხედეთ და... თვალებს არ დავუჯერეთ: მოპირდაპირე გორაკის თავზე მართლაც დალივლივებდა თეფშის მაგვარი საგანი და გარშემო თვალისმომჭრელ სინათლეს აფრქვევდა. ინგა უღონოდ დაეყრდნო ფანჯრის რაფას, რომელზეც ნაირგვარი კაქტუსები იდგა და, რა თქმა უნდა, მცენარის ეკლები მკლავებში შეესო, თუმცა ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

სულგანაბულნი და ხმაგაკმენდილნი შევცქეროდით ამ უცნაურ სანახაობას. აღარც ნინო კიოდა, მაგრამ გამალებით ისახავდა პირჯვარს და ტუჩებს აცმაცუნებდა. უეცრად „თეფში“ დაიძრა და ჰაერში უცნაური პირუეტების კეთება დაიწყო. ის უწინდებურად ოქროსფრად კაშკაშებდა და სრულიად უხმაუროდ მოძრაობდა. რამდენიმე წამის შემდეგ იმდენად მოგვიახლოვდა, რომ მკაფიოდ დავინახეთ მისი ოვალური, ილუმინატორების მსგავსი სარკმლები. მოულოდნელად თეფში ადგილს მოსწყდა და გეზი მთაწმინდისკენ აიღო. თვალს მიეფარა.

საძინებლისკენ გავცვივდით, რათა აივნიდან გვედევნებინა თვალი უცნაური მფრინავი ობიექტისათვის. ვერ მივუსწარით...

გახევებულებმა რამდენიმე წუთი მაინც დავყავით გარეთ. შემდეგ ინგამ ხმა ამოიღო: — მგონი, მასობრივი ფსიქოზის მსხვერპლნი შევიქენითო და ოთახში შებრუნდა. თვინიერად მივყევი უკან და საწოლზე ჩამოვჯექი. ნინო აივანზე დარჩა.

რამდენიმე წუთის განმავლობაში მე და ინგა ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით, შემდეგ კი საშინელმა დაქანცულობამ შეგვიპყრო. მე საწოლს მივაშურე, ინგა მასპინძლის დასაძახებლად აივანზე გავიდა, თუმცა მყისვე უკან შემობრუნდა გაფითრებული: — ნინო აივანზე აღარ არისო. ყურებს არ დავუჯერე, რადგან მეშვიდე სართულზე ვიმყოფებოდით.

მთელი ბინა შემოვირბინეთ ნინოს ძებნაში. მასპინძელი თითქოს აორთქლდა! სადარბაზოს მივაშურეთ და კორპუსის შემოგარენიც მოვიარეთ, მაგრამ ნინოს ვერსად მივაგენით. ნაკლებ სავარაუდო იყო, რომ შუაღამისას ნინოს სეირნობა მოეპრიანებოდა. ნარბენებსა და განერვიულებულებს პირდაპირ სავარძელში ჩაგვეძინა...

დილით მასპინძლის ხალისიანმა ხმამ გაგვაღვიძა: — ძილისგუდებო, ყავა არ გინდათ?

თვალები დავაჭყიტე. ვარდებით მოჩითულ ხალათში გამოწყობილი ნინო მკვირცხლად მიმორბოდა სამზარეულოსა და სასტუმრო ოთახს შორის და საუზმის სუფრას შლიდა...

— სად იყავი? — ვერ მოითმინა ინგამ და აღშფოთებისაგან სლოკინი აუტყდა, — მთელი ღამე გეძებდით, ის კი არა, ვიფიქრეთ, რომ უცხოპლანეტელებმა მოგიტაცეს!

ნინოს გაოცებისაგან თვალები დაუმრგვალდა — რა ამბობ, საწოლიდან ფეხი არ გადმომიდგამს და მშვენიერი სიზმრებიც ვნახეო.

იძულებული გავხდით, დაწვრილებით მოგვეთხრო ღამის თავგადასავლისა და მფრინავი თეფშის შესახებ. მაგრამ ნინომ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და მოგვიგო, — ალბათ ეს ყველაფერი დაგესიზმრათო! ვერაფრით დავარწმუნეთ, რომ ამოუცნობი ობიექტი და მისი გაუჩინარება არ მოგვლანდებია — ნინოს პირწმინდად დავიწყებოდა ყველაფერი.

რაღას გავაწყობდით, დავემშვიდობეთ და შინისაკენ გავეშურეთ, გზაში კი ამ უცნაურ ამბავზე ვმსჯელობდით.

ბოლოს, ისევ მე გავბედე და ინგას შევაპარე: — ალბათ მართლა ცუდი სიზმარი ვნახეთ-მეთქი.

ინგამ ნაღვლიანად მიპასუხა, — სიამოვნებით დავიჯერებდი ამ ვერსიას, რომ არა კაქტუსის ეკლებით დაჩხვლეტილი და დასისხლიანებული მკლავებიო...

ანა კ., თბილისი

ზემოქმედება ფოტოსურათით

აბა, რისი ჟურნალისტი ვარ, თუ ასეთი რამ გამომეპარა? ხმა დაირხა — ქალაქში ერთი ქალბატონია, რომელიც ფოტოებით წინასწარმეტყველებს და დაწვრილებით შეუძლია მისი პატრონის ხასიათის თუ ბედისწერის გამოცნობაო. მეც საკუთარი თუ ახლობლების ფოტოებით შევიარაღდი და ქალბატონ ამალიას ვესტუმრე. აფერისტი რომ არ იყო, მისი პირველივე სიტყვებით დავრწმუნდი: აქ ჩემს გამოსაცდელად მოსულხარ და სულ ტყუილად გგონია თავი დაცული და ყოვლისშემძლე. შენი ემოციურობით ბევრი სარგებლობს და საკუთარ პრობლემებს გახვევენ თავს, რის შემდეგაც დიდ ენერგიას კარგავ. აი, თუნდაც ეს ქალბატონი, შენი საუკეთესო მეგობარი რომ გგონია, სინამდვილეში ენერგოვამპირია და როგორ ვერ ხვდები, რომ უნდა დაშორდეო! — ამალიამ წინ ერთ-ერთი მეგობრის სურათი დამიდო. სიმართლე გითხრათ, მისი წუწუნის შემდეგ ისე გამოფიტული ვარ ხოლმე, რომ წავა, მკვდარივით მეძინება...

— რა ვქნა, მეგობარს ვერ დავკარგავ! — განვაცხადე კატეგორიულად.

— მაშინ თვალებში მაინც ნუ ჩახედავ საუბრისას. სწორედ თავისი ჭროღა თვალებით მიაქვს შენგან ენერგია. ასეთებს მე თვალმარჩხებს ვეძახი. მათთან გულახდილი არასოდეს უნდა იყო, რადგან გათვალვაც შეუძლიათ და თითქმის ბოლომდე მისულ საქმესაც კი უკუღმა შემოატრიალებენ, ჩაშლიან...

— ბევრნი არიან ასეთები?

— იმაზე მეტი, ვიდრე წარმოგიდგენია. მუდამ შელოცვილი გიშერი უნდა ატარო თან და თუ ვინმემ ავად შემოგხედა, ის აუცილებლად დაგიცავს!..

ქალბატონმა ამალიამ ჩემს მიტანილ ფოტოებში უმალ ამოიცნო გარდაცვლილებიც — ამათ აურა აღარ აქვთ თბილი, სასიცოცხლო ენერგიისგან დაცლილები არიან და იოლად გამოირჩევიანო!..

მერე კი, რადგან არც ჯადო აღმომაჩნდა და არც წინასწარმეტყველების მოყვარული ვარ დიდად, რამდენიმე დარიგება მომცა, რაც „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება და ამიტომ ახლავე მოგახსენებთ:

— ფოტოგრაფიით გატაცებას არავის ვურჩევ და მით უმეტეს, მათ ხშირ გაჩუქებას. ფოტო ხატია ადამიანის, მისი თვისებების, განწყობილების მატარებელი. თქვენზე განაწყენებულმა ადამიანმა შეიძლება სულაც არ იცოდეს, რომ ფოტოგრაფიით შეუძლია მოგაყენოთ ვნება, სრულიად შემთხვევით დახედოს თქვენს გამოსახულებას და წყევლა შემოგითვალოთ. უფრო უარესი, თუ სურათი ბასრი დანით ან მაკრატლით დაჭრა, ნემსით დაჩხვლიტა — აუცილებლად იგრძნობთ თავს ცუდად, სრულიად უმიზეზოდ შეგეცვლებათ განწყობილება, გეტკინებათ თავი, აგიწევთ წნევა, გაგიუარესდებათ მხედველობა. თუ ამ დროს რაიმე საქმეს აგვარებთ, აუცილებლად ჩაგეშლებათ, ურთიერთობები გაგიფუჭდებათ ახლობელ ადამიანებთან. კამათი სერიოზულ ჩხუბში გადაგეზრდებათ... თქვენზე გაბრაზებული ადამიანი კი არის მაგიური ძალის მფლობელი, ფოტოსურათია უნაზესი გამტარი და ნებისმიერ ენერგიას, მათ შორის უარყოფითს, მთლიანად ისრუტავს...

ვიცი მაგალითი, როცა ძმამ ახალი ავტომანქანით გასეირნება შესთავაზა შეყვარებულს და რადგან მასთან განმარტოება უნდოდა, დას უარი უთხრა, არ წაიყვანა. ნაწყენი გოგონა შინ შებრუნდა და პიანინოს თავზე დადებულ ძმის სურათს ხელი წამოავლო, იატაკზე დაანარცხა და ფეხით შედგა — შენც ასე დამტვრეული მენახეო შენს ახალ მანქანაშიო... წყევლა შეუსრულდა ძმას...

ორიოდ საათში ის მართლაც მოხვდა ავარიაში...

— ფოტო რა შუაშია, ეს საშინელი დამთხვევაა!..

— ამქვეყნად ყველაფერი შემთხვევით ხდება, ჩემო კარგო, მე რასაც გეუბნები, შეგიძლია დაიჯერო, შეგიძლია ახლავე დაივიწყო. მე კი მაინც გეტყვი, — ფოტოსურათის გაჩუქებისგან ყოველთვის უნდა შეიკავოთ თავი, რადგან ადრე თუ გვიან იგი ზედმეტი ხდება ყველაზე ახლობელი ადამიანებისთვისაც კი. საკუთარი წარსული მხოლოდ ჩვენ გვაინტერესებს, თორემ სხვებისთვის იგი ზედმეტი ბარგია. არავინ იცის, სად წაიღებენ ზედმეტ ფოტოსურათებს. როცა სურათს ჭრიან და რამდენიმე ადამიანს აცალკევებენ, შეიძლება სინამდვილეშიც დაშორდნენ ერთმანეთს ეს ადამიანები. მათ შორის, მოყვარული ცოლ-ქმარიც კი.

— XXI საუკუნეში შეუძლებელია ფოტოგრაფიაზე უარის თქმა, არც მისი გავრცელებაა რთული — თუნდაც პრესის საშუალებით...

პრესა სხვა რამეა და იქ ფოტოსურათის ასლი ხვდება, რომელიც ელექტრონული დამუშავების შემდეგ ცოცხალი ენერგიის მატარებელი აღარაა. მე ფოტოს პირველ პირზე გეუბნებით, რომელიც პატრონმა აუცილებლად თავად უნდა დაიტოვოს და შეინახოს.

სხვათა შორის, ჯგუფური სურათი არაა ისე საშიში, რადგან მასზე რამდენიმე ადამიანის აურაა და გაძლიერებულია მისი დამცავი მექანიზმი. ინდივიდუალური ფოტო კი დაუცველია!..

სხვათა შორის, მეც შემთხვევით აღმოვაჩინე საკუთარ თავში ფოტოსურათზე ზემოქმედების უნარი. ვიცოდი, ქმარი რომ მღალატობდა, მაგრამ საყვარლის სურათი ჯიბეში რომ აღმოვუჩინე, ეს ჩემთვის ნამდვილი შოკი იყო. ჯოჯოხეთის ცეცხლმა დაწვას-მეთქი, დავწყევლე და ბუხარში შევაგდე. ის ქალი მართლაც ხანძრის მსხვერპლი გახდა ორი კვირის შემდეგ...

...აქ შევწყვეტ გაგრძელებულ სიტყვას. ვფიქრობ, საკმარისია დასკვნების გასაკეთებლად იმათთვის, რომელთაც ასეთი რამეების სჯერა.

ინგა ჯაყელი

სიზმარში გაცნობილი ბაბუა



იმ ზაფხულს თბილისში საშინელი სიცხე იყო, ცოლ-შვილი აგარაკზე მყავდა გასტუმრებული და შინ მარტო ვიყავი. ერთ ღამეს, როცა ძველი მთვარე გაქრა და ახალი ჯერაც არ იყო ამოსული, უეცრად გამომაღვიძა ვიღაცის ლაპარაკმა. ეს ძალიან უცნაურად მეჩვენა, ვინაიდან ჩემ გარდა ოთახში არავინ იყო.

უკვე თენდებოდა და ოთახში კედელზე გავარჩიე ორი ბუნდოვანი, რუხი ჩრდილი. ვერაფრით მივხვდი, ვინ იყო ის ორი ტიპი და რაზე ლაპარაკობდნენ. ამასობაში ერთი ჩრდილი გაქრა. გონს მოვედი და ვიკითხე: — აქ ვინ არის-მეთქი. მომესმა სრულიად მოულოდნელი პასუხი: — მე, შენი ლადო ბაბუა ვარო. ჩემს ერთ ბაბუას ნიკო ერქვა, მეორეს — აკაკი, ეს ლადო ვინღა იყო!

რაღაც ძალამ მაიძულა ადგომა, მივედი იმ რუხ ჩრდილთან და მივესალმე: — გამარჯობა, ბაბუ-მეთქი. მინდოდა მოვხვეოდი, მაგრამ მოვეხვიე... სიცარიელეს. ოთახში არავინ იყო, მხოლოდ კედლის საათის წიკწიკი ისმოდა.

ორი-სამი დღის შემდეგ დეიდას ვესტუმრე, რომელიც ჩემს დასთან ცხოვრობს და ეს ამბავი მოვუყევი. დეიდამ მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მიამბო: თურმე ბებიას დედაჩემი თავისი კანონიერი ქმრისგან კი არა, შეყვარებულისგან გაუჩენია, რომელსაც ლადო ერქვა. ლადო ომში წაუყვანიათ, ბებია ორსულად დარჩენილა. იმ ცათა ტეხიდან ლადო აღარც დაბრუნებულა. დიდმა ბაბუამ, შეძლებულმა კაცმა, თავისი ქალიშვილი ქალაქში წამოიყვანა და სირცხვილის თავიდან ასაშორებლად სასწრაფოდ ერთ ბოგანო ბიჭს მიათხოვა...

თეიმურაზ ბ-ძე, ქუთაისი

„საზალღო–სალაღო“ გვერდის პასუხები

I. სიონი.

II. მე-5 და მე-11 ყვავილები.

III. აბა, გამოიცანი:

1) — ა); 2) — დ); 3) — ბ); 4) — ბ); 5) — გ); 6) — დ); 7) — გ); 8) — ა).

6 წლის „სასიძოს“ ტკბილად ეძინა

მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა შეყვარებულები საფრანგეთის ქ. ალენკონში ცხოვრობენ: 4 წლის გოგონა დილის 6 საათზე შინიდან გაიქცა თავის 6 წლის შეყვარებულთან.

საპატარძლოს გადაწყვეტილების სერიოზულობას ადასტურებს სავსე ზურგჩანთა, რომელშიც წინდახედულად ჩაალაგა მთელი თავისი ქონება — დაწყებული კბილის ჯაგრისით და სათამაშოებით და დამთავრებული ზამთრის ქურთუკითა და ჩექმებით. მაგრამ გაქცეულს გზა გადაულობა ფხიზელმა მეზობელმა, რომელიც დაინტერესდა, ასე ადრიანად ამხელა ზურგჩანთით სად მიბაკუნობდა პატარა გოგონა. ამ უკანასკნელმა ამაყად განუცხადა, — ჩემს შეყვარებულთან მივდივარ, ორშაბათს დაქორწინებას ვაპირებთო. გაოცებულმა მეზობელმა მაშინვე შეატყობინა პოლიციას. „პატარძლის“ მშობლები შეაშფოთა ქალიშვილის საქციელმა. ისიც გაირკვა, რომ „საქმროს“ იმ დროს ტკბილად ეძინა და არაფერი იცოდა თავისი ქორწილის შესახებ.

მეგაპოლის-ექსპრესი №27

ქალთა ქალაქი

საუდის არაბეთში ქალებს მოჰბეზრდათ მხოლოდ განათლების სფეროში მუშაობა და ფიზიკური შრომა გადაწყვიტეს, ოღონდ ერთი პირობით: არც ერთი მამაკაცი წარმოებაში.

ხელისუფლება აპირებს ქალებს სურვილი აუსრულოს. ამისთვის 600 ათას კვ.მეტრზე პორტ ჯიდას მახლობლად ააგებენ საწარმო-ქალაქს. მის 83 საწარმოში დაახლოებით 10 ათასი ქალი იმუშავებს. ქალები შეასრულებენ როგორც უბრალო მუშის საქმეს, ასევე დაიკავებენ საპასუხისმგებლო პოსტებსაც. „ქალთა ქალაქში“ ძირითადად აწარმოებენ ტანსაცმელს, კოსმეტიკას და პარფიუმერიას.

ოგონიოკი №25

როცა მილიარდერები ტირიან...

თურმე მილიარდერებსაც არ უმართლებთ, — პლანეტის უმდიდრეს კომპიუტერულ მაგნატს და მის ცოლს, მელინდას, ჩამწარდათ შვებულება, რომლის გატარებასაც იტალიაში აპირებდნენ. როგორც კი დაინახეს ბიზნესმენის შვეულმფრენი, რომელიც ის იყო, ეშვებოდა სტრომბოლის კუნძულზე, აპენინელებმა კარაბინერები გამოიძახეს. ეს პატარა კუნძული ნაკრძალად ითვლება და იქ ჩასვლის უფლება არავის აქვს.

განაწყენებული გეიტსი იახტით სარდინიას ეწვია, მაგრამ ვერც იქ მოახერხა დასვენება, რადგან რომანტიკული ვახშმის მოწყობა განიზრახა და ბრძანა, სანაპიროზე დაედგათ ავეჯი და 300 შანდალი. ამ ჩანაფიქრის განხორციელებას ხელი შეუშალეს დაკვირვებულმა იტალიელებმა. გამოძახებულმა ეკოპოლიციამ მილიარდერი მეუღლესთან ერთად იახტაზე დააბრუნა...

ოტდოხნი! №24

მუსოლინის შვილიშვილი დეპუტატია

იტალიის პარლამენტის დეპუტატის, 42 წლის ალესანდრა მუსოლინის ეშინია მის ოჯახს. როცა ალესანდრა უახლოვდება თავის ვილას, ქმარი და სამი შვილი კართან ჩამწკრივებული ელოდება.

— არაერთხელ უთქვამთ, — ამბობს დუჩეს შვილიშვილი, — რომ ჩემს გარეგნობაში არის რაღაც ისეთი, რაც აკრთობს ადამიანს. ეს ალბათ ბაბუის გენია.

ძალიან ნებისყოფიანი და დამოუკიდებელი ალესანდრა ყურს უგდებს მხოლოდ ორიოდე ადამიანის რჩევებს — დედის, მარია შიკოლონეს (სოფი ლორენის და) და ქმრის, მაურო ფლორიანის, რომელსაც დეპუტატი „ჩემი სიცოცხლის სიყვარულს“ ეძახის.

ალესანდრას თქმით, რომელიც ამაყად ატარებს ქალიშვილობის გვარს, მაურო იდეალური თანამგზავრია.

დეპუტატი ამოუწურავი ენერგიითა და მრავალფეროვანი ინტერესებით გამოირჩევა. რასაც მოჰკიდებს ხელს, ყველაფერს ბრწყინვალედ აკეთებსო, სწამს მაუროს. ის ყველგან და ყველაფერში გვერდით უდგას მეუღლეს. მაგალითად, როცა ალესანდრამ თავი მოსინჯა კინოში, მაურომ, ეკონომისტმა და იღბლიანმა ბიზნესმენმა, კინოს ისტორიის შესწავლას მოჰკიდა ხელი, ხოლო როცა ალესანდრამ ჩააბარა სამედიცინო ინსტიტუტში, ერთგული მეუღლე სამედიცინო ლიტერატურას ჩაუჯდა. მაურო ყოველთვის თან მახლავს საქმიან შეხვედრაზე, მაგრამ განზე დგება ხოლმე, რადგან რეპორტიორები ალიზიანებენ. მას ზოგი „ცოლის მონასაც“ კი ეძახის, მაგრამ ასე არ არის. ის დამოუკიდებელი, პატივმოყვარე, წარმატებული ადამიანია. ოჯახში ყველაფერს ის განაგებს. ბედნიერებას ქორწინებაში მხოლოდ მაშინ მიაღწევ, თუ ცოლ-ქმარს ერთნაირი ინტერესები აქვს.

მოვლილი და დახვეწილი ალესანდრა გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურება, ვიდრე არის. არ სჭირდება სტილისტი, თავად ილებავს თმას, ივარცხნის, ნილბებს იკეთებს. მის გარდერობში უამრავი ლამაზი კაბაა. მაგრამ ის ამჯობინებს საქმიანი ქალის სამოსს და დაბალქუსლიან ფეხსაცმელს. ჟურნალისტები ხშირად ეკითხებიან, ასეთ მშვენიერ ქალს ნუთუ თვალი არასოდეს წაგსვლიათ სხვა მამაკაცისკენო, რაზეც „რკინის ლედი“ ხუმრობით პასუხობს: — ჩემი რომანის გმირი შეიძლებოდა გამხდარიყო მელ გიბსონი. მასთან ერთად უკაცრიელ კუნძულზეც კი გავიქცეოდი, ოღონდ მისი ცოლისა და ჩემი ქმრის თანხმობით.

ჯენტე

ყალბ ფულთან მებრძოლი

თუკი ბანკნოტის სიყალბის შემოწმება გსურთ, იოშიჰიდე მაცუმარას უნდა მიმართოთ. ის მსოფლიოში სახელგანთქმული ყალბი ფულის მჭრელებთან მებრძოლი დეტექტივია. სწორედ მან 90-იან წლებში აღმოაჩინა ის უზუსტობა, რომელიც ჩრდილო კორეაში დაბეჭდილ ასდოლარიანებს ჰქონდა. მსოფლიოში ვერც ერთმა აპარატმა თუ ექსპერტმა ვერ განასხვავა მაშინ ერთმანეთისგან ყალბი და ნამდვილი ბანკნოტები. მაცუმარამ კი აღმოაჩინა, რომ ჩრდილოკორეულ ყალბ ბანკნოტზე, ბენჯამენ ფრანკლინის ტუჩის მარჯვენა მხარე „ოდნავ მეტად იღიმებოდა“, ვიდრე ორიგინალში. დეტექტივი აცხადებს, რომ სულ მალე გაიყიდება 4.500 დოლარად ღირებული ბანკნოტების შესამოწმებელი აპარატი, რომელიც თითქოს 100%-იანი სიზუსტით გაარჩევს სიყალბეს. მაცუმარას აგენტებმა, რომლებიც რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთში მუშაობენ, აღმოაჩინეს ჩრდილოკორეული ახალი „სუპერასდოლარიანები“, რომლებიც ორიგინალებისგან თითქმის არ განსხვავდება. დეტექტივის განცხადებით, თუკი ადრე ჩრდილო კორეა ამერიკულ დოლარს „იმპერიალიზმის მთავარი ბურჯის ეკონომიკის შესარყევად“ ბეჭდავდა, დღეს ფხენიანმა პოზიცია შეიცვალა და ყალბი ფულით უცხოურ მაფიებს ამარაგებს. მაცუმარასათვის ცნობილი გახდა, რომ ჩრდილო კორეაში სულ მალე დაიწყებენ ყალბი ევროების დამზადებასაც. ყალბი ჩრდილოკორეული ევროების გარჩევა თითქმის შეუძლებელი იქნება, თუ, რა თქმა უნდა, გამოცდილ მაცუმარას არ ჩაუვარდა ხელშიო, — ვარაუდობენ.

ნიუ ზუიქი

სილამაზე გადაარჩენს თხებს

სილამაზის კონკურსის ჩატარება იმდენად სარფიანი საქმე გამოდგა, რომ არა მარტო მთელ მსოფლიოს მოედო, არამედ სულ ახალ-ახალი ჯგუფები იქმნება. სილამაზის კონკურსებში მონაწილეობენ პენსიონერები, ბავშვები, ორსულები, პატიმრები და ჯარისკაცები... ხორვატიაში გადაწყვიტეს, უფრო შორს წასულიყვნენ და... თხების სილამაზის კონკურსი ჩაატარეს... გაიმარჯვა პატარა სოფელ მოსელ-რასაში მცხოვრები გლეხის თხამ, ლუსიმ. „ყოველთვის ვიცოდი, რომ ლუსი მსოფლიოში ყველაზე ლამაზი თხაა. ახლა ეს ოფიციალურად დამტკიცდა“, — თქვა გახარებულმა პატრონმა ივანა პერკომ.

ადამიანის მსგავსად, სილამაზის გვირგვინოსანი თხები, ვალდებულნი არიან, თავის დიასახლისთან ერთად ქვეყანაში იმოგზაურონ და იბრძოლონ ხორვატიაში ბოლო დროს გავრცელებული თხების სულადობის შემცირების წინააღმდეგ. კონკურსი ამიტომაც მოეწყო, — „თავის დროზე ქვეყანაში მილიონზე მეტი თხა იყო, ახლა ათასზე მეტი არაა“, — ამბობენ კონკურსის თაოსნები.

ვლასტი №26

ვინ გამოიგონა კოკა-კოლა?

საყოველთაოდ გავრცელებული სასმლის, კოკა-კოლას დაბადება მარტივი შეცდომის შედეგია. 1886 წელს ფარმაცევტმა ჯონ პამბერტონმა დაამზადა მიქსტურა მატონიზებელი თვისებების მქონე სამხრეთამერიკული მცენარის, კოკას ფოთლების ნაყენისა და აფრიკული კაკლის, კოლასგან.

ფარმაცევტმა გასინჯა გამზადებული მიქსტურა და მოეწონა მისი უცნაური გემო. მისი აზრით, ეს ვაჟინი დაეხმარებოდა ადამიანს კბილის ტკივილის, სტრესისა და დაღლილობისგან თავის დასაღწევად. პამბერტონმა ვაჟინი მიიტანა ქ. ატლანტის ყველაზე დიდ აფთიაქში. იმ დღესვე თითო ჭიქა 5 ცენტად გაიყიდა. ამას მოჰყვა კიდევ ერთი საბედისწერო დამთხვევა: გამყიდველს, რომელიც ვაჟინს წყლით აზავებდა, შეეშალა ონკანები და ჩვეულებრივის ნაცვლად გაზიანი წყალი ჩაასხა. ასეთი გზით მიღებული ნაზავი იქცა კოკა-კოლად.

თავდაპირველად კოკა-კოლა დიდი მოწონებით არ სარგებლობდა, წარმოების პირველ წელს პამბერტონმა მხოლოდ 50 დოლარის კოკა-კოლა გაყიდა. ამჟამად კი ამ სასმელს მსოფლიოს 200 ქვეყანაში სიამოვნებით მიირთმევენ.

მეგაპოლის-ექსპრესი №24

ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში კუბელი პოეტის, ხოსე მარტი ი პერესის სიტყვებს ამოიკითხავთ.

თ. რა ერქვა დათა თუთაშხიას მეგობარს, რომელსაც ხლისტებმა ჩხუბში ამოსთხარეს თვალი; **ქ.** ციხის გალავანი; **ვ.** ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **ნ.** ქართული იუმორისტული ჟურნალი; **ა.** ტექსტის ნაწილი, რომლის პირველი სტრიქონი ოდნავ შეწეულია; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **შ.** იარაღი, რომლითაც დავითმა მოკლა გოლიათი; **ე.** რა ერქვა მიზანა ბრეგვაძის ვაჟს (მხ./ფილმი „შერეკილები“); **მ.** კიპლინგის ნაწარმოები; **ც.** ნაჯახის სინონიმი; **დ.** წელზე შემოწყობილი ხელები, ისე, რომ იდაყვები განზეა გაწეული; **ა.** შხამიანი გველი; **რ.** სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე; **ხ.** მტაცებელ ცხოველთა გუნდი; **ა.** პირისახე წინიდან; **რ.** რა ერქვა აივენჰოს სატრფოს; **თ.** წვრილი ღვედი; **ა.** ჭუჭრუტანიდან ოთახში შემოსული სინათლის სხივი; **რ.** ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; **ჩ.** ქალაქი აშშ-ში; **ე.** მეგრული კერძი; **ვ.** კომედიური ჟანრის რუსი მსახიობი; **ა.** ფეთქებადი ნივთიერება; **ნ.** დინამიტის გამომგონებლის გვარი; **შ.** ხის, ლითონის ან რკინაბეტონის ძელი, რომელსაც გარდიგარდმო აგებენ რკინიგზის რელსების საყრდენად; **ი.** უნგრული საავტომობილო ფირმა, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირს ავტობუსებით ამარაგებდა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

შ. შოსე; **ე.** ეტალონი; **ი.** იშხანი; **ძ.** ძვირი; **ი.** ილფი; **ნ.** ნიაგარა; **ე.** ერთაოზი; **თ.** თაობა; **კ.** კრატერი; **ვ.** ვიშნუ; **ი.** იშტა; **რ.** რეესტრი; **ი.** იორდანე; **ს.** სტიმული; **პ.** პუმა; **ა.** ამონი; **ლ.** ლაყუჩი; **ი.** იავა; **ტ.** ტრაპი; **რ.** რეროႩ; **ა.** ამერიკა.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: სახიფათოა შტერი მოყვარე.

ხიდი გააერთიანებს ბოსნიელ ხორვატებსა და მუსლიმანებს

ათწლიანი შესვენების შემდეგ მოსტარში აღდგა მდინარე ნერეტვას ხიდი. ეს ხიდი ბოსნიისა და ჰერცეგოვინას შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლი და ისტორიული სიმბოლოა.

მდინარე ქალაქს ორად ჰყოფს — აღმოსავლეთში მუსლიმანები ცხოვრობენ, დასავლეთში — ხორვატები.

1993 წელს ხიდი ხორვატთა ტანკებმა დაანგრიეს.

1990-იანი წლების პირველ ნახევარში ერთმანეთს ებრძოდნენ ბოსნიელი მუსლიმანები, სერბები და ხორვატები — იუგოსლავიის რესპუბლიკას ინაწილებდნენ.

გენერალი სლობოდან პრლიაკი, რომელმაც გასცა ხიდის აფეთქების ბრძანება, ახლა ჰააგის ტრიბუნალის განაჩენის მოლოდინშია.

შეიარაღებული კონფლიქტის დამთავრების შემდეგაც კი მდინარე ნერეტვის ორივე ნაპირის მცხოვრებნი ერთმანეთს აღარ ხვდებოდნენ.

ქალაქი დღესაც ორადაა გაყოფილი, თუმცა ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა უკვე შეუძლიათ.

გაერო ახორციელებს უმაღლეს კონტროლს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში და ომამდელი ინტერნაციონალური სულისკვეთების აღდგენას ცდილობს. აღდგენილი ხიდი კი ამაში დიდ როლს ითამაშებს.

ლენტა რუ

ევროკომისიის თავმჯდომარე პორტუგალიელია

პორტუგალიის პრემიერ-მინისტრი ჟოზე მანუელ დურაუ ბაროზუ ევროკომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს. ის იტალიელ რომანო პროდის ოფიციალურად 1-ელ ნოემბერს შეცვლის.

თავის საპროგრამო სიტყვაში ჟოზე მანუელ დურაუ ბაროზუმ თქვა: — ევროპას ძლიერი, საიმედო, დამოუკიდებელი ევროკომისია სჭირდება. გპირდებით, რომ ენერგიას არ დავზოგავ ამ მიზნის მისაღწევად.

ევროკომისიის ახალი თავმჯდომარე არ დაეთანხმა საფრანგეთ-გერმანიის წინადადებას, ეკონომიკის დარგში თავმჯდომარის მოადგილის ან სუპერკომისრის თანამდებობის შემოღების თაობაზე.

48 წლის ბაროზუ განათლებით იურისტია, იცის რამდენიმე უცხო ენა. იგი იყო პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი.

ერაყის ომის დროს დიდი დიპლომატიური მოქნილობა გამოიჩინა, კარგი ურთიერთობა შეინარჩუნა როგორც ვაშინგტონსა და ლონდონთან, ასევე პარიზსა და ბერლინთან.

ბი-ბი-სი

სუდანის ხელისუფლებას გენოციდში ადანაშაულებენ

სუდანის პროვინცია დარფურში მომთაბარე არაბებმა მილიონამდე შავკანიანი ფერმერი, მთავრობის მხარდაჭერით, თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან აყარეს მათი ქონების ხელში ჩასაგდებად. ეს კონფლიქტი წელიწად-ნახევარია გრძელდება.

აშშ-ის პრეზიდენტმა სუდანის მთავრობას მოუწოდა, აღკვეთოს მომთაბარეთა თარეში და მსოფლიოს ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს მუშაობის საშუალება მისცეს. აშშ-ის კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სუდანში შექმნილ ვითარებას გენოციდი უწოდა. კონგრესმენები იმედოვნებენ, რომ ტერმინი „გენოციდი“ მსოფლიო საზოგადოებრიობას აიძულებს, მიიღოს შესაბამისი ზომები ძალმომრეობის აღსაკვეთად.

გაერომ დარფურში შექმნილი ვითარება ყველაზე სერიოზულ ჰუმანიტარულ კრიზისად მიიჩნია.

ლტოლვილთა ბანაკებში თითქმის აღარ დარჩა მედიკამენტები, სურსათი და წყალი.

სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მუსტაფა ოსმან ისმაილმა განაცხადა: — გაეროს არა აქვს ჩემი ქვეყნის საქმეებში ჩარევის უფლებაო.

გაერო და თეთრი სახლი აქამდე ცდილობდნენ, სუდანში შექმნილი ვითარებისთვის გენოციდი არ ეწოდებინათ, რადგან ამ ტერმინის გამოყენების შემთხვევაში მსოფლიო საზოგადოებრიობა ვალდებული ხდება ქვეყნის საქმეებში ჩაერიოს.

ნიუს რუ

მოკლედ

სამხრეთ კორეიდან ჩრდილო კორეაში ჰუმანიტარული დახმარება პირველად ჩავიდა სახმელეთო გზით. ფხენიანმა და სეულმა ივნისში მოილაპარაკეს, რომ 100 ათასი ტონა ბრინჯი დანიშნულების ადგილზე სატვირთო მანქანებით ჩავიდოდა. კომუნისტურ კორეაში 90-იანი წლებიდან გრძელდება შიმშილობა, სეული ჩრდილოეთს 1995 წლიდან ეხმარება, მაგრამ მას აქამდე მხოლოდ საზღვაო გზით აძლევდნენ ჰუმანიტარული ტვირთის ჩატანის ნებას.

ევროპარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს ესპანეთის წარმომადგენელი, სოციალისტი ხოსე ბორელი.

პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა ეჟი შმაიძინსკიმ განაცხადა, რომ ერაყში ტერორისტების მიერ პოლონეთის მოქალაქეების მძევლად აყვანის შემთხვევაში პოლონეთი მოლაპარაკებას არ დაიწყებს დამნაშავეებთან. მისი აზრით, არასწორად მოიქცა ფილიპინების ხელისუფლება, რომელმაც თავისი მოქალაქეების გატაცების შემდეგ ერაყიდან ჯარი გამოიყვანა.

ამჟამად ერაყში მსახურობს 2.500 პოლონელი ჯარისკაცი. ქვეყანაში იმყოფება დაახლოებით 500 პოლონელი მეწარმეც.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ისრაელი გაკიცხულია იორდანეს სანაპიროზე ე.წ. „უსაფრთხოების კედლის“ აგების გამო. ამით გენერალური ასამბლეა დაეთანხმა ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს, რომელმაც ისრაელის მოქმედება უკანონოდ ცნო.

ერაყში სარფიან საქმედ იქცა მძევლების აყვანა გამოსასყიდის მისაღებად. ამჟამად დღეში 25-30 ასეთი შემთხვევა ფიქსირდება, ძირითადად, ბაღდადში. ბანდები, რომლებიც სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ ბანკებს, მაღაზიებს ძარცვავდნენ, ახლა ადამიანების გატაცებით შოულობენ ფულს. გამოსასყიდი 500 დოლარიდან ასი ათას დოლარამდეა.

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა, პრეზიდენტობის კანდიდატმა ვიქტორ იანუკოვიჩმა და პროფკავშირების ფედერაციის თავმჯდომარემ, ალექსანდრ სტოიანმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომელშიც ნათქვამია, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში ვიქტორ იანუკოვიჩი ყველაფერს იღონებს მოქალაქეების ცხოვრების დონის ამაღლებისა და შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზებისთვის. 31 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე პროფკავშირების ფედერაცია მხარს დაუჭერს ვ. იანუკოვიჩის კანდიდატურას.

ისრაელის პრემიერმა, არიელ შარონმა ანტისემიტიზმთან ბრძოლის უუნარობაში დაადანაშაულა საფრანგეთი და იქ მცხოვრებ ებრაელებს მოუწოდა — სასწრაფოდ დაბრუნდით სამშობლოშიო. შარონის ნათქვამმა აღაშფოთა როგორც საფრანგეთში მცხოვრები ებრაელობა, ასევე ოფიციალური პარიზიც.

პუტინმა დსთ-ის დაშლა იწინასწარმეტყველა

კრემლში, ვლადიმირ პუტინის თავმჯდომარეობით, გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც იმსჯელეს დსთ-ში რუსეთის პოლიტიკაზე.

ვლადიმირ პუტინმა პირველად აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დაშლის შესაძლებლობა — ჩვენ დსთ-ის განვითარებაში გარკვეულ ზღვარს მივუახლოვდით. ახლა ვდგავართ ალტერნატივის წინაშე: დსთ ან უნდა იქცეს მსოფლიოში გავლენიან სტრუქტურად, ან ეს გეოპოლიტიკური სივრცე აღარ იარსებებსო.

რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა კი სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს კატეგორიულად განუცხადა, — არ უნდა გვეგონოს, რომ ჩვენ შეგვიძლია დსთ-ის წევრ ქვეყნებს ჩვენი პირობები ვუკარნახოთ, თანამეგობრობის ქვეყნები სუვერენული სახელმწიფოები არიან და თავად ირჩევენ პარტნიორებსო.

თუმცა ეს განცხადება იმას არ ნიშნავს, თითქოს მოსკოვს პოსტსაბჭოთა სივრცეში ლიდერობაზე პრეტენზია არა აქვს. ეს უფრო იმის აღიარებაა, რომ რუსეთი უკვე აღარ არის პირველი თანასწორთა შორის. გარდა ამისა, მოსკოვი გრძნობს, რომ მისი ამბიციები აღიზიანებს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურ ელიტას — ისინი უკვე საკმარისად გაძლიერდნენ და აღარ სურთ რუსეთი უფროსი ძმის პოზიციიდან ელაპარაკოს.

— დსთ-ის ქვეყნები მზარდი პოლიტიკური და ეკონომიკური კონკურენტები არიან, — აღიარა პუტინმა და შესაბამისი დასკვნაც გამოიტანა, — თუ გვინდა პოზიციები გავიმაგროთ, დსთ-ის ქვეყნებს საერთო ამოცანების გადასაჭრელად ეფექტიანი, ყველასთვის მისაღები ვარიანტები უნდა შევთავაზოთ.

საფიქრებელია, რომ დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერთობის ახალი მოდელის დამუშავებისას მოსკოვი საფუძველს ამზადებს მათთან ეკონომიკური ანგარიშსწორების (მაგალითად, ენერგომატარებლების მიყიდვის დარგში) ახალი ფორმის შემოსაღებად. ასე რომ, რუსეთი თავის პირობებს დსთ-ის ქვეყნებს ახლა უკვე ოფიციალური ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების გზით წაუყენებს.

კომერსანტი №130

კატასტროფის ვერსიები

ჩქარი მატარებელი სტამბოლი-ანკარა ლიანდაგს ასცდა, რასაც 138 კაცის სიცოცხლე შეეწირა, 57 — მძიმედ დაშავდა. თურქეთის ტრანსპორტის სამინისტროსთან შექმნილი შტაბის წარმომადგენელთა განცხადებით, დადგინდა დაღუპულთა გვარები. ისინი თურქეთის მოქალაქეები არიან.

ტრაგედიის ადგილი თურქეთის პრემიერმა თაიფ ერდოჰანმა ინახულა. ამის გამო მან გადადო სამუშაო ვიზიტი ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში.

პრემიერ-მინისტრმა თანაუგრძნო დაღუპულთა ოჯახებს, დაზარალებულებს — მალე გამოჯანმრთელება უსურვა.

თურქეთის რკინიგზის წარმომადგენლების დასკვნით, დაიღუპნენ და დაზიანდნენ მხოლოდ პირველ ვაგონებში მყოფნი, დანარჩენებმა ვაგონების დატოვება მოახერხეს. მატარებელში სულ 250 მგზავრი იყო.

თურქეთის რკინიგზის ხელმძღვანელობა აცხადებს, — ავარიის მიზეზი სიჩქარის გადაჭარბება ვერ იქნებოდა, რადგან ამ რაიონში შემადგენლობა მოძრაობდა ისე, როგორც უნდა ემოძრავა სამგზავრო მატარებელს — 75 კმ/სთ სიჩქარით.

არსებობს კატასტროფის მიზეზის ორი ვერსია — ჩქარი მატარებელი ან ლიანდაგის გაუმართაობის გამო გადავარდა, ან ლოკომოტივი იყო დაზიანებული.

ვესტი რუ

გაერო ერაყში ბრუნდება

გაეროს მისია მუშაობას განაახლებს აგვისტოში, ერაყში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლის, აშრაფ ჯაჰანგირ ღაზის ჩასვლის შემდეგ. გამოცდილი დიპლომატი, 62 წლის ღაზი ადრე აშშ-ში პაკისტანის ელჩი იყო. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა: — ერაყელებს ჩვენი იმედი აქვთ და მოლოდინი არ უნდა გავუცრუოთ.

ერაყში ომის დაწყების შემდეგ გაეროს წარმომადგენლობაში აქ 600-ზე მეტი წარგზავნილი მუშაობდა. მათ ქვეყანა გაეროს ყოფილი წარმომადგენლის, სერჟიო ვიეირ დე მელოს მოკვლისთანავე დატოვეს. დე მელო ბაღდადში ტერაქტის შედეგად დაიღუპა.

ამჟამად ერაყში მისიის შემადგენლობიდან 20-მდე თანამშრომელი იმყოფება, დანარჩენები მუშაობას მეზობელ იორდანიაში განაგრძობენ.

ერაყში, მომავალ საერთო ეროვნულ არჩევნებზე, გაეროს დამკვირვებლების ყოფნა აუცილებელია, მაგრამ მათი უსაფრთხოების დაცვა არც ისე ადვილია. ჯერჯერობით, ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ გამოყო თავისი ჯარისკაცები მისიის დასაცავად. თუმცა ამ საკითხს განიხილავდნენ პაკისტანის, ნეპალის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და უკრაინის მთავრობები. პაკისტანმა კერძოდ, განაცხადა, რომ მზად არის მისიის დასაცავად, თუ სხვა მუსლიმანური ქვეყნებიც იმავეს გააკეთებენ.

იზვესტია №131

გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ

ნოვო-პასიტი — ბუნებისაგან ბოძებული სიმშვიდე!

შავი ყვითელი ლურჯი წითელი

კოკაი ახალი ტიტულისთვის ემზადება

ქართველმა სუმოისტმა, იაპონიაში კოკაიდ მონათლულმა ლევან ცაგურიამ დადებითი ბალანსით (8:7) ჩაამთავრა ელიტურ დივიზიონში ასპარეზობა. სუმოს წესებით, მძიმეწონოსანთა არენაზე, იმ კატეგორიაში, სადაც კოკაი გამოდის, 9 მოგების შემდეგ კომუსუბის რანგს ანიჭებენ, რაც მეოთხე ტიტულის ტოლფასია. ჩვენებურმა 8 შერკინებაში გაიმარჯვა და თუ ფედერაციამ ივლისის ტურნირის შედეგების მიხედვით ტიტულიანი სუმოისტებიდან რომელიმე დააქვეითა, იგი მათ ადგილს დაიკავებს.

მშვენივრად აღებული სტარტის შემდეგ კოკაის მარცხი გაუშინაურდა, მაგრამ დასკვნით ეტაპზე მდგომარეობა გამოასწორა და კაჩიკოში გაახერხა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოგებულმა ორთაბრძოლებმა წაგებულს გადააჭარბა. გახდება თუ არა პრესტიჟული ტიტულის — კომუსუბის მფლობელი ქართველი სუმოისტი, 30 აგვისტოს იქნება ცნობილი, როდესაც ფედერაცია რეიტინგს გამოაქვეყნებს და ახალი ბაშოსთვის მზადება დაიწყება. საამისოდ კოკაი ინტენსიურად ემზადება. სექტემბრამდე იაპონიის სხვადასხვა ქალაქში საჩვენებელ გამოსვლებში მიიღებს მონაწილეობას, ბოლოს კი ათდღიან შეკრებაზე, კიოტოში წაივარჯიშებს. საინტერესოა, რომ სექტემბრიდან კოკაი ერთადერთი ევროპელი აღარ იქნება ელიტურ დივიზიონში, მას ოსი როჰო და ბულგარელი კოტაიშუ დაემატებიან და ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებს ეროვნული სპორტის სახეობაში ტოლს არ დაუდებენ.

ბრაიკოვიჩის ქართველები ევროპის ასაღებად ემზადებიან

შემონდ უილიამსი

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები სამწლიანი პაუზის შემდეგ ისევ შეიკრიბა და ხორვატი მწვრთნელის დრაჟენ ბრაიკოვიჩის თავკაცობით იტალიის საკუროორტო ქალაქ სან-ჯორჯიას წარმომადგენლობით ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ქართველთა ბანაკში დიდი ცვლილებებია, უპირველესი კი NBA-ს ვარსკვლავის შემონდ უილიამსის ჩვენს ეროვნულ გუნდში ჩარიცხვაა. ასეთი სურპრიზით არასოდეს ვყოფილვართ განებივრებულნი და უილიამსის სახით კარგი გამთამაშებლის შეძენის საზრუნავი რომ მოგვეხსნა, ეს უდავოა. საქართველოს ნაკრების პირველი მატჩი რუსებთან ამის დასტური იყო. შემონდმა 26 ქულა და 7 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. დებიუტანტისთვის კი ეს შედეგი მართლაც შთამბეჭდავია, რუსები, რა თქმა უნდა, მოედანზე სასეირნოდ არ გამოსულან — ათენის ოლიმპიადის წინ ბოლო რეპეტიციას გადიან და როგორც ყოველთვის, სერიოზული მიზნები აქვთ დასახული. ბრაიკოვიჩის შეგირდებმა მშვენივრად ითამაშეს და ძლიერი მეტოქე 16 ქულის სხვაობით 87:71 დაამარცხეს. რუსებს NBA-ს ცენტრი კირილენკო აკლდა, რაც სერიოზული დანაკლისია, მაგრამ არც ჩვენ გვყავდა იმავე ლიგაში მოთამაშე ლეგიონერები სტეფანია და ცქიტიშვილი, ტრავმის გამო ვერც საფრანგეთში ბრწყინვალედ მოთამაშე ნაცვლიშვილმა იასპარეზა. ასე რომ, საქართველოს ნაკრებს თამამად შეუძლია ოპტიმალური შემადგენლობით დიდ მიზნებზეც იფიქროს. თავად განსაჯეთ: NBA-ში უილიამსის ჩათვლით უკვე ხუთი კალათბურთელი გვყავს „მივლინებული“, ამას დაუმატეთ ევროლიგაში გამობრძმედილი ბოისა, ყოველთვის თავგანწირული ნაცვლიშვილი, „ბენეტონის“ ახალგაზრდა ვარსკვლავი მარკოიშვილი და ცსკას „იმედი“ ცინცაძე. ეს მეტად სოლიდური ძალაა და მასთან ერთად ბრაიკოვიჩის შემატებული „დინამოელებით“ სერიოზული გუნდი უნდა შეიქმნას. სან-ჯორჯიას ტურნირი ამ მხრივ მართალაც მისწრება იყო. თუ რაიმე აკლია ჩვენს გუნდს, უპირველესად შეთამაშება, თორემ ინდივიდუალურად მოთამაშეები არავის ჩამოუვარდებიან. ეს მოსაზრება იტალიის ნაკრებთან ხუთშაბათს ჩატარებულმა მატჩმაც დაადასტურა, რომელიც ქართველებმა დათმეს 76:100. ძირითადმა ხუთეულმა მთელი შეხვედრა თითქმის შეუცვლელად ჩაატარა, მაშინ, როცა მასპინძლებმა 12 კალათბურთელი გამოსცადეს და ერთმანეთს ამოსუნთქვის საშუალება მისცეს. რაც შეეხება ბოლო შეხვედრას შვედებთან, მატჩი ქართველთა სრული უპირატესობით წარიმართა და ჩვენივე გუნდის გამარჯვებით დასრულდა — 91:81.

ცხადია, რომ ბრაიკოვიჩი ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება, თუკი სექტემბერში შესარჩევი ეტაპისთვის ყველა კანდიდატს თავს ვერ მოუყრის. თუმცა გვაიმედებენ, რომ სტეფანია და ცქიტიშვილი აუცილებლად შეუერთდებიან საქართველოს ნაკრებს. მათი თავშეყრის შემდეგ კი, შესაძლებელია, ქართულმა კალათბურთმა ძველი დიდების დაბრუნებაზეც იფიქროს.

კლიუვერტი შირერის მეწყვილე გახდა

ესპანეთის „ბარსელონა“ გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, ჰოლანდიელ პატრიკ კლიუვერტს შეელია. როგორც ჩანს, პატრიკს კატალონიურ კლუბში ბურთაობა მოჰბეზრდა და საფეხბურთო „ჰაერის“ გამოცვლა გადაწყვიტა. ამის ერთ-ერთი მიზეზი მისი საკმაოდ მაღალი ანაზღაურება იყო, რომლის გადახდა „ბარსამ“ აღარ ისურვა და წამყვანი ფეხბურთელის გასხვისებაზე თანხმობა განაცხადა. კლიუვერტის მსურველ კლუბებს რა გამოლევდა, მაგრამ უფრო საქმიანი მათ შორის ინგლისის „ნიუკასლი“ გამოდგა. კონტრაქტი, რომლის ფინანსური დეტალები არ ხმაურდება, 3-წლიანია და ამიერიდან პატრიკი პრემიერლიგის მატჩებში ალან შირერთან ერთად „დააწიოკებს“ მეტოქის დაცვას. ყველაზე მეტად აღფრთოვანებული ამ ტრანსფერით „ნიუკასლის“ მწვრთნელი სერ ბობი რობსონი იყო, რომელმაც თავის გუნდში მართლაც ძლიერი თავდამსხმელი გადაიბირა. შეგახსენებთ, რომ კლიუვერტი „აიაქსსა“ და „მილანში“ მშვენივრად გატარებული სეზონების შემდეგ ესპანეთში გადაბარგდა და ბოლო ექვსი წლის მანძილზე „ბარსელონას“ რიგებში გამოდიოდა, სადაც წამყვან ფეხბურთელად იქცა.

ფარერის ჩემპიონმა მეორედ დაგვცინა!

ალბათ მწარედ გახსოვთ ორიოდე კვირის წინ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისში ფარერის უსახური გუნდის სტუმრობა და მათ მიერ მოყენებული შეურაცხყოფა. ნამდვილად არ გვეგონა, თუ „ვიტ-ჯორჯია“ საპასუხო მატჩში იმაზე უარეს სირცხვილს აჭმევდა საქართველოს, ვიდრე ეს ზრდილობასთან მწყრალად მყოფმა კუნძულელებმა ჩაიდინეს. ჩვენ არც მიზეზებს დავუწყებთ ძებნას, არც ქალაქში მოარულ არცთუ უსაფუძვლო ხმებზე გავამახვილებთ ყურადღებას, უბრალოდ, შევახსენებთ ჩვენს ფეხბურთელებს, რომ არსებობს ასეთი გრძნობა — ღირსება, რომლის დაცვაც სწორედ მაშინაა ყველაზე აუცილებელი, როდესაც საქმე ქვეყნის ინტერესებს ეხება.

თუმცა რომელი ქვეყანა? რომელი ინტერესები? რომელი ღირსება? რატომ იწოდება საქართველოს ჩემპიონად გუნდი, რომელიც სალაზღანდაროდ და გასართობად მწვანე მინდორზე გამოსულ სულ სხვა პროფესიის ადამიანებთან 0:3-ს აგებს და ამას მომდევნო რაუნდის წინ ძალთა დაზოგვით ხსნის? მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: გაუშვით ფარერის ჩემპიონთან სათამაშოდ ის ბიჭები, ვისაც უბანში ბურთი გაუგორებია და პროფესიულ საფეხბურთო კლუბთან შეხება არასოდეს ჰქონია, გაუშვით და ნახავთ, რა განსხვავებაა საქართველოს ჩემპიონ „ვიტ-ჯორჯიასა“ და ქუჩის ნაკრებს შორის. ნახავთ, ვის მეტი ღირსება გააჩნია, მოყვარულებს თუ უღირს პროფესიონალებს. ამის შემდეგ გვიკვირს, რომ ნახევარი თბილისი ნასესხები ფულით გარბოდა ქალაქის ტოტალიზატორებში ფარერელთა მოგებაზე ფსონის დასადებად...

აქ ძალთა დაზოგვა „ვისლასთან“ მატჩის წინ, თვალში ნაცრის შეყრაა და მეტი არაფერი. გულშემატკივარს ასეთი შეურაცხყოფა არასოდეს ავიწყდება და ამის შემდეგ გული მწყდება, „ვიტ-ჯორჯიამ“ ბოლნისის „სიონის“ ადგილი რომ დაიკავა ცხრილის სათავეში.

მარცხიც გულდასაწყვეტია, მაგრამ როდესაც ქვეყნის პრესტიჟს არად აგდებ მაშინ, როცა შეგიძლია და მოვალეცა ხარ გაუფრთხილდე მას, ამას სირცხვილი ჰქვია. ფარერის ჩემპიონმა მეორედ დაგვცინა. ციხე ისევ შიგნიდან გატყდა! გაყიდული და ნაღალატევი ღირსება კი ბოდიშითა და თავის მართლებით არასოდეს დაბრუნდება. ბოდიშს ჩვენ ვუხდით მკითხველს, პირველი მატჩის შემდეგ „ვიტ-ჯორჯიას“ საქებარი სიტყვები რომ დაგვცდა. აგერ, ჩამოვა პოლონური „ვისლა“ და რაც ღირსებააყრილმა ფეხბურთელებმა მასთან პაექრობისას ქება-დიდება მიიღონ, ნურავის გაუყოფენ.

ბერძნები კლუბებსაც აძლიერებენ

ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი რივალდო თავისი სპორტული კარიერის ფინიშზე კლუბიდან კლუბში მოგზაურობისას უფრო მეტ დროს კარგავს, ვიდრე საფეხბურთო მინდორზე. ევროპაში სახელგანთქმული მოთამაშე დროებით ბრაზილიას დაუბრუნდა, მაგრამ სამხრეთ ამერიკაში დიდხანს ვერ გაძლო და ისევ ძველ კონტინენტს მიაშურა. თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ რივალდოს ინგლისურ „ბოლტონში“ ეთამაშა, მაგრამ გასულ კვირას მოულოდნელი ამბავი გაჟღერდა: ბრაზილიელი პირეოსის „ოლიმპიაკოსში“ ჩაირიცხება. ამ ტრანსფერის გარშემო დაწვრილებით არავის უსაუბრია, მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ რივალდო სავარაუდოდ, ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს და ხელფასის სახით თვეში 1,5 მილიონ ევროს მიიღებს. „ოლიმპიაკოსი“ ჩემპიონთა ლიგისთვის ემზადება და რივალდოს გამოცდილება ამ კლუბისთვის ბევრს ნიშნავს. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონადან“ იძულებით წამოსვლის შემდეგ, რივალდოს კარიერა ვერა და ვერ აეწყო, ჯერ იყო და „მილანის“ სათადარიგოთა სკამი ხეხა, შემდეგ ბრაზილიაში გადაბარგდა და ვეღარც იქ მოიკიდა ფეხი და ევროპაში დაბრუნება გადაწყვიტა. საუბარი იყო მის გადასვლაზე მოსკოვის „სპარტაკშიც“, თუმცა მსოფლიოს ყოფილმა საუკეთესო ფეხბურთელმა კარიერის დასრულება საბერძნეთში გადაწყვიტა.

ძუნწი ფრანგები შორს ვერ გაფრინდებიან

ბიქსენტ ლიზარაზიუ

საფრანგეთის ნაკრების მცველი ბიქსენტ ლიზარაზიუ „ბაიერნს“ დაემშვიდობა და სამშობლოს დაუბრუნდა. ამიერიდან იგი მარსელის „ოლიმპიკის“ რიგებში ითამაშებს. ლიზარაზიუს გარდა ფრანგები გერმანული ფეხბურთის კიდევ ერთ გრანდს, დორტმუნდის „ბორუსიას“ გაცხოველებით ევაჭრებიან, რათა ჩეხი გიგანტი იან კოლერი გადმოიბირონ. მოგეხსენებათ, მარსელელებმა საუკეთესო მეგოლე დიდიე დროგბა „ჩელსის“ მიჰყიდეს და ახლა მის შემცვლელს ეძებენ. კოლერი ამ მხრივ მშვენიერი კანდიდატურაა, მაგრამ ფრანგებს ეძვირათ დორტმუნდელთა მიერ შეფასებული ჩეხი, რომლის ფასი 7 მილიონი ევროა. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ აბრამოვიჩმა დროგბას შეძენით „ოლიმპიკის“ ხაზინა 40 მილიონით შეავსო, დღეს კი მარსელის ხელმძღვანელობას კარგი ფორვარდის ვაკანსიის შესავსებად სიძუნწე შეჰპარვია. ასეთი პოლიტიკით კი, ისინი შორს ვერ გაფრინდებიან.

იქცევა კლინსმანი კეთილ ჯადოქრად?

როგორც იქნა, დამშვიდდა საფეხბურთო გერმანია. ფრანც ბეკენბაუერმა მიცემული სიტყვა შეასრულა და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვინაობა მხოლოდ მაშინ დაასახელა, როდესაც ამ ჩახლართულ საქმესთან დაკავშირებული ყველა ნიუანსი გერმანული სიზუსტით მოაგვარა. მინიმუმ ორი წლის მანძილზე ბუნდესნაკრებს გაწვრთნის 90-იანი წლების გერმანული ფეხბურთის ვარსკვლავი, 39 წლის ჰანს იურგენ კლინსმანი.

მსოფლიო ჩემპიონობა — ეს არის ერთადერთი მიზანი, რომელიც ნაკრების ახალ თავკაცს ამ პოსტის ჩაბარებისთანავე დაუსახეს მიზნად. ნებისმიერი სხვა შედეგი ნაკრების მესაჭეს წარუმატებლად წინასწარ ეთვლება. ამ უზარმაზარ პასუხისმგებლობას თვით ისეთი სპეციალისტებიც კი გაექცნენ, როგორებიც ჰიტცფელდი და რეჰაგელი არიან. ბეკენბაუერს სხვა აღარაფერი რჩებოდა, გარდა იმისა, რომ თავად ჩასდგომოდა სათავეში ჰაერში გამოკიდებულ გერმანიის ეროვნულ გუნდს, მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა ზარი ამერიკიდან და გერმანიის საფეხბურთო კავშირს საკუთარი კანდიდატურა თავად იურგენ კლინსმანმა შესთავაზა. ბეკენბაუერმა დასტური მისცა. კავშირის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი და გენერალური მდივანი ჰორსტ შმიდტი გასულ სამშაბათს ნიუ-იორკში, კლინსმანთან შესახვედრად გაფრინდნენ. საიდუმლო შეხვედრა ხუთი საათის განმავლობაში გრძელდებოდა და სამთა რანდევუ ურთიერთშეთანხმებით დასრულდა: გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იურგენ კლინსმანი გახდა, რომელსაც ჰოლგერ ოსიკი დაეხმარება. სწორედ ის ოსიკი, რომელიც 1990 წელს, გერმანიისთვის იღბლიან მსოფლიო პირველობაზე სწორედ კაიზერ ფრანცის მარჯვენა ხელი იყო. ნაკრების მენეჯერად კი ოლივერ ბირჰოფი იმუშავებს.

იურგენ კლინსმანი დიდებული ფორვარდი კი გახლდათ, მაგრამ რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღეს გერმანული ფეხბურთის შეფებმა, რთული სათქმელია, იურგენს არანაირი სამწვრთნელო გამოცდილება არ გააჩნია და ეს ფაქტორი სპეციალისტებსა და გულშემატკივრებს სიფრთხილით განაწყობს. თუმცა, მათ არ ავიწყდებათ, რომ მსგავსი პრეცედენტი ბეკენბაუერის დროსაც მოხდა, როდესაც კაიზერ ფრანცმა ნაკრები ჩაიბარა და მსოფლიო დაიპყრო. მაგრამ ის იყო ბეკენბაუერი — გერმანული ფეხბურთის უპირველესი ლეგენდა, რომლისგან ყოველთვის სასწაულს ელოდნენ და ისიც კეთილი ჯადოქარივით ასრულებდა გულშემატკივართა სურვილს. კლინსმანიც პოპულარული ადამიანია და ეს უკვე პოზიტიური მომენტია, ხოლო ის, რომ მთელი გერმანია უპირველესი მიზნისთვის ბრძოლაში ერთსულოვნად გვერდში დაუდგება, ეჭვს არ იწვევს.

მინიდოსიე:

იურგენ კლინსმანი — დაიბადა 1964 წლის 30 ივლისს, გიოპინგენში (გერმანია).

საკლუბო კარიერა:

1980-84 წ.წ. შტუტგარტერ კიკერსი (გერმანია)

1984-89 — შტუტგარტი (გერმანია)

1989-92 — ინტერი (იტალია)

1992-94 — მონაკო (საფრანგეთი)

1994-95 — ტოტენჰემი (ინგლისი)

1995-97 — ბაიერნი (გერმანია)

1997 — სამპდორია (იტალია)

1998 — ტოტენჰემი (ინგლისი)

ბუნდესლიგაში ჩაატარა 221 თამაში, გაიტანა 110 გოლი. იტალიის სერია ა: 103 თამაში, 36 გოლი

საფრანგეთის პრემიერდივიზიონი: 65 თამაში, 29 გოლი

ინგლისის პრემიერლიგა: 56 თამაში, 29 გოლი

ევროთასები: 58 თამაში, 27 გოლი

გერმანიის ეროვნული ნაკრები: 108 თამაში, 47 გოლი

ოლიმპიადა: 8 თამაში, 4 გოლი

ახალგაზრდული ნაკრები: 8 თამაში, 3 გოლი

სულ კარიერის მანძილზე: 656 მატჩი, 285 გოლი

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი

1996 წლის ევროპის ჩემპიონი

1991, 1996წ.წ. — უეფას თასის მფლობელი

1997 წლის — გერმანიის ჩემპიონი

გვერდი მოამზადა
ზვიად სეხნაშვილმა

შავი ყვითელი ლურჯი წითელი

№29 (407) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საქართველოს მიმართ ყველაზე კეთილგანწყობილი ქვეყნის გამოსავლენად რეიტინგს 475 რესპონდენტი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 159 ქალისა და 309 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი მონაწილეობდა.

ჩვენი მკითხველების აზრით, დღეს საქართველოს მიმართ ყველაზე კეთილგანწყობილი ამერიკის შეერთებული შტატებია. რესპონდენტთა 90%-მა შეაფასა სუპერსახელმწიფო მაქსიმალური — 9 ქულით, მინიმალური — 1 ქულა კი 4-მა მკითხველმა (0,9%) დაუწერა.

8,77 საშუალო ქულით აშშ პირველ ადგილზეა.

რესპონდენტები თვლიან, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ ასევე კეთილგანწყობით გამოირჩევიან გერმანია და დიდი ბრიტანეთი. დასავლური სამყაროს მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ქვეყნების შემდეგ, მკითხველმა ადგილები კეთილ მეზობლებს — აზერბაიჯანსა და თურქეთს მიუჩინა.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანს, გერმანიასა და საფრანგეთს თითო-თითო მკითხველმა (0,2%) მიაკუთვნა მინიმალური — 1 ქულა.

ყველაზე მეტი რაოდენობის მინიმალური ქულით (76,8%) რუსეთი შეაფასდა.

კეთილგანწყობილი ქვეყანა



საპრიზოს ზუსტად სამი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან — 22 წლის ხონელი **ტიტე გეგუჩაძე,** თბილისელები — 56 წლის **გიორგი მხეიძე** და 68 წლის **ციალა ქუფარაშვილი,** აქტიური რესპონდენტი, რომელმაც ამჯერად 13 ბარათი გამოაგზავნა და მათ შორის ერთი ზუსტად დაემთხვა საპრიზო ვარიანტს.

საპრიზო ფონდი — 100 ლარი პრიზიორთა შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 28 ივლისს, 17 საათზე.

№30 (408) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ლეიცინეში* და უპასუხოთ **«მკითხველის პრემიას».**

№30 (408) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 28 ივლისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 29 ივლისის 13 საათამდე.

© თბილისი

თემა №30(408) — მინისტრები

რომელი მინისტრი იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

№30(408) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

№	მინისტრი	ქულა
1	კახა ბენდუქიძე — ეკონომიკის მინისტრი	
2	ირაკლი ოქრუაშვილი — შს მინისტრი	
3	გიორგი გაბაშვილი — კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი	
4	სალომე ზურაბიშვილი— საგარეო საქმეთა მინისტრი	
5	გიორგი ბარამიძე — თავდაცვის მინისტრი	
6	ზურაბ ნოღაიდელი — ფინანსთა მინისტრი	
7	კახა ლომაია — განათლებისა და მეცნიერების მინისტრი	
8	გიორგი ხაინდრავა — სახელმწიფო მინისტრი	
9	ნიკა გილაური — სათბობენერგეტიკის მინისტრი	

მკითხველის ლეიცინეი

თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რომელ პოლიტიკოსს მიესადაგება ფრაზა — „მარტოხელა რაინდი"?

✓ ____________________

მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგში". თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.

ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

ყურადღება! „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

დამატებითი კითხვის შედეგები

თქვენი აზრით, განიცდის თუ არა დღეს სასამართლო პროკურატურის ზეწოლას?



1. დიახ
2. არა
3. არ ვიცი

დამატებით კითხვას 387-მა რესპონდენტმა უპასუხა

ფოტოანტიკვარი © ·ფოტოპალიტრა·

აბა, ვინ ვარ ახლა მე?

— ჩემი სასმელით არ მადღეგრძელებთ?..

ვ.პ. — მიშა, შენ აბაშიძე გამომიგზავნე, მე ბენდუქიძე დაგითმე. წონას შეხედე — მე წაგებაში ვარ!

მ.ს. — რაზეა საუბარი, ცოტა მაცალე — მალე კოკოითსა და არძინბასაც შენთან გამოვუშვებ.

კოკა, დრანდა

მ.ს. — გუშინ დაგინახე და გავიფიქრე, მივალ, ხელს ჩამოვართმევ-მეთქი. მერე გავიფიქრე, ერთი მაგის ოხერი დედაცმეთქი და სახლში წავედი.

ვანო ღვინაშვილი, ჯიმითი

ვ.პ. — *ზდრასტი მიშა,*
კაკოი ტი,
გადარიე კოკოითი!
მ.ს. — *შენ დაეხსენ*
ოღონდ, ვოვა,
ასლანივით აზრზე მოვა!

რეზო სვანიძე, თბილისი

ვ.პ. — ე, ბიჭო მიშა, იქნება როგორმე ერთი კანისტრა ჭოროხის წყალი გამატანო ასლანისთვის, ძალზე მონატრებია.

მ.ს. — კი ბატონო, მაგრამ ბარემ ლიახვის წყალიც გაგეყოლებია, რა იცი, ვისთვის დაგჭირდება.

ნუგზარ ტუაევი, თბილისი

მიხეილ სააკაშვილი, ვლადიმირ პუტინი

ვ.პ. — *(ფიქრები):* „ნეტავ ამ კაცის ფიზიკური მონაცემები მომცა!"

მ.ს. (ფიქრები): „ესეც ალბათ ასლან აბაშიძესავით ნაფტვრაშია"...

მ. გურგენიძე, თბილისი

მგლის და ცხვრის მეგობრობა?!

იოსებ მაგრაქველიძე, თბილისი

მ.ს. — ვოვა, გაისადაც შენს იმედზე ვიქნები შეიარაღებაზე და რაკეტებზე.

ვ.პ. — ჩემს იმედზე? რატომ?

მ.ს. — წელან ორი მანქანა რაკეტები ვიშოვეთ, ახლა „ფაგოტი". მეტი სხვა რამე არა გაქვს?

თემურ ფაჩულია, ზუგდიდი

ფოტო გამოცანისთვის



მარო ცალთვალა მამალს ყიდის ბაზარში.

— რა ღირს? — ეკითხება კლიენტი.

— 10 ლარი.

— ცალთვალა მამალი ათი ლარი? რა ამბავია?!

— ცალთვალა რა, დასაკლავად გინდა თუ სნაიპერად!...

31/VII სავსე მთვარე

მაგნიტური დღეა

28/VII 19-დან 21 საათამდე

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. კორტეჟი; 4. მონტაჟი; 6. რეალი; 7. დერბი; 8. ოფოფი; 9. „იმედი"; 10. არსება; 13. ცეცხლი; 16. კრივი; 18. ამულეტი; 19. კრიზისი; 20. იონჯა; 22. „სტიაუა"; 23. კოლინა; 25. ბარდა; 27. ევორა; 28. იმაგო; 29. რეისი; 30. ამონალი; 31. არადანი.

შვეულად: 1. კოსმეტიკა, 2. იროდიონი; 3. კაბრიოლეტი; 4. მისისიპი; 5. ინტერნეტი; 11. „სქური"; 12. ბიეშუ; 14. ელიბო; 15. ხეირი; 16. კიი; 17. იკა; 21. ნარკომანია; 22. სერვირება; 24. ასტეროიდი; 25. ბრეტიორი; 26. ანაკოფია.



იზაბელ აჯანის სიყვარულში არ უმართლებს

ფრანგული კინოს ვარსკვლავს კიდევ ერთხელ ატკინა გული საყვარელმა მამაკაცმა. მსახიობი ბოლო ორი წელია ცნობილი მუსიკოსის, ჟან-მიშელ ჟარის ოფიციალური საცოლე იყო. შეყვარებულები აგვისტოს ბოლოს აპირებდნენ დაქორწინებას, მაგრამ... რამდენიმე დღის წინ ვარსკვლავმა საქმროს ღალატის შესახებ შეიტყო და ნიშნობაც ჩაიშალა. სამწუხაროდ, იზაბელისთვის ეს პირველი ღალატი არ ყოფილა. მსახიობი მისი ოცნების მამაკაცმა, დენიელ დეი ლუისმა მიატოვა... მშობიარობის წინ. ამიტომაც მტკივნეულად განიცადა აჯანიმ მორიგი ღალატი. „როგორ მჯეროდა ჟან-მიშელის და თურმე, როგორ ვცდებოდი" — თქვა მან ფრანგული ჟურნალის „პარი-მატჩისათვის" მიცემულ ინტერვიუში.

ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი

(სტუ სპეც. ფაკულტეტი) აცხადებს მიღებას 2004/2005 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ა) სამართალმცოდნეობა; ბ) სამხედრო სამართალი; გ) საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი (ქართული, რუსული და ინგლისური სექტორი).
2. ა) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (ქართული და რუსული სექტორი); ბ) საბანკო საქმე; გ) საბაჟო-საგადასახადო საქმე (წარმოების და მომსახურების კონტროლი და ზედამხედველობა).
3. მთარგმნელობითი საქმიანობა:ა) ინგლისური ენა (ქართული და რუსული სექტორი); ბ) გერმანული ენა; გ) ფრანგული ენა.
4. ა) ჟურნალისტიკა; ბ) ინტერნეტ-ჟურნალისტიკა; გ) რეპორტიორი (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა); დ) საზოგადოებრივი ურთიერთობები.

დღის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩარიცხვა წარმოებს გამოცდა–ტესტირების საფუძველზე.

ინსტიტუტთან ფუნქციონირებს ლიცეუმი. სწავლა ფასიანია, აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ატესტატი; 2. 4 ფოტოსურათი 3X4; 3. პირადობის მოწმობა; 4. მიწერის მოწმობა (დედანი ასლთან ერთად).

საბუთების მიღება 1 ივლისიდან, შაბათ–კვირის გარდა, 10–15სთ. მის: თბილისი, მ. კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, VIII სასწავლო კორპ. II სართ.

☎ 36-30-72; 36-30-73; 36-60-78; 36-34-34

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

(30) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№30 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 29 ივლისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, განძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54

რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".